

644  
1972

644  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
92

11

1972

მურმან ლეზანიძე

# 5 0 წ ე ღ ი ა !

ორმოცდაათი წელია, არის ქროლა და ზენება—  
მაგ ქროლაშია  
მზვენება!

ომი, უიფილი, უგრძესი, უვრცესი ღამის თენება—  
თენებაშია  
მზვენება!

ტაბილ საქართველოს გულისთვის დაუცხრომელი ზენება!  
ზენებაშია  
მზვენება!

დროდადრო ოაზისივით იელვებს ტურფა ჩვენება—  
ჩვენებაშია  
მზვენება!

დავიღალეო, არ მითხრა, მურმან, სულ ბრძოლა გენება!  
მაგ  
ბრძოლაშია  
მზვენება!



# სსსრ

185

გამომცემის მითითებითა წელი

11.800

11

ნოემბერი


1972

თბილისი

საქ. კვ. ცვ.ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

გაყარეთველს ალკა, ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



# შინაარსი

— 50 —

თავისუფალ ერთა  
მძლე კავშირი ქმური

- 3. ღურბიზხან ცინცაძე, ნოდარ შველიძე. საქართველოს ეკონომიური და კულტურული აპკავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განმორკვი-ლივის შედეგია
- 13. დავით მაისურაძე. ხაზს მოყვარე მოყვრისათვის...

## კოეზია, კროზა

- 22. ზაურ გოლქვაძე. ლექსები
- 24. მინა ჩხატინაძე. ლექსები
- 25. გიორგი ხორგუაშვილი. შავი გული. მოთხრობა
- 63. ნიკოლოზ ჩაჩავა. ლექსები
- 64. ჯამალ ინჯია. ლექსები
- 65. გივინა მინდიაძე. ლექსები
- 67. აბაკი ვახაძე. მოთხრობები
- 81. ტაბუ მუხრანოვილი. ლექსები
- 82. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
- 84. გურამ კლდიაშვილი. ლექსები
- 85. გურამ კეტიკაშვილი. მიჟღე. ლექსი
- 86. ალექსანდრე ტაბატაძე. ლექსები

## ახალი თარგმანები

- 87. თ. ტიუტჩაძე. ლექსები. თარგმნა გიორგი კალანდაძემ
- 88. კოლ ჯალიკოვ. მინის კარები. მოთხრობა. თარგმნა ვახტანგ უღენტმა

## წერილები

- 93. ჯანსუღ ღვინჯილია. მურონ ლეზანის 50 წელი
- 102. გრიგოლ ხერხეულიძე. ეროვნულუობის პრობლემა თანამედროვე ქართულ კოეზიაში
- 114. გიორგი ინოვინიაძე. მუხრან მატავარინი
- 118. თენგიზ ჩხიძე. მართალი წიგნი
- 123. შალვა ფორჩხიძე. ქართული საბოთა კოეზიის ანთოლოგია
- 141. აბაკი ვახაძე. ილიას „განდებლი“
- 149. თეიმურაზ ფანჯიკია. პირველქმენილი ცოდვის პრობლემა

## მწერლის არქივიდან

- 156. იოსებ მუგრალიძე. იოსებ ბრეშევილის სპირაბათი
- 159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
გურამ ასათიანი,  
აბაკი ვახაძე,  
ვივი გეგეჭორი,  
გურამ გვირგვინი,  
მარტა ელიოვიშვილი,  
პარლ კალაძე,  
კონსტანტინე  
ლოთთიფანიძე,  
ოტია პაპკორია,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუზარ ფოფხაძე,  
ნოდარ წულეისკირი,  
ტარიელ ზანტურია,  
სერგი ვილიაძე,  
თამაზ ვილიაძე,  
ლავა ჯანაშია.

# თავისუფალ ერთეულ ქვეყნის ქვეყნის ქვეყნის

ლ. ი. ბრეჯნევი, ნოღარ შველიძე

## საქართველოს აკონომიური და კულტურული საზოგადოებრივი ლენინური აკონომიური კოლმუნისტის განხორციელების უბეგია

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს. სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების დღეებში ერთხელ კიდევ თვალნათლად დასტურდება ის ცხოველმყოფელობა და ისტორიული აუცილებლობა, რასაც წარმოადგენს ერთგული საკითხის გადაწყვეტის ლენინური პროგრამა და პოლიტიკა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. სსრ კავშირში სამუდამოდ მოეღო ბოლო ერთი ერის მიერ მეორის ექსპლოატაციას, ჩაგვრასა და ძალადობას; შეიქმნა ახალი ტიპი თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებისა, რომელმაც სინამდვილედ აქცია კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა ოცნებანი ხალხთა საზოგადოებრივად გონივრული მოწყობის შესახებ.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია დემონსტრაციითაა ერთგულ საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების თანმიმდევრული განხორციელების, ინტერნაციონალიზმის დიდი პრინციპების გამარჯვებისა. ამ პრინციპების ურყევ ფუნდამენტურ საფუძველზე, რომელიც განვითარებულია სკკპ XXIV ყრილობის გადა-

წყვეტილებებსა და სხვა პარტიულ დოკუმენტებში, შემდგომ მტკიცდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, იდეურ-პოლიტიკური ერთობა. სწორედ ლენინური ერთგული პოლიტიკის განხორციელების შედეგია, რომ დღეს საბჭოთა ხალხი წარმოადგენს ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობას. სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჯნევი სკკპ XXIV ყრილობაზე. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მისი დაცვისათვის ბრძოლებში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, პარტიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა. ჩვენი ადამიანები შედუღებული არიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთობით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მაღალი მიზნების ერთობით. ამ მონოლითურ შეკავშირებას მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ცხადპყფს თავისი შრომით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ერთგულად მიმართებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ლ. ი. ბრეჯნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის, თბ., 1971, გვ. 103-105.



საბჭოთა ხალხის ახალი ისტორიული ერთობა წარმოიშვა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ერთიანობის ბაზაზე. ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რაც წარმოიშვა ჩვენი ხალხის, საბჭოთა ხალხის შესანიშნავი თვისებები: ერთგულება კომუნისტურ საქმისადმი, სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, მაღალი შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიუობა, შეურიგებლობა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისადმი, ეროვნული და რასობრივი კრულმეზღვეულებებისადმი, კლასობრივი სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი.

ამდენად, ვსაბუთებთ, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ყველა მოსახლე ერებისა და ეროვნებების საერთო ზეიმს, კომუნისტური პარტიის გარემო საბჭოთა ხალხის შეკავშირების ფართო დემონსტრაციას, ერთობლივი ბრძოლის შედეგების შემოწმებისა და პერსპექტივების დასახვას.

დიდი სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული მიღწევებით ეგებება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულს ქართველი ხალხი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომ შემართად რევოლუციური განახლება და მძლავრი აღმავლობა განიცადა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ქვეყანა, რომელიც „ნიოროდების“ ათეულწუნებულ კატეგორიას განეკუთვნებოდა მეფის რუსეთის „ხალხთა საყურობილში“ და საეშარი განიცდიდა ყოველგვარი სოციალური და ეროვნული უსამართლობის შედეგს, თავისი ზედის ბატონ-პატრონად იქცა, იგი გაერთიანდა თავისუფალ, თანასწორუფლებიან ერთა მძლე, ამურ კავშირში და მომავლის ღრმა რწმენით წვენი დიდი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად აშენებს კომუნისტურს.

საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დიდად საინტერესო და თვალსაჩინო გზა განვლო, რაც ნათლად ჩანს რევოლუციამდელ საქართველოსთან დღევანდლობის შედარებისას, რესპუბლიკის მიერ უკანასკნელ ნახევარსაუკუნეში განვლილი გზის მოკლე, ფრაგმენტული მიმოხილვითაც კი. ეს მიღწევები მტკიცელებენ არა მარტო ერის წიაღში არსებული განვითარების დიდ პოტენციალზე, არამედ მის მიერ არჩეული გზის სისწორესა და გონივრულ ხელმძღვანელობაზე.

საქართველომ სოციალიზმის მშენებლობა

უარესად ძნელ პირობებში, რთულ საერთაშორისო და საშინაო ვითარებებში, მუდმივად მუდმივად და მწვავე სასურსათო კრიზისის პირობებში დაიწყო. იმპერალიზმისა და იმპერალიზმის მწვავეების სამშლიანმა ბატონობამ და უცხოელ კოლპანტთა თარეშმა მთლიანად მოშალა ისედაც სუსტად განვითარებული საქართველოს ეკონომიკა. სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის გამოშვების ჯერ 1913 წლის დონე რა იყო და 1921 წელს ისიც 10-ჯერ შემცირდა. თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყო საქართველო სამრეწველო განვითარების მხრივ რევოლუციამდე კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მსხვილი მრეწველობის თანჯერ ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდა, ვიდრე საშუალოდ რუსეთის იმპერია. ეს მაშინ, როცა რუსეთის იმპერია სამრეწველო განვითარების მხრივ თვით წარმოადგენდა ერთ-ერთ საქმაღლ ჩამორჩენილ ქვეყანას. რევოლუციამდელ საქართველოში მრეწველობისა და სოფლისმეურნეობის მთლიან პროდუქტში მრეწველობის წილად მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი მოდიოდა, რაც ქვეყნის მკვეთრად გამოხატული აგრარული ხასიათის მაჩვენებელია.

არც სოფლის მეურნეობის მდგომარეობა იყო უკეთესი. მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობები, პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რაც მტკიცად ხის კავთა და უბრალო საოჯახო-ხელოსნური წარმოების საშუალებებით იყო წარმოდგენილი, აგროტექნიკის დაბალი დონე და საირიგაციო სისტემის მოშლილობა და სიმცირე, თავის მძიმე დაღს ასევე და სოფლის მეურნეობის განვითარებას. გლეხურ მეურნეობას ძლივს გააქონდა თავი წლიდან წლადღე.

თუ რაოდენ მძიმე იყო სიმწელები სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე იქედანაც ჩანს, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა 1923 წელს იძულებული გახდა აღედგინა ჯერ კიდევ გასულ საუკუნის 70-იან წლებში არარენტაბელობის გამო მიტოვებული ჩათახის თუქის პრიმიტიული საწარმო, ხოლო 1922 წელს მას არ აღმოაჩნდა საკუთარი სახსრები ზაჰვის მშენებლობის დაწყებისათვის და მისი განხორციელება მხოლოდ საბჭოთა რუსეთის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

ცხადია, საქართველო განმარტობით ვერც იმპერალიზტური შემოჭრის მუდმივ საფრთხეს აიცილებდა თავიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ სამეურნეო-პოლიტიკური სიმწელებებისაგან თავის დიდწევივით. ამიტომ იმ დახმარებასა და მხარდაჭერას, რასაც საქართველოს კომპარტიის და მშრომელებს საბჭოთა მთავრობა და პირადად ვ. ი. ლენინი უწევდნენ, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ამ დახმარების შედეგად იყო შესაძლებელი საქართველოში





სოციალიზმის მშენებლობის საიმედო საფუძვლის ჩაყრა. ე. ო. ლენინის მითითებით ქართველი კომუნისტები ენერგიულად ჩადგნენ სათავეში საქართველოს განახლებისათვის ბრძოლას, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მუშათა და გლეხთა თავდადებულ ბრძოლას.

სახალხო მეურნეობის აღდგენის რთული ამოცანების გადაწყვეტისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებს, საერთოდ, ახალი ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ და, კერძოდ, ეროვნულ საკითხებზე. ყრილობამ მიუთითა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მიზანია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ფაქტურად ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაცია, სსრ კავშირის ყველა ხალხის დაახლოება და მშვიდი ერთიანობა და სოციალიზმის ერთად აშენება. ყრილობის მიერ გამოცხადებული ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც დადასტურებული და განვითარებული იქნა შემდგომ პარტიულ ყრილობებსა და დოკუმენტებში, წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელმძღვანელო კერძს ეროვნულ საკითხში. კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული განვითარების ყოველ ეტაპზე განუხრავლად უზრუნველყოფდა ხალხთა ფაქტურ თანასწორობას და გამოხატავდა ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ძირეულ ინტერესებს.

საქართველოს კომუნისტებმა და მშრომელებმა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკაში დაიხატეს მუშათა კლასის ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების ერთიანობა, საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებათა შესაძლებლობა, ეროვნული ინტერესების ნამდვილი დაცვა. ამიტომ იყო, რომ 1922 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის პირველმა ყრილობამ საქმებით მოიწონა რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებანი და შეიმუშავა კონკრეტული გეგმა მათი წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოში ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობათა წარმატებისათვის ხელსაყრელი წინამძღვრების შექმნისა და განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნას, რომელმაც გააერთიანა რესპუბლიკათა ეკონომიური შესაძლებლობანი სახალხო მეურნეობის არახული, სიძნელეთა დაძლევისათვის ბრძოლის პირობებში, როცა ყოველ თვით მცირეოდენ სამეურნეო წარმატებასაც კი სოციალისტური ეკონომიკის ორგანიზაციის საქმეში უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა

ენიჭებოდა. ძნელია გადაპარებები იქნას შეფასებული ამიერკავკასიაში ეროვნული სახალხო ლენინურად გადაჭრის მნიშვნელობა. ეს ფაქტობრივად კომუნისტური პარტიის პრინციპული გამარჯვება სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ერთა ეკონომიური და კულტურული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის შექმნას. იგი კავშირის დასაბამით სახელმწიფოებრივად აერთიანებდა ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ შესაძლებლობებს, სახავდა რეალურ გზებს განაპირა მხარეების ხალხთა ფაქტურული უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის.

ცხადია, ეს ფაქტორებიც უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მიღწევების შესახებ გვაქვს ლაპარაკი, განსაკუთრებით სოციალიზმის მშენებლობის პირველ წლებში.

ჩვენ ქვეყნითაც აღვნიშნავთ საბჭოთა ერების ურთიერთდახმარების მნიშვნელობას სოციალიზმისა და კომუნისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ აქ არ შეიძლება ხაზგასმით არ ითქვას იმ დახმარების დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც საბჭოთა რუსეთი უწყვეტად მოჰმე სოციალისტურ რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოსაც, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ბრძოლაში. სწორედ ამ დახმარების მეოხებით გახდა შესაძლებელი, რომ საქართველომ უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დაიწყო 20-მდე მსხვილი სამრეწველო საწარმოს მშენებლობა, მათ შორის ზაქესისა. ასეთი მაგალითები სამუდამოდ რჩება ისტორიას, როგორც ეროვნულ ურთიერთობათა ინტერნაციონალური გადაწყვეტის ნიმუშები, რომლებსაც იგი იყვებენ.

საბჭოთა ერების სამეურნეო-ეკონომიურ შესაძლებლობათა გაერთიანების შედეგად შესაძლებელი გახდა სახელმწიფო მასშტაბით გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია, ერთიანი სამეურნეო პროცესის განხორციელება, სოციალიზმის მშენებლობის ობიექტურ კანონზომიერებათა სრულყოფილად გამოვლენა, რის მაგალითთა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განვითარება. საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე საქართველო სუსტად განვითარებული ძირითადად კლასტრული მრეწველობისა და პრიმიტიული სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მრავალბარგოვანი, მულტექანიზებული

**დავითიან ცინცაძე, ნოდარ ვეპლიძე**  
საპარტიო მდივანი ეკონომიური და კულტურული აჯვანება ლენინური მრეწველო პოლიტიკის განხორციელების შედეგად



ლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

ქართველმა კომუნისტებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა თანმიმდევრულად განახორციელეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმა.

საქართველოს მშრომელებმა პირველი ხუთწლიანი გეგმის მანძილზე, ანხორციელდნენ რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაწაღეს წარსულსაგან შემკვიდრებით მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის. ყრილობის მოთავსი გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია: „ყრილობა ავალდებს ცენტრალურ კომიტეტს აწარმოოს ეკონომიური მშენებლობა ისეთი თვალსაზრისით, რომ სსრ კავშირი მანქანების და მოწყობილობის შემოქმედებით იქცეს მანქანებისა და მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად“, საქართველოს მშრომელებმა მიიღეს როგორც აგრეთვე ეროვნული ამოცანა. ომამდელი ხუთწლიანი მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, განხორციელდა რევოლუციამდე არსებულ საწარმოთა სრული რეკონსტრუქცია.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ელექტროფიკაციას. „კომუნისმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება ბლეს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“, — აღნიშნავდა იგი. ელექტროფიკაცია ინდუსტრიალიზაციის საფუძველი იყო, ამიტომ მასზე საგანგებოდ ზრუნავდნენ.

საბჭოთა საქართველოში ელექტროენერგეტიკის პირველი წარმოადგენს ზაპესი, რომლის მშენებლობა ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად დაიწყო 1922 წელს, მისი პირველი აგრევატი 1927 წელს ამუშავდა. ამავე წელს დაიწყო რონჰესის მშენებლობა. ეს იმდროინთვის უდიდესი მოვლენა იყო; მას ჰქონდა არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც და თავისუფალ ხალხთა შემოქმედებითი აღმშენებლობის ერთ-ერთ პირველ თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენდა. საქართველოს მუშათა კლასმა დამაწყებლად დაადასტურა, რომ უნარი შესწევს არა მარტო ძველის ნგრევისა, არამედ ახლის შენებისაც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა აგრეთვე აჭარისწყლის, აბაშის, ხრამის, შოთარის, ლაჯანურის, გუმათის, ბუჯის, ტყიბულის და სხვა მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები, აგრეთვე სასოფლო ჰიდროელექტროსადგურები და სარაიონო თუ სხვა თბოელექტროსადგურები. შინც როგორია ელექტრო-

ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მიზანმიმართული ნებლები? თუ 1921 წელს საქართველოში 21 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია აწარმოვდა, 1971 წელს ეს ციფრი 9 მილიარდამდე გაიზარდა. ეს კოლოსალური ზრდა, იმის დასტურია, რომ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 433-ჯერ გაიზარდა.

პერსპექტივები უახლოესი მომავლისათვის კიდევ უფრო დიდია. ხუთწლიანი დამდევს საქართველო დღეში გამოიმუშავებს იმდენ ენერჯიას, რასაც იგი ლეზულობდა ერთ თვეში. 1940 წ. ეს შესაძლებელი გახდება ენგურჰესის, ვარციხის კასკადის და სხვა სადგურების მშენებლობის დამთავრების შედეგად, როცა ელექტროენერჯის წარმოება რესპუბლიკაში 15,5 მილიარდ კილოვატსაათამდე მიაღწევს.

მშენებარე ჰიდროელექტროსადგურებიდან განსაკუთრებულად აღსანიშნავია ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროგენერატი, რომელიც მიმდინარე ხუთწლიანი დამთავრდება. მისი სიმძლავრე 45-ჯერ გადააჭარბებს ზაპესის სიმძლავრეს. ენგურჰესი ქართველ ჰიდროენერგეტიკოსთა აზრის ვაბედულებისა და ძიების ნიმუშია. მისი კაშხალის სიმაღლე 270 მეტრია, ხოლო გადაწყვეტის ორიგინალობით შეუდარებელია. ენგურჰესი თავისი ეკონომიური მაჩვენებლებით უახლოვდება მაღალეფექტურ სადგურებს, როგორცაა ბრატსკისა და კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურები.

რეგულაციამდელ საქართველოში არ არსებობდა ქიმიური მრეწველობა. მას საფუძველი 1925 წელს ჩაეყარა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყებით. ეს იყო დიდი ქიმიის პირველი მნიშვნელოვანი ობიექტი რესპუბლიკაში. შემდგომ წლებში მას რამდენიმე ფარმაკეპტული და საღებავადამამზადებელი საწარმო. მაგრამ მისი ნამდვილი აღმავლობა მაინც ომისშემდგომ წლებზე მოდის, როცა მწყობარში ჩადგა რუსთავის აზოტოვანი სასუქების, ქიმიური ბოჭკოებისა და კაპროლაქტამის ქარხნები.

მნიშვნელოვანი მიღწევები გააჩნია საქართველოს შავი მეტალურჯის განვითარებას დარგში. ფოლადის წარმოების საერთო მოცულობით საქართველო თითქმის უტოლდება ერთად აღებულ ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორცაა ნორვეგია, ფინეთი და დანია, ხოლო თუჯის წარმოების მაჩვენებლებით ერთ სულ მოსახლეზე წინ უსწრებს იტალიას, ესპანეთს და ზოგიერთ სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

მიუხედავად იმისა, რომ შავი მეტალურჯია საქართველოს მრეწველობის ახალი დარგია, მას მაინც დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ექსპორტში.

საქართველო მესამე ადგილზეა ფოლადის





წარმოების მხრივ რესპუბლიკებს შორის საბჭოთა კავშირში, ხოლო მეოთხეზე — თუჯის გამოღობით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შავი ლეონები, განსაკუთრებით თუჯი და ფოლადი მთელი სახალხო მეურნეობის და თანამედროვე მრეწველობის საფუძველია, ცხადი ვახდება თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს მაჩვენებლები.

შავი მეტალურგიის განვითარებას რესპუბლიკაში არსებითად საფუძველი ზესტადონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ჩაუყარ 1933 წელს. ფერომეტალურგია ომისწინ სრულებითაც ვერ ამოწურავდა იმ ფართო შესაძლებლობებს, რაც შავი მეტალურგიის განვითარებას გააჩნდა რესპუბლიკაში. ამიტომ იყო, რომ პარტიამ და მთავრობამ ომის შემდგომ წლებში დასახეს შავი მეტალურგიის განვითარების ფართო გეგმა, რომლის მიხედვით მოკლე დროში სრულიად გაუდამრთობულ ადგილას აღმოცენდა სოციალისტური ქალაქი რუსთავი თავისი მეტალურგიური ქარხნით.

რუსთავში შავი მეტალურგიის ცენტრის წარმოშობა უადრესად მოკლე დროში, საქართველოს ეკონომიური ძლიერების, მისი ნათქვამი პერსპექტივის და რესპუბლიკის მშრომელებისადმი მომე ერების დახმარების დიდებული მავალითია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აშენების მავალით ხალხთა ლენინური მეგობრობის შეთანხმება ნიშნავდა. მის მშენებლობაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკა იღებდა მონაწილეობას. ახალი ქარხნის კვალიფიციური მუშეებით უზრუნველსაყოფად ასობით ქართველი ახალგაზრდა ვაიგზავნა რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ცენტრებში — ენაკიევოში, გორლოვკაში, დნეპროძერჟინსკში, მაკეევკაში, სტალინგრადში, ტავანროვში და სხვ., სადაც ცნობილი ოსტატები თავიანთ ცოდნას უზიარებდნენ მომავალ ქართველ მეტალურგებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ფართო მუშაობას ეწევა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში. აქ დაინერგა ფოლადის უწყვეტად სხმის უნიკალური მეთოდი, განხორციელდა მელსაგლინავი ღვანის „400“-ის სრული ავტომატიზაცია, რისთვისაც პროექტის შემქმნელ და წარმოებაში დამწერგავ სპეციალისტთა ჯგუფს ლენინური პრემია მიენიჭათ. ახალგაზრდა მეტალურგიული ქარხანა თავისი მღწეულებით წარმოების განვითარების დარგში გვერდში უდგას კავშირის უმნიშვნელოვანეს, მრავლისმნიშვნელოვან და გამოცდილ მეტალურგიულ საწარმოებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე აგებულია რიგი მსხვილი საწარმოები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

სრულიად ახალ დარგს წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის მანქანათმშენებლობა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობა. ჯერ კიდევ მეორე ხუთწლედამდე შეიქმნა საქართველოს ძველი ქარხნების რეკონსტრუქციის შედეგად რამდენიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, მაგრამ მანქანათმშენებლობის პირველ სიამაყეს მაინც ს. კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა წარმოადგენს, რომელიც 1934 წელს ჩადა მწობროში, ქარხანა აშენდებს სახარატო-ხარხანსკრელ, მილების დამამუშავებელ და სხვა სახეობის მძიმე ჩარხებს გემოსაშენი, ნავთობისა და მრეწველობის დარგებისათვის არა მარტო, საბჭოთა კავშირის საჰაერო-საავიაციოს, არამედ საექსპორტოდაც.

მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარება ომისშემდგომ პერიოდს ეკუთვნის; ძირითადად მაშინ შეიქმნა საქართველოში მსხვილი სპეციალიზებული ქარხნები. მთვან აღსანიშნავია ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, თბილისის საავიაციო ქარხანა, ბათუმის გემომშენებელი ქარხანა, რომელიც წყალქვეშაფრთიან ზღვის კატარღებს უშვებს და სხვა მანქანათმშენებელი მსხვილი საწარმოები. ისინი განლაგებულია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ფართო აღიარება პოვა ქართულმა ავტომობილმა. ქუთაისის ავტოქარხანა უშვებს თანამედროვე საჰაერო ავტომობილებს. ცემენტის გადაზიდვისათვის თვითმცლელებს, დიდი ტევადობის სპეციალურ მანქანებს და სხვ., რომლებიც მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

1957 წელს საქართველოში ლოკომოტივების შექმნეველი ქარხნის ბაზაზე წარმოიშვა ელექტრომავლების მშენებელი ქარხანა, რომელმაც ითვისა რეალურიანი სამავსტრალი ელმავლების წარმოება. ამჟამად რესპუბლიკაზე მოდის ელმავლების საკავშირო წარმოების ერთი მესამედი.

უკანასკლ წლებში განსაკუთრებით ფართოდ ვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა, რომელიც, ვარდა ელმავლებისა აშენდებს ელექტროაპარატურის ომპოზიციები მრეწველობისათვის. ელექტრომშედულებელ განწყობილებას, ელექტროძრავებს, ელექტროვიბრაციულ მანქანებს, ელექტრომექანიკურ გამძლიერებლებს, საანგარიშო-გამოსათვლელ მანქანებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრომანქანებს

**ღურმიზან ცინცაძე, ნოდარ ზვილიძე**  
საპარტიო მუშაოს ეკონომიური და კულტურული აკავაზება ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად

და სხვ. აღსანიშნავია, რომ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი გადის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მსოფლიოს 50 ქვეყანაში.

ჩვენ შეგნებულად არ აღვნიშნეთ საქართველოს მრეწველობის იმ დარგებზე, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჯერ კიდევ რევოლუციამდე — ქეანახშირის და მარგანიტის მრეწველობაზე. მათ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრული განახლება და განვითარება განიცადეს. ტყეპროდუქცია, ტყეპროდუქცია და ქიათორის მაღაროები ამჟამად აღჭურვილია უახლესი ტექნიკით — სერეპერებით, ელექტრომომწოდებლებითა და სხვა სრულყოფილი მექანიზმებით, რომლებმაც დღედაღამ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

მომე მრეწველობის შექმნასა და განვითარებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში დიდი განვითარება ჰპოვა მსუბუქმა მრეწველობამ, რომელიც სახალხო მოხმარების ფართო ასორტიმენტის საქონელს ამზადებს, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხელდასრულებითაა და რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში სავარაუდოდ 50 წილია.

ასევე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია კვების მრეწველობამ, რომელსაც წარმოების მოცულობის მხრივ რესპუბლიკაში პირველი ადგილი უჭირავს. საქართველოში ფართოდაა განვითარებული ჩაის, ღვინის, თამბაქოს, კონსერვების, ეთერზეთოვანთა და ცხიმების მრეწველობა, რომელთა პროდუქცია საერთო მოწოდებას იმსახურებს და საექსპორტო იგზავნება ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ინგლისი, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, პოლონეთი და სხვ.

საქართველოს სამრეწველო განვითარების შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის ერთგული კადრები. «საქართველოს მუშათა კლასი დღეს — აღნიშნავდა ა.ბ. ლ. ი. ბრეცენევი — კვალიფიციურ ადამიანთა თითქმის მილიონიანი არმიაა, რომელთა ნახევარზე მეტს საშუალო განათლება აქვს. ისინი მუშაობენ თანამედროვე საწარმოებში, უშვებენ რთულ მექანიზმებს, უძვირფასეს მოწყობილობასა და სხვა ჩინებულ საგნებს»<sup>1</sup>.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში ათასამდე მსხვილი საწარმო აშენდა. ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა მრეწველობა. 1913 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 85-ჯერ გაი-

ზარდა. საქართველო, ამჟამად ხუთი დღის განმავლობაში იმდენ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა, რაც შედეგებს მთელი საზოგადოებრივი წარმოების თითქმის ორ მესამედს.

საქართველოს სამრეწველო განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია მისი სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში. ქართული სამრეწველო პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა და მასზე ყოველწლიურად იზრდება მთხოვნილება მსოფლიოს ყველა კუთხეში. მსოფლიოს 70 ქვეყანაში, მათ შორის მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც კი იგზავნება ასზე მეტი სახელწოდების სამრეწველო პროდუქციის ურთულესი მანქანები და მოწყობილობანი: ავტომობილები, ელმავლები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები, მიწისსაწოლები, ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები, ფეროშენადნობები, უნიკერო მილები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, ელექტროტექნიკური მოწყობილობანი, მედიცინის პრეპარატები და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენივე ტრადიციულ საქსპორტო საქონელზე — კვების მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომლის ექსპორტი აგრეთვე დღედაღამ გაიზარდა.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ საქართველო არა მარტო პროდუქციის აგზავნის სახელმძღვანელოდ, არამედ ბევრი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში აქტიურად ჩაბმულია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი საინჟინერო-ტექნიკური და მეცნიერული კადრები. მრავალი ქართველი სპეციალისტი მონაწილეობდა და ამჟამადც მონაწილეობს ინდოეთის, ეგვიპტის, კუბის, ალჟირის და სხვა ქვეყნების სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში.

მრეწველობის კვლადაკვალ არსებობი ხასიათის დიდმნიშვნელოვანი გარდაქმნები განხორციელდა სოფლად. ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად შეიქმნა საქართველოს მრავალდარგოვანი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო, მაგრამ მისი ფართოდ განხორციელება, სოფლის სოციალისტური გარდაქმნა მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობისა და ტრაქტორმშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის ხელმძღვანელი კადრების მომზადების შედეგად გახდა შესაძლებელი.

<sup>1</sup> ლ. ი. ბრეცენევი, საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წელი, თბ., 1971, გვ. 17.



ამ ღონისძიებათა გატარებაში ფასდაუღებელია მუშათა კლასისა და მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა ურთიერთდახმარების მნიშვნელობა. კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის თავდადებული მუშაობის შედეგია, რომ ამამდელ ხუთწლეულებში საქართველოს მშრომელი გლეხობა მტკიცედ დაადგა სოფლად სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობისა და განმტკიცების გზას, რამაც ფართო შესაძლებლობანი შექმნა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მისი ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის წარმოებაში სტრუქტურული ცვლილებებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობის ბევრი დარგა რამდენიმე რევოლუციამდე არ არსებობდა, ან ჩინას მდგომარეობაში იყო არსებითად ზედახელა შეიქმნა. ლაპარაკი მეჩაიეობაზე, მეკურსეობაზე და ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოებაზე, რომელთაც ამჟამად წამყვანი ადგილი უჭირავთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობა სოციალისტური განვითარების შედეგად, მოხმარებითი მეურნეობიდან, როგორცაა წარმოადგენდა იგი კულტურებისათვის, გარდაიქმნა სახალხო მეურნეობის მაღალსაქონლურ დარგად, რომელიც განუზრვლად ვითარდება სოციალისტურ მრეწველობასთან მჭიდრო კავშირში და მის შესაბამისად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა უმთავრესად ძვირფასი კულტურების განვითარების გზით მიემართება. ამაზე მეტყველებს ჩაის კულტურის განვითარების ისტორია, რომელიც რევოლუციამდე იწყება, მაგრამ მხოლოდ სამოთხა ხელისუფლების წლებში გახდა საერთო-სახალხო ზრუნვის საგანი. 1921 წლისათვის საქართველოში 1000 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია იყო, რომელიც 550 ტონამდე პროდუქციას იძლეოდა. 1971 წლისათვის იგი 65 ათას ჰექტარამდე გაიზარდა, ხოლო მოსავლიანობამ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია. ჩაის ფოთლის მოსავლიანობით საქართველოში გადააჭარბა ისეთ მსხვილ ექსპორტიორს ჩაის წარმოებაში, როგორცაა ცეილონი.

დიდი პერსპექტივებია დასახული მეჩაიეობის განვითარებისათვის მიმდინარე ხუთწლეუში. საქართველოს მეჩაიეებმა ვალდებულება იყისრეს ბევრად გადაჭარბებით შესარულონ ახალი ხუთწლეულის დავალებები და ჩაის ფოთლის დამზადება გაზარდონ 300 000 ტონამდე.

მეჩაიეობის განვითარებამ საფუძველი შექმნა ჩაის მრეწველობის განვითარებისათვის, რომელსაც დიდი სახალხო სამეურნეო მნიშე-

ნელობა აქვს. რესპუბლიკაში ჩაის პარტიკულარულად მუშაობის 73 ფაბრიკა არსებობს. ყველაზე უფრო მაღალხარისხიანი ტექნიკით აღჭურვილი ეს საწარმოები ყოველწლიურად 50—55 ათას ტონა პროდუქციას უშვებენ.

ჩაის კულტურა ერთ-ერთი შრომატევადი დარგია. ამიტომ მის სამუშაოთა მექანიზაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ქართველი ინჟინერ-ტექნიკოსები და მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან ამ მიმართულებით, რაც სასურველი შედეგებით აღინიშნა. მსოფლიოში პირველად საქართველოში შეიქმნა ჩაის საკრეფო მანქანა „საქართველო“, რომელმაც მაღალი საერთაშორისო შეფასება დაიმსახურა, ხოლო მის ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ.

საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცენტრის განვითარებას. თუ ამ 50 წლის წინ მისი ფართობი რესპუბლიკაში 160 ჰექტარს არ აღემატებოდა, ახლა იგი 15 ათას ჰექტარს აღემატება.

საბჭოთა კავშირის მრეწველობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს დაფინის ფოთოლზე, ტუნგოს ნაყოფზე, ვეკალიტზე, ბამბუქსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სუბტროპიკულ კულტურებზე, რომელიც საბჭოთა საქართველოში იწარმოება. ასევე დიდია თამბაქოს მნიშვნელობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ქართულ მაღალხარისხიან თამბაქოს ფართო გამოყენება აქვს, როგორც სამამულო თამბაქოს მრეწველობაში, ისე ექსპორტში.

საქართველოს მევენახეობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. კატასტროფიულად მცირდებოდა ვენახების ფართობი, ხოლო მოსავლიანობა უმნიშვნელო იყო. 1921 წელს ვენახების ფართობი 36 ათას ჰექტარს შეადგენდა. ამჟამად კი იგი 115,5 ათას ჰექტარს აღწევს. ამასთან მისმა საჰექტარო საშუალო მოსავლიანობამ 61,4 ცენტნერს მიაღწია, ნაცვლად 1940 წლის 28 ცენტნერისა.

უკანასკნელ წლებში სავანებო ყურადღება ექცევა რესპუბლიკაში მეხილეობის განვითარებას. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1969 წლისათვის საქართველოში ზეხილისა და ხილკენკროვანის ფართობი გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 4,5-ჯერ, ხოლო 1965 წელთან შედარებით 8,9 პროცენტით.

მეხილეობა ვითარდება რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში, მაღალმოთხარ რაიონებშიაც

**დურმიშან ცინცაძე, ნოდარ შვალიძე**  
საქართველოს მკონომიური და კულტურული აკადემია ლენინური მკონომიური პოლიტიკის განხორციელების უფლები

კი. მისი ფართოდ განვითარებისათვის ახალი დიდი პერსპექტივებია დასახული.  
კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობის ფართოდ განვითარების საილუსტრაციოდ. ყველა ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ინტენსიფიკაციისა და მეცნიერული მართვის შედეგია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი სამელორიაციო სამუშაოები განხორციელდა, როგორც სარწყავი სისტემის კეთილმოწყობისა და გაფართოების, ისე დაქაობებელი ადგილების დაშრობისათვის. დიდი საირიგაციო კულტურის შქონე ქვეყანა, საქართველო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ფაქტურად მოშლილი საირიგაციო სისტემით შეხვდა. 1921 წლისათვის სარწყავი ფართობი 95 ათას ჰექტარს აღწევდა მხოლოდ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მსხვილი სარწყავი სისტემები:— მამეგრის, ტრიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, ზემო-სამგორის და სხვ. ამჟამად რესპუბლიკაში 385 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი ირწყვება. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე.

საქართველოს სოფლისათვის დაუფასებელია კოლხეთის ჭაობის დაშრობის მნიშვნელობა. ქართველი კაცის საუკეთესოებრივი ოცნება ამოორებული ჭაობების დაშრობის შესახებ მხოლოდ ჩვენს დროში ასრულდა. 1970 წლისათვის 117 ათასი ჰექტარი ჭაობი იქნა დაშრობილი კოლხეთში, ხოლო მეცხრე ხუთწლეულში მას კიდევ 50 ჰექტარი ფართობი მიემატება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევები შედეგია სოფლად მქალავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა, რომელიც კომუნისტური პარტიის განუხრებელი ზრუნვის საგანს შეადგენდა დღემდე საბჭოთა. ხელისუფლების დამატარებისა. ჯერ კიდევ საქართველოს სსრ საბჭოების პირველმა ყრილობამ შეიმუშავა 1922 წელს მიწათმოქმედების ტექნიკის განვითარებისა და მის საფუძველზე მიწათმოქმედების კულტურის ამოღების ღონისძიებანი. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, სოფლის მეურნეობის ნამდვილი ტექნიკური აღჭურვა კი მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის განხორციელების საფუძველზე იყო შესაძლებელი. ე. ი. ლენინა მუთურობის: „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიქმნება ითვის მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ჯალუმს მიწათმოქმედების გარდაქმნა“<sup>1</sup>. მართლაც ქვეყნის სამრეწველო განვითარებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა. 1940 წელს საქართველოში კოლმეურნეობაზე

სამუშაოდ, 1 ტრაქტორიც არ მოდიოდა, ახლა კი თვითეული კოლმეურნეობის წინააღმდეგობა 15-ქალიანი 12 ტრაქტორი, კოლმეურნეობის განკარგულებაშია ათასობით ავტომანქანები, კომბაინები, ენერგეტიკული და მექანიკური დანადგარები. ელექტროფიციურებულია თითქმის ყველა კოლმეურნეობა. ფართო ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვას.

კადრები! ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა თავის დროზე საქართველოსათვის 20 ქართველი აგრონომზე, ახლა კი ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 19 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი მოღვაწეობს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევები დიდად იყო დამოკიდებული ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაზე. გაფართოვდა რკინიგზის ტრანსპორტი, განხორციელდა მისი სრული ტექნიკური რეკონსტრუქცია, შეიქმნა და განვითარდა საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი. მწყობრში ჩადგა თბილისის მეტროპოლიტენი.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულმა თვალსაჩინო წარმატებებმა მტკიცე საფუძველი შექმნეს მშრომელთა მატერიალურ-კეთილდღეობის ზრდისათვის. რესპუბლიკაში განუხრებლად ოზრდება ეროვნული შემოსავალი, რომლის უდიდესი ნაწილი ხმარდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული მოთხოვნისათვის დაკმაყოფილებას. მართო ფიანანსენლ 10 წელში რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი თითქმის ორჯერ გაიზარდა და 4 მილიარდ მანეთს მიაღწია.

საბჭოთა წყობილებამ ყველა პირობა შექმნა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, გაამდიდრა ხალხის სულიერი ცხოვრება. ამის შედეგია, რომ ამჟამად საქართველოში თითქმის ყოველი მესამე კაცი სწავლობს. თუ 1915 წელს ჩვენში 1765 სკოლაში, რომელთა უმრავლესობა მოუწყობელ დაწყებით სასწავლებელს წარმოადგენდა, 157 000-მდე ახალგაზრდა სწავლობდა, 1970 წელს საქართველოს 4571 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობდა, რომელთაც 78 ათასამდე პედაგოგი ასწავლიდა. სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი 1782 აღწევს, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა — 100. 1962 წელს საქართველოში განხორციელდა 8-წლიან საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა. საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმა. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შეიქმნა გახანგრძლივებული დღის კვლევა, აგრეთვე სკოლა-ინტერნატები.

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 584.





რეგულაციამდელ საქართველოში ერთა უმალესი სასწავლებელი იყო, ამჟამად კი 18 უმალესი სასწავლებელი ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმსხვილეს სასწავლო დაწესებულებასა და რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთ წამყვან ცენტრს.

თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი და სხვ. უმალესი სასწავლებლები განლაგებულია რესპუბლიკის ყველა მსხვილ ცენტრში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გორში, ცხინვალში და თელავში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათ, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან ერთად, მოამზადეს 600 ათასზე მეტი სპეციალისტი. თუ რაოდენ იზრდება სპეციალისტთა მომზადების მაშტაბები საქართველოში კარგად შეტყველებს შემდეგი ფაქტი: 1922 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი სპეციალობით. 1928 წელს ფაკულტეტი დაამთავრა და ინჟინრის დიპლომი მიიღო 6-მა კაცმა. ახლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს 28 ფაკულტეტი, 72 სპეციალობით, რომელზეც სწავლობს 27 000 სტუდენტი. მართო გასულ წელს აქ 3500 კაცმა მიიღო ინჟინრის დიპლომი.

საგულისხმოა, რომ საქართველოში ყოველ ათი ათას მცხოვრებზე მოდის ორჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, ხუთჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, 13-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 1941 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია — რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების შტაბი. ამჟამად მეცნიერებათა აკადემიას აქვს 6 განყოფილება, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ფართო ქსელს. გარდა ამისა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია რიგი საბჭოებისა და კომისიებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან.

ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ფსიქოლოგთა, გეოლოგთა, ფიზიკოსთა, ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა და სხვა სკოლები.

უიანსკელ წლებში შესანიშნავი წარმატებანი იქნა მიღწეული მეცნიერების ახალ მიმართულებათა: გამოთვლითი მათემატიკის, კიბერ-

ნეტიკის, ატომგულის, ფიზიკის, ელექტრონიკის, ტელემექანიკისა და სხვათა კვლევების გეგმვაში.

მეცნიერებათა აკადემია განუწყვეტილად აფართოებს მუშაობას, განამტკიცებს კავშირს მეცნიერებისა და წარმოების შორის. ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესების, სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში.

რესპუბლიკაში მეცნიერთა კადრების ზრდაზე კარგად შეტყველებენ შემდეგი ციფრები: 1970 წლის ბოლოსთვის საქართველოში მეცნიერ მუშაეთა რიცხვი შეადგენდა 19300 კაცს, რაც თითქმის 4-ჯერ მეტია, ვიდრე 1950 წელს. ამავე პერიოდში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა მეცნიერებათა დოქტორების რიცხვი და 3-ჯერ და მეტად მეცნიერების კანდიდატთა რიცხვი; მრავალ ქართველ მეცნიერთა არაერთი ნაშრომი დაჯილდოებულია ლენინური თუ სახელმწიფო პრემიებით.

მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში ჩანმრთელობის დაცემა მხრივ, საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე ექიმების რაოდენობის მხრივ. მაშინ როცა 10.000 მცხოვრებზე ინვლისში 11,4 ექიმი მოდის, საფრანგეთში 10,7, ბელგიაში 12,2, ამერიკის შეერთებულ შტატებში 12,1. საქართველოში 10.000 მცხოვრებზე მოდის 37,2 ექიმი.

შრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს და მათი კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება სკოლების, თეატრების, კლუბების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მთლიანი განმტკიცებელი ქსელი ქალაქად და სოფლად. ამჟამად რესპუბლიკაშია 1900 კლუბი და კულტურის სახლი, 74 მუზეუმი, 22 პროფესიული თეატრი, 1800 კინოდანადგარი, 3500 ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდი 20 მილიონს აღემატება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი ეტაპი იწყება ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების აღორძინება და სოციალისტური რეალობის დამკვიდრება; საბჭოთა კავშირის ხალხებისა და საზღვარგარეთის მოწინავე ლიტერატურასთან მჭიდრო მეგობრული კავშირითიერთობის განმტკიცება.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმა-

**ღურმიზან ცინცაძე, ნოდარ შვალიძე**  
სტატიკონომოსი მაცნეში და  
კულტურული ავიაგაზა ლენინური  
ვიკონსული პოლიტიკის განხორციელების  
შემდეგ



ტეზებზე მეტყველებს ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში გამოცემა ჯერ კიდევ 1967 წლამდე 65000-ზე მეტი წიგნი 340 მილიონამდე ტირაჟით, მაშინ როდესაც რევოლუციამდე საქართველოში მხოლოდ 3 ათასამდე წიგნი გამოცემული საერთოდ ერთი მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებასა და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე მეტყველებს აგრეთვე მისი ფართო ასპარეზზე გამოსვლა. ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე. ამავე დროს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მეშვეობით ქართველი მკითხველი ფართოდ ეზიარა მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურას.

ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული კულტურის დიდი ზეიმი იყო შ. რუსთაველის დაბადების 800-წლისთავის იუბილე, რომელიც ფართოდ აღინიშნა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმატება შედგება იმ ზრუნვისა და ყურადღებისა, რომელსაც მის მიმართ შეუნდებლად იჩენს კომუნისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა.

რესპუბლიკის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მოვლენაა ქართულ ენაზე მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომთა, აგრეთვე პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციების გამოცემა.

ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებაში დიდნიშნელოვანი მოვლენაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შრავალტომიანი ქართული ენციკლოპედიის გამოცემა, რისთვისაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ. რესპუბლიკის 22 პროფესიულ და 36 სახალხო თეატრში 1200-ზე მეტი მსახიობი, რეჟისორი და სხვა შემოქმედებითი მუშაკი მოღვაწეობს, რომელთა უმრავლესობას უმაღლესი ვანათლება მიღებული აქვთ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. ვარდა ქართული თეატრალური დასებისა საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობენ რუსული, სომხური, აფხაზური და ოსური თეატრები.

შორეულ წარსულში ჩაისახა საქართველოს მუსიკალური კულტურა, მაგრამ მისი ნამდვილი აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. საქართველოში აღიზარდა ქართველ კომპოზიტორთა მთელი პლეადა, რომლებმაც შექმნეს მდიდარი ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობა. რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში დიდნიშნელოვანი მოვლენაა საოპერო თეატრის გახსნა ქუ-

თაისში, რომელიც ეროვნულ კულტურულ და კომპლექტებულად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტიამ და მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს ქართული სახეობის ხელოვნების განვითარებისათვის. ჯერ კიდევ 1922 წელს შეიქმნა თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელსაც ფასდაუღებელი წვლილი მიუძღვის, ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკოსთა ეროვნული კადრების სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე აღზრდაში, ასევე დიდია ქართველ კინომატოგრაფისტთა მიღწევები. მათ არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოები შექმნეს, რომლებმაც საყოველთაო აღიარება პპოვეს, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველო დიდად განვითარებული სპორტული ქვეყანაა, ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიშალა სტადიონებისა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა. ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი მეოთხედი ჩაბმულია ფიზიკულურულ კოლექტივებში, რომელთა რიცხვი ამჟამად 6800-ს აღემატება. ბევრი ქართველი სპორტსმენის მსოფლიოს, ფეხბურთელის, კალათბურთელის, მძლეოსნისა და სხვათა სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი, როგორც მსოფლიოს და ოლიმპიურ შეჯიბრებათა ჩემპიონებისა და რეკორდსმენებისა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სამეურნეო პოლიტიკურმა და კულტურულმა განვითარებამ ძირეულ საზოგადოებრივ ძვრებში პიკა განსაზიერება. ჩვენს ქვეყანაში დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და დაიწყო კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლა. იქმნება კომუნისების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყალიბდება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ყალიბდება ახალი ადამიანი. სულ უფრო იშლება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასისა და გლეხობას შორის.

ყოველივე ეს შედეგია კომუნისტური პარტიის განუწყვეტელი ხელმძღვანელობისა, რომელიც ბოლომდე ანხორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომლის შინაარსია ხალხთა თანასწორუფლებიანობა და მეგობრობის განმტკიცება, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების წყაროა, მისი ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საწინდარია.

ამიტომაც რომ კომუნისტური პარტია თვალსაჩინო უფრობილებდა ხალხთა ლენინურ მეგობრობას და შედგომს ამტკიცებს მას XXIV ყრილობის მიერ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.



# ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

გენიალური შოთას ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავენ საბჭოთა ხალხების მეგობრობას, რომელიც კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილმა მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ სამუდამოდ მოსპო სოციალური და ეროვნული ჩავრა, გამოაცხადა ხალხთა თანასწორობისა და სუვერენიტეტის, მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა, ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხები შეაკავშირა ერთიან ძმურ ოჯახში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტი იყო „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის 16 ნოემბერს. ამ ისტორიული დოკუმენტით გამოცხადდა საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: რუსეთის ყველა ხალხთა თავისუფალი განვითარება და სრული თანასწორობის უზღვევა; მათი უფლება თავისუფალი თვითგამორკვევისა, თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე; ყოველგვარი ეროვნული და რელიგიური პრვილეგიისა და შეზღუდვის მოსპობა.

სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობამ 1918 წლის იანვარში მოიწონა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა და მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „მშრომელი და ექსპლოატრებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“. რუსეთი ცხადდებოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების რესპუბლიკად თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია. „მე ღრმად ვარ დარწმუნებული; — თქვა ვ. ი. ლენინმა ყრილობაზე, — რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა

ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“ (თხზ. ტ. 26, გვ. 562).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სხვა, დიად მონაპოვრებთან ერთად რუსეთის ხალხთა თანასწორობის უზღვევას და აკანონა პირველმა საბჭოურმა კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წელს სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობის მიერ.

სხვადასხვა ეროვნების პროლეტარებისა და ნახევარპროლეტარების შეკავშირების პოლიტიკა წამოაყენა პარტიის პროგრამის მთავარ ამოცანად რკპ(ბ) VIII ყრილობამ 1919 წელს.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა რევოლუციის მიერ გათავისუფლებული ყველა ხალხის კავშირი.

ინტერვენტებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის განადგურების შემდეგ ამიერკავკასიაში შეიქმნა სამი რესპუბლიკა: აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოსი. ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებულ იქნა სამოკავშირო ხელშეკრულებები: 1920 წლის 28 დეკემბერს — რუსეთის საბჭოთა ფედერაციასა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, უფრო ადრე, — 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთსა და აზერბაიჯანის შორის, 1921 წლის 16 იანვარს — რუსეთსა და ბელორუსის შორის, 1921 წლის 21 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის.

1922 წლის 12 მარტს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე ეს კავშირი



გარდაქმნილ იქნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.

ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების სახელმწიფოებრივი ფორმის — ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო შემდეგი ვარაუდებით:

გერმანელი, თურქი, ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათზე დამოკიდებულ მენშევიკურ, მუსავატურ და დაშნაკურ მთავრობათა ბატონობის წლებში ამიერკავკასიის სახალხო მურწეობა სავსებით გაღატაკდა, მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები, რომლებიც უცხოელ იმპერიალისტთა დირექტივებს ასრულებდნენ, ვაფთხებდნენ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის აღვივედნენ ეროვნულ შუღლს. ასეთი ანტიხალხური მემკვიდრეობის პირობებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნის პირველ წლებში აუცილებელი იყო საერთო ძალეობით ბრძოლა დანგრეული სახალხო მურწეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, კონტრრევოლუციურ პარტიათა საბოლოოდ განადგურებისათვის.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა აუცილებელი იყო აგრეთვე იმისათვის, რომ შექმნილიყო ერთიანი ფრონტი კაპიტალისტური გარემოებისა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა მტრული მოქმედების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ფედერაცია წარმოადგენდა ამ მხარეში ეროვნული მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, სოციალისტური მშენებლობის საიმედო ბურჯს.

სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობაზე ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების კამპანიაში თაოსნობა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა.

1922 წლის 10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ, ხოლო იმავე წლის 16 დეკემბერს სრულიად ბელორუსიის საბჭოების ყრილობამ მიიღეს დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სრულიად უკრაინის საბჭოების მეშვიდე ყრილობამ. 1922 წლის 26 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობამ მიიღო დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის შესახებ. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის — სსრკ-ის შექმნის შესახებ. ერთიან საკავშირო რესპუბლიკაში ნება-

ყოფლობით და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შევიდნენ რუსეთის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა სესიამ 1922 წლის 30 დეკემბერს ცაიის პრეზიდიუმს დაავალა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავება. კონსტიტუციის ტექსტი, რომელსაც საფუძველად დაედო დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, საბოლოოდ დაამტკიცა სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს. კონსტიტუციის ძალით სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ორი პალატა: საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო საკანონმდებლო ინიციატივის თანაბარი უფლებებით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ერთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება სრულ ნდობასა და ძმურ ერთიანობის ნათელ შეგნებას, ერთბაშად არ შეიძლება შეიქმნას. „ასეთ კავშირამდე უნდა მივიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით, რომ საქმე არ გავაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ აღმოვფხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი დაყოფისა და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნეობრივი ჩაგვრით“ (თხზ., ტ. 30, გვ. 348).

სოციალისტური მშენებლობის პროცესში თანდრობითობით შეიქმნა კეთილნაყოფიერი სოციალურ-ეკონომიური პირობები სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის. 1924 წელს შეიქმნა თურქმენეთისა და უზბეკეთის, ხოლო 1929 წელს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გარდაიქმნენ მოკავშირე რესპუბლიკებად. იმავე წელს, ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების შემდეგ, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო უკრაინელი ხალხის გაერთიანება 1939-1945 წლებში და ბელორუსიის გაერთიანება 1939 წელს. 1940 წელს ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ხალხებმა რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში აღადგინეს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა. ხალხთა თავისუფალი ნება-სურვილის საფუძველზე ლატვიის, ლიტვიისა და ესტონეთის საბჭოთა რესპუბლი-



კები შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში მოღვაწე ხალხის ვაერთიანების შედეგად მოღვაწეთის ავტონომიური რესპუბლიკა ვარდამეძა მოკავშირე რესპუბლიკად.

რევოლუციის მიერ აღორძინებულ ეროვნებათა პოლიტიკურმა განვითარებამ თავისი გამოხატულება პოვა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების შექმნაში.

ამჟამად საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი შედგება 15 მოკავშირე რესპუბლიკისაგან, რომლებშიც შედის 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი.

სსრ კავშირის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული მონაპოვარია. ამ აქტს კემარტად ეპოქალური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა სახელმწიფო ყველა დიდი და მცირე ხალხისათვის გახდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ნიშნე. მთელი მსოფლიო თვალნათლივ დარწმუნდა, რომ სოციალიზმი გადაჭრით ეწინააღმდეგება ერთა უთანასწორობას, აგრეთვე განსაკუთრებულობას. მხოლოდ სოციალიზმი იძლევა ერთა თვითგამორკვევის უფლებასა და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას.

„მთელმა მსოფლიომ იცის, — თქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგები. საბჭოთა კავშირის ყველა ერი და ეროვნება დაადა აყვავების გზას და მოიპოვა უდიდესი წარმატებანი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სოციალიზმმა აამოქმედა ჩვენი განვითარების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა, როგორც არის ხალხთა მეგობრობა. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიანობა აღმასივით მტკიცეა. და როგორც აღმასი ბრწყინავს ათასფრად, ისევე ჩვენი ხალხის ერთიანობას აცისკროვნებს მისი შემადგენელი ერების მრავალფეროვნება, ერებისა, რომელთაგან თითოეული ცხოვრობს მდიდარი, მჩქეფარე ცხოვრებით“.

სსრ კავშირის კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1936 წლის 5 დეკემბერს, საკანონმდებლო წესით განამტკიცა სოციალიზმის გამარჯვება. სოციალისტური საზოგადოების სოციალური და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, საბჭოთა ხალხის ერთიანობის საფუძვლები.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარი იარაღია. იგი სრულიად ახალი სახელმწიფოა, რომელიც თავისი კლასობრივი ბუნებით, მიზნებითა და ამოცანებით ძირფუძვალად განსხვავდება ყველა წინათ არსებული და ახლანდელი ექსპლოატატორული სახელმწიფოებისა-

გან. მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — სსრ კავშირი გამოხატავს და იცავს მუშათა კლასისა და ყველა შრომელის ინტერესებს. მასსადაგმე, საბჭოთა სახელმწიფო არის კემარტიკალ-სახალხო, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო.

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურამ მოსპო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, რომელიც სოციალური უთანასწორობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წყაროა. მუშათა კლასის დიქტატურა არა მხოლოდ არ უპირისპირდება დემოკრატას, არამედ პირიქით, მისი ყველაზე თანმიმდევრული განსაზიერებაა. მუშათა კლასის დიქტატურამ დაამყარა საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომელიც დემოკრატიის, ხალხის ძალაუფლების საფუძველია.

სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ჭალაქისა და სოფლის შრომელებს შრომელთა დემუტატების საბჭოების სახით.

არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა ისეთი მასობრივი, დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორიც არის საბჭოები.

ე. ი. ლენინი ამბობდა, რომ „პროლეტარული დემოკრატია მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია; საბჭოთა ხელისუფლება მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ყველაზე დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა“ (თხზ., ტ. 28, გვ. 299).

ჩვენს ქვეყანაში საბჭოები წარმოქმნენ ჯერ კიდევ 1905 წელს, მუშათა მასების რევოლუციური შემოქმედების შედეგად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დემუტატების საბჭოებისასარეზე გამოვიდნენ როგორც ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ჩანასახი.

საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმის შესახებ, ე. ი. ლენინი ამბობდა, რომ 1905 წლის დიდი გამოცდილების შემდეგ რუსეთის რევოლუციური ხალხს 1917 წლის თებერვალში საბჭოები რომ არ შექმნა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სახელმწიფო ხელისუფლების აღება ოქტომბერში, რადგან გამარჯვების ბედი დამოკიდებული იყო მოძრაობის უკვე მზა ორგანიზებულ ფორმაზე, რომელიც მილიონობით ადამიანს მოიცავდა. ეს მზა ფორმა იყო საბჭოები.

სსრ კავშირში საბჭოები არის ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც თითქმის მთელ სრულსაკოვან მოსახლეობას მოიცავს.

**დავით მაისურაძე**

ხანს მოყვარე მოყვარისათვის...

მშრომელთა დემუტატების საბჭოები წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება ყველა მშრომელს უქმნის სოცერების მაღალი დონისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობებს. საბჭოთა აღამიანები უზრუნველყოფილი არიან ისეთი უფლებებით, რომლებიც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს. საბჭოთა კონსტიტუცია არა მხოლოდ აცხადებს მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებებს, არამედ, რაც მთავარია, უზრუნველყოფს ამ უფლებათა განხორციელებას.

კომუნისტური პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებით იმის შესახებ, რომ „მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთ უნდობლობას“ (თხზ., ტ. 33, გვ. 456).

ჩვენი ქვეყნის ხალხები მრავალი წლის ვამოცდილებით დარწმუნდნენ თუ რა მდიდარი ნაყოფი გამოიღო მათმა შეშვიდროებამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში. საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო გაათავისუფლა რუსეთის ყოფილ იმპერიაში მცხოვრები ერები და ერთეული უმცირესობანი ერთეული და სოციალური ჩაგვრისაგან, არამედ მოსპო ერების ფაქტური უთანასწორობა პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

მატერიალურ საშუალებათა და ღონისძიებათა კონცენტრაციამ, საბჭოთა ხალხების უნიკარო ურთიერთდახმარებამ შესაძლებელი გახადა ყველა რესპუბლიკაში მაღალგანვითარებული მრეწველობისა და მხსვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობის შექმნა. მეფის რუსეთის ფეოდალური და ნახევრადფეოდალური განაპირა მხარეების ადგილებზე აღმოცენდნენ მრავალრიცხოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრები, კეთილმოწყობილი ქალაქება და სოფლები. ხალხებმა, რომლებიც რევოლუციამდე ფეოდალური და პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების სტადიაშიც კი იყვნენ, კაპიტალიზმის გვერდის ავლით დაამკვიდრეს სოციალიზმი.

უკანასკნელ წლებში პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა ახალი ნაბიჯები ყოველი მოამქმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა უმდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ერთეულ თავისებურებათა გულდაკულ გათვალისწინების, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში, როგორც მთელი ჩვენი

კავშირის საერთო ინტერესების, ისევე მათში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასევე პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში.

საბჭოთა სოციალისტური ერები ყალიბდებოდნენ და ვითარდებოდნენ ახალი, სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის დამკვიდრების პროცესში, სოციალისტური მშენებლობის უდიდეს სიძნელეთა დაძლევის მსვლელობაში, ექსპლოატატორული კლასების ნაშთებისა და მათი ავენტურის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში, იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ შევიარაღებულ ბრძოლაში. კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ჰედადა და აღუღამებდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, ზრდიდა მასება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება მოასწავებდა როგორც სოციალური, ისე ეროვნული ურთიერთობის ღრმა თვისობრივ გარდაქმნას, ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციით საბოლოოდ მოისპო ის სოციალური ფენები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ეროვნულ შეუღლსა და მტრობას. კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული მტრობისა და სიძულვილის გაღვივებით დაინტერესებული ექსპლოატატორული კლასები ყოველთვის გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან მშრომელი მასების ინტერნაციონალური შეკავშირების წინააღმდეგ. ისინი სხვადასხვა საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ მათი შეგნება მოწამონ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მხამით. ჩვენში ექსპლოატატორული კლასებისა და ექსპლოატაციის წარმომსმობი მიზნების ლიკვიდაციამ არსებითად შეცვალა ერების ურთიერთობა, თვით მათი შინაგანი წყობილება. ისინი საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ როგორც სოციალისტური ერები, რომელთა ძირეული თვისებებია პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და მეგობრობა.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა აღამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. იგი ჩამოყალიბდა საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საფუძვლების ეკონომიკური, სოციალური-პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ერთიანობის საფუძველზე. ერთობლივ შრომაში, სოციალიზმისათვის, მისი დაცვისათვის ბრძოლებში წარმოიშვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, პარმონიული ურთიერთმეგობრობა და თანამშრომლობა.

ეროვნულ საკითხში პარტიის პოლიტიკის განხორციელების ნაყოფი ნათლად ჩანს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მავალითით.



რევოლუციამდელი საქართველო იყო აგრარული, წერილგლეხური ქვეყანა, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, კიდევ უფრო გლეხური, ვიდრე რუსეთი. მეფის მთავრობა დაინტერესებული არ იყო ამ მხარის საწარმოო ძალების განვითარებით. მისთვის საქართველო წარმოადგენდა „თბილ ციმბირს“, მრავალი მოწინავე ადამიანის გადასახლების ადგილს. 1917 წელს აქ სულ ითვლებოდა 8 ათასი მუშა, ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,3 პროცენტი. მენშევიკების ბატონობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მთლიანად გაპარტახდა.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მმართველებმა ხელოვნური დაბრალება აღმართეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველო გადაექციათ დასავლეთ-ევროპის იმპერილისტურ სახელმწიფოთა ნედლეულის დანამატად და სტრატეგიულ პლაცდარებად. უცხოელი კაპიტალისტები ავაზაკურად იტაცებდნენ საქართველოს სიმდიდრეს. მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ყორღანიძე 1920 წელს იძულებული იყო ეთქვა, ეკონომიურად ჩვენ უკვე კაპიტალიზმად შევიდითო.

1920 წლის 13 ოქტომბერს მენშევიკური მთავრობის მიერ მოწვეულ ეკონომიურ თათბირზე თბილისში სიტყვით გამოვიდა II ინტერნაციონალის ცნობილი მოღვაწე კარლ კაუციკი, რომელმაც აღნიშნა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიური ვალატეების ფაქტი და მენშევიკურ მთავრობას ურჩია გაედიდებინა გლეხების გადასახადები, სესხები აეღო კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან და მოეწვია უცხოელი კაპიტალისტები. „ცხადზე უცხადისია, — ამბობდა იგი, — ყველაფერი ეს სასიამოვნო არ არის სოციალისტური მთავრობისათვის, მაგრამ თქვენ სხვა გამოსავალი არა გაქვთ“.

1921 წლის 25 თებერვალს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში გაიმართა სოციალისტურმა რევოლუციამ, ქართველი ხალხის ისტორიულ სეე-ბედში ძირეული გადატრიალება მოხდა. მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დადგა აღორძინებისა და ყოველმხრივი განვითარების, ღრმა რევოლუციურ გარდაქმნათა და სოციალისტური მშენებლობის ერა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ვ. ი. ლენინი შეუწველბელ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, ხალხთა მასების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას.

1921 წლის 21 აპრილს ვ. ი. ლენინმა დაწერა თავისი ცნობილი წერილი „ახერხიანია, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანის, მისი

რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“. ამ წერილის მნიშვნელობა შორის სცილდებოდა მისი კავის რესპუბლიკების ფარგლებს. არსებითად იგი იყო დირექტოვა ყველა ეროვნული რესპუბლიკისა და ოლქის კომუნისტებისადმი.

ამ მხარის თავისებურებათა შესაბამისად ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს მთელი რიგი რჩევა მისცა მათი მოქმედების ტაქტიკის, საწარმოო ძალების გაუმჯობესების, ელექტროფიკაციისა და მორწყვის, ინტელეგენციასთან მუშაობის დარგში.

ვ. ი. ლენინი კავკასიის ხალხებს ასწავლიდა, რომ მხოლოდ მჭიდრო შეკავშირებითა და ერთმანეთისადმი დახმარებით შეუძლიათ მიაღწიონ სამეურნეო-კულტურულ აღორძინებას, წარმატებით და ყოველმხრივ განვითარებას სოციალიზმის გზაზე, ეროვნული შუღლის ნაშთების ბოლომდე მოსპობას.

ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების - წლებში არსებული ცვლილებანი მოხდა.

მხარე, სადაც წინათ ყველაფერი, ნემსიც კი შემოპქონათ, ახლა მსოფლიოს ათობით ქვეყანაში, მათ შორის განვითარებულ ინდუსტრიულ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც კი გააქვს ასზე მეტი სახელწოდების სამრეწველო პროდუქტია, ყურძნად, ურთულესი მანქანები და მოწყობილობა.

საქართველოს მრეწველობა უშუაეს საშაგისტრალო ელმავლებსა და ჩქაროსნულ თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომობილებსა და წყალქვეშაფრთიან სზღვაო კატარღებს, საანგარიშო-გამოსათადგურ მანქანებსა და რთულ ლითონსაქრელ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და ელექტრომარაგებს, ამწეებსა და არტეზიულ ტუმბოებს, საშენ მასალებსა და პლასტმასის ნაწარმს. შეიქმნა ინდუსტრიის ახალი დარგები — შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროტექნიკური, ქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობის დარგები. აშენდა ათასობით მსხვილი საწარმო.


ღრმა სოციალური გარდაქმნები მოხდა ქართულ სოფელშიც. შეიქმნა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც ვაიარა გზა ხის კავიდან ჩაის საყრდენ მანქანამდე. ფართოდ განვითარდა სოფლის მეურნეობის საესებო ახალი დარგები — მენაიფობა, მეციტრუსეობა, ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოება.

ახლა საქართველოს აქვს მოსახლეობის განათლების ისეთი დონე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, ყოველ 1.000

**დავით მაისუჩაძე**

ხანს მოყვამად მოყვარისათვის...

008.11





მომუშავეზე 711 კაცს აქვს უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლება.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სტომოზე თბილისში ამხანაგმა ლ. ი. ბრევენემ თქვა: „ქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის შედეგით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მოედინება თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალის და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა მარკიანი მრავალფეროვანი სამრეწველო ნაწარმი. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგოს ზეთისა და ამ მალახვარისბოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში.

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდი როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები. აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც საბჭოური მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ. საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებსაც სხვა რესპუბლიკების მეცნიერთა თანაშემწეობით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში“.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომ მძლავრ აღმავლობას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდება 39-42 პროცენტით, ამასთან უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება მანქანათმშენებლობის არალითონ-ტექნიკური დარგები და ქიმიური მრეწველობა: გადიდება მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრე. ელექტროენერჯის წარმოება გადიდება 1,7-ჯერ. ამოქმედდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი პირველი ელექტროსადგური. დაიწყება ვინჯალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. ახალი ხუთწლიის დამლევითათვის ჩვენში ერთ დღეში გამოშვებულ იქნა თითქმის იმდენი ელექტროენერჯია, რამდენსაც ომის წინა წელს ვაწარმოებდით ერთ თვეში.

1975 წლისათვის განზრახულია ჩაის წარმოება გადიდდეს 285 ათას ტონამდე, მნიშვნელოვნად გაიზარდება ყურძნის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა წარმოება, საექსპორტაციოდ გადა-

ეცემა 70 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, ამოშრობილ იქნება 50 ათასი ჰექტარი მებუტე მებუტე მთიანეთში მდებარე მთიანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად.

სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ჰიტლერელები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა ჯარების პირველი ძარცვითანადე ჩამოვარდებოდა კონფლიქტის სსრ კავშირის მუშებსა და გლეხებს შორის, სსრ კავშირი დაიშლებოდა და მის შეიარაღებულ ძალებს დასაყრდენი გამოეცლებოდა. მაგრამ ფაშისტური გერმანიის მმართველი ხროვა სასტიკად მოტყუვდა ანგარიშში. სასიყვედლო საფრთხემ, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოაყვია, არა შესუსტა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, მუშათა და გლეხთა კავშირი, ყველა საბჭოთა ადამიანი დარაზმა ერთ საბრძოლო ბანაკში.

საბჭოთა ხალხმა დაიკვა სოციალისტური სამშობლო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილე. ფაშისტურ დასაბრძოლ იქნა ომი დამთავრდა. დამარცხებულმა გერმანულ-ფაშისტურმა არმიებმა უსიტყუო კავალტულია მოახდინეს. განადგურებულ იქნა მალიტარისტული იაპონიაც. ეს იყო უმაგალითო მასობრივი, ქეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამირობა.

იმპერიალიზმთან და მის ყველაზე საშინელ ქმნილებასთან — ფაშისტთან გიგანტურ სამხედრო შეტაკებაში გაიმარჯვა სოციალისტურმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ. საბჭოთა კავშირის ძალის საფუძველი იყო სოციალისტური ეკონომიკა, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, ხალხის მკრთოდ-შეგავრება კომუნისტური პარტიის გარეშე. ეს იყო სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვება იმპერიალიზმისა და ფაშიზმის კაცთმოძულეობის იდეოლოგიაზე.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. შეიქმნა ხელშემწყობი პირობები ევროპისა და აზიის ქვეყნებში სოციალისტურ რევოლუციათა გამარჯვების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნისათვის. ფართოდ გაიშალა ხალხთა ერთიან-განმათავისუფლებელი ბრძოლა, განმტკიცდა სოციალიზმისა და დემოკრატიის საერთაშორისო ძალები, შესუსტდა იმპერიალიზმისა და რეაქციის პოზიციები.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შედეგებმა დამაჯერებლად ცხადყო: მსოფლიოში არ არის ძალა, რომ შეეძლოს სოციალიზმის დამარცხება, იმ ხალხის დაჩოქება, რომელიც ერთგულად იცავს მარქსიზმ-ლენინიზმს იდეებს. ეს შედეგები იმპერიალისტთა აგრესორ-





თა სასტიკი ვაფრთხილება, ისტორიის შეაკრი და დაუფიქსარი გაკვეთილია.

მოსისხლე მტერი რომ დაამარცხა, საბჭოთა კავშირი შეუდგა მშვიდობიანი მშენებლობის გეგმების შემდგომ განხორციელებას. ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღდგა 70 ათასზე მეტი ქალაქი და სოფელი. შენდებოდა ახალი ქარხნები და ფაბრიკები, გამოცოცხლდა პიტლურელების მიერ გაძარცვული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. უკვე 1948 წელს მიღწეულ იქნა სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე. ძირითადად გაუმჯობესდა წარმოების სტრუქტურა. დაჩქარებით ვითარდებოდა ისეთი წამყვანი დარგები, როგორც არის ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი ლითონებისა და საშენ მასალათა წარმოება, ისეთი ახალი დარგები, როგორც არის ელექტრონიკა და რადიოტექნიკა, ატომური მრეწველობა: ხორციელდებოდა წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ტექნიკური პროგრესის საფუძველზე განუხრელად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა სასურსათო საქონლის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის საყოფაცხოვრებო საგნების წარმოება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამრეწველო ნაწარმის ხარისხი.

მატერიალური წარმოების ზრდის შედეგად განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და პენსიები, შემცირდა სამუშაო კვირა, გაჩაღდა მასობრივი საბინაო მშენებლობა.

სკკ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, 1970 წელს გამოშვებულ იქნა დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომამდელი ხუთწლედის განმავლობაში ერთად. წარმოების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია და იტალია ერთად. ახალ ხუთწლედში მრეწველობის ძირითადი ამოცანა ვაფართოვოს და სრულყო სოციალისტური ეკონომიკის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების ინდუსტრიული ბაზა, ამაღლის წარმოების ტექნიკური დონე და ეფექტიანობა, ძირითადად გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. მრეწველობის ყველა დარგის განვითარება უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულ დაკმაყოფილებას, რისთვისაც ვათვალისწინებულა მრეწველობის იმ დარგების

უფრო სწრაფი ზრდა და ზედერთი წინსვლა მიღება, რომლებიც აწარმოებენ სახალხის მომარების საქონელს, ნედლეულს, მანქანებსა და მათი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობას.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი მონაბოვარია კულტურული რევოლუციის განხორციელება. სოციალისტური კულტურა დამკვიდრდა და გაბატონდა ჩვენს ქვეყანაში იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღებიდანვე ვ. ი. ლენინი და მის მიერ გამოწრთობილი კომუნისტური პარტია კულტურული მშენებლობის საკითხებს ისეთივე შეუწელებელ ყურადღებას უთმობდნენ, როგორც უმნიშვნელოვანეს საყოველთაო სახალხო, სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემებს.

საბჭოთა კავშირში მომხდარი კულტურული გარდაქმნანი მოასწავებენ ძირეულ ვადატრიალებას საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. ამ გარდაქმნათა შედეგია მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სულისკვეთით მრავალმილიონიანი მასების აღზრდა, ნამდვილი სახალხო ინტელაგენციის შექმნა.

საბჭოთა ხალხის სოციალისტური კულტურა, რომელიც განასახიერებს ახალი საზოგადოების მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს, მძლავრ ზეგავლენას ახდენს ყველა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე.

დღეს სსრ კავშირის მოსახლეობის მესამედზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, ხორციელდება გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში შრომობს 820 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ახლანდელ ეტაპს მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც სწრაფად ვითარდება. ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგის მიღწევებმა შესაძლებელი გახადა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში ჩვენი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. შეიქმნა და წარმატებით გამოყენებულია მანქანების მაღალი წარმადობის კომპლექსები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ხარჯების შემცირებასა და პროდუქციის ზარისხის გაუმჯობესებას. მთელ რიგ დარგებში ამოქმედდა საწარმოების, რთული ტექნოლოგიური სისტემების მართვის ავტომატიზებული სისტემები გამოვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით. საბჭოთა კოსმონავტიკის მიღწევები ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის დამაჩერებ-

**ღაკვით მისსურამ**

ხამხ მოყვარე მოყვრისათვის...

ბელი დადასტურებდა. მთელ რიგ უმნიშვნელო-  
ვანეს დარგებში საბჭოთა მეცნიერებმა მოწინა-  
ვე პოზიციები დაიმკვიდრეს მსოფლიოში.

საბჭოთა ერებს აქვთ საერთო სამშობლო —  
საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი,  
საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-  
ლენინიზმი, საერთო მიზანი — კომუნისმის  
აშენება. კლასებს შორის ზღვარის წაშლა და  
კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის  
განხილვებმა აძლიერებს საბჭოთა კავშირის  
ხალხთა სოციალურ ერთობას, მათ შორის კულ-  
ტურის, მორალისა და ყოფაცხოვრების საერ-  
თო ნიშნების ჩამოყალიბებას. ამვე დროს კო-  
მუნისტური იდეოლოგიის ინტერნაციონალური  
ბაზისიანი გულისხმობს თვითმყოფადი ეროვნული  
კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების  
უოველმხრივ აყვავებას, ცინადი ყოველ ერს  
თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის  
საერთო საგანძურში.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებები  
ამდრებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა შინა-  
არსით სოციალისტურ, ფორმით ეროვნულ  
კულტურას, ძლიერდება ერებს შორის კულტურ-  
ულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლა, ამა თუ  
იმ ერის სულიერი კულტურის მონაპოვარი  
მისაწვდომი ხდება სხვა ერისათვის.

სსრ კავშირის მისი არსებობის დღიდანვე  
მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს საბჭო-  
თა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელ-  
თა ინტერესებს, იბრძვის საყოველთაო მშვიდო-  
ბისა უშიშროებისათვის, ხალხთა მეგობრული  
თანამშრომლობის, თავისუფლებისა და დამოუ-  
კიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირს არასოდეს  
არ შეუცვლია თავისი საგარეო პოლიტიკის გე-  
ნერალური კურსი. საბჭოთა ხალხის მორალურ-  
პოლიტიკურმა ერთიანობამ, ჩვენს ქვეყანაში  
ანტიგანისტური კლასების მოსპობამ, ბოლშე-  
ვიკური პარტიის ვარსემო ყველა საბჭოთა ერის  
მონოლითურმა შეკავშირებამ, საბჭოთა საგა-  
რეო პოლიტიკა ჰემშარტილ სახალხო საგარეო  
პოლიტიკამ გახადა.

საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურ-  
სის განსაზღვრისას კომუნისტური პარტია და  
საბჭოთა მთავრობა ყოველთვის გამოდიოდნენ  
იმ ლენინური დებულებებიდან, რომ მსოფლიო-  
ში სხვადასხვა ეკონომიური სისტემისა და იდე-  
ოლოგიების არსებობა სრულებით არ გამოი-  
ცხავს კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით სო-  
ციალისტური სახელმწიფოს მშვიდობიან თა-  
ნაარსებობას, შევიბრებასა და თანამშრომლო-  
ბას.

ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი სისტემები  
იან მარტო სხვადასხვაგვარი, არამედ მოწინა-  
აღმდეგენ არიან, რადგან ერთ მათგანში გა-  
ბატონებულია საზოგადოების მშრომელი კლას-  
ები, ხოლო მეორეში — ბურჟუაზია, გული-  
ხსმობს ამ სისტემათა შორის შეუიარებელ პო-

ლიტიკურ, ეკონომიურ, იდეოლოგიურ წინააღ-  
მდეგობას და ბრძოლას, მაგრამ უწყალებელი  
არ არის, რომ ეს ბრძოლა წარმოდგენს შეუპო-  
რადებული ძალების სრულყოფილ მშვიდობიან  
თანაარსებობა ნიშნავს მშვიდობიანი შრომის,  
სამეურნეო და კულტურული მშენებლობის  
სარბილზე ფართო შევიბრებას, რომელიც გა-  
მორიხებას საერთაშორისო პრობლემების გა-  
დაჭრას იარაღის ძალით.

მსოფლიო ისტორიის განვითარება მკაფიოდ  
ადასტურებს, რომ მხოლოდ სოციალისტური  
და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი  
განვითარების გზით არის შესაძლებელი თანა-  
მედროვე საერთაშორისო ურთიერთობის რთუ-  
ლი პრობლემების გადაჭრა.

ამვე დროს მშვიდობიანი თანაარსებობა  
არის სოციალიზმისა და კაპიტალიზმს შორის  
კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა.

ამრიგად, სოციალისტური და კაპიტალისტურ-  
ი სახელმწიფოების ბრძოლისა და თანამშრო-  
მლობის შეხამება, ამ ორი პროცესის დიალექ-  
ტიკური ერთიანობა — ასეთია მშვიდობიანი  
თანაარსებობის შინაარსი.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის  
ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სოცია-  
ლისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონო-  
მიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერ-  
ების, მათი ერთიანობისა და შეკავშირების  
განმტკიცება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემა  
წარმოადგენს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძო-  
ლის გადამწყვეტ ძალას, ჩვენი დროის ყველა  
რევილუციური მოძრაობათა საიმედო ბურჯს.  
იმპერიალისტური რეაქციის დამარცხება მსოფ-  
ლიო მასშტაბით დამოკიდებულია სოციალის-  
ტურ სახელმწიფოთა ძლიერების ზრდაზე, მათ  
შეთანხმებულ მოქმედებაზე, ინტერნაციონალ-  
ურ სოლიდარობაზე.

სსრ კავშირს, რომელიც ყოველმხრივ ანი-  
თარებს სახალხო მეურნეობას და თავდაცვის-  
უნარიანობას, თავის ინტერნაციონალურ მოგა-  
ლეობად მიანიჭა განამტკიცოს მთლიანად მსოფ-  
ლიო სოციალისტური თანამეგობრობა და მასში  
შემავალი თვითული ქვეყნის ეკონომიური და  
და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი. კონ-  
ტრევოლუციის ექსპორტის იმპერიალისტურ  
პოლიტიკას სოციალისტური თანამეგობრობა  
უპირისპირებს უძლეველ ძლიერებას და მტკი-  
ცე გადამწყვეტობას — დაიცავს ხალხთა რე-  
ვილუციური მონაპოვარი.

სოციალისტურ თანამეგობრობაში დამკვიდ-  
რდა ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთო-  
ბა, რომლის საფუძველია სოციალისტური ინ-  
ტერნაციონალიზმის, ძმური მეგობრობისა და  
ურთიერთდამარბების პრინციპები. ამ პრინცი-  
პების განუხრეველ დაიცვის, მოწინავე საზოგა-  
დოებრივი წყობილების დიდ უპირატესობათა  
გამოყენების, შრომის საერთაშორისო სოცია-



ლისტური განაწილების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შედეგად მოძმე ქვეყნების ხალხებმა თავისი ნაცადი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის მეთაურობით გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს კაპიტალიზმთან ისტორიულ შეჯიბრებაში. არსებითად გაიზარდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური პოტენციალი, განამტკიცა სოციალიზმის პოლიტიკური საფუძვლები, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა, კიდევ უფრო განვითარდა კულტურა და მეცნიერება.

მოძმე ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება გახდა სოციალისტური ინტეგრაცია, რაც გულისხმობს სოციალისტურ სახელმწიფოთა სახალხო სამეურნეო კავშირუბრთობის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გეგმაზომიერ გაფართოებას და გაღრმავებას, სახალხო სამეურნეო გეგმების უფრო მჭიდრო შეთანხმებას.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ სსრ კავშირში და აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მკაფიოდ დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური დებულება, რომ სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ყოველმხრივ გაძლიერდება ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი კომუნისტური პარტიისა, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე თეორიით, გამოწრთობილია ბრძოლაში, სარგებლობს მშრომელთა ნდობით, შეუძლია გამოხატოს მასების განწყობილებანი და გავლენა მოახდინოს მათზე.

კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მოუხდენია ისეთი ზეგავლენა მსოფლიოს ისტორიულ განვითარების სვე-ბედზე, როგორც მოახდინა კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტურ პარტიასთან განუყრელად არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენები XX საუკუნის პირველ ნახევარში: დიდი რქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რაც მოასწავებდა ძირულად გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში;

დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში სოციალისტური სახელმწიფოს წარმოქმნა და სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენება; იმპერიალისტური რეაქციის დასაყრდენის — გერმანიის ფაშოზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურება; ფაშისტური მონობისა და დამონების საფრთხისაგან ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლება.

მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი და მორგანიზებელი საქმიანობა ახალი საზოგადოების განვითარებაზე მუშათა კლასის გადამწყვეტი ზეგავლენის ძირითადი პირობაა. ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა და გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველა ელას — შეასუსტონ პარტიის ხელმძღვანელი როლი, შეიძლება მოჰყვეს ანტისოციალისტური სტიქიის გაჩაღება, კაპიტალისტური წესების რესტავრაციის საფრთხე.

კომუნისტურმა პარტიამ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კაშკაშა შუქით გაანათა ეროვნული საკითხის გადაჭრის გზა, თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით ურღვევ ძმურ ოჯახად შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები და კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ წარმართა მათი ღონისძიებები. თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის პოლიტიკას სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის განსაზღვრავს სკკპ XXIV ყრლობის გადაწყვეტილებანი.

სოციალისტური ერების ყოველმხრივი აყვავება, ხალხთა მეგობრობის გადაქცევა კომუნისტური შემოქმედების მძლავრ მამოძრავებელ ძალად იმის ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ კომუნისში, როგორც ჩვენი პარტიის მეცნიერული იდეალი და როგორც საზოგადოებრივი წყობილება თავისი არსებით ღრმად ინტერნაციონალურია. საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის გამოცდილება გვქვს არ უტოვებს არც ერთ პარტიასან და საღად მოაზროვნე ადამიანს, რომ კომუნისში შენდება და აშენდება ხალხთა ერთობლივი ღონისძიებებით.



## გოია კოსმოლოგიანსკაია

განვლო ცხოვრების გზა უმძიმესი, —  
თევით სახრჩობელას თოქსედაც მოკლე...  
ის ჩამოახრჩეს... მის არსებაში  
მყოფი ცოცხალი სიკვდილიც მოჰკლეს!

ჩამოიშორა არყოფნის ჩრდილი  
და დავიწყების საშინელება,  
გამოეთხოვა სიკვდილ-სიცოცხლეს  
და გადავიდა ხალხში ლეგენდად!

## თ ა ვ ო რ ე მ ო!

ზოგჯერ ენგურო და ზოგჯერ ალაზანო,  
მე შენ გვედრები, ადრე არ დამლუპო!  
მალე დიდ სიმღერად უნდა გაგამჟღავნო,  
მალე დიდ სიმღერად უნდა დაგაგუბო!

## ო ლ ე ზ კ ო უ ჯ ა ო ი

მან არ იცოდა, რა იყო ცრემლი!  
გაუძლო ზურგზე ამოჭრილ ვარსკვლავს!  
იცოცხლა მხოლოდ თექვსმეტი წელი  
და სამუდამოდ ცოცხალი დარჩა!



ღამეა. ქალაქის ხმაური შეწყდა.  
ელექტროზარის ხმა! ვინ არის ამ დროს?!  
...სოფელი... ხის სახლი... მოხუცი დედა...  
შენი მეშინია, დეპეშავ, მარტო!

## ფირალი სისონა ღარჩია

...შევიდა და ძმა იტირა,  
გაიარა ეზო მშვიდად,  
ჯარის არ შეშინებია,  
მას მკვდარი ძმის შეეშინდა!

## მარინა პლადი ქინოვილავი „ჯადოქარი“

საფეთქელიდან მოჰონავს სისხლი,  
ვერავითარი ვერ შევლის ჯადო...  
და კვდება... თუმცა თამაშობს, ვიცი,  
მე მაინც ვწუხვარ და მაინც ვდარდობ!



ნუთუ, ველარ დაივიწყე  
საიჭიოს ზღაპარი?!  
საიჭიოც აქ არის და  
სააქაოც აქ არის!

### ფილიპე ბერიძეს

მკვდარიც სიკვდილთან დავობ,  
შფოთავ ჩვეული შფოთვით...  
მარტო შენ იცი, ძმაო,  
რამხელა ბიჭი მოკვდი!

მე რა მაქვს შენთან, ნაკადულო, დასამალავი?  
თავს შემოგვევლე მთელი ჩემი ავლა-დიდებით!  
ოღონდ იცოდე: არ გახსენებს მანამ არავენ,  
სანამ მდინარედ არ იქცევი, არ აღიღლები!

უთვალავი სტრიქონიდან, რაც კი ქვეყნად დაწერილა,  
არც ერთს ასე არ განვიცდი, არც ერთს არ ვთვლი ასე გმირად!

ამ სტრიქონში, მტრისათვის რომ ტყვიასავით გვისროლია,  
ცოცხლობს ჩვენი გმირი ხალხი, მისი დიდი ისტორია!..

და ამაცობს საქართველო — ამოდენა განძის მქონი!  
უკვდავება იარსებებს მარტო ერთი ამ სტრიქონით:

„ს ჯ ო ბ ს ს ი ც ო ც ს ლ ე ს ა ნ ა ძ რ ა ხ ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ი  
ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი!“

### ჩაეი გაეულის წარსული

რამდენიც აკვანი, — იმდენი კუბო!  
რამდენიც მოყვარე, — იმდენი მტერი!  
რამდენიც მისანდო, — იმდენი უნდო!  
რამდენიც ღიმილი, — იმდენი ცრემლი!

უწყვეტი წვიმები ოფლის და სისხლის!  
შენება ჯვრისა და ცხოველი სვეტის!  
სამოთხე, წალკოტი, ედემი — სხვისთვის!  
სულ ბრძოლა, სულ შრომა, სულ ფიქრი — ჩვენთვის!



## კოჰეპეზირული

ჩემი სიტყვაც ჭირდა  
 ისე, როგორც ტყვია,  
 მე პარტია მზრდიდა,  
 კომკავშირი მჭვია,  
 დამიცხრილეს მკერდი,  
 მაინც შევძელ ფრენა,  
 მყავდა ჩემი ღმერთი —  
 ლენინური რწმენა.  
 კვლავ ის გული მიცემს,  
 ვხედავ,  
     ვეძერწავ,  
     გვგრავინავ,  
 მოველ გამცემლიძედ,  
 მოველ გაგარინად,

ჩემს თვალებში მღერის  
 ფერი შენი მზისა,  
 ოქროყანა ჩემი  
 ოქროს თავთავს ისხამს.  
 მე მზის წკრიალს ვეძებ  
 ბგერაში თუ ფურში,  
 მზედ გელვრება მხრებზე  
 ჩემი სულის ეშხი.  
 მე ქარიშხლად ვიშვი,  
 მე მზესავით ვბრწყინავ!  
 მაქვს ძნელადის ჯიში,  
 მუდამ მხნედ ვარ,  
 წინ ვარ!

## გ ლ ა პ ა რ უ ლ ი

მზის საუფლოს მივაშურე,  
 ლეგენდებში ვეფლობი,  
 აპა, თეთრი სვიმრაშული —  
 ბადრის ცქეიტი თეთრონი.  
 გზა სურვილმა გადარია,  
 ფეხქვეშ თრთოლვით დაირწა,  
 — ჰეი, სად ხარ, ლამარია,  
 ქალი ხარ და გამისწარ!  
 ეს ლამხურის ხარხარია,  
 თუ ქაჯები ღრეობენ,  
 ირგვლივ ჭრელი ზღაპარია —  
 ფერთა შლეგი დღეობა.  
 შიშველ მხრებზე მზე მიელავს

ფორეჯებად დაყრილი,  
 გაწოლილა ნებიერად  
 ძირს ცხენისწყლის ნაპირი!  
 გადაჰყივის მურზე ჯგუფად  
 ყვითელ იელს იელი, —  
 „დაჰკარ!“  
 „დახვდი!“  
 „არ გაუშვა!“  
 ვილაც გადათივლი!  
 ჰეი, მომყევ, ლამარია,  
 ქალი ხარ და გამისწარ!  
 თუ ეს სული ლამპარია,  
 ამ ზღაპარში დაიწვას!





მიოკრი სოკგუაშვილი

# შ ა ვ ი გ უ ლ ი

## 1. უშვურავის ხელმწიფე

ახლაც ადრე შემოაბიჯა. თვითონ არ საქიროებს ყამთა მზომავს, თქვენ კი, თუ ინებებთ, შეხედეთ გრძელლოყება, ენაწკლაპუნა საათს, კაბინეტში რომ უკიდია სხვათა სინდის-პატიოსნების საწონად, ცხრას ათი უკლია. ზუსტია. ჩვეულებად ჰქცევია ამ დროს მობრძანება, ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესიაო.

მამლის ყივილივით ენდობიან მის გავლას ქუჩაში.

„კანტია ეს ოჯახქორი?!“ — ჩაიბუზღუნებენ თანამშრომლები.

მის მეტს ჯერ ფეხი არავის შემოუკარებია სამსახურში, მხოლოდ დამლაგებელი დაფუსფუსებს. უფროსის სამყოფელო უკვე დაუწკარიალებია და სხვა ოთახში ფაციფუცობს. ასე რჩეობს. ჯერ მისი კაბინეტი მოითავოს, თორემ სუსხიან გამოხედვას და შმორიან სიტყვას ივემებს ამ დილაადრიანად.

მაინც ვერ ასცდება. ვერიდებოდი დოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო.

— ლიზა! — გულზე ეცემა მკავე ხმა. დამლაგებელმა იცის, რომ საკეთილოდ არ უხმობს და გუნება გაუუგემურდება. „ხეთის ცეცხლი!“ — ჩაიბუტბუტებს თავისთვის და:

— ბატონო! — ნაძალადევად მომხიარულდება, ნამდვილად კი უსიამობა

ეწვეთება გულში.

— მოდი აქა! — ჩაესმის უფრო ისრიმად.

ლიზა უმალ ეახლება ჯმუხ, დამრუხულ კაცსა და თვალეში შესციცინებს.

— დაყრუვდი?! რამდენი მაძახინე! — კვლავ მკახედ გაუშრიალეებს ყურში.

— ბოდიშს გინდი, პატივცემულო ხეთისო, ფიქრმა დამაყრუა!

— რა ჰქვეყნის საქმეები გაწუხებს, რაზე ფიქრობ!

— რა ვუყოთ, უფროსო, ყველას თავისი თავსატეხი აქვს.

ხეთისო წარბების აჭიმვით მიაჩრდება დანაოჭებულ შუბლზე და:

— მოამთავრე აქაურობის დასუფთავება?

— კი! — მოგონილ ღიმის გადაივლებს და განზრახვის საპირიჭითოდ უფრო უარესად ეღრიჯება სახე.

— ჰმ! — უკმაყოფილოდ და დამცინავად ამოიბრეცს სქელ ტუჩებსა. — ქალი აქა ბერდები და გაპრიალება ვერ ისწავლე!

ლიზას გაპასუხება უჭირს.

— ყველაფერზე უნდა მაჩიჩინოთ და მაყეფოთ! თქვენ თქვენი მოვალეობა არ უნდა იცოდეთ?! რასა გავს ესა?!

— რა სჭირს?! — უფრო გაიმჭრალეებს სიტყვას.

— ვერ ატყობ?! ისე უნდა პრიალებდეს, ერბო აიკრიფებოდეს!



— რაც ამაზე ვეწვალე... დილაუთენია მოვსულვარ და ფეხებილა მტკივა...

— ეტყობა!

— ძველი პარკეტია, პატივცემულო გამგე და...

— ძველსაც სისუფთავე უნდა და ახალსაც! — კვლავ ძმრიან სიტყვებს უწვეთებს გულზე და ბლევრით ეშვება კოფომორკალულ, მრგვალბალიშინ სკამზე, ოჯახის წევრებით რომ მისჩვევია და დაძველებ-დაბერებისასაც ველარ შელევია.

ლიზა თავს იმტყუნებს, მეტი რა ჩარაა. უკეთ გალაპლაპებას იპირება და ფეხაკრეფით გამოდის.

„რა ღეთის რისხვია ეს კერავაციებული! საქმეს ვერ მოაწონებ! ეჰ, გაჭირვებას თვალი დაუდგა, თორემ ერთ დღეს არა ღირს ამასთან გაჩერება! — ბუზღუნებს მომრუშხული დამლაგებელი. საქმესაც განაგრძობს და ჩუმ საყვედურსაც. — ხელმწიფის შუბლს წაიკითხავს ადამიანი და ამ პირქუშის გულს ვერ გამოიცნობ. შხამი ურევია თუ შარბათი!“

უფრო გამარიფათიანდება, იჭაურობას ამარმარებს და თან ალანდვია დაქუფრული გამგე, გუნებაში უწყრება და ებუზღუნება, საყვედურით გულს შოიოხნებს და წყეინობა თანდათან გაუვლის. მაინც ვერ იზორებს ხეთისოს ლანდას. ბევრი სურათი ამოუტივტივდება ცნობიერებაში.



მუდამ ვის ულხინს და ლიზასაც დასდგომია გაჭირვების დღე. „დიდი კაცის“ ხელის წაშველება დასჭირვებია. დიდძალოვანი სკამიანი მახლობელი კი ვინ მომავაო, დაუჩივლია გულნატკენს. ისევ თავისი გამგე გამოსთარგვია მომჭომავებლად. შებედევა გასძენლევბია, მაგრამ მაინც მისდგომია ხეთისოს კაბინეტსა.

— პატივცემულო გამგე!

— რა გნებავს? — მაშინაც მოქუფრული დახვედრია.

— თქვენც ხომ იცით, სახლის მშენებლებს ვაპირებ და...

— ააშენე, ვინ გიშლის!

ლიზას გულზე სცემია მკვახედ ნათქვამი და გუნებაში გაუვლია: „ეს რა ღმერთი გამიწყრა, რომ ფეხი შემოვდგი ამ უქმურთანაო“, მაგრამ უკან აღარ ჩაუბრუნებია გულში ნატრიალები:

— ვინ მიშლის და გალუსტაშვილი.

— ვინ არის გალუსტაშვილი.

— აი, ტექნიკოსს თავმჯდომარე.

— რაზე გიშლის? — შუბლიდან კოპი არ მოუცილებია.

— მშენებლობის გეგმას არ იძლევა.

— რატომ?

— აბა, რა ვიცი, წელიწადზე მეტია დავდე და პირჯვარი ვერ დავწერე!

— რად შეუშვერია თავი ქვისთვის?

— ამრეხით შეჭკითხვია.

— რავი, ხან რა ცნობა მომკითხა, ხან რა. სადღა აღარ გამამწესა. ყველა მივაშავე, როგორც იქნა, და ბოლოს მაინც, ცივი უარი მტკიცია.

— მიზეზი არ გითხრა?

— მიზეზსა და საბაბს არ ილევს, გუშინაც მივაკითხე და სანზონაში მოხვდითო. სანზონა რაღა ჯანდაბაა, დღესაც ვერ გამიგია.

ხეთისოს აუხსნია დამუნათებით.

— ჩემი სასახლკარე ხომ იცი, პატივცემულო გამგე, გარშემო ყველამ ახალი სახლი წამოჭიმა და რაღა ჩემი მოექცა სანზონაში. რად მიკვლანჯავს გზებსა!

— წადი, ლიზა, წადი, მე ვიცი, რაცა კვლანჯავს. ეგ მამაძაღლობა თუ კისერს არ წაატეხინებს, მალე ნახავ! — ისევ დაღრუბლვით უთქვამს და ტუჩებმოკუქმულს დაურხევია თავი.

ორიოდე კვირის შემდეგ აშენების ნებართვა და გეგმა ხელთა ჰქონია დამლაგებელს.

საშენი მასალები გასჭირვებია, მის შოვნაზეც წამოუხმარებია ხელი. ვაჟზეც შეუწვევია ძალოვანი სიტყვა, ჯა-



რიდან რომ დაბრუნებულა, საკადრის სამუშაოზე მოუკიდებინებია ფეხი.

„აგრემც ხეთისოს გაუხარია, როგორც მე გამახარა!“ — სხვაგანაც უთქვამს დამლაგებელს.

ახსენდება ესენი და ენაზე კბილს იჭერს.

ნანობს, რომ სწყევლა, მაგრამ გულიდან ჩრდილი ვერ მოუშორებია. მაინც უმადურია, გულმისავალ უფროსად ვერ დახატვია.

## II

ხეთისო ზის მხრებმოფხორილი და მაგიდაზე დაბულღლებულ საკითხავს ამრიალებს.

გუშინ თორმეტის მერე აღარ ყოფილა სამსახურში. ჯერ საქალაქო საბჭოს სესიაზე გამოუღამებიათ. დეპუტატია და როგორ გამოეთვლებოდა. მერე სამბიმარზე გაუყოლებიათ. ერთი თავკაცთაგანის სიდედრის ცხედრისთვის შემოუტარებიათ გარშემო. მთელი ქალაქი იქით დაძრულიყო და ისიც აუყოლებიათ ფეხის ხმას. იმიტომ ვეღარ შემოუკარებია ფეხი, თორემ გული როგორ მოუთმენდა, საღამოს მიწურულს მაინც რომ არ შემოეველო.

ჰოდა, გუშინდელ საკითხავს მისტანებოდა. გაზეთების გადათვალიერება შინ მოესწრო წუხელ და გადაუშლელად აწყობდა ცალკე. თახახიან ქურნალებს კი ფურცლავდა. აგერ „ფინანსებს“ წაავლო ხელი და მხოლოდ სათურებს გადაჰკრა თვალი. შესავალიც დაუქაშნიკა და ისიც გვერდზე გადადო. არც მის წაკითხვას დაახარჯებს სამსახურის დროსა. „ნიანგმა“ კი წაიციდინა. ჯერ კარიკატურებისაკენ წაუგორდა თვალი, რაკი ერთი გაელიმილნენ, თავი ვეღარ დააღწია.

აგერ ერთი:

თავმოტრეპილი, გაფუებული გამყიდველი დახლში დახვავებულა და ყელგამოწევით ეხვეწება გაჩხიკვულ მყიდველს:

„გეთაყვა, მიიღეთ თქვენი კუთვნილი

კაპიკი, თორემ სინდისი აღარ დამაინებს ამლამ!“

შლაპიან-ყელსახვევიანი კაცი კი, ხელ-ფეხი რომ მაკარონივით გადამტრევეას აქვს და ყურებში შუქი გასდის, მხრების აჩეჩვით უკადრისობს:

„არა გრცხვენიან?! მე მაგის კაცი ვარ, რომ კაპიკებსა ვსდიო?!“

გულში სიხალისე უვლის ხეთისოს, მაგრამ სახეზე არ იმჩნევს. წარბების შერხვეითა და ქუთუთოების მოვიწროებით თუ გამოიცნობა, რომ „ნიანგის“ ხუმრობა სიამოვნებს, და კმაყოფილებით გაივლებს:

„რალას არ მოიგონებენ ეს მამაძაღლები! კაპიკს კი არა, მანეთიანზეც უკან ეწვევთ ხელი. ესენი კი... როგორ დასცინიან მყიდველსა და გამყიდველსაც!“

კვლავ მიაყოლებს მზერას „ნიანგის“ ხალისიან სტრიქონებსა თუ კარიკატურებს, სახე კი ისევ მოგამული მოუჩანს. ვეგთი ნირი აქვს ხეთისოს. გაციუნება-გამხიარულებას ვერ შეამჩნევთ.

და ეს მაშინ, როცა ესოდენ იმრავლა ღიმილმა ადამიანის სახეზე.

განა საღიმილე არა გააჩნია რა?! როგორ არა!

არსთა გამრიგეს ცოტასათვის მოუმაღლებია იუმორის ნიჭი, მაგრამ მისით დატკობის წყურვილი ყველა მომაკვდავისათვის უწილადებია. ზოგისათვის უხვად გაუმეტებია, ზოგისათვის უძუნწია და მაინც მთლად არ გაუწირავს. სიცილისა და მხიარულების ლეთაებას თავის ჰქუაზე უთამაშებია ყველა; მძიმე კაცი აღმჩატებია, მსუბუქი მთლად აუბუმბულებია, ბრძენი გაუუჭკუამხიარულებია...

ადამიანის ძე არ დარჩენია, რომ თავის ემბაზში არ ამოველოს გული, არც ხეთისო დაუტოვებია მირონუცხებელი. იმის გულთანაც მიუპარებია უხილავი თითები. მიუპარებია და ბავშვივით უღიტინებია.

**გიორგი სოგუაშვილი**  
შავი ზული

ღიახ, ხეთისოსაც გამზიანებია სი-  
ცოცხლე უამრავჯერ, საღიმილედ მოჰქ-  
ცევია ცხოვრება, სულის ზეიმიცა ჰქო-  
ნია, გაუხარია, კმაყოფილებას აუტმუ-  
კებია, მაგრამ ეს საამო განცდა გულს  
არ ამოსცდენია; სახეზე ვერ დახატვია  
სიხარული.

სამწუხარო ჟამი უფრო მეტჯერ სწვე-  
ვია, შინაც მოშხამულა და გარეთაც.  
მაგრამ ეს მწუხარებაც ძნელი ამოსაც-  
ნობი გამხდარა. თითქოს დიდი წუხილი  
ვერას აკლებსო, თითქოს ჰირს ვაკვეთ-  
კირებიაო, უმძიმესი განსაცდელის ჟამ-  
საც ნირუცვლეული დგას.

ერთი სიტყვით, სიხარულის დროსაც  
და მწუხარებისასაც ერთნაირი იერი  
აქვს და უჭირთ გამოცნობა: როდის  
არის დახარებული და როდის ნაწყენი.  
დაბინდულ სახეზე ათასში ერთხელ თუ  
გაუციმციმებს ღიმილი. ისიც მაშინ,  
როცა განსაკუთრებული სასაცილო თუ  
სამხიარულო ამბავია და გული გამზი-  
ანებია რაღაცა დიდი სიხარულის წყა-  
ლობით. ეგ ბედნიერი დამთხვევა წელი-  
წადში ორ-სამჯერ თუ მოხდება.

ხალხს კი დიდად არ ებიტნავება გო-  
როზი კაცი. ცხოვრებას ისედაც სამ-  
ყოფად გამოსდევს სიმწრის გემო და  
რალა ეგეთი უცხვირპიროს მზერით გა-  
იუგემურონ გუნება. აკი გაურბიან კი-  
დეც.

ეგ უკმაყოფილება ვერ დაუფარავთ  
და ბუსუსიანი სიტყვებითა მოუფხა-  
ნიათ გული. „უქმურად“ მოუნათლიათ,  
„გაუცინარი“ შეურქმევიათ.

„გაუცინარების ხელმწიფემ გაიცინა,  
ხალხო!“ — ისეთი გაკვირვებით იტყ-  
ვიან, თითქოს რაიმე დიდი სენსაცია  
მომხდარაიყოს.

„დიდმა უცხვირპირომ დიდი საქმე  
გამიკეთა“.

„მსოფლიო მნიშვნელობის უქმურმა  
დამღუბა და დამანელა“.

ზურგსუკან იტყვიან, თორემ პირში  
თქმას ვინ გაუბედავს.

ნადვოკატარი ვანიკო თუ გამოიდებს  
თავს. „ცხოვრების არტისტს“ არ უჭირს

ხეთისოსნაირი დაღამებულო, კატანა, მწუხ-  
ხედება. რაკი ორ-სამჯერ მოუხერხებია  
მისი აყოლიება, კვლავაც გაიადვილებს:

— როგორ ხარ, ძმაკაც?! — წეროსა-  
ვით მოიხრება ეს აწრიოკებული კაცი  
და ორივე ხელს გაუწოდებს სასალმედ.

— რა მიშავს! — დამუნათების კი-  
ლოთი მიუგებს.

— შუბლი გახსენი, შე დედამამაგა-  
ნათლებულო, მაგაშიც ხომ ფული არ  
მიგდის! — მაშინ უფრო შებედავს,  
როცა „ნაყლაპია“.

— შენი ტუტრუცანობაც გვეყოფა! —  
დინჯად უბასუხებს.

— ოღონდაც ერთი გაიცინე და ას  
თუმანს გაძლევი! — მიახლის შეფუცხუ-  
ნებულო.

— ჯერ რაცა გმართებს, ის გამინაღ-  
დე და გაცინებისა მერე იყოს! — ხურ-  
დას არ დააკლებს.

იქ მყოფნი გულიანად გადაიხარხა-  
რებენ, მკვახე სიტყვის მოქმელი კი  
ისევე უცნაურად დგას და წამწამების  
ფახულით თუ გამოხატავს კმაყოფილე-  
ბას.

— ეგ რა მწარე უთხარი, ძია ხეთი-  
სო — წააქეზებენ.

— ტყუილი ხომ არ მიკადრებია.

— მართლა მართებს, კაცო?

— მარტო ჩემი მოვალე რომ იყოს,  
ჯანდაბას!

— რახან ჩამქერი, მალარიჩსა ვკის-  
რულობ! — არ ეშვება ვანიკო.

— წადი, თავი გამანებე, შენ გაძრე-  
ბი და ის დანახარჯიც მე შემომეხვევა!  
სხვები კვლავ ხარხარებენ, ხეთისო  
კი ნირშეუცვლელად დგას.

— სიცილის დროს რომ თავპირი ჩა-  
მოსტირის, გაჯავრებისას რალა იქნება?!

— ეჰ, მაშინ ხომ ჯოჯოხეთის მოუ-  
რავს დაემსგავსება. — იტყვიან ხოლმე.

— რად არის, ნეტავ, ეგეთი გულჩაზ-  
ვეული?

— შეყვარებულს უღალატნია და მის  
მერე ალთქმა აქვს, არ გაიცინოს! —  
კვლავ გაიხუმრებს ნადვოკატარი ვა-  
ნიკო.



— შეყვარებულს არა, მაგრამ ცხოვრებას კი უღალატნია!

— რათა, ძმაო, ისეთი თანამდებობა აქვს, მთელი ქალაქი შენატრის. სახელი არ აკლია და სახარავი, რაღაზე იმდულრება!

— მართო ეგ არის ცხოვრება? სამსამი ტაოიკ-ტალიკი ძმა ფორნტზე დაკარგა, თვითონაც ომში და წვალებასში გამოუღამდა. ადვილი ხომ არ იყო საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნა, ჩამოვიდა, სამ წელიწადში ორი ცოლი დაშარხა, რაღა გააციენებს?

— მართალია, მაგრამ ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს. მაგაზე შეგებდინები გამოიმზეურებენ ხოლმე.

— კაცია და გუნებაო.

●  
თუ ხეთისოს უემურობაზე სამდურავი ეთქმის ვისმეს; პირველ რიგში მისმა თანამშრომლებმა უნდა დაიჩივლონ. აკი აბუზულუნდებიან ხოლმე.

ერთავად გვემართუებო, უმადური დედამთილივით გვებუზლუნება, სამსახურის გარდა არაფერი ეკითხება, სალალობოდ არასოდეს გაგვიყადრებს თავსაო. ქალაქკომის მდივანთან პური ვვიჭამია და ჩვენს გამგესთან ჯერ სადღეგრძელო არ გვითქვიაო, საქმეში მაინც შემოგვეხალისოსო, ვერაფერს ვაწონებთ, ხუთი წუთი რომ დაგავიანდეს, ხუთ თვეს არ გამოგვიღვეს საყვედურსა. დილიდან საღამომდე ზის და ზეთი ჩამოსდისო.

### III

ახლაც ამღვრეული გუნება მოუჩანს. ჩაყინებით ჩასკქერის რაღაცა ციფრებს. საათი არ ავიწყდება. მალ-მალე დაიბღვირება ციფერბლატზე. ფეხის ხმაზე გამოიცინობს, რომელი თანამშრომელი შემოაბიჯებს. ისინიც მიჩვეულნი არიან დროით მოსვლას და დაუგვიანებლად იკავენენ თავ-თავიანთ ადგილებს.

ბარე, ოცი წუთიც იქნება, რაც ცხრას

გადასცდა. ჯერ ფეხი არ მოუცვლია კაბინეტიდან. მაგრამ გონებაში ზუსტად აქვს აღრიცხული, ვინ როდის შემოვიდა. ყველა ადგილზეა, ერთი ეეპვება.

ელექტროლილაკს დააჭირა თითი.

კაბინეტის კარი გაიღო და ცოცხლად შემოწკაპუნდა კაფანდარა, წელწერილი გოგონა და თბილად მიედილამშვილობა.

უფროსმა ძლივს შესამჩნევად დაურხია თავი. მერე უგემურად იკითხა:

— ანტონი არ მოსულა, გოგო?

— არა, ბატონო ხეთისო! — მაყვალამაც შუბლი შეიკრა.

ანტონი ხეთისოს მოადგილეა.

— რა უღარდელი ხალხია. მოსკლითაც არ მოდიან თავის დროზე. როგორც მოეპრიანებათ, ისე დაბრძანდებიან... აქ ამოდენა საქმეა და ფეხებზე ჰკიდათ!..

მაყვალა აწურული იდგა და სმენაქცეული აფოფინებდა ცქრიალა თვალებს.

— სად არის აქამდისა? — მწყრალად მიხედა.

— ვერ გეტყვით, ბატონო! — წამოწითლდა გოგონა.

ხეთისომ რაღაცა ჩაიბურღლუნა და საათს ახედა.

— ნაზიკოს დამიძახეთ! — ბრძანა მერე.

ნაზიკო მისი ინსპექტორია.

— აქ არ გახლავთ!

— ეგეც არ მოშავებულა ჯერა? — უარესად დაიღრიჯა.

— კი, იყო და გავიდა!

— სად ჯანდაბაში წაეთრა?

— არ ვიცი, თქვა კია, ხუთ წუთში დაებრუნდებო.

— ვახ! ესე როგორ დაკარგეს ნამუსი?! ჯერ სამსახურის საქმისათვის თითი არ დაუკარებიათ და თავისი ოხრობებისათვის დატლაკუნებენ გარე-გარე! მაყვალა უხერხულობდა ნაზიკოს მაგიერ.

---

გიორგი ზორგუაშვილი  
შავი გული



— მაგ თავნებობაზე არ გაილანძლა იმ დღესა?! — ხმას აუწია ხეთისომ.

გოგონამ დამნაშავესავით დახარა თავი. ერთ წუთს ეგრე გასუსული იდგა და რაკი გამგე წინ ვაშლილ ქალაღებს მოექობა, ფეხაკრეფით გამოსცილდა, ფრთხილად გამოიხურა კარი და ეგრე უჩუმრად შეყო თავი საერთო ოთახში, სადაც თანამშრომლები გაყურსულიყვნენ გარშემო შემომწკრივებულ მაგიდებზე და გაბუტულეზივით ხმისგაუყემლად მუშაობდნენ. მძიმედ ასწიეს თავები და ცნობისმოყვარედ მიაჩრდნენ მაცვალას, რომელმაც ქვედა ტუჩი ნელად აიხახუნა ზედა კბილებზე, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ უფროსი ვაჭაერებულია და ფრთხილად იყავითო.

ხეთისო მოხსენებით ბარათს ჩახტკეროდა.

ბარათი ანტონის ნახელავი იყო.

ხეთისოს აღრე შესჩენოდა ეჭვის ჭია. სამშენებლო უზნის მუშაობაზე ნაკლებს აკეთებენ და შესრულებაში ბევრს უჩვენებენო, უხარისხოს ხარისხიანად წერენ, უმდაბლესად ნაცოდვილარში უმალღესის ფასებს არიცხავენ, რაებზ აღარ მამაძაღლობენ, უღმერთოდ იტყუებიან და დაურიღებლად ლეტავენ დაწესებულებასო.

ყველაზე სანდოდ და ობიექტურ განმქიქებლად მოადგილე მიეჩნია, ის გავზავნა სარევიზიოდ.

მოადგილემ გუშინ შეუტანა მოხსენებითი ბარათი. ნაკვლევი მასალებიც ზედ დაურთო. გამგეს თვალის გადავლებაც ვერ მოესწრო. რაკი აგვიანდებოდა, უჯრაში ჩამეწყვდია და სესიაზე გაჩქარებულიყო.

ღიახ, დღეს მოეცალა საიმისოდ.

ერთხელ კიდევ გადაიკითხა; რასაც მოელოდა, ის არ გამოდგა. უკმაყოფილოდ მობუხსა ტუჩები.

— ჰე! ყველაფერი რიგზე ყოფილა... ავშენებულვართ, რალა გვინდა! ეჰ! ვიღას უნდა ენდო! — ჩაიბუტბუტა.

წამოდგა. თანამშრომლების ოთახში

შევიდა, დამუნათებით მიესალმა და ამტრებით იკითხა:

— სად დაიკარგა ის კაცი?!

თანამშრომლები მიუხვდნენ, რომ მოადგილე მოიკითხა.

— არ ვიცი, პატივცემულო ხეთისო, გამგემ ქუთუთოები მოიეწროვა, მძიმედ ვაარხია თავი. ამ მოძრაობაში ამოიკითხებოდა უკმაყოფილებაც და მუქარაც.

— არც ის ქალბატონი ჩანს, ჰა?

— არა!

ტუჩი ამოიბრიცა და დინჯი ნაბიჯით გასწია კაბინეტისაკენ.

ნაზიკოც მობაკუნდა.

— უფროსი გკითხულობს!

— რა უნდა? — წარბები აჭიმა.

— შედი, თვითონ გეტყვის! — ეციენებათ თანამშრომლებს.

— არხეინად იყავით, რასაც თქვენ ფიქრობთ, ის არ იქნება... მე ვიცი და ჩემმა გამგემ! — იმედიანად აქანავებს მხრებს და სავსე გულმკერდიც ერხევა. მხიარულად შედის.

— დილა მშვიდობისა, ბატონო ხეთისო! — თამამად უახლოვდება, ეშხიანსახეზე ღიმილი დასციმიციმებს, გადაწყვილ წარბებს იმშვილდავს და გრძელწამწამებს აწიპწიპებს.

დასავრუხუნებლად გამზადებულ ხეთისოს რისხვა უცხრება და უხმოდ პასუხობს სალაშზე.

— რა გნებავდათ, ბატონო ხეთისო?!

— კენარ ტანსაც არწევს და ყელსაც იღერებს.

— რომელ საათზე იწყება მუშაობა?!

— ეს გამოცდა რამდენჯერ უნდა ჩამაბარებინოთ? — ტანში იმმუნება.

— რამდენჯერ უნდა გავაფრთხილო, ფეხი არ გადაგა-მეთქი დაუკითხავად!

— საქმეზე გავადგი ფეხი. ბანკში წავედი, ავიზოები მქონდა შესაღარებელი.

— ამხელა ქალი ხარ და ტყუილს კადრულობ!

ნაზიკოს ის უფრო გაჰკრავს გულზე, „ამხელა ქალი“ რომ უწოდა, თორემ საყვედურს აინუნშიც არ აგდებს, არც ამ წყენას იმჩნევს და კვლავ ღიმილით შესცივინებს:

— ტყუილი რა გკადრეთ, ბატონო ხეთისო?!

— ბანკში კი არ იყავი, ბაზარში გაიპარე, თუ გინდა, ეხლავე შეგიმოწმებ სინდისს, რომ შენ ბანკში არ ყოფილხარ!

— თქვენი ნებაა! — უფრო იხვერდებს ხმას.

უფროსი ტელეფონის ყურმილს სწვდება.

ნაზიკო გამოტყდება, ებოდიშება და პატიებას სთხოვს. ღიმილს არ იშორებს, თვითონაც სურნელებას აფრქვევს, სიტყვასაც ყვავილის სუნს მისცემს, მოღიავებულ მკერდს თვალები-საკენ უმარჯვებს, მაგრამ ხეთისო კედელს მიბღვერია და ფერთხილებს, რომ ასეთ თავნებობას შეეშვას, თორემ ძვირა დაუჯდება.

ნაზიკო სახელეწილი გამოდის.

— რაო, ტუჩები დაგიკონა? — ნიშნის მოგებით ეკითხებიან თანამშრომლები!

— ნეტავი მართლა დაგიკონა, ის მერჩინა! — ამბობს ნაზიკო და თავისი მაგიდისაკენ მიწკაპუნდება.

ათი წუთიც არ გასულა და ხეთისო კვლავ შემოიღანდება თანამშრომლების ოთახში.

დამხედურები უნებურად წამოუდგებიან და გაისუსებიან.

— კიდევ არა სჩანს?!

— არა, ბატონო ხეთისო! — უღონოდ პასუხობენ.

— იმ დღეს რომ პარტიულ კრებაზე ვუსაყვედურე, ხშირად იგვიანებ-მეთქი, როგორ გეკადრებათო, აჰა, თერთმეტი ხდება და ჯერ სამსახურში არ მობრძანებულა! მოადგილე რომ ასე მოგექცევა, სხვას რაღა უნდა მოჰკითხო! — ღრუბლიანად იტყვის და ისევ კაბინეტში შეიკეტება.

— თბილისში თუ წავიდა! — იმკითხავს თხავა ერთმა.

— შეიძლება, ბიჭის მოწყობაზე დარბის.

— რა კაცია! ხომ იცის, როგორი უფროსიცა ჰყავს, დაუკითხავად რატომ მიდის!

— თავს მოიავადმყოფებს.

— ჩვენს გამგეს ვერ გააცრუებს. მაშინვე ეჭიმის ცნობას მოჰკითხავს.

— არც ეგ გაუჭირდება ანტონ ბაბუცაძეს.

— ერთი ტყიცინა დაანახვე აპოლონ სერგევიჩისა და თუ გინდა მამაკაცებზე გასცემს ცნობას, რომ იგი ნამდვილად ფეხმძიმედაა. — ხუმრობენ ხეთისოს მუშაკები.

## 2. მხიარულების ღმერთი

### I

თანამშრომლებიც საკლისობენ ანტონ ბაბუცაძეს. მარტო ახლა კი არა, სხვა დროსაც, როცა ის სამსახურში არ შემოხალისდება თავისი გაცივებული შუბლითა და მხრების თამაშით, უანტონობით მოწყენილობა სძალავთ, გამგისაგან დაღრუბულ ოთახებს ის ამზიანებს ხოლმე.

ხუთი თვე არც იქნება, რაც ამ პატარა კოლექტივში გარიგს და ისე შეეჩვიენ, თითქოს ხუთი წელია ერთ ჰერქვეშ სუნთქავენო.

ადამიანის გულთან ადვილად იგნებს მისავალს.

— კაი ბიჭია ანტონი!

— სულ ღიმილი დასთამაშებს სახეზე. — იტყვიან ხოლმე.

ქეშმარიტად ხალისიანი კაცია ანტონი.

არც კი სჯერათ, რომ ისიც ტირილით გაჩენილა ამ ქვეყანაზე. ღიმილით შემორევია ცხოვრების მდინარებას და ეგრე უღარდელად მოსდევს. ბევრჯერ უყურყუმალავებია მის მშფოთვარე ტალღებს, მაგრამ გულზე ნადველი არ დასწევებია. სიყმაწვილეშივე გალადე-

ვიორაი ხორგუაშვილი  
შავი გული



ბულა მედუქნის ნაშეირი. თავიდანვე ვაცქვიტებულა კაკაროტი ბიჭუნა. სიტყვა გასთამამებია, დიდსაც და პატარასაც ადვილად მისჩვევია. სამსახიობო ნიჭის ნატამალი მისცხებია. ჯერ უბნის ტოლწორებში უკომიკია. მერე კი, სისხლმაჭრიანობისას, საქალაქო კულტურის სცენაზე აუბიჯებია, მჭუხარე ტაშითაც გაუნებივრებიათ, ქალაქის გაზეთსაც გაუუყვდავებია... მაშინდელი ფოტოსურათები, ძუნწი კარაპეტასა და ყვარყვარე თუთაბერის როლებში გადაღებულნი, ახლაც უკიდიათ კულტურის სახლის ფოიეში, დრამწირის საისტორიოდ რომ გამოუშეუტრებიათ.

იმ დარდიმანდულ ხელობას დიდი ხანია დამშვიდობებია. საზოგადოებაში გარევა და ოჯახის გაძლოლა სხვა მულამით ურჩევია. ეკონომისტობისათვის მიუყვია ხელი დაუსწრებელ ნასტუდენტარს: საანგარიშო კოჭებსა და ცივ ციფრებს დამეგობრებია, შვარამ მსუბუქი ვენის ტრიალი, ხალისიანი მიხვრამოხვრა და არტიკული ქცევა-მოქმედება მაინც რა მოუშლია.

გარდასახვა ახლაც ეხერხება, არც თაკილობს და არც ძალიან იხვეწიებს მსურველს. გამოუჯავრებელ-დაუცინავი არავინ დარჩება. ზედმიწევნით ზუსტად გაიმეორებს თუნდაც ერთხელ ნახულს. თუ განსაკუთრებულია, თუ სახითხითაა, მაშინ ხომ მთელი აზარტით ასრულებს ცოცხალი კაცის როლს.

თანამშრომლებს ხომ გული ეკერით ანტონზე, არც სხვები ირიდებენ. ვინც კი იცნობს, ვისაც კი მისალმებია, (სალამს კი ვინ დაასწრებს) ყველა ისწრაფის მისკენ, ელიმილებიან, ეგულთბილებიან. დარდიმანდი ბიჭები უფრო ესიყვარულებიან. აზარბთ მასთან ყოფნა, როცა საბახუსედ აეშლებათ საღერღელი, მაშინ უფრო მოენატრებათ იგი, იციან, რა შნოსა და ეშხსაც მისცემს ქეიფს და „პურის საჭმელად“ გასვლას რომ დააპირებენ, უმაღლვე მასთან განდებიან. „თითო ჭიქის“ დაღუვას შესთავაზებენ. ანტონი თავპატიყა

არ გახლავთ, მაგრამ მაინც ფაფაკ-ფასებს და ყასიდად იუარებენ. მათი ხელობას მოისაბაბებს, გულს აიტკივებს, ასნიარ საბაბზე მოიბოდიშებს, მაგრამ მოპატივენი არ მოეშვებიან, ჩისვამენ მანქანაში და გაიყოლებენ. დანახარჯის გაღებაში არ გაირევენ, საპატიო სტუმრად ჩასთვლიან. შენ მარტო გავგამხიარულე და დანარჩენი ჩვენ ვიცითო.

— აბა, ანტონ ანგელოზოვიჩი, ერთი შენებურად დააწყე!

ანგელოზი მისი მამის სახელი არ გეგონოთ, მოფერებით მიმართავენ ასე.

— რომელი გნებათ დავიწყო? — ხელებს მოიფშენეტს სამსახიობოდ შეზარხოშებული ანტონი.

— რომელიც შენ გავგებარდება, ჩვენთვის სულ ერთია.

— ერთი, ერთი ფეხმართალა სილოვანს გააჯავრე!

ფეხმართალა სილოვანი რესტორან „გემოს“ დახლიდარია. აუჩქარებელი, უწყინარი, სიმსუქნისაგან თავპირი ამრგვალებია, თითქოს კრაზანები დასევიანო. და შეჯიბრში ნარბენივით ქშინავს გულზე ქონმოხვეული.

ანტონიც მასავით აიკანჩურებს გაფშეკილ ფეხსა, ეგრე ჩლახუნით მივა თავის სანუჯვარ დახლთან, ნაგერალ ყანასავით გათხელებული თმას ცალ მხარეს გადაიქელავს, კმაყოფილებით ჩაახველებს, ლოყებს გაიფუებს, გატყაპნილ ნესტოებს ააქშიტინებს, ცილისტოლა საანგარიშოს მოიმარჯვებს, ვითომდა დანახარჯის ბლოკნოტს დაიდებს წინა. ხალისიანად გააწკლავუნებს კუნტულა ტუჩებსა და:

„თქვენი დანახარჯი, ჩემო ბატონებო, სულ ეს არის...“ — და მშვიდად ჩამოყვება, სათითაოდ ჯავა ანგარიშში საუზმეულს, მწვანეღუეულს, თევზეულს, შემწვარსა თუ შეუწველსა. ცოცხლად მორთმეულ ბაღჩეულსა თუ ჩუმად ნაშოვნს ცოცხალსა. მწვადი თოთო ხბოსიაო, თანაც ჩრდილის ხორცია ნარჩევით, ვარიები ქვრივი სონას კალათში გაზრდილებიაო. ზუთხი ზურგიელისაო.





ცოცხალი ოჩხისაო, ქორფა კიტრი და პამიდორი სათბურიდან მოტანილია ძმაკაცობითაო, „წინანდალი“ ახალი ჩამოსხმაო, კონიაკი „ვარციხეაო“ — ყველას ემალღეს ხარასხად მონათლავს, რომ ადგვალად ამაღლოს ფასები.

ანტონ ანგელოზოვიჩი ხმასაც უმგვანებს სილოვანს და ბავისა თუ თითების მოძრაობასაც. სამ კოქს რომ სალოკი თითით ვააგდებს, მეოთხეს ნეკათი ვაპარებს. ისე მოხერხებულად სჩადის ამას, რომ ასე უანგარიშოდ ნასვამი კი არა, ფხიზელი კაცის თვალიც ვერ შეასწრებს. ბოლოს მასავით მოულოდნელად ააქნევს დაბრეცილ წარბებს და:

— ჩემო ბატონებო, სულ, ოთხმოცდაჩვიდმეტი მანეთი და ორმოცდაექვსი კაპიკია. თითო კაცზე ოცდახუთი მანეთი არც კი გიწევთ. — ისეთი კილოთი ამბობს, რომ უნდა დაემადლობო ასეთი გულთბილი მასპინძლობისათვის და ზუსტი ანგარიშისათვის.

ანტონი ისე ოსტატურად ანსახიერებს სილოვანს, პროფესიონალი მსახიობი შემირცხვენია მაგასთან.

მსმენელნი გულიანად ხითხითებენ. სიცილ-ხარხარის ქინი არ დასცხრომიათ გამზიარულებულ მოქვიფეებსა და კვლავ სთხოვენ:

— ბარემ ქარელულ სიმონასაც ვააჯავრე, ანტონ ანგელოზოვიჩ!

სიმონა უნივერმალის სექციონერია. ანტონი შეყოვნდება, ეს თხოვნა ცოტა საძნელოა! დახლიდარ სიმონასი და მყიდველი შინაბერა ელისოს დიალოგი უნდა წარმოადგინოს, ორივე ერთად, მაგრამ ხალისზე მოსულს არც ეგ გაუჭირდება.

ჩაცმა-გავლის ტრფიალი შინაბერა ელისო თვალის ჩაკვრით გაიხმობს სექციონერს თავისკენა.

სიმონა დაფასებული, პატივსაცემი კაცის იერს მიიღებს და გამოუმჟღავნებელი ხალისით მივა, დახლზე გადაიხრება და:

„ლა გნებავთ, ქალბატონო!“  
ელისო შეღებვილ ბავეს მიუახლო-

ვებს სიმონას ბალნიან ყურსა და სპედუმლოდ ჩასჩურჩულებს, ფერუმარფისა და სუნამოს სურნელს უბოლებს გაჭექცილი ცხვირის ნესტოებში, მზად არის აკოცოს კიდეც, ოღონდაც საღიანოდ დაარზოს თავი, მაგრამ სიმონა განგებ შეიკრავს შუბლსა და საექვოდ ამობრიცავს დორბლიან ტუჩსა.

„პაა, ძია სიმონ, ყელი არ გამომჭრა!“  
— კიდეც უფრო გაიფართოებს ისედაც ჭყეტელა თვალებსა.

სიმონა საექვოდ გადააქნ-გადმოაქნევს პირწმინდად მოტვლებილ თავსა.

„ხომ იცი, ისე არ წაიღებ!“ — კვლავ დაიდაბლებს ხმასა.

„აბა, ლა ვქნა, უნდა გიშოვო, ჩვენი გოგო ხარ!“

შინაბერას უხარია ორივე: „პოც“ რომ უთხრა და „გოგოც“ რომ უწოდა, და დაუფარავი სიხარულით ემადლიერება:

„შენ გაიხარე, ძია სიმონ, გულის მუარაზი ხარ!“

სიმონას გუნებაში ელიმება. თვალმოჭუტული მისჩერებია, ღია მკერდისაკენ ჩამოაყოლებს მზერას, შემოხორხორავებული მყიდველისა ერიდება, თორემ, ენასაც აამოძრავებს და ბალნიან ხელსაც შინაბერას მოსაფერებლად. ასე ეჩვენება, დიდი სიმპათია გაუჩინა გულში ელისოს.

„პა, გამოიტა. თვალებს ნუ მებრეციენებ, ძია სიმონ!“ — ველარ ითმენს.

„აბა, ეხლა ლა დლოსია, ველა ხედავ, ქვეყანა იღვევა, საღამოზე გამოიადლე...“  
ელისო დათქმულ დროზე მიაკითხავს.

სიმონა დახლის ქვეშიდან გამოიღებს ლამაზად შეფუთულს.

ელისო ფათფათით წასწვდება და ერთი სული აქვს, ვიდრე გახსნის.

„ნახვა აღ უნდა!“

„რა ღირს, ძია სიმონ?“

„თავის ფასი ორმოცდახუთია.“

**გიორგი ზორბაზაშვილი**  
შავი გული

მერე იმასაც უმხელს, რამდენი უნდა დაამატოს.

შინაბერა სიტყვის შეუბრუნებლად უთვლის.

სიმონა ხელებში მისჩერებია, ზეპირად ამახსოვრდება, რამდენიც გადათვალა, მაგრამ „ფული ეშმაკიაო“, ჩქარჩქარა გამოართმევს, ოფლიან თითებზე იფურთხებს (ეს ჩვევა ვერ მოაშლევინეს), სწრაფად სთვლის და შინაბერასთან საუბარსაც ასწრებს:

„აღ გეწყინოს, ჩემო დაო... ამის მაღლი გამიწყრეს, თუ ჩემს ჯიბეში ჩადიოდეს ლამე. ლა ვქნა, ისე ალ იძლევიან და... ათასი ხვლევი აქვს ამ წყეულსა, შენ შინაური გოგო ხალ, თოლემ სხვას ამას ალ დაეჯერდებოდი!“ — და სიამოვნებით ჰკეცავს წითელ თუშნია-ნებს.

„ვიცი, ძია სიმონ, დიდი მაღლობელი ვარ!“

„ალაფელსა... გამოგვიალე ხოლმე, ხანდახან ჩამოგვაქვს ლალაც-ლაღაცეები“.

შინაბერა ელისო კმაყოფილებით დაფახულებს შედებილ წამწამებსა და დამადლიერებით გამოემშვიდობება.

თვალაწუწკებული სიმონაც ხარბი მზერით მიაცილებს გასასვლელამდე. ანტონი ორივეს როლს კარგად ანსახიერებს. ქალისასაც და კაცისასაც, უფრო სიმონას დახატავს მიმიკითაც და ხმის ფერთაც.

ანტონ ანგელოზოვიჩის მსახიობობას თამადის დარბაისლური სადღეგრძელოები სცვლის. ჭიქების მიკაქუნება და ალავერდები ხშირდება. ენაკვიმატობასა და ფერხორციანი სიტყვების გულუნვობაში სხვებიც გამოიდებენ თავსა, მაგრამ მაინც ანტონი პირველობს. იმის ნათქვამს სულ სხვა ფერი და სურნელება აქვს. მიტომ უზოთ შუაში თაიგულივითა და თბილი თვალებით შესცქერიან.

— ანტონ ანგელოზოვიჩ, შენი ყვა-ვილოვანი სიტყვა მოგვენატრა!

— ენას ვასვენებ, ბატონო თამადა.

— ბარემ ტატოს გერსაც გააჯერე და მერე დაასვენე!

ტატოს გერი — სანდრია ქიმიანური ხილ-ბოსტნეულის დამზადების კანტორის უფროსია. ანტონასავით მაღალი და ხეხელა. სახითაც ჩამოჰგავს. მხოლოდ ეგ არის, ანტონი ჰაბუკივით თმა-გახშირებულია, სანდრიას კი ორად ორი-ღერილა შემორჩენია ლაპლაბა თავზე და ხან აღმა უზამს ბოლოსა და ხან დაღმა.

მთხოვნელს არც ამჯერად წაუქცევს სიტყვას ანტონ ანგელოზოვიჩი. უმაღესანდრიავედება. მისებრ განმარტოვდება კაბინეტში, მაგიდაზე მოიკუთხება, ზოლიან ცხვირსახოცს გააფარფარებს გრძელ თითებში, ოფლიან კეფასა და ძვალ-ლაიფებს შეიმშრალებს, ცისფერ კიტელს შეიქანქარებს გაჩხიკეულ ტანზე, დაუქითხავად შემოსულ დამამზადებელს შეხედავს აღმაცერად, ხელებში შესცქნავლებს და ცხვირში ჯიჯღინით ეტყვის:

„დაჯე, ბიჭო, რა უცხოთავით აყუდებულხარ!“

„დასაჯდომად არა მცალიან, ალექსანდრ ივანიჩ.“

ანტონი-სანდრია თავზე ხელს ისვამს, ვითომდა იმ ორ ღერ თმას ისწორებს ვალოპრილ თავზე და:

„როგორ არის საქმე, ბიჭო?“

„კარგად, ალექსანდრ ივანიჩ!“ — თამამად მიუგებს.

„ხომ იცი, პირველიდან რომ შეგებულებაში მივდივარ!“

„როგორ არა. სად დაისვენებთ?“

„დასასვენებლად ვინ მომაცლის. სა-მკურნალოდ მივდივარ, კუჭი მაწუხებს, ეს ოხერი, ეგება მეშველოს რამე... ჩემთან ერთად მთლად უფროსიც მოდის... იმან მიშოვა საგზური. პატივისცემას პატივისცემა უნდა, ხომ იცი, ყოველნაბიჯზე ფულია საჭირო!“

„ვიცი, ალექსანდრ ივანიჩ, ვიცი!“ — და ჯიბეში იფათურებს ხელებსა.

სანდრია თვალებს ააპარპალებს სი-

ხარულისაგან. ტუჩებს გააცმაცუნებს და:

„ჰა... დროზე... რამდენია... ჰო, ჰო... კარგი... რაც არის... მეც სხვას უნდა მივართვა. ასეა ეს ცხოვრება, ხელი ხელსა ბანს... მიიტა... ჩაადგე!“ და უჭრას გამოუწყეს.

დამამზადებელი თავის ვალს იხდის შუბლშეკვრითა.

„ყოჩალი ბიჭი ხარ... ასე უნდა... მიდი... მხოლოდ ფრთხილად იყავი... თავი არ გაიფუტო... თითს ვერავე დაგაკარებს, მე აქა ვარ... წადი... მეტი არაფერი... საქმეს მიხედე!“ — ჯიჯლინებს ცხვირში.

დამამზადებელი გამობრუნდება.

„მოიცა, ბიჭო!“

დამამზადებელი კვერდულად მოიღრჩიება.

„ბიჭებს უთხარი, შვებულებში მიდის-თქო“ გასაგებია?“

„კი, გასაგებია“.

ორივეს ანტონი ანსახიერებს. ჯიჯლინა სანდრიასაც და როხროხა დამამზადებელსაც.

თვითონ არ ეცინება, მოქეიფენი კი იჭაჭებთან.

— სამსახურიდან რატომ ერეკება ზოგ-ზოგებსა? — ჩაეძიებთან:

ანტონი კვლავ გასანდრიავდება, ბოლთის ცემას დაიწყებს და აჯიჯლინდება:

„იფუ, მაგის გამომგზავნს რა ვუთხრა... მაგ მკვდარძაღვსა ოთხი მოქმედება არ იცის, სად გამოუღამდა წუთისოფელი, მიმატება და გამოკლება რომ უსწავლია, გამრავლება-გაყოფა არ უნდა იცოდეს?... არა, ძმაო, არ გამოდგება... რა გასაჩერებელია ჩვენს რიგებში!“

— ყოჩაღ, ანტონ ანგელოზოვიჩი!

— რა ძვირფასი კაცი ხარ!

— დიდი მადლობა ამ სიამოვნებისათვის, ჩემო ანტონ! — ემადლიერებთან და სიცილის ცრემლებს იმშრალევენ.

ნაირნაირ სალუქმეს ურჩევნს და უმარჯვებენ. კიქას ულიცლიცებენ. ალარ იციან, რითი სცენ პატივი.

სიმღერაც ემარჯვება ანტონ ბაბუციძეს.

სიმღერასაც სთხოვენ დარდიმანდები. არც მაგაზე ზარდება ოქრო-კაცი.

იმ ლერწამა ყელს ჩაიწმენდავს და ანკარა ხმით ამოარაკრავებს:

„შენი ღიმილით აპრილი მოდის...“

მოწონების ტაში ატყლაშუნდება.

საღერღელაშლილი ანტონი ახლასხვას დაიწყებს:

„ქარი გიმღერის ნანასა...“

სხვებსაც აიყოლიებს, ამღერებს და ალხენს.

— ამ კიქით ანტონ ანგელოზოვიჩს გაუმარჯოს! — მალა ასწევს სასმისს მადლიერი თამადა, გრძელ საღერგრძელოებსა და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არა სჯერდება და კოცნითაც უხდის მადლობას.

სხვებიც ემარჯვებიან ტუჩის კიდებზე საკოცნელად.

— კაცი კი არა, მხიარულების ღმერთი ხარ, ჩემო ანტონ!

— ჩვენს თავკაცებს რომ ჰქუა ჰქონდეთ, ხელისგულზე უნდა დაგისვან! ცივი ნიავი არ მოგაკარონ, გზა აგამწვანონ, ყელამდე პატივისცემით აგავსონ, გავიწილა ამისთანა კაცი ყოველდღიურ ოჯახურ წვრილმანებზე სცდებოდეს?! საზოგადოებისა და სამშობლოს კეთილდღეობას უნდა ხმარდებოდეს ეგ უბადლო ნიჭი.

ყველა სიკეთეს იმეტებენ ლხინისთვისათვის.

ანტონიც დიდ მადლობას სწირავს და მეგობრების უხვსიტყვაობას ნახევრობით მაინც იჯერებს.

თუკი სცალიან, ანტონი მზად არის ხასიათი გაუსწოროს „პურისმჭამელ ბიჭებს“, ალხინოს და აცინოს გამორჩეული ხასიათის ადამიანების გარდასახვით.

მაგრამ ეგრე იოლად არ იიაფებს

ვიტორკი ხორკაუაშვილი  
შავი გული

თავსა. არც ყველას გაუარტისტდება, მხოლოდ მეგობრებს არ გაუტეხს ხათრსა.

თავის თანამშრომლებსაც გაამხიარულებს ხოლმე. რა თქმა უნდა, როცა საქმეს შემოიბერტყავს და მოსახერხებელ დროსაც მოიხელთებს.

გუშინაც გულიანად აცინა.

შესვენება მილულოყო. თანამშრომლები უკვე გამოწყებილიყვნენ მაგიდებზე და თავჩაქინდრული ჩაჰკირკიტებდნენ ციფრებით დამძიმებულ ქალღლებს.

ანტონი გვიან შემოვიდა, პუტ-პუტა ხინკლით, ერთი ჭიქა „გრემითა“ და ორი კათხა ოსური ლუდით გახალისებული. გამგე გაგულებული ჰყავდათ, კარი შეადო და იქვე გაჩერდა. ხეთისოსავით დაიღრუბლა, ცხვირი ჩამოუშვა, ტუჩები გაიბუსხა, თვალი ამოიკიჟა და ძუნწად დაარხია თავი მისალმების ნიშნად.

თანამშრომლები უმალ მიუხვდნენ, რომ ანტონი გამგეს ანსახიერებდა. ფხუკუნი აუტყდათ.

ანტონი კვლავ ხეთისობდა. მოღუშული მიაჩერდა მდივან მაყვალას და ბოხი, მწყარალი ხმით ჰკითხა:

„მიმართვა დაბეჭდე, გოგო?“

თმაშეკვერცხილმა ქალიშვილმა თავი გაუქნია.

„რატომ?“ — ხეთისოსავით ამოჟანგა სიტყვა.

იმას დაეხსნა, ახლა ინსპექტორს მიაჩერდა. თვალეები მოივიწროვა, ნიკაპი ამოპრიხა და:

„რა ჰქენი, მოათავე რევიზია?“

ინსპექტორმა საუაროდ ჩაღუნა თავი.

„რამდენ ხანს უნდა გამოიზოგო“ — ამრეხით მიმართა.

„რა ვქნა, ბატონო ხეთისო, ვერ მოვასწარი და...“

„ეჰ, შვილოსან, მუშაობა არ გინდათ!“ — გაწყრა და გაჩუმიდა. მერე სხვებს მიხედა და წაიდუღუნა: — „წვრილშვი-

ლის პატრონია, მეცოდება, თურქმენი დღეს არ არის გასაჩერებელი“.

თანამშრომლები ხარხარებენ. გარდამსახველს კი არ ეცინება. ზუსტად ხატავს გამგის ხასიათს, ისე მოძრაობს და მოქმედებს, როგორც ხეთისო.

გვიან ცხრება ხარხარი.

ანტონი ზუთწუთიან გათამაშებას მორჩება და მავიდას მიაშურებს.

სამსახურში იშვიათად ანსახიერებს უფროსს. ფრთხილობს არ გაუგოს.

## II

მეგობრები მაინც ჩააცივლებიან ხოლმე. იმის მოყოლა უფრო უყვართ, ზღვაზე რომ ამბავი შეემთხვა ხეთისოს.

— ანტონ ანგელოზოვიჩ, ის როგორ იყო, რუსის ქალებმა რომ ატყუებულავენ გაუცინარების ხელმწიფე?!

— მომეშვით, გამიგებს და ლუქმას დამაკარგვინებს.

არ მოეშვებია.

ანტონიც დაიწყებს:

— კარგად მოგვხსენებთ, ყოველ შეგებულებისას სანატორიუმებში პარპაშობს ჩვენი პატივცემული გამგე. ჩემსავით ჰქუამოკლე კი არ გახლავთ, ამ თონესავით ქალაქში რომ ვიხუთამსულსა. კბილებში გამჯდარი აქვს ცხვრების გემო ბატონ ხეთისოს. თუ ხელი მიუწვდა, არც ერთ სიკეთეს დაიკლებს. განა მშურს, შაქრად შეერგოს! საქართველოს აგარაკები ხომ ფეხქვეშ მოითელა და იმის მიღმაც უწია. ერთ ზაფხულსაც არ გააცდენს. ბიჭობაც ამას ჰქვია! არც დაიძრახება. რაც ქვეყანაზე სატიკვარი არსებობს, ყველა მავის სხეულში ბუდობს. დიაგნოსტიკოსიც თვითონ არის თავისი თავისა, თორემ მართლა რომ ყველა ჰირი სჭირდეს, როგორ გაუძლებდა, ექიმები კი ორიოდვე სენსლა აღუნუსხავენ ხოლმე.

შარშან, შეგებულების წინაც გასინჯვია, დამაღონებელი არა უთქვიათ-რა. ზღვაზე დასვენება ურჩევიათ.

მაშინვე დაფაცურებულა ჩვენი ხეთი-



სო, შანსები დაუტრიალებია, სოჭის საგზური უშოვნია.

ხომ კარგად მოგეხსენებათ, რა უფურების ხელმწიფეც არის და ვერც იქ დაუტოლებია გული ვერავისთვის. დამსვენებლებსაც ზურგი უქცევიათ და ამრეზით უცქერიათ, მაგრამ ხეთისნიერი ადამიანები იქაც გამოჩენილან. შავ ნისლეტში მიმალული კეთილი გული დაუნახიათ, ხასიათის გასწორება უცდიათ, თავიანთ მარაქაში გაურევიათ, აუყოლებიათ, რესტორანშიც შეუტყუებიათ, გართობა-თამაშობანიც შეუთავაზებიათ, ჩვენს დიდად პატივცემულ გამგეს მხოლოდ ჭადრაკი უჭაშნიკია. მაგ თამაშში კი უამირანია, ვანი დაუგდია და ერთმანეთისათვის უფარებია თავგამოდებული თუ ბაქი-ბუქა მოჭადრაკენი, სანატორიუმის ჩემპიონის ტიტული უბოძებიათ.

ისიც მალე მოუწყენია.

კვლავ გაქსუებია დამსვენებლებს.

ხშირად განმარტოებულა. ყრუ ნაძვანარში მიკარგულა, ხანდიხან ზღვისკენ გაუწევია გულსა.

ზღვა ჰყვარებია, მაგრამ მხოლოდ საცქერლად, „სევდიან ფიქრთა გასართველად“. მოკალი და აბანავე. უცნაური ზნე სჭირებია. დილა-უთენია გასჩვევია ზღვას, პლიაჟზე კი არ უნებღერია, საკმაოდ მოშორებით, კაცი რომ ძნელად მოხვდება, ერთი ობოლი კლდე ამოურჩევია, მის მკერდზე წამოძვარა და საათობით უცქერნია მშვიდად მოლივლივე ტალღებისათვის. თუ ზღვის ცქერით მოყირპებულა, წიგნებისათვის გადაუყოლებია გული.

არ იფიქროთ, ან ღრმა რომანებს გაეტაცოს, ან მომარგალიტებულ ლექსებსა. იქაც საფინანსო-ეკონომიურ ლიტერატურას დასწაფებია, ცხოვრებაში გამოსაყენებელი წინადადებანი წითელი ფანქრით აუჭრელებია.

ნაცნობ დამსვენებლებს სამუდამოდ არ მიუტოვებიათ გაქსუებული ხეთისო. კვლავ უცდიათ მისი გულის მობრუნება.

ერთ ცხელ დღეს შერეულ პლანეტაზე გაუყოლებიათ. თვითონ მაშინვე გაქმერიათ ტანსაცმელი, მკბენარა მზეს დამალვიან, ლივლივა ტალღებს შერევინან, ბატონი ხეთისოც ჩაუპატივებიათ, მაგრამ დაუუარებია, ცივ-ცივი წყლის სიამოვნებაზე დაუხარბებიათ, მაინც გაჩიუტებულა. მხოლოდ იმას დასჯერებია, რომ მუხლებამდე აუკარწახებია შავი შარვალი და კოჭებამდე დაუსველებია ბალნიანი ფეხები, მერე კვლავ განცალკევებულა, ერთი წოპ-წოპა ლოდი მოუძებნია, ჩამოძვარა, ის თალხი კიტელი ნახევრობით ჩაუხსნია და მეფური სიღინჯით უმზერია უნაპირო ზღვისათვის თუ ზედ გადაკამარებული ცისათვის.

ევრე ულაღებია სული.

მაგრამ სიმშვიდე არ უცდიათ. მობანავე ქალები მისევიან სიცილ-კისკისითა, წყალში ჩაუპატივებიათ, ხეთისოს ხელები გაუტატანებია. ქალები არ მოშვებინან, ძალობაზე გადასულან, არ დარიდებინან, ერთს წიგნი გამოუგლეჯია და გვერდზე მოუსვრია, მეორე გრძელყურება კიტელის სახელურსა სცემია, მესამეს ჩეხური შტიბლეტები გაუძვრია, მეოთხე ფარფარა შარვლის ტოტს წასწვდომია, ერთბაშად გაუშისვლებიათ.

ხეთისო გასძალოვანებია, ბევრი უბლაძუნია და უხტუნია, მოურიდებლად ულანძლია კიდეცა, მაგრამ თამამ ქალებს თავისი გაუტანიათ. ის განიერთობებიათ ტრუსებილა შეუნარჩუნებიათ, ღონივრად ჰქონია ჩაბლუჯული, თორემ იმის გაძრობაც უცდიათ.

ღიას, ევრე გაუტატარავებიათ და წყლისაკენ გასძალებიათ.

რაკი ძალა და მოხერხება არა ჰყოფნია ქალების მოსაცილებლად, დაყოლიება უმჯობინებია, ნაძალადევი ღიმილიც მოუფრქვევია ნაღრეჯ სახეზე. აკისკისებულ ქალებს წყალში შეუტყურებიათ ტრევის ხესავითა, ვინ ბალნიან ფე-

გიორგი ზორგუაშვილი  
შავი ბული



ბებში ჩავლებია, ვინ — გრძელ მკლავებში, ვის მელოტი თავი უტაპტაპებია სველ ხელებში, ვის უადგილო ადგილას დაუწყვია ხელობა. თავიანთ ნებაზე უპამპულეობათ, ბავშვივით უჭყუპალა-ეობათ, ჯერ თხელში ულივლივობათ, მერე ღრმაში შეუცურებობათ, ხან მალ-ლა-მალა უტივტივობათ, ხან ღრმაში უყურყურმალავეობათ, ის მლაშე წყალი ძლომაზე უყლაპინებობათ, მერე +ისევ ურწყევინებობათ, დიდხანს უთამაშობობათ თოჯინასავით.

ნადვლანარწყევია ხეთისო ძლივს და-ხსნია ახირებულ ქალებსა, ხენვით გა-მოულწევია ნაპირს, სული ძლივს მოუ-თქვია.

სამშვიდობოზე რომ გამოსულა, მერე უფრო გაპირქუშებულა, ლანძღვა-გინე-ბით აუწყრალეობა პირი, უნამუსობა შეუკადრებია, გარყვნილ-გათახსირებუ-ლებადაც მოუნათლია, ტანთამთამა თუ წიწლიკანა ქალებს კი სიცილადაც არ ჰყოფნიათ, ამორძალებივით მისევინ, გულის სწორებივით მიჰფერებინ და ღმილი გაუმრავლებობათ, საკოცნელად უცმატუნებობათ გრილი ბაგეები.

ამ სეირისათვის მთელი პლაჟის ხალ-ხი უცქერინებობათ.

ბატონი ხეთისო იმ დღეს მერე სათო-ფეზეც აღარ გაჰკარებია ზღვას, აღარც სანატორიუმში გასჩერებია გული და ერთი კვირით ადრე გამოსცლია იქაუ-რობას.

III

ანტონ ბაბუცაძე დიდი ხალისით ჰყვება ამ ამბავს. ისედაც ფერხან სიტყ-ვას მოხერხებულ ჟესტებსა და მიმიკა-საც წააშველებს ხოლმე. ზოგს ნამდ-ვილი ჰგონია ეს ამბავი, ზოგს მოგონი-ლი, ზოგს შეფერადებულ-შელამაზებუ-ლი, მაგრამ ყველა სიამოვნებით ისმენს. არ გეგონოთ, რომ ნაარტისტალი ან-ტონი ყველას გაუიფებს ამ სათქმელს, მხოლოდ „შინაურ ბიჭებს“ მოუყვება ხოლმე, ისიც მაშინ, როცა ჩააცვიდე-ბიან.

ანტონის ოინბაზობის ამბავს, ხეთისოს ყურამდე ვერ იკვლევს გზას, თო-რემ „გაუცინარების ხელმწიფეს“ სხვა ვინ გადატარებია გულზე, რომ იმას შე-არჩინოს.

ზოგიერთი არამკითხე-მოამბენი აქაც გამოერევიან და უბოდიშოდ ატუტუნ-დებიან: ანტონ ბაბუციძის ასეთი ოინ-ბაზობა შორს არის გამიზნულიო. ეგეთ ნამდვილ თუ მოჭორილ ამბებს დიდი უფროსების ყურებშიც შეაპარებენ, წვეთს წვეთი მიემატება და მცირედიც რომ დაიჯერონ, მაგითაც დაუპატარაე-დებათ თვალში ხეთისო ხარატიშვილი და, რაკი ერთი ამოიღებენ გულიდან, მერე იმ მძიმე სკამიდანაც დასძრავენო. ანტონ ბაბუციძეს კი სწორედ იმ სკამი-საკენ უქირავს თვალიო.

ღვთის წინაშე, ასეთი რამ არასოდეს გაუმკლავებია ნაარტისტალს, ეგ იყო, ერთხელ დაუჩივლია: „რა ადგილს აფუ-ჭებს ეგ უგემური ვირიშვილიო“. ეგეც ღვინოს წამოუროშინებია, თორემ სა-მოთხისა და ჯოჯოხეთის გასაყართან რომ დაკითხოთ, აუგს ვერ ათქმევინებთ თავის უფროსზე, პირიქით, თავად ხეთი-სოსაც მოასმენინებს და ზურგსუკიანაც იტყვის ხოლმე: ასეთი ალაღმართალი, საქმისათვის თავდადებული და ხეთის-ნიერი კაცის მნახველი არა ვარო, ბედ-ნიერად ვთვლი ჩემს თავსა, რომ მაგისი ხელქვეითობის ღირსი გავხდითო.

ჰოდა, უნდა ვერწმუნოთ ანტონ ანგე-ლოზოვიჩს, რომ მის ოინბაზობას არა-ვითარი საეჭვო მიზანი არა აქვს. მხო-ლოდ უბრალოდ ხუმრობს. ხუმრობა-გართობა კი დედის მუცლიდან დაჰყო-ლია. მარტო ხეთისოზე ხომ არა, სხვა-ზეც ბევრზე ახალისებს და აცინებს მახლობლებსა.

ასეა თუ ისე, ხეთისოს გოროზ სახეს ყველა პირს არიდებს. ანტონს კი გაგი-ხარიათ, დღითი-დღე უმრავლდებიან კეთილი თვალით მაცქერალნი.

„აი, კაციც ეს არის, დანახავ და გა-გეხარდება, პირს ღმილი გადასდის. სი-ტყვაც გემრიელი აქვს და მიხვრა-მოხვ-



რაც სასიამოვნო. მაგასთან ყოფნა და პურისჭამა ერთი მზიანი წელიწადის შემატებაა. თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არაეინ მოისვამს“.

„მაშ არა და, მაგისი უფროსია ეგეთი, ერთავად თავპირი ჩამოსტირის. სულ დაღრუბლული და დაძმარებულია. ისე ვიბღვერის, თითქოს მილიონი გემართოს და არ აძლევდე!“

IV

სამი კაცი სწვევით სამინისტროდან. საქმეზე ჩამობრძანებით.

— ვინ არის, ბატონი ხეთისო? — დილითვე წასტუტუნებია ანტონი.

— ერთი განყოფილების გამგეა, სარდლიონი ქვია, ის ორნი — ინსპექტორები, თეიმურაზი და კარლო.

— კაი ბიჭები ჩანან!  
— კი.  
— პურის ჭამა ხომ უნდათ?  
— ცოცხალი კაცი უქმელი როგორ ვასძლებს!

— სად აჯობებს შეპურმარილება?  
— რესტორანი და მაგათი ჯანი!  
— რესტორანში არ შეისვლება. ოთხში ამოგვიღებენ. აღარც ჩვენ გვერიდებიან ამ ბოლო დროსა... ისედაც ყელში ექნებათ ამოსული რესტორნები.  
— შენ რა ვადარდებს?

— თუ ნებას დამრთავთ, დღეს მე გავუმასპინძლდები. შინ გავამზადებინებ პურმარილსა, ოჯახში უფრო გემოს ჩაატანენ, კაი გემოწმინდა ღვინო მაქვს, მშვენიერი მებგრული ვარიები მყავს, კიტრი და პამიდორი კარწინ მომეკრიფება, ქარვისფერი წიწაკის მწნილიც მეგულება, ახალი გამომცხვარი დედასპური, ხაჭაპურებს დავაცხოზინებ, კაი სამწვადესა და სახაშლამესაც ვიშოვი და მეტი რაღა უნდათ!

ხეთისო დაფიქრებულა, ოჯახის შეწუხებაზე უყოყმანია.  
ანტონს დაუთინებია.  
გამგე დაჰყაბულებია.

სტუმრები სადავიდარაბოს არას წასწყდომიან, აღრე მოუთავებით შემოწ-

მება, გამოსამშვიდობებლად გაუწოდებიათ ხელი.

ხეთისოს „თითო კიქის“ დალევა შეუთავაზებია.

სტუმრებს ხელეები გაუტატანებიათ. მასპინძლები არ მოშვებიან და დაუყოლიებიათ.

თავის ოჯახისაკენ გასძლოლია ანტონ ბაბუციძე.

სუფრა გარეთ გაუშლევინებიათ გადაჩარდახებული ხეივნის ქვეშ.  
ხეთისო უთამალებიათ.

თამადას დიდი ენაწყლიანობა არ გამოუჩენია, თითო სადღეგრძელოზე ორიოდ სიტყვა უმყოფინებია, ისიც ულაზათოდ და უგერგილოდ უთქვია, დაცლით კი, ყველა დაუცლია, არც სხვებისათვის დაუტრვებინებია არც ერთი წვეთი.

აუჩქარებლად მიჰყოლიან. კარგა შექეფიანებულან, მალე გაშინაურებიან და გასთამამებიან ერთურთსა. სხვები აჰიკიკიებულან, გახალისებულან, გასიტყვაუხვებულან, ხეთისო კი ისევე ხეთისოდ დარჩენილა, სამაგიეროდ, ანტონი დაღვრილა ღიმილად, ენად გაკრფილა, ხეთისოს დანაკლისი სიტყვაიც იმას მიმატებია, სტუმრებთანაც თავისუფლად მოქცეულა, თავისებურად გამხიარულებულა, ნაირ-ნაირი სათქმელი გაურევია, მართალი ამბებითაც გაუხალისებია და ანეგლოტ-გამონავონებითაც. სულ სასიამოვნო სათქმელი ურჩევია, ფერად-ფერადი სიტყვებით მოურთავმოუკაზმავს, მიმიკა-მიმოხვრითაც გაულაზათიანებია.

სასურველი სტუმრების გულში მასპინძლის სიყვარულსა და ნდობას შეუღწევია.

ქეიფი რიგზე წასულა, რა ესწავლებოდა ან მასპინძელს, ან თამადას. ბევრი სადღეგრძელო ჩამორიგებულა.

სტუმრები სათითაოდ დღეგრძელებულან.  
ჯერ ბატონი სარდლიონისა თქმულა.

**გიორგი სორგაშვილი**  
შავი გული



თამადის მერე მასპინძელი წამომდგარა თვითულის დღეგრძელობისას.

მართალია, პირველად შეხვედრია იმ სტუმრებს, მათი ვინაობა არა სცოდნია, მაგრამ მაინც მოუხერხებია ორიოდ სიტყვის ასხმა. თავისებურად გაულაზათიანებია, აუზიზილიბილოებია, გაუფერადებია, გაუსურნელოვანებია.

ჯერი თამადის დღეგრძელობაზე მიმდგარა. ჯერ სტუმრებს დაულოცია, ბოლოს ანტონი წამომდგარა.

— მეგობრებო, ბატონი ხეთისო რაც არის, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ. მაგრამ ვიცი თქვენთვისაც სასიამოვნო იქნება, გავიმეორეო ის ექვემოთხანელი ქეშმარიტება, რომ ხეთისოზე ერთგული, თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული, უსპეტაკესი და უგულთბილესი ადამიანი მხოლოდ ჩვენს ქალაქში კი არა, მთელს ჩვენს ქვეყანაშიც ძნელად მოიძებნება. ვინც კი მას იცნობს, ყველა პატივს სცემს, ესიყვარულებიან და ემოწიწებიან. ბატონი ხეთისოს მზეს ფიცულობენ თავისი თანამშრომლები, დაწყებული ჩემგან, დამთავრებული უბრალო დამლაგებელით. უაღრესად ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბატონმა ხეთისომ თავის გულსუფთა კოლექტივში მიმიყვებლა, ჩემს თავზე ლაპარაკი სასტიკად მძულს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვითხრათ. ბატონ ხეთისომ კარგად იცის, და მინდა თქვენც გაცნობოთ, რომ ჩემი გული თითო ბავშვივით შეურყვნელია, მთის თოვლივით სპეტაკი და ანკარა წყაროსავით წმინდა, მისანდობი და უღალატო. და მე დიდად მოხარული ვარ, რომ ამ დიდი კაცთმოყვარე, უსპეტაკესი ადამიანის ჩრდილის ქვეშ შევეფარე, მის გრილოში ვარ. ვერ დაგიმალავთ, ჩემო მეგობრებო, ბევრ კოლექტივში მიმუშავებია, თბილი მზერა და ტბილი სიტყვა არ მომკლებია, მაგრამ გული არ გამჩერებია, უმაღვე ამომიყვანია და ვერ შეგვუბივარ გულბოროტებას, სიტყვამარუდობას და ხელტუქყიანობას. ფარისეველი, მოჩვენებითი, გულტუქყიანი კაცი, რომელსაც

თეთრი კბილი და შავი გულე კვდილივით მძავს. ბატონი ხეთისოსათი კაცია, გული რომ არა გქონდეს, ჩაგიდგამს, სიყვარული რომ არ იცოდეთ, გასწავლის, მღვრიე გუნება რომ გქონდეს, დაგიწმენდს; სულის ტკივილები რომ გაწუნებდეს, განგკურნავს, არა ადამიანს ვაგაადამიანურებს... იმ დედის სულს ვენაცვალე, რომლის ძუძუებმაც ეგ გაზარდეს და რომლის კალთაშიც მოშუშულა, რომელსაც აკვანში მწოლიარისათვის დაუძღვრებია ქართული ნანა!.. ჰოდა, ვინც ბატონ ხეთისოს უღალატოს, თუ მართლა არსებობს, საიქიოში ჯოჯოხეთის კუბრი არ ასცდეს. ის ენა დადუნდეს, რომელსაც თუნდაც ერთი აუგი სიტყვა მოადგება სათქმელად, ის გული უნდა ამოიგლიჯოს, რომელმაც თუნდაც იოტის ოდენა ღალატი გაივლოს. ის თვალები უნდა დაიშანთოს, რომლებიც აღმაცერად შეხედავს ჩემს ხეთისოს.

რახან ამდენი გავბედე, თავს იმის უფლებასაც მივცემ, რომ ჩემს ხეთისოს ერთი მაინც ვაკოცო! — და სავსე ჭიქიანად ხლებია. ჯერ შუბლზე მოხვევია, მერე უღვაშის კიდზე უკოცნია.

ხეთისოსაც მორიდებით და ცივად მოუცმატუნებია მსხვილი ტუჩები.

პატივცემულ სტუმრებს თითქმის მთლიანად ურწმუნებით ანტონ ანგელოზოვიჩის ნათქვამი. ეს რა გადასარევი კაცი ყოფილაო, ერთხელ კიდევ წამოუქაზიანათ.

ხეთისოს კი დიდხანს უწონია გონებაში თავისი ხელქვეითის სიტყვები და საქმენი. ბევრი რამ უკან გამოუდევნებია, მაგრამ ერთგულებასა და სიწრფელებაში მაინც დაჯერებულა. ურწმუნია და დამადლობებია, ოღონდაც ერთხელაც არ დასცდენია სამადლიერო სიტყვა, მხოლოდ გულში უთქვამს და თავის დარხევით უგარძნობინებია.

იმ გრილ ჰაერზე და მამებელ გარემოში ქეიფი გასტკობიანათ და თითქმის შუალამემდე გაუჭეჯილებიანათ. დამთავრებისას უფრო ვასცხოველებიანათ ერთ-





ურთის სიყვარული. დამშვიდობების სადღეგრძელოები ვახტანგურად დაუღვიათ მასპინძლის გულის ქაილითა. დაცალკევება-დაშორიშორების სინანულიც უთქვიათ, საკვლად შეხვედრის იმედი უღვივებიათ. ყველაზე მეტად ზალისად დაღვრილ მასპინძელს გამოუხატავს დამთავრება-დაცილების წუხილი. გულის ნათესავევით მოჰკიდებია, ყელგამოწევით შეხვეწნია დარჩენაზე. რაკი ვერ დაუყოლიებია, კვლავ მიუძაღებია სასამისები, ერთი სადღეგრძელო კიდევ უთხოვნი, ეგ გულვაც შეუსრულდებიანებიათ, იმ ოთხი კაცის შორის ამონათბული სიყვარული უღდეგრძელებია, არც იმჯერად დაუტოვებინებია წვეთიც კი არავისთვის. საღვთისმშობოზეც დაუყოლიებია წამოშლილი სტუმრები. მათს საპატივსაცემოდ სიმღერაც წამოუწყვია, ხელი გადაუხვევია და ისე ამოუღმერებია:

„რერო, სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო, თქვენ რომ არ მეგულებოდეთ, რერო!“

ახლადგაცნობილები თამამად აპყლიან, სხვა სიმღერებიც შეუტოლქმარებიათ. ხეთისოსაც წაუღიღინია, ოღონდაც გულში.

ანტონი სათითაოდ გადახვევია სტუმრებს, გამეტებით გადაუტოცნია, განაერთხელ და ორჯერა, ტუჩზეც, ნიკაპზეც. თანაც დაუტანებია, თქვენს სიყვარულს გულში ვერ ვიტევ და რა გიყოთო. ხეთისოსთვის უფრო მეტი უკოცნია, შენთან უფრო ძლიერი და მარადიული სიყვარული მაკავშირებსო, სტუმრების არგასაგონად წაუჩუჩულებია.

დამშვიდობებია და პირობა ჩამოურთმევია, რომ მალ-მალე მოაკითხავდნენ, როგორც მეგობარსა და ღვიძლ ნათესავსა. სტუმრებს თავის რხევით გამოუხატავთ მადლობაც და თანხმობაც.

ეგრე დიდი სიყვარულით და სინანულით გაუსტუმრებია, გული თან გაუყოლებია.

ანტონ ბაბუჯაძეს სხვა დროსაც უხვებია თავისი გამგის საქებ-სადგინებელი სიტყვები, მაგრამ ეს ქება პირში არასოდეს უთქვამს. სხვებთან ალიკლიკებულა, ისეთებთან, ვისი იმედცაჰქონია, რომ მის ნათქვამს ხეთისომდეც მიიტანდნენ. გუმანი გამართლებია, ხეთისოს ყურამდე გაუკვლევია ზურგსუკან ნათქვამს და ამას უფრო მეტი ფასი დასდებია.

ხეთისო კვლავ დამადლიერებია მოადგილეს, მაგრამ თავისი მადლიერებათუ სიმპათია არასოდეს გაუმჟღავნებია. უკმაყოფილების გრძნობაც ბევრჯერ ვასჩენია, უფრო მაშინ, თავის გუნებისად რომ ვერ გაუქეთებინებია საქმე. ეს კი ველარ დაუმალავს. მოურიღებლად წაუძმარებია.

8. სიკვდილის კალთაში

I

ხეთისო ისევ ჩაჰკირკიტებდა მოხსენებით ბარათს. უფრო და უფრო იმრუშებოდა. ეტყობოდა, დიდად არ ეპიტნავებოდა ანტონის ნარკვევი. „სად გავგონილა, მგლის ლეკვი ხეთის კრავად გამოჰყავს. ეჰ, მოადგილე რომ საქმეს გაგიმრუდებს, სხვას რალა მოეკითხება, მაგამიც მოვტყუებულვარ!“ — უკმაყოფილოდ არხევდა თავსა.

მდივანმა ახლაც მოწიწებით შეულოკარი. ენის მობრუნება გაუჭირდა თვალცრემლიანს.

გამგემ გვიან ასწია თავი. გაკვირვებით მიაშტერდა და:

- რა იყო, გოგო! — შემოუტია.
- ანტონი... — ველარ მიაყოლა სათქმელი.
- რა, ანტონი?!
- ძალიან ცუდად გამხდარა!
- ძალიან ცუდად?! — შეიცხადა.
- დიას, გაუნძრევლად წევს, თურმე!
- რას ლაპარაკობ! — ფიორის ფერმა გადაჰკრა ისედაც უფერულ სახეზე.

გიორგი სოროზაშვილი  
შავი გული



გოგოხა თავდახრილი იდგა და იცრემლებოდა.

— რა დამართვია, გოგო! — ისე შეუტია, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს.

— არ ვიცი, ბატონო ხეთისო, უკანასკნელ დღეშიაო.

— უპ, ეგ რა თქვი! — გულზე ეცა ხეთისოს. უსიამო გრძნობამ მოშხამა. ქალადებით დამძიმებული მაგიდა ეგრევე მიატოვა. წამოსასვლელად წამოიყაყვა, ტელეფონის გაჭკრიალებამ შეაყონა, ქალაქის თავკაცი სასწრაფოდ იხმობდა თავისთან. ხეთისომ უგემურად უპასუხა: ეხლავეო, მწყრაღად დადო ყურმილი, „სახუმარო საქმე არ ყოფილა!“ — თავისთვის ჩაიბუტბუტა, უკმაყოფილოდ გამოიჯახუნა კარები და ჩქარჩქარა დაეშვა კიბეებზე. მანქანაში ჩაჯდა. გადაჰქართულდა თუ აუცილებლობად აღარ ჩასთვალა, ქალაქის თავკაცს აღარ ეახლა. პირდაპირ ავადმყოფის სახლისაკენ უბრძანა შოფერს.

მიჰქროდა და მოადგილეზე ეფიქრებოდა.

ეს ნირშეუცვლელი, მძიმე ხასიათის კაცი, ერთბაშად გამოცვლილიყო. კარგა ხნის დანაღეი წყენინობა, სიამოვნება თუ უკმაყოფილება, გულზე რომ ჟანგივით მოჰკიდებოდა ანტონისაგან, მთლად გადაეყარა და მხოლოდ კარგი ეხატებოდა, თვალწინ დასდგომოდა გულდაწმენდილი, უბიწო და უმანკო ადამიანი, რომელიც მუხლებზე ესვა კბილებდაკრეპილ სიკვდილს და თოთო ბავშვივით ათამაშებდა. ეცოდებოდა, ძალიან ეცოდებოდა და ეაფსუსებოდა საიმისოდ.

მანქანა ანტონის ეზოში დამუხრუჭდა.

ხეთისომ ფეხმოჩქარებით აათავა კიბის ხარისხები.

ქაქანი თ შევიდა შიგნით.

დიდ ოთახში მეზობლები ხორხორებდნენ. თვალკრემლიანნი, სახედაღრუბლულნი მისჯარუოდნენ და ცნობისმოყვარეობით ყელყვლაობდნენ. მეორე

ოთახისაკენ მიეპყროთ თვალს დაწვრი. ავადმყოფის მდგომარეობის გაგება ეწადათ, მაგრამ საიმედოს ვერასტყობილობდნენ.

სმენაღქცეული კრებული შეირხა და ახალშემოსულისაკენ მოაბრუნეს ნაღვლიანი სახეები.

— რა დაემართა? — თითქმის ჩურჩულით იკითხა კარის ზღურბლზე შეყოვნებულმა ხეთისომ.

— გულმა უღალატა, გულმა! — დაბლავე უპასუხა იქვე მდგომმა.

ხეთისომ მძიმედ გაიქნია თავი და კრებულის გარღვევას შეეცადა. გაჭირვებით შეაღწია ავადმყოფის ოთახში. სარეცელზე გაქვავებულ ანტონს რომ დახედა, მიწის ფერმა გადაჰკრა.

ისედაც გამხდარი ავადმყოფი უფრო მიმპქნარიყო. გარინდებული იწვა და თითქოს მის თავს არაფერიო, რაღაც გამოთავყვანებულის, უღარდელის გამომეტყველებით მისჩერებოდა ჰერს. ეტყობოდა, გონებაც მილეოდა და გრძნობაც.

კაცი, რომელიც სიხალისესა და ღიმილს ჰკვრიდა დამნახავს, ახლა გულში ნაღველს უწვეთებდა ყველას.

გარშემო მყოფნი დარდიანად დასცქეროდნენ. დედაც უხმოდ იცრემლებოდა და მეუღლეც. მხოლოდ ექიმი და თანმხლები ექთნები ფაციფუტობდნენ.

ხეთისოს გზაც დაუთმეს და სკამიც. ჩამოჯდომა არ ისურვა.

— როგორაა საქმე! — ძლივს გასაგონად ჰკითხა ექიმს.

თეთრხალათიანმა ტუჩებზე თითების მიღებით ანიშნა: გაჩუმიდო.

ხეთისო მოქამული დასცქეროდა ავადმყოფს.

ანტონმა გაჭირვებით გადმობრიცა ჩალურჯებული თვალები და დუნედ მიმოავლო გამგეს. ქუთუთოები შეანძრია ოღნავ და ისევ ჰერს მიაშტერა უღონოდ.

— გიცნო, ბატონო ხეთისო! — თვითონ ექიმმა დაარღვია დუმილი.

— ეეპ! — ღრმად ამოიხრა ხეთისომ.



ხალხი გასუსულიყო და ხან ავად-  
შყოფს მიაცქერდებოდნენ და ხან მის  
უფროსს.

ნაღვლიან სიჩუმეში ანაზღად შემოი-  
ჭრა სიმღერა:

„პატარა ბიჭი ვიყავი,  
პატარა ჩოხა მეცვალ...“

ეს გელას ხმა იყო, ანტონის ბოლო-  
ლა შეილისა. ჯერ ხუთი ვარდობისთვეც  
რომ არ მოლევოდა. სულაც არ ეპიტნა-  
ვებოდა ან მამა რა დღეში იყო, ან მი-  
სი მახლობლები. მისი გონება ვერც  
მიმწვდარიყო, რა უბედურება დასტე-  
ხოდათ თავსა. პირიქით, უხაროდა კი-  
დეც, ამდენი ხალხის ჩოჩქოლი და ჯო-  
ხის ცხენით დაჯირითობდა ეზოში.

— გაჩუმდი, გელა! — აივნიდან გად-  
მოუცაცხანა ვილაცამ.

ის კი ჭირითსაც განაგრძობდა და  
სიმღერასაც:

„პატარა გოგო მიყვარდა,  
წითელი კაბა ეცვალ...“

სიმღერა ეხლახან ესწავლებინა მამას  
და უცნაურად აკვირებოდა. შინ და  
გარეთ სულ მაგას მღეროდა. ერთ წამს  
ყველას მიაფიწყდა ავადმყოფი და გე-  
ლას მიაყურადეს.

ხეთისოსაც დაუდგრომელი ბიჭუნა  
დასდგომოდა თვალწინ და მის სიმღე-  
რას იმეორებდა უნებურად. ფანჯრიდან  
თვალღიწორდ გასცქეროდა უსასრულო  
სივრცეს და ფიქრობდა: „ეჰ, რა დიდი  
ცოდვა იქნება ამის დაობლება!“

იქ მყოფებმა ისევ ავადმყოფისაკენ  
იბრუნეს სახეები.

მწოლიარის დახშულ ყურშიც შედ-  
წეულიყო შეილის წკრიალა ხმა, განძ-  
რევით არც ახლა განძრეულა, თვლები  
კი მიმოატრიალა, გაუწვეთიანდა და  
უღონოდ მოწყვეტილი ცრემლი ჩაუ-  
ვებდა უბეში.

— გაიგო ამ საცოდავმა! — წაიფშ-  
რუქუნა მეუღლემ.

— როგორ უყვარს შეილები! — ჩურ-  
ჩულით დაუმატა ვილაცამ.

— სსს! — მაშინვე ჩააჩუმა ექიმმა.

ხალხი სიბრაღულით დასცქეროდა  
ავადმყოფს.

„ამის სიკვდილი დიდი უბედურება  
იქნება ოჯახისათვის!“ — კვლავ ავი  
ფიქრი მოენისლა ხეთისოს და უარესად  
მოიმრუშა.

დალლილი ექიმი გარეთ გამოსასე-  
ლელად წამოდგა. ექთნებს ანიშნა ავად-  
მყოფს მიმიხედეთო.

ხეთისოც გამოჰყვა.

— ეჰ, — ამოიოხრა ექიმმა და პაპი-  
როსი გაიჩარა ტუჩებში.

— რას ატყობ?! — ხარბად მიაცქერ-  
და ხეთისო.

ექიმმა უიმედოდ გაიქნია თავი.

— არ მობრუნდება, ბატონი ავქსენ-  
ტი?!

— შენი და ჩემი მტერი მობრუნდეს  
ეგრე!

ხეთისოს გულს ბრჭყალებივით ჩა-  
მოჰკრა ავქსენტის სიტყვებში.

— ხვალინდელი დღე თუ გაუთენდა,  
ეგვეც დიდი ბიჭობაა.

— რისი ბრაღია, ბატონო ავქსენტი?!

— რისი ბრაღია, ჩემო ძმაო და, მტკა-  
ველის სიმაღლე ქიქებს რომ ვურტყამთ  
ხოლმე, ის გვიშვრება ყველაფერს!

ხეთისომ ტუჩები ამობრია და თავი  
დაიქნია.

— ერთმანეთს რომ ვეხოცებით, აი რა  
მოსდევს! თუ გიყვარვარო, თუ ჩემი ხა-  
თრი გაქვსო, ეგ ქიქაც დამილიეო, თუ  
შენი ხათრი აქვს, აბა, მობრუნდეს! —  
მწარე ღიმილი გადაივლო ექიმმა.

— მე ჯერ კაციშვილისათვის არ მით-  
ქვია ეგეთი რამ.

— საერთოდ ვლაპარაკობ.

— ეჰ, რამდენს ვეუშლიდი ხოლმე და  
ვერ დავაჯერე. მოუვიდოდნენ ძმაკაცე-  
ბიცა და აღარ მოეშვებოდნენ.

— ჰოდა, სად არიან ის ძმაკაცები,  
მოვიდნენ, უშველონ!

ხეთისომ წარბი შეიკრა.

— ასეა, ჩემო ძმაო, რამდენი მაგა-

**გიორგი ხორვათაშვილი**  
ზავი გული



ლითი გვიდევს წინ და ჰკუა ვერ ვის-  
წავლეთ. ძალად ვხოცავთ ერთმანეთსა!  
— ექიმმა მაგრად გამოქაჩა პაპიროსი.

— რა ეშველება?! — წუხდა ხეთისო.

— რა ვიცი, რაც შემეძლო, ვიღონე  
და... — მხრები აიქნია ავქსენტიმ.

ხეთისომ თავი ჩაქინძრა. რალაცის სა-  
თქმელად შეაცმაცუნა ტუჩები, კარგა-  
ხანს აწვალა სიტყვა და უღონოდ შეე-  
კითხა:

— პროფესორი რომ ჩამოგვეყვანა,  
ბატონო ავქსენტო?! ბევრის ჰკუა მაინც  
სხვა არის, რალაცა იმედია! — თან თვა-  
ლებში მიაჩერდა, არ მიწყინოსო.

— ჩამოიყვანეთ, მაგრამ ტყუილად  
გაირჩები და დაიხარჩები! — მართლა  
იწყინა ექიმმა.

— ცდა ბედის მონახევრეაო, ესე ხომ  
არ უნდა შევცქიროთ, როდის ამოუვა  
სული! — კვლავ მორიდებით თქვა  
ხეთისომ.

— გეგულება ვინმე, თუ მოგცე მი-  
სამართი?

— კი, მეგულება, ნაცნობი პროფე-  
სორი მყავს. შეიძლება თქვენც იცო-  
დეთ, ვარლამ აღდგომელაშვილი.

— რავე არ ვიცნობ, მაგრამ...

— აბა, წავედი!  
მანქანაში ჩაჯდა.

— თბილისისაკენ! — უბრძანა შო-  
ფერს.

II

ჯერ ბინაზე მიაკითხა. მოპასუხედ  
არავინ გამოჰგებებია. ინსტიტუტისაკენ  
გაეჩქარა. მუხლების ცახცახით აათავა  
კიბე. კაბინეტის კარისწინ შეიარაქათა  
ისიც გამოკეტილი დაუხვდა.

— ბატონი ვარლამი მინდოდა. —  
უთხრა მისაღებში მჯდომ ვაროენილ-გა-  
შავებულ, წარბ-წამწამ შეღებულ ქალს-  
რომელიც პაწია სარკეში იჰყიტებოდა  
და საღებავს იგლესდა მიმქენარ ბა-  
გეზე.

— ასპირანტის დაცვაზეა! — ისევ  
მოიძარჩვა სარკე და ნართის ძაღვივით  
დაწვრილებული წარბები აიქიმა.

— დაცვა სად არის?  
— დამთავრდებოდა, ბიძია.

— მერე?  
— მერე, არ იცი, სად წავიდოდა?  
ხეთისო მიხვდა. დისერტანტის ბინის-  
მისამართი ჰკითხა.

შავმა ქალმა ეგეც ცივად უპასუხა.  
ხეთისომაც უგემური მადლობა გა-  
დაუგდო და გამოეჩქარა.

მიდიოდა დისერტანტის ბინისაკენ და  
ფეჩქვეშ დედა-მიწა ენგრეოდა, უცხო-  
კაცის შეწუხებას სიკვდილივით ერიდე-  
ბოდა. მერე რა პირობებში! მაგრამ რად-  
გან საქმემ ასე მოიხდინა, რიღსა და-  
კრძალვას უნდა სძლიოს. ამ ჰიდილით-  
აუყვა კიბეს.

ზარის ღილაკს დააჭირა თითი.  
— მობრძანდით! — გამოეგებნენ ხელ-  
გაშლილი მასპინძლები.

სტუმრად იგულეს კარს მიმდგარი.

— არა, მოსაბრძანებლად არ მოვ-  
სულვარ. დიდ ბოდიშს ვინძი. პროფე-  
სორი ვარლამ აღდგომელაშვილი მინ-  
დოდა.

— ჯერ არ მობრძანებულა, სხვანიც  
ბევრი არიან მოსასვლელნი.

— არა?! — სახე დაეღრუბლა.

— მალე გამოჩნდება. შემობრძანდით,  
აქ დაელოდეთ!

ხეთისო დაემადლობა.

ეზოში დაცდა არჩია.

ყოველი მანქანის მისრიალებაზე  
თვალეზი გაუფართოვდებოდა, შორი-  
დანვე მოეღანდებოდა პროფესორი,  
გული მოენამებოდა, სხვა გამოდგებო-  
და, ისევ შეიპყრობდა წუხილი.

აგერ, ის კი პროფესორი ვარლამია.  
აღლომ არ უმტყუნა, სახეზე სიხარულ-  
მა გადაუთამაშა. ღიმილი შეაგება. პრო-  
ფესორი თავისრხევით მიესალმა და უხ-  
მოდ ჩაუარა.

— ბატონო ვარლამ!

— პროფესორი შეყოვნდა. ხელმეო-  
რედ დაუკრა თავი.

— მაპატიეთ, ვერ გიცანით!  
ხეთისომ სახელი მოაგონა.



— აა, ხეთისო, ხეთისო... როგორ ზრძანდებით.

— მე არა მიშავს-რა...

— თქვენი გამოგზავნილი კომშის სურნელება ისევ მიტრიალებს სახლში... — კრიალა ტუჩები მოიწკლაპუნა პროფესორმა.

— წელს უკეთესი მისხია.

— კიდევ ხომ არ უჩივი რამეს?

— არა, ჩემი ღმერთი გამოდგეკით.

— აბა რამ შეგაწუხა?

— ჩემი მოადგილეა ცუდ ღღეში, ახალგაზრდა, ძვირფასი კაცი.

— რა დაემართა?!

— არ ვიცი, მგონი გულმა უღალატა.

— უჰ, — თავი გაიქნია.

— სამწუხაროა, მაგრამ რა ვქნა! არც ამ საქმეს ეღალატება. ჩემი ასპირანტია და რომ მივატოვო, ვაი, თუ გაიშხამონ დესერტაცია!

— ბატონო ვარლამ! — მუდარით შეხედა.

— გასაგებია! ათიოდე წუთს მადროვე. ერთი სადღეგრძელო მაინც ვუთხრა, დაიცდი?!

— ჭაში ჩავარდნილისა არ იყოს, მეტი რა გზაა.

პროფესორმა სიტყვა არ წააქცია. ორიოდე სადღეგრძელოს მერე მოუბოდიშა მესუფრეებს და იმ დაპირებით, რომ მალე გეახლებითო, იქაურობა დატოვა. ორი კოლეგაც გამოიყოლა.

ორიოდე საათში ავადმყოფთან გაჩნდნენ.

მოვიდნენ, იმედი მოიყოლიეს. დამშვიდებით გასინჯეს, გულდაკაწრულნიც დაამშვიდეს, ეგ არაფერია, მაგაზე უარესები გამოგვიბრუნებია საიქიოდანაო.

დარწმუნების კილოთი თქვეს, მაგრამ თვითონ არა სჯეროდათ.

ეგ უიმედობა მხოლოდ ხეთისოსა და აქვსენტის გაუმეღავენს.

— მეც ხომ ეგრე ვიმარჩიელე! — შუბლი შეიკრა აქვსენტიმ.

— ეგ მარჩიელობა არ შევლის საქმესა, — თავპირი ჩამოსტიროდა ხეთისოს,

პა, რას იტყვით, ბატონო ვარლამ, დაეღრიჯა.

— მართლა მძიმედ ყოფილა. სააქაოს პირი არ უჩანს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას უნდა ვეცადოთ.

— შენი ჭირიმე, პროფესორო, ძალიან უნდა მოინდომოთ! — შეეხვეწა.

— ჩვენ კი მოვინდომებთ, მაგრამ...

— ეგება პერსანტინმა გვიხსნას! — ჩაერია კოლეგა.

— სად იშოვნიან, თორემ იმედის ნაპერწკალია! — დაუმატა მეორემ.

— თუკი ქვეყანაზე არსებობს, უნდა ვიშოვოთ! — მძიმედ თქვა ხეთისომ.

— ქვეყანაზე კი არსებობს, მაგრამ აფთიაქში ვაწყვეტილია.

— აბა, სად მიაგნებს კაცი!

— მგონი, აეროდრომზე მოულობენ ხოლმე, გაკითხვა უნდა.

— წავალ! — მტკიცედ თქვა ხეთისომ.

— ცეცხლის ფასს ადებენ თურმე ის ცეცხლგასაჩენები.

— ფასი რაღა საკითხავია, როცა ადამიანის სიცოცხლე სასწორზეა. სამავისოდ მოხერხებული კაცია საჭიროო და მარიფათიანი ბიძაშვილი გაიყოლია აეროდრომზე.

ბედმა არ უმტყუნათ.

გულმოჩქარებით მოქროდა ავადმყოფისაკენ. გუნებაც გამოსადარებოდა და ჩუმი, ძლივს შესამჩნევი ღიმილი უკროთოდა გაუცინარ სახეზე.

ნაცნობი პროფესორი ხშირი სტუმარი გაუხდა მწოლიარე ანტონ ბაბუციძეს.

III

ავადმყოფმა მოიხედა.

ლოგინს კარგა ხანს ველარ დააღწია თავი, მაგრამ უწყლობით მიმტკნარი, ყვავილივით ფერმიხდილს დალოცვილმა სიცოცხლემ უხვად მოანამა თავისი უებარი ცინცხალი. გული აუბიბინა, ფერი მისცა, თვალის კილოები დაუბუს-

გიორგი ნორგაუაშვილი  
შავი გული

ხა გასაშლელი კვირტივითა, სიხალისე მოეძალა, კვლავინდებურად სასიამოვნო გახდა მასთან ყოფნა. აკი ნახვას არც აკლებდნენ ნათესავ-მეგობრები, რომლებიც ესოდენ გაიმრავლა ანტონმა.

მნახველებს დაულოცველად როგორ გაუშვებდა და ჩვეულებად აქციეს ავადმყოფის საწოლის გვერდით პატარა მაგიდის მიმარჯვება და სახელდახელო სუფრის გაშლა. სავსე ჭიქებით ლოცავდნენ გულშემატიკივარნი და კეთილის მსურველნი. ესე მტერი დაგეცალოსო, კვლავ დააქნევდნენ დაცლილ სასმისს. ანტონი ჭიქითვე უხდიდა მადლობას, მაგრამ პირზე აღარ იკარებდა სასმელს.

— ერთი, ერთი, მალე წამოდექი და ყინწვისში უნდა გადავიხადოთ საღმრთო. თამარ მეფის თანდასწრებით უნდა ვთქვათ შენი საიქიოდან მობრუნების სადღეგრძელო — იქადნიდნენ ძმაკაცები.

— საღმრთოს მე ვიხდი, მე! — ჩეპასუხებოდა გახარებული დედა.

ღიმილი დაუბრუნდა მეუღლეს.

გამხიარულდნენ შვილები.

პატარა გელას აღარავინ უშლიდა სიმღერას. გვერდში მოისვამდა ავადმყოფი მამა და ახალ-ახალ ლექსებს აზეპირებინებდა.

ავადმყოფის მობრუნებით ზეთისოსაც გული მოენამა.

„უპ, რახან მაგას ასცდა უდროო სიკვდილი, ვითომ ჩემთვის უჩუქებიათ სიცოცხლე, ისე ვთვლი!“ — ჩაიბუტბუტებდა ზეთისო.

თავისთავს ემადლიერებოდა, რომ მცირედი წვლილი მიიწვია იგივე ერთი კაცის გადარჩენაში. სულიერ სიმშვიდეს გრძნობდა. გულიც ვასთამამებოდა და გახალისებოდა, ამაყად დაბიჭვებდა დედამიწაზე, მაგრამ ყოველივე ამას, მისი ქუფრი ხასიათის გამო, ოდნავდაც ვერ იმჩნევდა სახეზე.

გული არ უთმენდა. მომგობინებულ მწოლიარეს ხამუშ-ხამუშ მიიწვია მიაკითხავდა.

— შენ გაიხარე ქვეყანაზე, ჩემი უკმა ხარებისათვის! — ხელაპყრობით ლოცავდა ავადმყოფის დედა.

ზეთისო უჩუმრად ემადლიერებოდა.

— ჩვენ თუ ვერ შევძელით, მალაღმერთი მიიწვია გადავიხდის სიკეთესა!

— მაშ, რისთვისა გეჭვიან ადამანები, თუ ერთმანეთს არ გამოვადექით! — ბუტბუტებს ზეთისო.

— თქვენ რომ არა, ახლა შავი კაბით ვიჯდებოდი, ბატონო ზეთისო! — გვერდით მიუჯდებოდა ანტონის მეუღლე.

— რასა ბრძანებთ, ქალბატონო! მე არაფერ შუაში ვარ! — კვლავ თავმდაბლობს ზეთისო.

— რამდენი დღე დაგაქარგვინეთ!

— მე მაგ დღეებს ნაპოვნად ვთვლი.

— ფული რამდენი დაგეხარჯათ, ბატონო ზეთისო! — კვლავ ეკრძალებოდა ქალი.

— არც კაპიცი.

— ჯერ პროფესორებთან რამდენჯერ მომწმინდეთ ნამუსი, აღარ მაცდიდით, რომ მე გამესტუმრებინა, ახლა ის ძვირფასი წამალი...

— ეგ თქვენი საქმე არ არის! — ბოხებით საყვედურობს.

როგორ არ მოუარა ანტონის მეუღლემ, რანიარად აღარ სცადა ვალის გადახდა, მაგრამ ზეთისომ ყველაფერზე ხელები გაუტაცანა. ალალი და უსაყვედურო იყოსო.

— კაცი კი არა, ზეთის სული ყოფილა ჩვენი ანტონის უფროსი! — ყველგან სიამაყით ამბობდა დედა.

— მაგის ოჯახი აშენდა! — ილოცებოდა ცოლი.

ავადმყოფიც მადლიერებით შეხედავდა უფროსს, მაგრამ მალე მოარიდებდა მზერას, ამ ხალისიან კაცს გულზე ლოდი დაწვებოდა და მძიმე ფიქრით გაითანგებოდა.

#### 4. სიცილი უციინარისა

##### I

— ვინც არ უნდა მოვიდეს, არავინ შემოუშვა! — მკვახედ უბრძანა ზეთისომ.

— კი, ბატონო! — აიწურა მაყვალა.



გამგე კაბინეტში შეიკეტა. მაგიდაზე მოიქოხა. ხელმეორედ ჩაეძია საჩივარს. კითხულობდა დინჯად, მოთმინებით.

უჩინარი მომჩივანი საქმეში ღრმად ჩახედული ჩანდა.

„ჰა, გავბედე და ხელი წავატანე კალამს. ვსძლიე დიდი ხნის ყოყმანს, მაგრამ ვთრთი ვითარცა ომში შესასვლელი ახალბედა მეომარი. საამისო ძალაც შემწვევს, რწმენაც დიდი მაქვს, მიზანიც ნათელი, განზრახვა-კეთილშობილური, მაგრამ გული უკანა მწვევს, ავბედითად მეჩურჩულება, რომ მიზნის მიღწევა გაგიძნელებათ, დიახ, დარწმუნება გამიჭირდება იმისი, რასაც ქვემოთ მოგითხრობთ. იმიტომ კი არა, თითქოს ტყუილს მოგახსენებდეთ, არა, ღმერთმა დამიფაროს მაგნიარი არადა-მიანური სენისაგან. წვეთი სიცრუე არ ურევია ჩემს მოკრძალებულ ნათქვამში, მე ვმისობ მხოლოდ იმაზე, რომ შევძლებ თუ არა ოდნე მინც ჩავახედოთ ერთი გაორებული კაცის სულის ჯურღმულეში. კაცისა, რომელიც ყელამდე ამოვსებული ბოროტებითა და დაიარება კეთილისმყოფელის მანტიით, უსირცხვილოდ დააბიჯებს ამ მზიან ქვეყანაზე პატიოსანთა და მართალთა გვერდით... იგი ჩვენი საზოგადოების გამოურწყავი მუწუკია, მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი ზრახვები უტრიალებს თავში და შევბნელი საქმეების დიდოსტატია, მაგრამ, არაფერი შეგეშალოთ, ისეთი გასაოცარი ოსტატობით ასრულებს პატიოსანი და საქმისათვის თავდადებული ადამიანის როლს, რომ ყველა დროის უდიდეს მსახიობებსაც შემურდებოდათ მისი უნარი. ამ ერთადერთ როლს თამაშობს მას შემდეგ, რაც იგი ცხოვრების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულა, ანსახიერებს ისე ნიჭიერად, რომ თავის თავს წარმოადგენს საზოგადოებისათვის თავდადებული, უმწიკვლო და უსპეტაკეს პიროვნებად, დიდსაც და პატარასაც, შინაურსაც და უცხოსაც ამ გრძნობით მსჭვალავს. აფერუმ, მაგის გარდასახვის ნიქსა!

„...მის შემყურეს, ღმერთო შეგეცოდე, ხანდახან გამკრავს შავი ფეხები რომ ეს ცხოვრება ყოფილა უზარმაზარი თეატრი, რომლის ავანსცენაზე ადიანვერაგი ადამიანები და უსირცხვილოდ წარმოსახავენ სიკეთისა და სიმართლისათვის მებრძოლთა სახეებს და თვალახვეული მაყურებლები აღტაცებით უკრავენ ტამსა... ხოლო ვისაც დაკვირვებით ჩაუხედია და გამოუცნია მათი ფარისევლობა, დიდი სულიერი ტრავედისის მორევში ჩავარდნილა... და მეც, თქვენს მონა-მორჩილს, ეგ ბედი მწვევია...“

„ამ სტრიქონებს გიწერთ იმ გაორებული კაცის სულის ჯურღმულეში ღრმად ჩახედული, მაგრამ მეტისმეტად მორიდებული ერთი მორცხვი და უთქმელი კაცი, რომელსაც არამც თუ საჩივარი, უბრალო მოკითხვის ბარათიც არ დაუწერია არასოდეს. ენატანიაობა კი არა, ჩვეულებრივი ზედმეტი სიტყვაც კი მძულს. მაგრამ ვატყობ, უთქმელობას დალუპებამდე მივყავართ. კარგა ხანია დიდი სათქმელი მაწუხებს, მაგრამ იმ თევზისა არ იყოს, პირი წყლითა მაქვს სასვე.“

„მაგრამ როდემდის ვითმინო, როდემდის, ჩემო კეთილნო!

„პირად ამბებს რომ ეხებოდეს, ვინ უსინდისო, ხმას ამოვიღებდი, მაგრამ საზოგადოებრივი ტკივილი მაწუხებს. ჩემი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ხალხისადმი პატივისცემის დიდი გრძნობა, პარტიისადმი ერთგულება, კომუნისტური სინდისი და ადამიანური მოწოდება არ მასვენებს, რომ ორიოდე სიტყვით მინც არ მოგახსენოთ ჩვენს თავს დამტყდარი დიდი უბედურების თაობაზე. ვიცი გამიძნელებათ, ძალიან გამიჭირდება პატიოსნების ნიღბი ჩამოვხსნა ამ ყოვლად უნამუსო და უპატიოსნო კაცს, ანტი საზოგადოებრივ და ანტიკომუნისტურ ელემენტს. მაგრამ მინც ვბედავ რამეთუ წინ მი-

**გიორგი სოგუაშვილი**  
შავი ბული



ძღვის იმედი: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“...

„მალალო ღმერთო და ძლიერო ბუნების ძალავ, თქვენ შემეწიეთ, რომ მცირეოდენი მაინც ვთქვა იმ დიდი სიმართლისა, რაც ესოდენ ფრიად საიდუმლოებით არის მოცული და რაც მხოლოდ მე და ამ საქმეში ჩახედულმა ორიოდ კაცმა ვიცით.

„ჩვენს“ დიდად პატივცემულ“ უფროსზე მოგახსენებთ.

„ჯერ ის იკითხეთ ვისი ნაშეირია, პეპერადან მოკიდებული შვილოშვილებამდე მოსული — ყველანი ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა ელემენტები არიან, მაგის მისხის მისხსაც კი მომწამლაგი, შავი სისხლი უთუხთუხებს სხეულში... შორეულ წინაპრებზე თავს შევიკავებ, რადგან სარწმუნო წყაროები არ გამაჩნია (ძალიან მკაცრი ცენზორი ვარ ჩემი თავისა, თუ დანამდვილებით და დაზუსტებით არ ვიცი, კრინტს არ დავძრავ), პაპის-პაპაზეც ბინდ-ბუნდად ვიცი, რომ არასასიამოვნო ტიპი ყოფილა, პეპერა ხომ, მთელმა ახლო-მახლო სოფლებმა იციან, ერთ გარყვნილ-გათახსირებულ ვინმედ ცნობილა, საწყალი გლეხის გოგო შეუცდენია ცოლად წაყვანის პირობითა და ნახმარ-გაცვეთილი ფესაცემლივით მიუგდია, პაპას რევოლუციონერად მოპქონებია თავი, წითელ რაზმშიც შესულა თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი რევოლუციონერების საწინააღმდეგოდ უმოქმედია და ფლატისძირის იარაღის არაღეგალური ქარხნის არსებობა რომ ვასცეს, რის შედეგადაც მრავალი წითელრაზმელი დაიღუპა, ეხლა ირკვევა, რომ პირველად იმის პირთა თქმულა და რომ თავისი იუდაობა შეენიღბა, თვითონაც დაეჭვრინებინა მთავრობას. მამა ხომ ქვეყანამ იცის, პირწავარდნილი მენშევიკი იყო. იმ არსახსენებელთა ბატონობის ხანაში რაიონის მთავრობის ერთ-ერთ ალიარებულ ლიდერად ითვლებოდა და საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც ვერ მოეგო ტკუას, მიხეილ ბიბილაშვილის ბანდაში

ფალავნად ითვლებოდა და ლიდერობდა ოცდაათი წლის სისხლივით ლეშში.

„მაგისი ნათესავების უმრავლესობაც ანტისაბჭოთა ელემენტები არიან. იქნებ, ბევრმა არც კი იცის, მაგისი უფროსი ძმა ოცდაჩვიდმეტ წელში რომ მოთოკეს... და არც თუ უსამართლოდ. პირველი ცოლის ღვიძლი ბიძაშვილი ოცდაათ წელში გაიქცა საზღვარგარეთ, გასაგებია რატომ და ახლაც დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი უკუღმართი ნათესავი ავადმყოფობასავით გარეგია საბჭოთა ხელისუფლებას...

„თვითონ ხომ ნულარ იტყვიან... წითელი მანდატი უღვეს ჯიბეში და ტრახახობს კიდევ თვრამეტი წლისა შევედი პარტიის რიგებში, ნამდვილად კი თავიდანვე ბოლშევიკების ხაზის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. კომკავშირულ უჯრედს ედგა სათავეში და რაღას არ სჩადიოდა ხალხისა და სოფლის საწინააღმდეგოდ. ახლო-მახლო სოფლებში რომ ჩვენი წინაპრების ნახელავი ხელთუქმნელი ძეგლები დაინგრა, მაგის „ვაჟკაცობას“ უნდა „ეუმადლოდეთ“. ხეთისშობლის ეკლესიაში პირველმა მაგან ჩამოანგრია უბრწყინვალესი ჩუქურთმები და ვადასარევი ფრესკები, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატორად გამოდიოდა, გლეხებს ძალით ერეკებოდა არტელში, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში და აბუნტებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აკი ბოლოს მაინც გაუგეს. მალული მფარველი რომ არ გამოსჩენოდა, ვერ გადარჩებოდა სამართლიან რისხვას. რატო ფეხქვეშ დედამიწა არ ეწეის, რომ მაგის მავიერ სხვა დახვრიტეს და ეგ ახლაც დაფარვაშობს ამწვანებულ გზაზე...

„პარტიას და სამშობლოს არც სამამულო ომში დააყარა სიკეთე, ჯერ საერთოდ გვიან წავიდა ფრონტზე, ექვსიოდე თვეს იომა, ვითომდა, ორდენეზიცი კი მიიღო!! და როცა ყველაზე მეტად უჭირდა ჩვენს დიად სამშობლოს,





სწორედ მაშინ უღალატა და ორივე ხელი აუწია პირისხლიან მტერს. ჰოი, საოცრებავ! მამაც პარტიზნადაც კი ხატავენ. ვითომდა საფრანგეთის მიწაზე ებრძოდა ფაშისტებს. რაღა არ დააბრალებს და დაწერეს კიდევ: ტყვეობიდან გაქცევად, ფრანგ პარტიოტებთან მჭიდრო კავშირის დამყარებაო, ტანკების აფეთქებაო, ეშელონების მოსპობაო, პეტენის გენერლის დატყვევებაო. ჩამოვიდა და ამ უწმინდეს თანამდებობას ამოფარებული უდიდეს უწმინდურებას სჩადის.

„მაგის „კაცობა“ ერთი შეხედვითვე გამოიცინება.

„სახეზე დიმილს ვერ დაუნახავთ ვერასოდეს, ერთთავად დაზაფრული დიდის, თითქოს ხალხსაც გაბუტვია და მთავრობასაცაო. გულჩახვეულობა ხომ ჩვენ სოციალისტურ სინამდვილესთან შეუთავსებელია. ეგეთი ბუნებისანი, ჩანს, ემდურებიან ცხოვრებას და იმიტომაც დასწოლიათ მძიმე ბალღამი გულზე. ცხოვრების მომდურავი კაცი კი, იგივე მოღალატეა პარტიისა და სამშობლოსი... ისეთი უგემური შემოხედვა აქვს, ხასიათს წაუხედნს ადამიანს. ერთი ტუპილი სიტყვა არ ამოუვა პირიდან. სულ ბუზღუნებს და შხამს ანთხეებს. მაშინ, როცა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება იქით მიემართება, რომ ადამიანმა გაიხაროს, ილხინოს, სული ალალოს, გული ანავარდოს და ასცდეს სალონებელი და საწუხი. ჩვენში ხომ ადამიანი ადამიანის წამალია, ეგ კი საწამლავად ჰქცევია საზოგადოებას, უფრო კი თავის ხელქვეითებს, რომლებსაც უთავბოლოდ უყვირის, ლანძღავს, აგინებს, მთავრობისაგან ნაბოძებ სამსახურსა და ხელფასს ისე ამადლის, თითქოს თავის საკუთარ დაწესებულებებში ამუშავებდეს. აკი საკუთარივეთაც იყენებს თავისი ბნელი ზრახვებისათვის. მისი შემყურე თანამშრომლები მთელ დღეს გულდადალულები უსხედან მაგიდებს. ერთი სული აქვთ, როდის გაზოზინდება სამუშაო დრო, რომ გამგის უგემურ მზერასა და გაუთავებელ ბუ-

ზღუნს მოშორდნენ. აკი არც უჩერებებიან დიდხანს. მყარალ ქცევა-მოქმედებას იგემებენ თუ არა, მაშინვე გაქცევაზე ფიქრობენ. ან რომელი ჰკუთამყოფელი გაუჩერდება დიდხანს.

„მაგ უგემურობითა და სიქუფრით ხელი ემართვის, რომ კეთილსინდისიერ კაცად მოეჩვენოს ხალხსა.

„ჰოი, უცნაურო ცხოვრებავ, რად გაგირეგია ამ მზიან ქვეყანაზე უღირსი და მახინჯი ადამიანები. შენივე სიმშვენიერის შესარყვენელად!.. იმ მარად საწყვევარ ბოროტ სულებს რად აძლევ იმის ძალასა და უნარს, რომ თავისი მსახვრალი ხელი დარიოს შენს სიკეთეს... უსინდისო კაცს რად ანიჭებ იმის უნარს, რომ თავისი ბილწი ზრახვები აღასრულოს უბიწო და სინდისიერი კაცის იერით!.. რად უბოძებ მაგის დიდი ნიჭი ჩვენს დამაქცეველ უფროსსა.

„ცხვრის ქურჭში დამალულ მგელს რომ იტყვიან, ზედგამოჭრილია ჩვენს გამგეზე. სულ გამოძალგასა და გამორჩენაზე ფიქრობს დღე-ღამის ოცდაოთხსავე საათს, იღწვის და მიზანსაც აღწევს. მერე, რა მოხერხებულად!.. მე შენ გეტყვი, ხელს გაისვრის რამეში. სადღა ისწავლა ამდენი ეშმაკობა. თავის შავ საქმეს სულ სხვას აკეთებინებს. თავის ხელქვეითებს აგზავნის თვალში ამოღებული ობიექტების შესამოწმებლად და პირდაპირ უბრძანებს: ესეთი და ესეთი დოკუმენტები შემიქმენითო. საცოდავი თანამშრომლებიც რას იზამენ, უფროსის დაკრულზე ცეკვავენ... არადა, ისეთ დღეში ჩააგდებს, გაჩენის საათს აწყვევლინებს... დიახ, დაავალებს, უარყოფით მასალას მოატანიებს, იმდენს ატრიალებს, თავისთვისაც დადებითად გადააქცევს და შემოწმებული კაცისთვისაც...

„მაგალითები?! ჰმ!.. რამდენიც გნებავთ, მაგრამ თქვენს ყურადღებას არ გადავლი...“

**გიორგი ხორგაშვილი**  
შავი გული



— ნიკოს დამიძახეთ! უბრძანებია ზეთისოს.

ინსპექტორი უმალვე გამოსცხადებია.

— ძან ცუდი ხმები დადის მოკლე-მიტოზე.

მოკლე-მიტო კინოთეატრ „დამკერვლის“ დირექტორია.

ნიკოს კითხვის ნიშანი გამოსახვია შუბლზე.

— უნამუსოდ ქაფავს, თურმე!

ინსპექტორს ტუჩი ამოუბრეცია.

— ორიოდ ბიკი შეარჩიე, მისანდრბნი და ფხიზელნი, ამალამვე წადით, მოულოდნელად დაეცით, მაყურებელთა რაოდენობაც შეუმოწმეთ და ბილეთების სინამდვილეც.

ინსპექტორს ყასიდად უუარებია. სახათბალო საქმეაო, სხვა შეგერჩიათო. ნამდვილად კი ვახარებია. მოკლე-მიტოს ჯავრი სჭირვებია, სითავხედის და თავნებობის გამო ამოუღია თვალში, დიდი ხანია დამუქრებია. და აჰა, აღსრულების ქამიც მოწეულა.

მაშინვე დაფაცურებულა ინსპექტორი, კინოფიკაციის თავკაცი დაუბარებია, ქოსა პავლე, იმავე „დამკერვლის“ ნადირექტორალი, მოკლე-მიტოსთან მამასისხლად ვადაკიდებულა.

ქოსა პავლესაც გულში ნათელი ჩასდგომია, იმასაც დასდგომია ანგარიშის გასწორების დღე. დიდი ხანია კბილები მიკაწკაწებს მაგის დასაჩოქებლად, მაგრამ ერთი კაცის გამო ხელი ვერ მიხლიაო, რახან თქვენც ასე განგიზრახავთ, დავიპიროთ და თავგივით ვაწრუწუნოთ ეგ თავკერძა მამაძალი, ეგაო.

პირი შეუტრავთ და კინოთეატრისაკენ გაუწევიათ, ბინდის ქამი შეურჩევიათ, ბოლო სეანსის მოახლოების დრო, მაშინ უყვარსო ხელის ფათური მოკლე-მიტოს.

მალულად მიჰპარვიან, მოკლე-მიტო გულისხმაშიც არ ყოფილა, არხეინადა მკდარა კაბინეტში და საანგარიშოს კოქები უწკაპუნებია, მთელი დღის „ნავაქაკარი“ შეუჯამებია, სიხარულით

უღლინია, მოულოდნელად წამოხტა მიან თავსა, მაგრამ წარბი არ შეუხრია. ლილინითვე უპასუხია საეაღდებულო საღმისათვის, რას გვიბრძანებთ, უღარდელად შეჰკითხვია უკვე მიხვედრილი.

შემოწმება დაგვაავალესო.\*

შეამოწმეთ, სიამოვნებით. რამდენიც გნებავთ, ჩხრიკეთ აქაურობაო, ეს ვიცი, რომ ცამდე მართალი ვარ და მართალ კაცს კი ბუზს ვერავინ აუფრენსო.

ჯერ გაყიდული ბილეთების რაოდენობა ამოუწერიათ, მერე მაყურებელი გადაუთვლიათ, ფრთხილად და მორიდებით უმოქმედიათ. სხვაობა ვერ აღმოუჩენიათ.

მოკლე-მიტოს ირიბად ჩაუქირქილებია.

— ჰა, ჰა, ჰა, აა! რა მარჯვე მებადურები ყოფილხართ. ცოტა ღრმაში მოუსვით, იქნებ ის მაინც მოგხვდეთ ბადეში, ვინც მე დამაბეზლა ტყუილუბრალოდ.

— მოიცა, მოკლე-მიტო, ხბოს სიხარულს ნუ მისცემიხარ! — მოთმინებით გაუგრძელებიათ შემოწმება საგულდაგულოდ მისულებსა.

დირექტორი არხეინად ვაჯგიმულა.

— თვითონ ბილეთები გვანახვე!

— კი, გენაცვალეთ, კი თქვენი ჰირომე! ამ წუთში.

დაკვირვებით გაუსინჯავთ და...

ბილეთები ყალბი გამომდგარა.

სიხარულის ღიმილს გადაუთამაშებია რევიზორთა სახეებზე.

— ვაგაბით, მოკლე-მიტო! — ახლა ისინი ჩაქირქილებულან.

— უჰ, უბედურად!.. ჰი, ჰი-ჰი-ი-იი! — გესლიანი სიცილი მიუყოლებია.

— აბა, ხელი მოაწერე, ძვირფასო! — წინ დაუდვით სამპირად შედგენილი აქტი.

— ეხლავე, თქვენი ჰირომე! — უღარდელად უთქვამს და კალამს წასწვდომია.

„თხასავით გამოჰკერილ“ დირექტორს ნირი არ შესცვლია. უკან არ დასდევნებია, არაფრით დაუხარბებია.

— ჰა, ჰა-იი, ჩაგვივარდი, თუ არა



ხელში! — ნიშნის მოგებით მიუძახებიათ.

— მაგრამ ჩაბლუჯეთ, ბიჭო, არ გაგშვეთ! — უარესი გესლით დაუდევნებია ღირექტორსა.

— „ადინოჩკაში“ რომ ჩავსვათ, მერე იყვირე ეგრე!

— თუ მაგ აქტს თქვენივე ხელით არ დაწვეთ, მოკლე-მიტო აღარ მერქვას! — უფრო მკვახედ მიუყოლებია.

რევიზორებს მეორე დღესვე მიუროთმევიათ გაშანშალეული აქტი ფინგანის გამგისათვის. ის ყალბი ბილეთებიც თან დაურთვიათ.

ხვთისო გულდასმით გასცნობია მასალებს. თავი დაურხევია და:

— ავი გუმანი გამიმართლდა!

— დახე, სადამდე გათამამდა ეგ მამაღალი?!

— გათამამდა და დედა ეტირება!

— მოხსნა არ ასცდება, ხომ, ბატონო ხვთისო!

— ჰმ! მაგას თუ დასჯერდნენ, რა უშავს! ულაპარაკოდ მიეცემა პასუხისგებაში.

— კოღოა, პატივცემულო გამგე!

— პირველად რომ სცდებოდეს, შეიძლება მართლა შეიცოდოს კაცმა, მაგრამ ოცჯერ მყავს გაფრთხილებული, ეგ კი თავისას არ იშლის... ხვალვე მოვახსენებ, სადაც ჯერ არს...

მაგრამ მას მერე საში თვეც იქნება გასული და კინოთეატრში ისევ მოკლე-მიტო ღირექტორობს. მოუთრდებლად აგრძელებს თავის საქმიანობას...

— მაინც რა მოხდა ისეთი? — ატუტუნებულან ცნობისმოყვარენი.

— მოულოდნელი რამ.

— რაა! რაა! — ყური დაუხარბებიათ.

— რადა, მეორე დღესვე დაურეკიათ ჩვენი გამგისათვის „დამკერელის“ ღირექტორს შეეშვითო, მაგ პატარა შეცდომისათვის ხომ არ დავლუპავთ. ყოჩალი ახალგაზრდაა, მოწინავეა, გემგებს გვისრულებს. პრემიას პრემიაზე ღებულობს. პირიქით, დაწინაურებასა ვფრქობოთო...

— მერე რა უპასუხნია გაუცინარს ბის ხელმწიფეს?

— რა უნდა ეპასუხნა, ნაცრისფერი დასდებია სახეზე. ენა დაბმია. ისეთ კაცს დაურეკია, იმასთან უარის თქმა წყლის ნაყვად ჩაუთვლია. ერთი კი ამოუოხრია: ეეხ! რატო მეტს არ სჩადიან ამათ ხელშიო — და პირზე კლიტე დაუდვია.

— ბექდიანი აქტი და ყალბი ბილეთები?

— ცეცხლგამძლე სეიფში შეუშვეცდევია.

### III

ეს ამბავი ფერადოვნად ჩაუხატია საჩივარში.

„ხედავთ, რა ჰქნა „დიდად პატივცემულმა“ გამგემ?!“

„საჩანგლო საქმეს მიაგნო. მაგ ყნოსვაშიაც არა ჰყავს ცალი.“

„კინოთეატრი ამოიღო მიზანში. არც გეგმაში ჰქონია მისი შემოწმება, არც ზემდგომ ორგანოებს შესთანხმებია. საკუთარ სალუკმედ უკაწაწებდა კბილები. ვერ მოისვენა, ვიდრე არ დაუდარილა. თავის ერთგულ ხელქვეითს გაანდო ბიწიერი ზრახვანი, ფეხებიდან მოცვეთილ თანამშრომელთა. ისეთი აქტი დააწერიან, ციმიბირი აქეთ უნდა დარჩენოდა იმ, მართლაცდა, ჯიბიდან გავარდნილ ღირექტორსა. მაგრამ ის მამხილებელი დოკუმენტები ისევ ჩუმად გაქრა, როგორც დაიბანდა... ორიოდ კაცმა თუ გაიგო, რაც მოხდა, და იმათაც პირზე კლიტე დაადებინა... თქვენ თვითონ დასკვენით, რატომ გააქრო საბრალებულ მოსალეები ამ „პატიოსანმა“ კაცმა“?! ჩემი სიმტყუვნის გულისათვის, რომ ჩამობრძანდებით, სჭიფი გააღებინეთ, თუ იქ არა ჰქონდეს მიჩქმალული, რისთვისა მალავს?! ჰმ! თქვენ არ იცით, რა განზრახვა უტრიალებს იმ შავ გულში! პატარა დრო გაივლის, ფული მოსწყურდება, დაიბარებს იმ კინო-

გიორგი სორგუაშვილი  
შაბი გულე

თეატრის დირექტორსა, ერთხელ კიდევ გააცნობს და არჩევენებს: ციხე გირჩევნია თუ... კინოთეატრის დირექტორი, მოკლე-მიტოს რომ ექაზიან, რა თქმა უნდა, ფულის მიცემას ამჯობინებს.

„განა მარტო მოკლე-მიტოს ექცევა ეგრე, ქალაქში ვისაც „შანსიანი ბიჭი“ ეთქმის, ასეთები კი უხვად მოიძებნებიან, ყველა მაგ დღეში ჰყავს.

„ჰო, მართლა, ლამის დამავიწყდა:

„ჩვენმა“ პატივცემულმა გამგემ“ იცოდა, რომ გაუგებარი არა დარჩებოდა რა და მოსალოდნელი მორალური თუ იურიდიული ბრალდების აცილების მიზნით, თავისი კუჭყიანი საქმე სხვას გადააბრალა. თავისებური ბუზლუნით გაავრცელა ვერსია, თითქოს მან, თავისი ინიციატივით, გამოაშკარავა კინოთეატრის დირექტორის ავხელობა, პასუხისგებაში მიცემას უპირებდა, მაგრამ ქალაქის ერთი თავკაცთაგანი გადაეფარა, აღარ გაახშიანებინა და სამუდამოდ მიაჩქმალინა. რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა, თათბირზეც აუწყა თავის თანამშრომლებსა და სამინისტროდან ჩამობრძანებულსაც „შესჩივლა“, ვითომდაც დიდი გულისტკივილით.

„ამ მზაკერობას ისე სჩადის, რომ წამწამებსაც არ შეუტრხევს უხერხულობა.

„რა სავალალოა, რომ გულუბრყვილო ბრბოს და საქმეში ღრმად ჩაუხედავ აღამიანებს ასე იოლად აჯერებს კიდევ.

„აი, სადამდე მივიდა მისი შენიღბული თავაშვებულობა, რომ ხელმძღვანელ მუშაკებს აბრალებს თავის შავბნელ მოქმედებას და უსირცხვილოდ უტეხს სახელსა.

„სამწუხარო ის არის, რომ ქალაქის ხელმძღვანელებმა არამთუ ეს ცილისმწამებანი, არც ერთი მაგის ბოროტების ნატამალაცის არ იციან. პირიქით, ისე როგორც დიდზე დიდ უმრავლესობას, მართალ და პატიოსან კაცად მიაჩნიათ იგი და რომ სინამდვილე თქვან

წმინდანის ცილისწამებასავით მიუცხადებენ.

„ჰოი, ბოროტებავ, რა უჩინმაჩინის ქუდით დაიარები ქვეყანაზე!

„ზემოთნახსენები შემთხვევა რომ თითზე ჩამოსათვლელი იყოს, სინდისს გეფიცებით, კრინტს არ დაეძრავდი, მაგრამ წელიწადი — თორმეტი თვე შავი საქმეების კეთებაში ულამდება და როგორ დავიდუმო ენა!

„მარტო ეგ ზნე რომ სჭირდეს, რა უშვავს!.. სათავშისაცემო ის არის, რომ სხვა „სიკეთითაც“ არის შემკული ჩვენი „პატივცემული“ გამგე.

„საზოგადოებაში თავს ისე იჭერს, თითქოს უწმინდესი და უნეტარესი სასულიერო მოძღვარიაო. თქვენც რომ მის მოქუფრულ სახეს შეხედოთ და ზრდილობიან საუბარს მოუსმინოთ, გაფიქრებინებთ, რომ მას ყოველი ქალი წმინდა მარიამად მიაჩნია და ვერც წარმოუდგენია რა დიდი საუნჯის მფლობელიაო. მართლაცდა, ხალხში ერთი უხამსი სიტყვა არ წამოსცდება, მზეთუნახავი რომ დაუყენო თვალწინ, ერთი ღიმი არ გაუკრთება სახეზე, შიშველი ქალი რომ ცხვირწინ ეცეკვოს, პირს პაპაჩემისაკენ წაიღებს.

„მაგრამ ესეც მისი დიდოსტატური მოჩვენებითობაა.

„ნურას უკაცრავად, რომ ცხვირს ზევიდან აიცილოს.

„აბა, სცადეთ და კარგად ჩაიხედეთ მის უწმინდურ გულში, თუ ეს შესძელით, მაშინ დაინახავთ, რა ეროსიც გახლავთ. აქაოდა წამკითხავ-მომკითხავი არავინ მატიალიაო, მშიერი მგელივით მიიწევს ქალებისკენ.

„მაგას ჩვენში რა უნდა, რომ ბილწავს აქაურობას, ეგ უნდა რომელიმე ბურჟუაზიულ ქვეყნის ქალაქში იჯდეს და პარამხანას განაგებდეს!.. ისეთი ქვეშ-ქვეშა მუსუსია, ცალი არ ეყოლებოდა ქვეყანაზე. თუ ვინმეს დაადგა თვალი, ვაი იმის პატრონს! ფერ-ბოროციანი ასულების მოხელთება უყვარს. ამ ხნის კაცია და ისეთი სიტყვა დაუჯდება ენის წვერზე, რომ დედაკაცის კი არა, ნამუ-



სიანი მამაკაცის ყურშიც არ ჩაიშვება. განა სხვის გასაგონად იტყვის. ბილწი გულის ჩქმალვაში ვის დაუთმობს პირველობას! ფერად-ფერადი და ჭერაც უხილაეი „სამკაულებით“ მხოლოდ იმას გაახარებს, ვის გულსაც თავის ბრჭყალებს ჩაასობს.

„ერთი სიტყვით, ანგელოზის ნილაბში დამალული ჩვენი უფროსი აღვირახსნილი ამორალისტია.

„ფაქტები“?!

„ფაქტები რამდენიც გნებავთ, მაგრამ მე თვითონაც ხელი ამიკანკალდება მათს აღნუსხვაზე და თანაც ძალზე გაჭირდება დადასტურება. ისეთი შენიღბვით ეწევა გარყვნილობას, რომ ერთხელ დაბერებული და მეორედ გაჯელებული ეშმაკიც ვერ გაუგებს... ანდა რომელი ქალი იტყვის, რა შეურაცხყოფასაც ჩვენი გამგე ჰკადრებს.

„მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისეა გამწარებული, რომ აღარაფერს გაუწევს ანგარიშსა და ყველას წინაშე იტყვის იმ უმსგავსოებას, რაც ჩვენს „პატიოსანსა“ და „კრავივით“ უცოდველ უფროსს უკადრებია“...

IV

სტუმრიანობა რომ უხსენოთ, გულში ნათელი არ ჩაადგება ხვთისოს. განა სძულს და მიტომ. მათთან ლხინი და ხასიათის გასწორება უჭირს. ღვინის სმას ერიდება. გულის ძმარვა და კუჭის წვა ჰკლავს. იმიტომ აიჩვირება ხოლმე ვინმე გასამასპინძლებელი რომ მოადგება.

მაგრამ რას იზამს, სტუმარს ხომ ვერ გაქტევა. კაცია, ქართველი!

იმ დღისითაც მოუბრძანდნენ.

მთელ დღეს უმარხულიათ ჩამოსულებს, ბარემ საქმე მოვითავოთო. მერე კი დაჰყოლიათ მასპინძლის ნებას. რესტორნისაკენ გასძლოლია ხვთისო. თვითონ უთამაძია. თავი გაუმეტებია. რაკი ერთი შესტყუებია სასამელსა, მერე აღარ გასჭირვებია დაცლა. უფრო — და — უფრო მოსწყურებია, ალავერდები გაუხშირებია. დაქადნებული სტუმ-

რები გვარიანად გამოუთვრია და კოცნალოშვნით გაუსტუმრებია.

სამუშაო დრო მიღეულა კიდევ, მაგრამ მაინც სამსახურისაკენ გაუწევია გულსა.

ხალისით შესულა დაწესებულებაში.

გუნება გამზიანებია. ადამიანის მიულერსება მოსწყურებია. არც სხვა დროს ყოფილა გულქვა, ძე — ხორციელის სიყვარული გარეგია სისხლში, მაგრამ ეს თბილი გრძნობა გულის ფსკერზე დალექვია და კაცისშვილის მზერა ვერ ჩასწვდენია, ვერ გამოუცვნიათ და იმიტომაც ვაჰქსუებიან, თანამზრახველები გაიშვიათებიან. უცხვირპირო კაცად მიუჩნევიათ.

მამინ კი სიყვარული და სიხალისე ისე მომძლავრებია, გულში ვედარ დასტეგია, ენამდეც ამოღწევი, თვლებშიც ჩასდგომია, პირ-სახეზეც გადაჰფენია სიყვარულ-სიხალისით მიმოუმზერია თანამშრომლებისათვის, სათითაოდ გადალაპარაკებია.

— როგორა ხართ, ხალხო! — სითბო და სურნელება გამოუყოლებია სიტყვისთვისა.

— გამადლობთ, ბატონო ხვთისო! — ხელქვეითებსაც მზის ამოსვლასავით გახარებითა უფროსის სიხალისე.

ხალისიანი საუბარი გაუგრძელებია ხვთისოს. იუმორსაც უჩენია თავი. თანამშრომლებიც აჰყოლიან. გასთამამებია, უხუმრიათ, უჭილიკიათ.

— შეყვარებული როგორა გყავს, გოგო! — ხელი გადაუხვევია კაფანდარა მყავალასათვის და მამაშვილურად მიუტქმევია გულზე.

ისედაც ტანმიღეული გოგონა მთლად გასწურვია მკლავებში და უღონოდ ამოუღულღუღებია:

— სადა მყავს შეყვარებული, პატივცემულო ხვთისო!

— რას მიმაღავ, გოგო, შენი მშობელი ვარ, შვილივით მახიხარ გულზე! — და ნაზად უკოცნია ყვრიმალზე, — როდის უნდა გვაქამო ქორწილი?

**გიორგი სორაზაშვილი**  
ვაკი გული

— ჯერ სხვა გვიყენია რიგში, ბატონო ხეთისო! — წაშველებია ანტონი.

— ვინ სხვა, ბიჭო?

— ქალბატონი ნაზიკო.

ნაზიკოსაც ხალისით შეურხევია მხრები და წინ წამომდგარა.

— ურიგოდ გავუშვებ, ბატონო! — ღიმილითვე მიუგია.

— ნაზიკო არაჩვეულებრივ საქმროს ეძებს! — ჩარევია ინსპექტორი ნიკო.

— როგორ არაჩვეულებრივს? — ახლა იმას შეჰღიმილებია უფროსი.

— ტანადი ვაჟკაცი უნდა იყოსო, მოხდენილიცაო, განათლებულიცაო, ხარისხიანიცაო, ქალაქიანიცაო, სოფლიანიცაო, „ვოლგაიანიცაო“, სახლიანიცაო, ფულიანიცაო, გულიანიცაო.

— საერთოდ არსებობს ეგეთი საქმრო ქვეყანაზე?

— კი, როგორ არა, წუხელისაც უნახია სიზმარში ნაზიკოს.

— ცრუობენ, ბატონო ხეთისო, ერთი ვინმე დამეხმაუროს, თუნდა ცალთვალა იყოს და თუნდა ცალფეხა, რომელი ნაწილიც უნდა აკლდეს, ოღონდაც ერთი დაახველოს და მე მზადა ვარ! თან სიცილ-კისკისი გაურევია ნათქვამში.

უცინიათ და უკისკისიათ იქ მყოფებსაც.

ხეთისოსაც უხითხითია.

გული უჭერებია ხალისიანი საუბრითა თუ მზერით. ღიმილით შეუღია კაბინეტის კარი, ღიმილით ჩამომჯდარა თავის მრგვალკოფიან სკამზე განუყრელი მეგობარივით რომ შეჰყვარებია. თანამშრომლებს ერთმანეთისათვის შეუხედიათ გოცეებითა და ფხვკუნის ასტეხით.

— რახან მაგან გაიცინა, ქვეყნიერებაზე მშვიდობა დამყარდება! — უხუმრიათ.

— ეხლა, ძმაო, სული რომ სთხოვო, არ დაგიჭერს, ისეთ ხასიათზეა.

— აბა, ვის რა გაქვთ სათხოვარი, ჩაღვით რიგში!

— თქვენ ხუმრობთ და მე მართლაც მაქვს სათხოველი! — უთქვია ნაზიკოს.

— გაქვს და რაღას უცდი?

ორიოდე წუთის შემდეგ ნაზიკო თამამად შეველყვალავებულა გამგის კაბინეტში, შესვლის ნებართვა უკითხავს სახემცინარეს, უკითხავს, მაგრამ დასტურს არ დალოდებია, შესულა და წინ წამოსკუპებია, გაბედულად გადაუხენქია სავსე გულმკერდი.

ხეთისოც გახალისებული შეჰგებებია. ძუნწი ღიმილით მიმოუშვებია, თითქოს პირველად ეხლა ხედავსო, დაკვირვებით შეუთვალეირებია. მაშინ აღმოუჩენია ის ხილულიანი თუ უხილავი ქალური ეშხი, რაც მამაკაცებს იზიდავს და იმორჩილებს. ეგრე ეშხიანად წარმოსახვია და თვალეზი გაბრწყინებია, ფრთხილი მზერა ჩაუყოლებია დაღმადღამა. ღია მკერდს შეჰფეთებია, ერთი კი მიმოუვლია ხარბად და უცებ გამოურიდებია შეშინებულებით. გვერდზე მიუბრუნებია თავი, მაგრამ გულში ნათქვამი ვერ გაუმაგრებია, ისევე ქალის მკერდისაკენ გაჰქცევია თვალეზი და ხარბად ჩასჩერებია.

ნაზიკოს მრავლისმეტყველად ჩაუღიმიებია. ტანი შეურხევია, წინ წაუქაღნია და:

— როგორ გაისტუმრეთ ჩამობრძანებულები?

— მშვენივრად! — ღიმილითვე მიუგია.

— სასიამოვნოა, რომ თქვენი პირადი მეგობრებიც ყოფილან. ბევრი პატივისმცემელი გყავთ, ბატონო ხეთისო! — წამწამები აუხამხამებია.

— მაშ როგორ!

— ჯანმრთელობას აღარ უჩივით?

— ბატონი მოუყვდა ჩივილსა!

— სასმელი აღარა გწყენთ?

— პირიქით.

— მისასალმებელია. აბა, უღვინოდ ცხოვრება როგორ ეკადრება შენნაირ ვაჟკაცურ კაცსა!

მხიარულ საუბარს შეჰყოლიან.

მერე კი მისვლის მიზეზი თუ საბაბიც გაუშვლავნებია ნაზიკოს, დასვენება

განუზრახია, ზღვა მოსწყურებია, საგ-  
ზური გასკირვებია, სააგვისტოდ ხომ  
ეგრე იოლი არ არის მისი შოვნა. ხეთი-  
სოს იმედოღა შემორჩენია, პროფკავ-  
შირების კომიტეტში კარგი ნაცნობები  
გყავსო, იმისთვის შემოპყოლია ფებდა-  
ფებ გუნებაგამზინებულსა, იმისთვის  
გაუხეხებია ღიმილი, რომ დაპირება  
გამოეტყუებინა როგორმე. კარგად იცო-  
და, რომ თუ აღთქმას დასცინცლავდა,  
მერე საფიქრებელი აღარ ექნებოდა.  
ქვას გახეთქავდა და სიტყვას არ წააქ-  
ცევდა მისი გამგე. ხეთისო დაფიქრ-  
ბულა.

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე. მო-  
იწადინე, ძალიან გთხოვ! — შემღვრე-  
ულ თვალეში მისჩერებია.

ხეთისო გარინდებული მჯდარა, სხვა-  
გან გაპქეცვია თვალიც და ფიქრიც.

— ჰა, არ გემეტება?! — უცნაურად  
შეცმუტებულა.

— შენთვის რა უნდა დაინანოს კაც-  
მა!

— მაშ მამედებ?

— უეჭველად!

— ოჰ, რა კარგი კაცი ხარ, რომ არა  
მრცხენოდეს, კოცნით გადაგიხდიდით  
მადლობას!

— როგორც გენებოს!

ნაზიკოს მეტი ვეღარ გაუბედა და  
წამოსასვლელად წამოწულა ყასიდად.

— რას მიჩქარა!

— რა ვიცი, დრო არ წავართვათ.  
თორემ...

— დროსაც მიუკვდა პატრონი!

სალადობო საუბარი გაუგრძელებიათ.  
მთლად გამოცვლილა, ხალისად ქცე-  
ულა ეს პირქუში კაცი. მის გულში დაძ-  
რულიყო კაცთმოყვარეობის თუ ქალთ-  
მოყვარეობის უჩვეულო გრძნობა.

ადრე ყურადღება არც კი მიუქცევია  
ნაზიკოს გარეგნობისათვის. პირიქით,  
ამრეზით უმზერია. მაშინ კი თბილი  
თვალით უქქერია. თითქოს პირველად  
მაშინ შეუმჩნევია ის თაფლისფერი  
თვალეები, ჟინიანად რომ იცქირებოდ-  
ნენ. ის აშვილდული წარბები, წვრილად  
რომ გადასწყვეპვოდნენ საფეთქლებამ-

დეს, ის მბზინავი წამწამები. მალ-მალე  
რომ დააწაწაებდა ყურადღების მარ-  
სატაცად, ის ფერიანი ლოყები, ღიმი-  
ლის დროს რომ ეჩვრიტებოდა. ის მინა-  
ზებული ბაგე, ვარდის ფურცელივით  
რომ გასათუთებოდა, ის ქათქათა კბი-  
ლები, მალ-მალე რომ გაიღვებდნენ.  
ის მოკრიალებული ყელი, შველივით  
რომ შეეღვრებინა. ის ატკრეცილი გულ-  
მკერდი, მცირე მოძრაობითაც რომ ირ-  
ხეოდა.

დაჟინებით შეუთვალეობია და რა-  
ღაც ჭერარნახულ უმშვენიერეს ქალად  
დახატვია. ეგეთად შეუცვანია და წლე-  
ბის განმავლობაში მიძინებული, მიმქ-  
რალი გრძნობა თანდათან გამოსცოცხ-  
ლებია. მოპლონიერება და მოსწოლია.  
„ეს რა გადასარევი ქალი ყოფილა!“ —  
გაუვლია გულში, საამო განცდით რომ  
შეპფართხალებია.

— რაღა მაინცდამაინც ზღვა აგირ-  
ჩევია?! — თვალი თვალში გაუყრია  
ხეთისოს.

— ზღვა მიყვარს და... — მზერა არ  
გამოუზრდებია.

— გაშაგებია არ გეშინიან? —  
ძლივს ამოუთქვია სუნთქვაშეკრულს.

— გაეშაგდე, რა მოხდება!

მამაკაცს საუბრის გაგრძელება ვე-  
ღარ მოუხერხებია.

— ვისაც მოვწონვარ, გაშაგებულოც  
მოუვალ თვალში! — არ გაუციებია  
სათქმელი. სკამის საზურგეზე გადანე-  
ბიერებულა, წამწამები დაუპრებია და  
ეგრევე განაბულა მამაკაცის ჟინიანად  
შეხედვის მოლოდინში.

ხეთისოს კვლავ დაბნია ენა. თვალეები  
კი ვერ დაუმორჩილებია. ხარბად მიშ-  
ტერებია და ღონივრად ამოუსუნთქია.  
მერე ისევ კალამს წასწვდომია დაბნე-  
ული და უაზროდ უწვალებია ქალად-  
ზე.

— რა ლამაზი კალამია! — საუბრის  
გხაგრძელება უცდია ნაზიკოს.

გიორგი ხორგაშვილი  
შაში გული

— ჰო! — მეტი საპასუხო ვერ მოუძებნია.

— სად იშოვეთ, ბატონო ხეთისო?!

— იაპონიიდან ჩამომიტანა ერთმა მახლობელმა.

— ერთ წუთს თუ შეიძლება? — ხელიც გაუწოდებია.

კაცს უმალ მიუთავაზებია, უნებლიეთ მოსვლია, თუ განგებ მოუხვედრებია, ქალის ქათქათა მკლავს შეხებია კალმის გადაცემისას და ტანში შეჟიჟინებულა.

ნაზიკოს ირიბი ღიმილი დაუმჩნევია და:

— მართლა მშვენიერი კალამი ყოფილა!

— მოგწონს?

— ძალიან!

— გაჩუქებ, თუ ასეა!

— მერე შეეღვი! — ეშმაკურად მოუწყურია თვალები.

— შეუღველი რა არის!

— თუ გულით ამბობ, სიამოვნებით ვიჩუქებდი შენს ნახელავს...

— მართლა ეგრე უგულო გგონივარ?!

ვენებადარული მამაკაცი წამომდგარა, შეცახცახებულს გაუვლ-გამოუვლია. საათისათვის შეუხედია. რამხელადრო გაჰპარვია, სამუშაო ჟამი გაწურულა, თანამშრომლებიც გაკრფილან, ალბათ, იმიტომ აღარ სმენია ჩამი-ჩუმი. ასე უგუშანია. უხმოდ წამოსდგომია ქალსა, რომელიც მაგიდაზე მოხრილა და ნაჩუქარი კალმით უწერია კრიალა ქალაღზე.

— რას წერ? — ხმაგამოცვლით შეჰკითხვია.

ქალს ნაწერი წამომარჯვებია.

ხეთისოს თავისი და ნაზიკოს გვარსახელები ამოუკთხია.

— ჩემ გვარს რაღადა წერ?

— რა ვიცი, მეწერება! — დაბალი, თბილი ხმით მიუგია.

თავსწამომდგარ კაცს კვლავ დაკვირვებით ჩამოუხედია სახეშეფაკლული ქალისათვის, გაღიავებული გულმკერდი-საკენ გაქცევია მზერა, ზემოდან უფ-

რო ადვილად უნაეარდებია თვალის მიწვევისათვისაც საამო საცქერლად ქვეყნის დიაცის უბე.

ქალს უმალ უგრძენია კაცის გულის მოძრაობა, კიდეც უფრო მოხრილა მაგიდაზე, ნაჩუქარი კალამი უწრიბინებია, მოხრილა და განზე გასწევია ისედაც ფარფარა კაბა, გასწევია და მთლად მოშიშვლებია დამტევნებული მკერდი. ვითომდა, მოჩქარებით უწერია თავაუღებლად და გამეტებით უთახთახებია ის მტევანა უბე.

მამაკაცს ერთბაშად მოსძალებია დაგუბებული ვენებათა ღელვა. არ ახსოვს, თუ ოდესმე ასე გასთბობოდეს სისხლი. ასე არასოდეს შეჟიჟინებია სხეული, ქალის ბაგე მოსწყურებია, და შეფაფრულა კიდეც დასაფრენად.

ქალსაც ეშმაკურად შეუვლია თვალები და გამოუცნობი ღიმილით განაბვია.

კაცი მაინც ვაჰმაგრებია მოტალღებულ გრძობას. არა სცემია, მთლად ხელმოუკარებლად კი ვერ გაუძლია და მოშიშვლებულ, თივთიკა მკლავზე მორიდებით ჩამოუფაცუნებია ბალნიანი თითები.

ნაზიკოს უხმოდ წაუვლია ხელი კაცის აცახცახებული მაჯისათვის და დანანებით მოუტილებია.

ხეთისოს გამოუცენია, რომ ეს დასაგმობი არიდება არა ყოფილა. წათამამებულა და ახლა მოღერებულ ყელზე მოუთათუნებია და ვეღარც დაუღწევია ხელი ნატრენი ქალისათვის, რომელსაც აღმა აუბრუნებია შეფაკლული სახე და გამოუცნობი ღიმილით შეუხედია შემოილს დამსგავსებული მამაკაცისათვის.

კაცი კიდეც წათამამებულა, ვეღარ გაუმავრებია თავი და უცებ დაფრენია. ბაგეს დაცხრომია.

ქალს ჯერ ნებაზე მიუშვია გავეშებული კაცი, მერე კი, როცა სული მოუთქვია, მოულოდნელად დასხლტომია და უნებლიათ უკივლია.

კივილს მეორე ოთახშიც გაუღწევია, მარტოდ დარჩენილი ანტონი უცებ წა-



მომხტარა, გამგის კაბინეტში შევარდნილა და სახტად დარჩენილა, როცა შეჭფეტებია მაგიდაზე დამხობილ, თმაგაწეწილ ნაზიკოს, რომელსაც ფეხის ხმაზე გამოუცენია, ვინც უნდა შესწრებოდათ, და უფრო მეტად ასლუკუნებულა. ხეთისოც თავჩაქინდრული, ფერდაკარგული მჭდარა ქალის მახლობლად.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები! — მხრების აჩეჩეთა და ხელების ზიმზიმით წარმოუთქვია.

გამგის ქეშად შეუბღვერია მოადგილისათვის.

— დიდ ბოდის ვიხდი! — გესლიანად ჩაუბუტბუტებია ანტონს და ფეხაკრებით გამოსულა.

ქალს მძიმედ აუწევია თავი, ალმატერად გამოუხედია ხეთისოსათვის, ფანჯარასთან რომ აყუდებულა, განგებ შეუკრავს შუბლი, ქვეშ-ქვეშად ჩაულიძია და ყელმოღერებით გაყურსულა.

კაცს სიერცისათვის არ მოუშორებია თვალი.

— ბატონო ხეთისო! — ისევ დაუხავერდოვანებია ხმა.

ხეთისოს ამრეზით მოუხედია.

— მახატეთ, ჩემდაუნებურად მომივიდა!

კაცს წარბის აქნევეთაც უნიშნებია, გამცილდით.

ქალი წამომდგარა, მისაფერებლად მიახლებია.

— გაეთრე აქედან! — გაუბედავად შეუგებებია.

— მართლა მიწყრები? — გაბუტბულის კილოთი მიუმართავს.

— ქალი კი არა ქაჯი ყოფილხარ!

— გულთ ამბობს?

ხეთისოს ზურგი შეუქცევია.

— მხეცი! — უგულოდ გასწყრომი და გამოსვლა უმჯობინებია. ხელმოერედ ასლუკუნებულა და ისე გამოსცლია.

გამგე თავის სკამზე დაშვებულა მძიმედ, მაგიდას ჩამომხობია და უქმური მოსწოლია.

ასეთი რამ თავის დღეში არ ჩაუდენია, მაშინ, კი, რა დამართვია, რა ღმერ-

თი გასწყრომი, რა ეშმაკები ასძლია. სტუმრების ჩამოსვლის საათსა უწყევლია, ქალის გაჩენისდღე დაბნისო. თვეი გაუქიცხია, თითზე უკბენია.

## V

მომჩივანს გულმოღვინედ აუწერია ეს ამბავიც.

ოლონდაც, ესეც თავისებურად შეუსწორ-შეუღამაზებია, ქალი ანგელოზად და გულუბრყვილო მიმდობლად დაუხატია, ყველაფერზე ხეთისო დაუღანაშაულებია, კაბინეტში შეიტყუაო, ვითომდა საქმეზე მოიხზოო, ათას რამეს დაპირდაო, თითობაზური ენით დააბაო, ნელ-ნელა შეიყოლია და მერე იძალა და იმხეცაო.

„ეს ჩემი მონათხრობი უღიმღამო აჩრდილია იმ შემზარავი სინამდვილისა, რაც „ყოვლად პატიოსანმა კაცმა“ ჩაიდინა ზემონახსენები ქალის წინაშე. საერთოდ ხომ სიტყვა უძღურია სინამდვილის გამოსახატავად და მით უმეტეს ჩემნაირი კაცის პირით ნათქვამი. კაცისა, რომელსაც არავითარი წერის პრაქტიკა არა მაქვს და ამავე დროს ვერიდები, მრცხვენიან, რომ ყველაფერი აღვწერო, თუმცა დაწვრილებით კი ვიცი.“

„მერე იცით, რამხელა ტრაგედია დატრიალდა?! თავი დიდად შეურაცხყოფილად იგრძნო იმ გუგულივით ქალმა, ვისთვისაც ყველაზე უძვირფასესია ნამუსი და პატიოსნება. ველარ გაუძლო ყელში მოწოლილ ბოღმას და ლოგინად ჩაეარდა. მერე კჳუაც გადაუტრიალდა და დასახრჩობად გარბოდა. ის ხეთისინიერი შოფრები რომ არ შეხვედროდნენ, ცოცხალი აღარ იქნებოდა. ძლივს გადავატანიეთ უდიდესი მწუხარება და დიდი ხვეწნა-მუღარით გავრეით ისევ ჩვენს კოლექტივში.“

„აი, რა ზომამდე მიჰყავს კეთილსინდისიერი ადამიანები ჩვენი გამგის აღვირახსნილ შემოქმედებას.“

**გიორგი ხორგაზაშვილი**

შავი ზული



ეს ბრალდებები უკმარია.

„ფაქტები უამრავია, მაგრამ ამ ორი-  
ოდეც ვყვრდები. არ მინდა თქვენი მა-  
ღალი ყურადღება გადავღალო, ვგო-  
ნებ ესეც კმარა ჩვენი გამგის „პატიოს-  
ნების“ და „უმწიკვლობის“ ნიღბის ჩა-  
მოსახდელად. ვიცი, მძიმე საქმეს  
ეტვირთულობ, როცა ამ კაცის შხამი-  
ანი გულის გამომზეურებას ვკისრულობ,  
მაგრამ ჩემი სინდისი და ადამიანური  
მოვალეობა არ მასვენებს. ვიცი, შემ-  
მოწმებელს გაუძნელდება მამხილებელი  
მასალების მოკვლევა. ქალაქში ბევრი  
მფარველობს, სამინისტროშიც ძმაცა-  
ცო-ბენ, ზემოდან დაწყებული ქვემოდან —  
ყველა გადაეფაფრება, რადგან დიდიც  
და პატარაც მორწყული ჰყავს იმ არსახ-  
სენებელი ქრთამით, რომლითაც იწამ-  
ლება ჩვენი საზოგადოება, მაგრამ ვი-  
მედოვნებ, გულით მოეციდებით ამ  
საქმეს, მოთმინებით გამოიძიებთ და  
ყველა საგანს თავისი სახელი დაერქმე-  
ვა. უმჯობესი იქნება, პირველ რიგში  
დაკითხოთ მისი თანამშრომლები. იმე-  
დია, ერთგულად ემსახურებით სიმართ-  
ლეს, რამეთუ სიმართლის თქმა მარტო  
ჯანის სისალე კი არ არის, არამედ პირ-  
ველ რიგში, ჩვენი საზოგადოებისაც“.

საჩივარი აქ თავდებოდა.

ოთხივე პირი გაემზადებინა, ოთხივე  
ქათათა, ტყიცინა ქალაღლზე გადა-  
ბეჭდილი.

დედანს ცენტრალური კომიტეტის მი-  
სამართი ეწერა, ასლი შინაგან საქმეთა  
სამინისტროსათ, რესპუბლიკის სახალ-  
ხო კონტროლსათ, ფინანსთა სამინისტ-  
როსათ.

მომჩივანის ვინაობა კი არსად ჩანდა.  
გავზავნის წინ თუ დააწერდა, ან იქნებ  
სულაც ანონიმურობა ერჩია.

შვილივით ნალოლიავეები ნაშრომი  
ჯერ ავტორის უჯრას არ გასცდენოდა.

## VI

ღიას, რამდენიმეჯერ ჩაიკითხა საჩი-  
ვარი ხვთისომ, დაკვირვებითა და მოთ-  
მინებით.

ხელმოუწერელი იყო, მაგრამ <sup>საქმის</sup> <sup>ნაწილი</sup>  
თავტენხა არ დასჭირვებია იმის განს-  
საცნობად, თუ ვინ იქნებოდა მისი ავ-  
ტორი.

დიდხანს ატრიალა ხელში, ფიქრები  
მოებურა, მძიმე ფიქრები:

„როგორ პატივსა ვცემდი!.. იმას კი,  
თურმე, რა სდებია გუნებაში... რას წარ-  
მოვიდგენდი, თუ ასეთი თეთრი კბილი  
და შავი გული ექნებოდა... ეპ. რა ძნე-  
ლი გამოსაცნობი ყოფილა ადამიანი!..  
ახია ჩემზე, უარესი უნდა მიყოს! ძვე-  
ლი სამსახურიდან გამოვდებოდა იყო..  
ხუთ თვეს დიარებოდა უმეუფარი...  
მე მოვიპატიე... შემეცოდა, წვრილ-  
შვილის პატრონია-მეთქი... მაგის მიღე-  
ბისათვის ვინდა არ შევაწუხე... გვერდში  
ამოვიყენე... მიხაროდა, გამიმართლა-  
მეთქი.. ერთგული მეგონა... სიკე-  
თის ხელი არ დავაკელი... და ასე  
მიხდის სამაგიეროს!.. ეპ, რა მართალი  
უთქვიათ დალოცვილებსა: სიკეთისათ-  
ვის სიკეთე ვის გადაუხდიაო...“

## VII

ავადმყოფი მთლად გამოსაღდა. სი-  
ხარული დაუბრუნდა, გაახარა თავისი-  
ნებიცა და უბრალო ნაცნობებიც.

კვლავ ხალისით გაერია საზოგადოე-  
ბაში, ღიმილი მოჰფინა ნაცნობებსაც  
და უცნობებსაც, ისევ იმ „ანტონ ან-  
გელოზოვიჩად“ იქცა.

საბიულეტენო ჟამიც მიეწურა.

სამსახურს როგორ შეეღეოდა.

სიხარულით გამოსწია. ფეხით წამოს-  
ვლა ამჯობინა. გზაში უამრავი ნაცნობი  
ხვდებოდა, ღიმილით ეგებებოდნენ,  
თბილად ესალმებოდნენ, მახლობლები  
უკოცნელად არ უშვებდნენ, გამოკეთე-  
ბას ულოცავდნენ.

დილაადრიან გამოსულმა თორმეტ  
საათამდე ძლივს მოაღწია სამსახურამ-  
დე.

თანამშრომლები სიხარულითა და ყი-  
ქინით შეხვდნენ.

სათითაოდ ესალმებოდნენ, კოცნიდ-  
ნენ, ეგულთბილებოდნენ.

მოგვილოცნია! მოგვილოცნია!

— მივიდე, გამგე ვნახო! — და ნაბიჯი წარსდგა.

— არ გახლავს. მთლად უფროსთან არის.

— რას ამბობ, გოგო! — ხეთისოსავით დაიმრუშა.

— მიდი, მიდი, წარმოსახე, რამდენი ხანია არ გვიცინია!

— არა, არა, მე მაგას აღარასოდეს გაჯავჯავებ.

— ისე, მეგობრულად.

— არა. არც მეგობრულად და არც ძმურად.

— ?!

— კაცი კი არა ხეთის სული ბრძანებულა. თქვენ არ იცით, რა დაუფასებელი გული ყოფილა დამალული ამ გაუცინარების ხელმწიფეში.

— მართლად ამბობ?

— ისე ამ გულმა იხაროს! — მკერდზე ხელს იდებს.

ხეთისომაც იჩინა თავი. დაბღვერით შემოვიდა. ანტონი რომ დაინახა, ძლივს შესამჩნევი ღიმილი დაეტყო, მძიმედ გაუწოდა ხელი და:

— მოგვილოცნია! — თვალბეჭით არც შეუხედავს.

— დიდი მადლობა, ბატონო ხეთისო! — წელში მოირკალა.

— ოჯახში როგორ არიან? — არც ახლა შეუპირისპირა სახე.

— ძალიან კარგადა. თქვენს მზეს ფიცულობენ.

— მე რა საფიცარი ვარ! — ესეც უმადურად თქვა და კაბინეტს მიაშურა. ნაავადმყოფარმა მალე შეაღო კარი, მაგიდის წინ ჩამოუჭდა და საუბარი გაუმართა.

— როგორ მიდის საქმეები, ბატონო ხეთისო?

— ჩვეულებრივად! — უმადურად ამოთქვა.

ანტონი კი ხალისით ელაპარაკებოდა.

— ჰო, მართლა, გაგზავნეთ ბიუჯეტის პროექტი?

ხეთისომ მძიმედ დაარხია თავი.

— დიხანს ხომ არ ეძებთ? — თვლები გაიფართოვა.

გამგემ ისევ უხმოდ უპასუხა. მერე მალა აიღერა თავი. ტუჩები მობუსხა და შემღვრეული თვალბეჭით მიაჩერდა მოადგილეს.

ანტონმა მზერა მოარიდა, შეპირისპირება გაუძნელდა.

ხეთისომ დაბლა დაუშვა წამწამები.

მოადგილემ ქურდულად გააპარა მზერა და გამგის სიფათს დააკვირდა. შეშინებული მიჩერებოდა, კარგს ვერაფერს კითხულობდა ხეთისოს სახეზე, ავი გუმანი მოენისლა, გულზე ჩრდილი დაეცა, ეპვის ჭია შეუძვრა და ღრღინა დაუწყო. „ნამდვილად ნახა!“ — უსიამო ფიქრმა გაჰკრა. ველარ ისვენებდა.

— ბოდიშს ვიხდი, ეხლავე მოვალ! — უღონოდ თქვა ფერდაკარგულმა.

— რა, ცუდად ხომ არ ვახდი! — ოდნავი ღიმილი დაემჩნა.

ანტონმა ის დამცინავი ღიმილიც გამოიცილა და შხამი დაეწვეთა გულზე.

— არა, ბატონო ხეთისო, ისე... — ძლივს ამოილულულა.

დაძმარებული გამოვიდა, თავის საწერ მაგიდას მიუჭდა და უჭრებს ეცა, გაფაციცებით ეძებდა...

— რაო, რაზე მოგშხამა? — შუბლი შეიკრეს თანამშრომლებმა.

— არა, არაფერი... რაღაცა მომთხოვა სასწრაფოდ! — დაბნეულად პასუხობდა ფერდაკარგული.

### VIII

სამინისტროდან დაურეკიათ, საყვედურით ჩაუტურჩულეობით ყურმილში, ვინ შენა და ეგრე დაგვიანებაო. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე უთქვავთ.

ხეთისო მაშინვე დაფაცურებულა.

ბიუჯეტის პროექტი მოადგილესთან ყოფილიყო მოქცეული.

ანტონი ჯერ რივიანად ვერ მოკეთებულებოდა და სამუშაოზე ფეხი არ მოეკარებინა.

---

გიორგი სოგუჯაშვილი  
შავი გული



შოფერი გაუქცევია მოადგილესთან. თუ შენ ვერ შესძლებ, მაგიდის გასაღები მაინც გამოგზავნეო.

ანტონი მეზობელთან მიფარფატებულყო.

გასაღები მეუღლეს გამოუტანებია.

ხეთისოს ანტონის მაგიდის უჯრები დაუღია, ბიუჯეტის პროექტი უძებნია, პოვნა გასჭირვებია. ამ ფათურში მოზრდილ განცხადებას წასწყდომოდა, საგულდაგულოდ რომ მიუშალა ავტორს. ცნობისმოყვარეობას დაუძლევიდა და თვალი გადაუღვია. უსიამოდ შემშუმნულა. კრინტი არ დაუძრავს. სახე კ ამეტყველებია. სქელი წარბები შესტოკებია, წამწამები დაუხამხამებია, ისე გაკვირვებულა, თითქოს რაღაცა უცნაურ ამბავს უყვებოდნ და ვერ დაუჯერებიაო, გაუგებრად აბუტბუტებულა.

პროექტის ძებნა განუგრძოა, ძლივს მიუყვანია. განცხადებასთან ერთად ამოუჩრია ილღიაში და მძიმე ნაბიჯით გამოუწვია კაბინეტისაკენ.

თანამშრომლები პირდაპირნილები მისჩერებოდნ.

IX

ანტონმა მალე იპოვნა თავისი ნაკალმარი, მაგრამ ნაგულუმ ადგილას არ დახვდა.

„ნამდვილად უნახავს!“ — შავმა ფიქრმა შეაძრწუნა. ხასიათი მთლად წაუხდა, კაცის ფერი აღარ ედო.

მუხლმოკვეთილი შევიდა გამგესთან. ნაძალადევად მოიშვიდა თავი და:

— რაიმე ცვლილება შეიტანეთ ბიუჯეტის პროექტში?

გამგემ ნელა დაუქნია თავი.

— ბატონო ხეთისო! — ესეც მღელვარებით ამოთქვა.

გამგემ გვიან აღიხსა მიხედვა.

— პროექტი ჩემი უჯრიდან ამოიღეთ, ხომ?

ხეთისომ თავის დარხევით უპასუხა.

— სხვას ხომ არაფერს წასწყდომიხართ?

— რაო, დაკარგე რამე?! — თვალები მოივიწროვა.

— არა. ერთი მყარალი ქაღალდი მდლო და...

— რა ქაღალდი?!

— საჩივარი...

— რა საჩივარი?! — განგებ შეიცხადლა.

— თქვენზე დაწერილი...

— ჩემზე? ჰმ! — პირის მოკუმვით ამოიციანა.

— დიხ, სხვას ვუბოვე...

— მერე?! — ოდნავი ღიმილი ჩაემჩნა თვალის კილოებში.

მოადგილემ ეგეც შენიშნა, ქირის ოფლი დაასხა და ძლივს ამოილულულა:

— არაფერი, ისე მაინტერესებდა, ხომ არ გინახავს-მეთქი! — გაფართობული თვალებით მისჩერებოდა.

— არა! — ამრეზით ამოთქვა და თავი ჩალუნა.

— ნამდვილად, ბატონო ხეთისო?! — იმედის ნაპერწკალმა გაჰკრა.

— დედა არ მომიკვდეს!.. — დიდი ხნის გარდაცვლილი მშობელი დაიფიცა.

ანტონი დაიბნა. უცებ ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ის უღიშარი ხუმრობა და საცოდავად შესცქეროდა, ეგება კიდევ დაეძრა ენა.

ხეთისოს კი თავი მიებრუნებინა და მრავალისმეტყველად დუმდა.

— რა მოხდენილი ხუმრობა იცით, ბატონო ხეთისო!

— ჰო, ძალიან, ვიღას არ ასწავლით ხუმრობას!... — და კვლავ დაკვირვებით მიაჩერდა.

ანტონმა უმალვე გამოარაღა სახე და ყვითელმა ფერმა გადაჰკრა.

გამგემ შეიცოდა და სიტყვა ბანზე აუგდო:

— რა ქნა რეხვიაშვილმა წუხელისა, კაცო?!

— მაშ, ეხუმრები, სამი ბურთი რეხვა! — გული მოენამა ანტონს.

— ის თავით გატანილი იყო ძაან ლამაზი!

— მაშ, კაცო, რა კოხტად ჩაჰკიდა!

— მეკარემაც ძაან ივაჟკაცა!





— უპ, ის რა აიღო, გერშკოვიჩმა რომ დაურტყა.

— „ტორპედოელებთან“ დიდი გული აქვთ, ხშირად ჩაგრავენ.

— თუ აიწყვიტეს, ყველა გუნდს დაგლიჯავენ, მაგრამ...

— მაგარიც ის არის, რომ ყველა თავის ქუთაზე და სურვილზე მოქმედებს, ერთმანეთს მხარს არ აძლევენ, ერთ ჩანაფიქრსა და მიზანს ვერ მიჰყოლიან.

— სწორი ბრძანებაა, ბატონო ხეთისო. ცაყალ-ცაყე ეწვევიან, მაკათ ნოყიერ გულზეშიც ჩათესილა შურისა და „მარტო მე უნდა ვიყოს“ თესლი.

— ეგ გვლუპავდა და გვლუპავს ჩვენ...

რაკი გამგემ ამაზე ჩამოუგდო საუბარი, მოადგილემ შვებით ამოისუნთქა, ფერი მიეცა, თავი დაიმშვიდა, ალბათ, მე თვითონ ამერიკა, ალღომ მიღალატა, მომეჩვენა, რომ საჩივარი მინახათ, დიახ; გული დაიარხენა და რომ მთლად გაექრო ეჭვი, ისევ საჩივარზე მიუბრუნდა:

— მე ისევ იქა ვარ, ბატონო ხეთისო, ვის წაუცდა ხელი თქვენს ჩივილზე!

— რა ვიცი!

— კიდევ კარგი საბოლოოდ მე ჩამივარდა ხელში, თორემ...

— მაშ, კაცო! — თავიც გაიქნია ხეთისომ.

— სრულიად შემთხვევით წააწყდი ერთ პატიოსან კაცთან... როგორც საკუთარი გულის ღალატს არ დაიჯერებ, ისე მისას, საწყალი, როგორ იფიცებოდა, ჩემი ნახელავი არ არისო... რა ვიცი, ეშმაკი წყლისფერია... სხვამ მომიტანა და ხელისმოწერა შემომთავაზაო... კოლეტიური ხელისმოწერა განუზრახია, ალბათ, საჩივრის მოთავესა... იმ პატიოსან კაცს, რასაკვირველია, უარი უთქვია...

— ვინ ყოფილა, ნეტავი ის ხელდამშვენებული?

— არ ამბობობს.

— ?!

— დამუქრებია, თუ კრინტი დაგიძრავს, მძინარეს მოგაცილი თავსაო.

— ან ის „პატიოსანი“ კაცი ვინაა, ვისთანაც წააწყდი საჩივარს?

— ვერ გეტყვი, ბატონო ხეთისო...

უილაჯო ყელგამოწევით შემომხევეწა, რომ თქვენთვის არ მეთქვა მისი ვინაობა, ჩემი დაწერილი არ ეგონოსო. აღვუთქვი, და სიტყვას ვერ წავაქცევ... მით უმეტეს, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, ვისგანაც მე მოვიხელთე, მთავარი ის არის, ვინ დაწერა!..

ხეთისომ თვალები მოივიწროვა.

ანტონს არ ესიამოვნა და რომ ფიქრი აღარ ეცალა, მალე მიაყოლა:

— მაშ, მარჯვენა არ უნდა მოსტყდეს იმის დამწერსა!

— ნუ სწყევლი, ვინც უნდა იყოს, ცოდლა მაინც! თავისი უბედურება არ ეყოფა? — დინჯად მიუგო ხეთისომ.

— ნამუსიანი კაცი თქვენზე ავ სიტყვას ამოუშვებს გულიდან?! — თავიც გამეტებით გაიქნია თანაგრძნობის დასტურად.

— ეპ, ვეღარ გაიგებ, ვინ ითვლება ნამუსიანად და ვინ უნამუსოდ! — ამოიხზრა ხეთისომ.

— მე თქვენზე მეტად ვწუხვარ, ბატონო ხეთისო! მე ხომ სარკესავით ჩახედული ვარ თქვენს გულში, ვიცი რა ალაღმართალი და სპეტაკი აღამიანიც ბრძანდებით, ეს ყველგან მითქვია, თქვენს გარეშე და გული მომდის, რატომ უნდა მოგცხონ ჩირქი! ჩემს ხუთივე შვილს გეფიცებით, წავიკითხე თუ არა ის საჩივარი, გულზე ელდა მეცა.

— ბავშვებს ნუ ფიცულობ! — თვალეწოროდ შეხედა ხეთისომ.

ანტონს უსიამოებამ გაჰკრა, მაგრამ ისევ თანაგრძნობის კილოთი განაგრძო:

— ბავშვებს კი არა, ყველაფერს დავიფიცავ... მე ხომ ვიცი, ყოველ სიტყვასთან ცამდე მართალი ვარ! იქნებ, არც კი დაიჯეროთ, მე რომ სიკვდილის მკლავებში ვთამაშობდი, სწორედ ეს საჩივარი იყო მიზეზი... ძალიან მგრძნობიარე გული მაქვს... იმდენ დარდსა და

**გიორგი სოფრასვილი**  
შავი გული

ბოლმას ველარ გაუძლო და დამცა კი-  
დეც...

გამგემ წარბების მოქოხვით ახედ-ჩა-  
ხედა, ჭრელ თვალეზში მიაჩრდა და  
კვლავ ოდნავი ღიმილი გაუკრთა.

ანტონს თვალეზი შეუცახცახდა, ელ-  
ვამ დაუარა, დაცეცხლა, და თითქოს  
სინათლე დაეცალაო, ერთ წამს ვერა-  
ფერს ხედავდა. ნერვიულად თუ შიშით  
დაუხამხამდა წამწამები, ლოყის თაეები  
აუთახთახდა, თვითონაც აღარ იცოდა ან  
რა დამართვოდა, ან რა ექნა. სიკვდილს  
ათაეებდა და ველარ უთავდებოდა. ერთი  
წამი ერთ საუკუნედ ექცა. ქეშად გამო-  
იხედა, კიდევ ხომ არ მიცქერისო, უფ-  
როსის დამცინავ მზერას რომ წააწყდა,  
უარესად მოკვდა. მართლა ინატრა სიკ-  
ვდილი. მაგ კუპრსაც გაუძლო, ღონეც  
მოიკრიბა და გონებაც, ისევ სცადა თა-  
ვის გამართლება:

— რამდენი ბოროტი ადამიანი დაძვ-  
რება ამ ქვეყანაზე!

— რამდენიც გნებავს! — წამწამები  
ააპარპალა ხვთისომ.

— ერთი, უნდა შემოგიტანოთ და წა-  
გიკითხოთ, ბატონო ხვთისო, რაებსა  
ჩმახავს, ვილაც ოხერია!

— აბა, შენ იცი!

— ჩემი აზრით, ჩვენს კოლექტივში  
გვირეგია, ვილაც მკვდარძალია, თორემ  
უცხოზ რა იცის ჩვენი ჭირ-ვარამი!

— ჭკუასთან ახლოს ხარ! — კვლავ  
მოივიწროვა თვალეზი და მქრქალად გა-  
ილიმა.

— რო მოკვდე, მაინც დავადგენ, ვინ  
არის ჩვენი ფარსადანი, სამარცხვინო  
ბომზე გაჯაკრავ და ქვეყანამ პირში  
აფურთხოს!

ხვთისომ თავი ველარ შეიკავა, უცებ

წასკდა სიცილი და გულიანად ახარხარ-  
და. ხარხარებდა დიდხანს, ~~მძალეოვნად~~  
ნად. ანტონიც უნებლიეთ აჰყვა, მაგრამ  
ვაი იმ სიცილს... გვიან მიხვდა გამგის  
ხარხარის მიზეზს, გამოიცნო და მთლად  
მოისპო კაცი. ერთხელ კიდევ მოკვდა...  
გამგის ხარხარს ველარ გაუძლო და ფეხ-  
აკრფით გამოვიდა.

„უნახავს და ეგ არის!.. ფთუუ, რო-  
გორ დავიწვი!.. რა ეშმაკი ამიძღვა მე  
უჭკულოსა... მეგონა მიზანს მივალწევდი!..  
იმ დოვლათიან სკამს წავეპოტიენ... აბა,  
კისერიც მომატეხინა... ოხ, ჩემო ტეი-  
ნო, ნეტავი სხვისი იყო, რომ თავიდან  
გამოგაცოცო და უძირო ზღვაში გადა-  
გიძახოს!.. კიდევ კარგი, გაგზავნა ვერ  
მოვასწარი, საბედნიეროდ ჩავვარდი  
ლოჯინად, თორემ ქვეყანა გაიგებდა და  
სამულამოდ მომეჭრებოდა თავი... თუმ-  
ცა, რა მაქვს სანუგეშო!.. მაინც იტყვის,  
დაუჯერებენ... არა, არამგონია გამიხი-  
ხოს! თუ ასე ენდომებოდა, თავისთან  
იქონიებდა ჩემს უკრაში ნაპოვნ საჩი-  
ვარსა და ყველას წააკითხავდა. არა,  
ხვთისო ისეთი კეთილი კაცია, მაგას არ  
იზამს. თუმცა... რა ვიცი!... შავი ფიქ-  
რები მობურვოდა ფერდაკარგულ ან-  
ტონს.

ხვთისოს კი ისევ ეხითხითებოდა.  
არასოდეს უცინია ამდენი.

მეორე ოთახში გაედწია მის უცნა-  
ურ სიცილ-ხარხარსა...

— რაო, გაციენე გაუცინარების ხელ-  
მწიფე? — შეაგებეს თანამშრომლებმა.

ანტონმა ნაძალადევი ღიმილი გადაიე-  
ლო და თავი დაარხია.

— რახან ეს იცინის, რალაც დიდი  
ბედნიერება გველის!

ყველას უკვირდა სიცილი უცინარისა.

## რ ე მ ო კ ა ხ ე თ ო

კახეთო ჩემო, ტკბილო კახეთო,  
 რომ მოგვიწოდებ: გამომსახეთო —  
 განა შენს იერს ხატვა სჭირდება,  
 განა შენ რამე გაგიკვირდება.  
 როცა გავეყურებ გაშლილ ალაზანს,  
 ანდა შუბლს ვუშვერ ნადიკურის ნიავს,  
 როს ღამე მთებს და ველებს ჩარაზავს.  
 ზეცას შენ მაინც ხვდები გულლიად.  
 შენს სილამაზეს სიღარბაისლეს,

ქართველურ ჯანს და ქართველურ იერს,  
 შორით გაწოლილ გომბორის ნისლებს,  
 შენვე აკვანი რომ დაურწიე —  
 ღამეში შეთხზულ ურმულში ვხვდებით,  
 ყოველი პურის თავთავში ვხვდებით,  
 ყოველი ურმის მარცვალში ვხვდებით.  
 შენ შეინახე ქართველთა მიწა,  
 ახლაც ამ მიწას უვლი და იცავ.

## გ გ ა უ ი

ბილიკი ჰქვია და მაინც გზაა,  
 მთაში მიმიძღვის მასპინძელივით.  
 ირგვლივ მთებია და მალლა ცაა,  
 ღრუბელი დაძრწის მშიერ მგელივით.  
 მიყვები ნელა დაკლაკნილ ბილიკს,  
 ფიქრები რას არ მეუბნებიან,  
 ეს ორი თვალი, ვით ორი დილი,  
 სივრცეს ხელდახელ შეუბნევია.  
 მე და ცხენი ვართ აქ მთაში მარტო,  
 მე და ცხენი ვფლობთ ამხელა ფართობს,  
 მეტყველი მაინც იყოს ეს ცხენი,  
 ფიქრი ცოტათი მაინც გაუყუო,  
 რომ მომეწიოს გზაში მეწყერი,  
 ჩემ თავს რა ვუყო, ან ცხენს რა ვუყო?  
 შორი გზაა და კაცს მარტოხელას  
 უჭირს მუნჯურად მანძილის გავლა,  
 იქნება ცხენი ჩემსავით ღელავს

და ღელავს იგი ჩემსავით მალავს,  
 ეჭვი-ცხენო, შენს ფეხმარდობას,  
 განსაცდელისგან ვუხსნივარ ხშირად,  
 ახლაც ვაპირებ შენზე დანდობას  
 და ნუ მიმიყვან უფსკურლის პირას.  
 რახან ასე გსურს ვიაროთ ჩუმად,  
 ერთურთს გუმანი გავუზიაროთ,  
 ჩვენ ხომ არავართ მოსული სტუმრად,  
 ამ მთებში უნდა დიდხანს ვიაროთ.  
 უნდა მოვეძებნოთ წიაღში განძი,  
 შევმატოთ ქვეყნის დოვლათის ზვინებს.  
 ნუ გამოგრძელებ უსიტყვო მანძილს,  
 ხანდახან მაინც დაიჭიხვინებ.  
 ბილიკი ჰქვია და მაინც გზაა,  
 მთაში მიმიძღვის მასპინძელივით,  
 ირგვლივ მთებია და მალლა ცაა,  
 ღრუბელი მომსდევს ჩვილი მშველივით,



### ტ ა კ რ ე ბ ი

სიონს,  
 ყინწვისს,  
 სამთავისს —  
 ერთი გზა აქვს სამთავეს.  
 ერთი სული აგებდა,  
 აღვივებდა ნალვერდალს.  
 ერთი ჯვარი ეკიდათ  
 გამოთლილი ეკლიდან.  
 ზარს ქვეყნიდან ქვეყნამდე

ერთი თოკით რეკავდნენ.  
 ჰყავდათ ერთი ღუმმანი,  
 ვერაგი და გულშავი.  
 ერთით ერთი  
 შანდალი —  
 თაფლის სანთელ დამდნარი  
 და ღმერთიდან მიწამდე  
 ქართულ ენას ჰფიცავდნენ.

### ლ უ რ ჯ ი ბ ა რ ა თ ი

შენი ბარათი მიაგავს ეტრატს,  
 ნაზად დაწერილ გუჯარს.  
 როდი ანათებს ბარათი თეთრად,  
 ლურჯად ანათებს, ლურჯად.  
 ამ ბარათივით ჩვენი სიცულქე  
 გავლილია და ძველი,  
 მაგრამ ბარათი მაინც იძებლებს,  
 როგორც იმ დროის მცველი,

როცა მკერდებში სხვა ძალით ერთი,  
 გული წრფელი და ამო...  
 დღეს აღარ გვძებ, ირემო კენტო,  
 მიზეზთა სხვათა გამო.  
 დე, ნუ მომწერონ შენმა თითებმა,  
 დაიღლებიან, ნუ რჯი,  
 ჩემთან არასდროს არ გაყვიტლდება  
 შენი ბარათი ლურჯი.

### ხისფერი ხილაბანდი

„ღარეკე, დაუბარე...“

გალაკტიონი

ოდესმე თუ კიდევ ვიცეკვებთ  
 თვალების მინაბვამდის,  
 საყვარლად მოიგდე კისერზე  
 ცისფერი ხილაბანდი.  
 თითქოს და ზღვის წყალით ავსილი  
 ღელავდნენ საკინძენი,  
 შენ თვითონ იყავი ვალსივით  
 და ველარ გაგიძელი.

მე ეტლი ერთი დღის სავალზე  
 გავრეკე, გავიპარე.  
 საქმე თუ გაგიხდეს სავალსედ,  
 ღარეკე, დამიბარე.  
 და ერთხელ თუ კიდევ ვიცეკვებთ  
 თვალების მინაბვამდის,  
 საყვარლად მოიგდე კისერზე  
 ცისფერი ხილაბანდი.





## ს ა ს ე ლ ე ბ ი

მე მერქვა შვილი, შვილიშვილი...  
ტკბილი სახელები მერქვა.  
რამდენი სახელიც მიბოძა,  
სულყველა წამართვა ღმერთმა.

მე მერქვა შენი სიყვარული.  
შენი მეგობარი მერქვა.  
რამდენი სახელი მაჩუქეს,  
სულყველა დავკარგე ერთად.

ცხოვრება კი მიდის ნება-ნება  
და მიაქვს რაც იყო გუშინ.  
რაც უფრო მძიმეა მოგონება,  
მით ღრმად ჩაძირულა სულში.

როგორც ნაწვიმარზე სოკოები,  
ახალი მეგობრები ჩნდება.  
ქუჩაში გამოდის გოგოების  
ყველაზე ლამაზი წყება.

ერთი მოცურდა ჩემთან  
ღრუბელზე მსუბუქი ნავით,  
რათა გამიქარვოს სევდა,  
ვარდისფრად შეღებოს შავი,

მოულოდნელი გაეღვებით  
დღეები გადიქცეს წამად  
და მომემატოს სახელები:  
მეუღლე,

მშობელი,  
მამა.

## სიყვარულის უსასხაპ

თუ სიყვარული მძლავრი ქარია,  
მე იქ ვარ სადაც ქარები ქრიან.

თუ სიყვარული გრძელი წვიმაა,  
ჩემს თავზე ფეხად ჩამოდის ზეცა.

თუ სიყვარული მთვარის ჩრდილია,  
მე მხოლოდ მთვარის გზები ვირჩიე.

თუ სიყვარული ცამდე გამაღლებს,  
დავდივარ — მიწის ფეხს არ ვაკარებ.

მაგრამ, თუ სიყვარული აღარაა,  
მამინ მე მშვიდად ხელს ვაჭერ დილაკს.  
და ლიფტით სწრაფად ჩამოვდივარ დედამიწაზე.  
გვერდს ვუქცევ გუბებებს.  
ვიწევ პალტოს საყელოს  
(არ ჩამვიდეს წვიმა კისერში)  
და ვფიქრობ:  
რა უნდა იღონოს კაცმა,  
რომ მოგონებისა და სინანულის გარეშე  
მოუვიდეს უსიზმრო ძილი.

## სერგო გაქარიაძის ლაპრკალვა

როს აღმართი საბოლოო აიარე დაფითა  
გაბუტული, მიამიტი და მეფური საზითა,

როს თბილისი გადაფარა ტყვიისფერმა ღრუბლებმა,  
თვალმა გული დააჯერა — აღარ დავგიბრუნდება.

როცა დარდი მანდილივით გაიშალა ქარში,  
— არ ვიცოდი ვით მიყვარდა — გავიფიქრე მაშინ.

ვინ შენა და — მწუსარება... ვინ შენა და — ცრემლი...  
თავდახრილი მოგდევს შენი მზიარული მრევლი.

გაზაფხულის ყვავილივით მოგონება ტოკავს.  
ვით ყვავილი ისე ჭკნება მაზარა და ტოვა.

მტკვარი — ქართლის მოტირალი — ვერ იკავებს ღრიალს  
და ნიღბები სცენის მტვერში უპატრონოდ ჰყრია.

თავდახრილი საქართველო გეთხოვება რიდით.  
შენი გზა კი არ სრულდება — ღრუბლებს იქით მიდის.

ღრუბლებს ზემოთ მზე ჭისვინებს — დარახტული რაში.  
ღრუბლებს ქვემოთ მწუსარება გაშლილია ქარში.



## ერთი ღამის სევდიანი ჰანგები

ბატონი პეტრე, ბატონი პავლე და ბატონი სავლე ძლივსძლივობით გამო-ბარბაცდნენ მდინარისპირა რესტორნი-დან „თეთრი გედები“. ფართოფარფ-ლებიანი ქუდები დარდიმანდულად გვერდზე მოეგდოთ, შესხნილი ჰალსტუ-ხები პალტოს ზემოდან უფრიალებდათ და გაღვლილი მკერდით როგორღაც ჟი-ნიანად, თითქოს ვიღაცაზე მიიწევდნენ.

შუალამე ახლოვდებოდა. ქუჩები უკ-ვე დაცარიელებულიყო. გარინდული სკვერები, ხიდები, შემოდგომის მჭრქალ ნისლში მბჟუტავი ფანჯრები სიმშვიდი-თა და სიმყუდროვით სუნთქავდა. მაგ-რამ ამ სამს, რაღაც უაღრესად საჭირო და სასურველი თითქოს ჩაბნელებულ შუკებში მიკარგვოდათ და თავგზააბ-ნეულებივით დაბანდალებდნენ.

—სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად, — კიკინა ხმით წამოიწყო ბატონმა პავ-ლემ, ყელი მოიდერა, დაიძაბა და თვა-ლები გაუფართოვდა.

—ღვინო, ღუღუკი, ქალებიიი, — აჰყვენ ბატონი სავლე და ბატონი პეტრე.

—ქალებიიი...

—ქალებიიი...

ლილინ-ლილინით იბორიალეს მღუმა-რე ქუჩებში და, როგორც იქნა, გმირ-თა მოედანზე უზარმაზარი სახლის წინ შედგნენ.

—აი, მომიღწევია კიდევ, — ღრმად ამოისუნთქა ბატონმა პეტრემ და მე-გობრებს დაღლილი, ამღვრეული თვა-ლები მიაშტერა.

—მართლა მოსულხარ და ესაა!

—ახლა ორნი გავუყვებით, — ჩაი-ლულულა ბატონმა სავლემ და ბატონ პავლეს მხარზე ჩამოეყრდნო.

—არა, სავლე, ამ ვაჟბატონმა ისე ბრძანა, აი მოვედიო, თითქოს შეგვა-ხარბა, რა ბედნიერი ვარო, ფხი, ხი, ხი, — ჩაიღინცილა პავლემ.

—რატომ... ეეე... რატომ?!

—იმიტომ რომ, ეგეე... ჩვენი სახ-ლიც.

—ჰო, მაშ! თქვენი სახლიც ეგერაჲ

—ჰოდა, ჩვენც შენსავეთ ბედნიე-რები ვართ.

—ვართ, მა არა ვართ! — დაუდას-ტურა ბატონმა სავლემ.

—ჰოდა, აი მოვედი კიდევო, რომ თქვა, ახლა ჩვენც წავალთ, ხუთ წუთ-ში შინ ვიქნებით, წამოგწვებით და ვიტყვით: „აი, მოგვიღწევია კიდევ“.

—ჰო, ავრე იქნება, მაშ!

ბატონი პეტრე დაბნეული მიაჩერდა მეგობრებს.

—წავიდეთ, სავლე.

—წავიდეთ, პავლე.

—წავედით...

—არა, მოიცათ! — უეცრად ორივეს



ქინიანად ხელეში სწვდა ბატონი პეტრე, შეაჩერა.

— რა გინდა, ბიჭო?

— რა და... მოდი, ერთიც ვიმღეროთ.

— ვიმღეროთ? აბა, რომელი?

— მე რომ მიყვარს, პავლე... „სანთელივით დავდნები“.

— ჰე, ჰე, კარგად გაგახსენდა. სულ კი ვფიქრობდი, რომელიდაც დაგვაკლდა-მეთქი, — ბატონმა პავლემ ჩაახველა და სიმღერა წამოიწყო. დანარჩენებიც უმალ აპყვენენ და ღამის სიჩუმეში კენესასავით გაისმა მათი ეშხმორეული ხმები.

იქვე ხეს მიყრდნობილმა, ფეხზე ნახევრად მთვლემარე მილიციელმა თვალები მოიფშენიდა და გაბუცებული მიაჩერდა მომღერლებს. ერთხელ კი გაიფიქრა, წესრიგისკენ მოეხმო, მაგრამ შეეყოყმანდა, — ხანდაზმულ და გარეგნობით მოღარბაისლო კაცებს საყვედური ვერ შეხედა. ეზოებიდან ცნობისმოყვარე ძაღლებმაც გამოაჰყვეს თავები და უხალისოდ შეჰყმუვეს. ისინი კი შთელი არსებით აპყოლოდნენ სიმღერას, ხმას უწევდნენ და გარშემო ვერაფერს ამჩნევდნენ. იმასაც ვერ ამჩნევდნენ, გამკვლევი მანქანა რა უტიფრად მიანათებდა ფარებს და ახორბოცებული მძღოლი როგორ გასძახებდა: „ვახ, საღოლ, ბებრებო!“

... ბატონი პეტრე, ბატონი პავლე და ბატონი სავლე ინსტიტუტის პროფესორები იყვნენ, — უკვე გაჰალარავებულნი, ცხოვრების ჭკპანწყვეტით დაღლილნი და დანადგოლიანებულნი იმითაც, რომ სასურველი მიზნისთვის ვერ მიედწიათ. ყოველი უკმაყოფილო კაცის მსგავსად, სიმწრით იხსენებდნენ ოდესღაც ჭიხმაკურად გაფლანგულ წლებს და, ბედს ემდუროდნენ. ხანდახან ერთმანეთს ფარულად შეათვლიერებდნენ, აწონ-დაწონდნენ და უხმოდ ასკვნიდნენ, რომ უნებურად დამსგავსებოდნენ თავიანთივე თავის სიფრიფანა უსუსურ ანარეკლებს. სიქარმაგეში გადასულებმა, აკი ზუსტი ფორ-

მულებით გამოიანგარიშეს მათი მოვგოთ ან რა წაეგოთ ცხოვრების მანძილზე, და შედეგის ხილვამ სულ მთლად წაუხდინა ნირი. ბოლოს, გადაწყვიტეს, ყოველივე თავის მტრეგად არ ღირსო, და შეეცადნენ მესამე მხილველი თვალი როგორმე დაებრმავებინათ. ამიტომაც, მათთვისაც შეუძინევლად, გაუაზრებლად მიჰყვეს ხელი სმას.

— ამ სიბერეში გამილოთდი, შე კაცო?! — ბუზღუნებდა ბატონი პავლეს მეუღლე.

— ახალგაზრდობაში არ სვამდი და ახლა რა დაგემართა?! — გაოცებული ვიშვიშობდა ბატონი სავლეს მეუღლე.

ბატონ პეტრეს კი დუმილით ხედებოდა ახალგაზრდა ცოლი ადელაიდა. ის იყო ტანადი, მკერდსავე, მაღალთქოებიანი ქალი და უმეტესად შინ იჯდა, რადგან აქამდე ვერ გადაეწყვიტა სხვა რამის გაკეთება. ბატონ პეტრეს უხაროდა, რომ ცოლი ყოველთვის სახლში ხედებოდა და ამით ამაყობდა კიდევ. მადლობის ნიშნად, უსრულებდა ყოველგვარ სურვილს, უამრავ საჩუქრებს ყიდულობდა, მაგრამ ვერა და ვერ მოეცილებინა უცნაური, გულისმომწურავი მორიდებულობა, — თითქოსდა მის წინაშე მაინც ვალში რჩებოდა, თითქოს რაღაცას უფრთხოდა და ეშინოდა.

ათიოდე წლის წინათ კი, როდესაც ადელაიდა პირველად დაინახა და გაიცნო... მაშინ ადელაიდას უბრალოდ ადას ეძახდნენ და მთელ ქალაქში ყველაზე მხიარულ და მომხიბვლელ გოგონად ითვლებოდა. იმ დროისათვის ორმოც წელს მიღწეულმა, გარკვეულ საზოგადოებრივ საფეხურზე მდგარმა და მოჩვენებითად უფლებამოსილმა ბატონმა პეტრემ, ადას ქალწულურად მორჩილ, მომლოდინე მზერას ადვილად გაუსწორა თვალი და გაიფიქრა, რომ ამდენი მოთმენისა და ცხოვრებისეულ სიძნელეთა გადალახვის სანაცვლოდ, ბოლოს და ბოლოს, ღირსი იყო ეს სი-





ლამაზე მოეპოვებინა. ოდნავადაც არ შეეყოყმანებულა, იმდენად სწამდა გემარჯვება და გაიმარჯვა კიდევ. დიდებული ქორწილი გადაიხადეს. სადღესასწაულოდ, მდიდრულად მორთულ უამრავ ქალებს შორის, ადას სილამაზე და მომზიბველობა მისსავე ყელზე შემოგრაგნილი თვალმარგალიტივით ბრწყინავდა, და ბატონი პეტრეს კმაყოფილებას, ბედნიერებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ, როდესაც ისინი პირისპირ მართკეები დარჩნენ და, როდესაც ბატონ პეტრეს თავისი ღირსება ერთადერთი ამოსუნთქვითღა უნდა დაეცვა და დემტკიცებინა, — მთელი სიცხადით მხოლოდ მაშინ აღიქვა, რამდენად ლამაზი იყო ადა, რაოდენი სიმსურვალე და ნდომა იმალებოდა აქამდე მორიდებულ, სათნო გამოხედვაში. ყოველივე ეს აშკარად აღემატებოდა ბატონი პეტრეს საზოგადოებრივ მდგომარეობასა და უფლებამოსილებას, და იმ დამით იგი პირველად შეცბა. თუმცა, უკან დასახევი გზა აღარ დარჩენოდა. ადას სასწრაფოდ ადელიდა შეარქვა და, როცა აღარც ამან გასჭრა, როცა აღარც ამან შეაკაპრა ადას მშვენიერების სიცხოვლე, ცოლთან განმარტოებას ეამიეამ თავს არიდებდა, გადაუდებელ საქმეებს იმიზეზებდა, მაგიდაზე დახვავებულ წიგნებში ეფლობოდა, და ზოგჯერ გაუბრბოდა კიდევ. ადელიდას სხეული კი თანდათან ივსებოდა, სრულდებოდა, ფუშფუშდებოდა. მასთან ყოფნისას ბატონ პეტრეს სურდა თვალები მოგხუჭა და გრძნობადანშული იოგივით შეულწეველი, აუღელვებელი გამხდარიყო. ტანად პატარას, სწრაფსა და კეუამახვილს, თავის დაღწევა არცთუ ისე უჭირდა, ოღონდ ერთი აწვალებდა, სულ ერთი და იგივე: სულელური რიდი და სიმორცხვე, რომელიც გულში წლების მანძილზე თანდათან ეზრდებოდა. სახლში ყოფნისას ცდილობდა გამუდმებით ეტარტარა და ხუმრობა-ტაბაცობაში გაეყვანა დრო.

ადელიდა კი ცივად, უსიტყვოდ ემეცნებოდა ქმარს და ამ უმეტყველობაში ატანაც მიძიმე, აუტანელი იყო.

— სატრფოს ხმას რომ გავიგებ, გენაცვალე...

აქ მომღერლებმა სულ მთლად დაიტკბეს ყელი და მიინაბენ.

— ოჰ, რა კარგი ხარ, პავლე, რა კარგი! მაინც, როგორ შეგრჩა ეგ ხმა?! — მიესიყვარულა მეგობარს ბატონი პეტრე.

— მაშ, პავლე ტყუილად ვარ? ახალგაზრდობაში ბულბულს მეძახდნენ, ბულბულს!

— მართლა ბულბული ხარ, პავლე, ბულ-ბუ-ლი, — ჩამარცვლა ბატონმა პეტრემ და კისერზე შემოეჭო.

— ახლა კი დავიშალოთ, თორემ ცოლები აღარ შეგვიშვებენ, — თქვა ბატონმა პავლემ.

— წავიდეთ.

— ჰო, მეც ავალ. აბა, ყოჩაღად იყავით.

ბატონმა პეტრემ ნაღვლიანი მზერა გააყოლა გზად მიმავალ, ხელიხელ გადაქდობილ მეგობრებს. სახლის სადარბაზოსთან გააჩრ-გამოიარა. ღვინო ძალზედ მორეოდა და დაღლილობისგანაც სულ მთლად მოდღრებულიყო, რამდენჯერმე ცერად აიხედა და დაინახა, რომ ფანჯრებში სინათლე ენთო. ერთხანს კიდევ შეყოვნდა. მერე თავი დახარა და როგორღაც ჯიქურ გასწია შესასვლელისკენ.

— გამარჯობათ, ბატონო პეტრე, — მოწიწებით მიესალმა იქაური დარაჯი და ფეხზე წამოდგა.

ბატონმა პეტრემ ბუნდოვნად გაარჩია სქელ ქურტში გახვეული ჯირკვით კაცი, რომელსაც აწეული საყელოდან გაბუშტული ცხვირი, სქელი უღვაში და მრგვალი, პატარა თვალეზი მოუჩანდა.

აკაკი ვახაშვი  
მოთხრობები

— ააა, გამარჯობა შენი... როგორა ხარ?!

— რა მიშავს, ბატონო. თქვენც კარგად... ვეტყობათ, — ეშმაკურად ჩაიცივნა დარაჯმა.

— ჰა, მეტყობა ხომ?! აბა როგორ!

— იცოცხლეთ, იცოცხლეთ... ახლა, ცოლი გელოდებთ და ალბათ, დელავს.

— ჰო, აბა, — ზრდილობის გულისთვის უპასუხა ბატონმა პეტრემ, სადარბაზოში შევიდა და გაიფიქრა: „უტიფარია!“

„ზის და მელოდება... ჰო, ალბათ მელოდება და, იქნებ, მართლაც ლელავს კიდევ“, გზად იმეორებდა დარაჯის სიტყვებს და, უცებ, თვალწინ ადელია და წარმოესახა. გაახსენდა, რომ მთელი დღის მანძილზე ერთხელაც არ შეუვლია სახლში. დღით ლექციები, შემდეგ წიგნზე მუშაობდა, შემდეგ კიდევ ათასი რაღაც და, ბოლოს, დაღლილმა იქეიფა. გუშინაც ასე იყო, იმის წინათაც. ღმერთო, როგორ ჰგავდნენ დღეები ერთმანეთს! ღმერთო, რა მოწყვნილობაა! შეიღები მაინც ჰყოლოდათ. ასე კი... საშინელი სიცარიელე! თუმცა, ადელიადა ხომ ჰყავდა. ადელიადა... ადა... წამით ბატონმა პეტრემ გულისდამთუთქავი სითბო იგრძნო ამ ქალის მიმართ. — არა მარტო ნალმოზი სიყვარული, არამედ თანაგრძობაც. „ჩემი ადა, ჩემი ადელიადა“, ჩურჩულებდა თავისთვის და საფეხურებს ფაცფაცით მიჰყვებოდა. გზად შედგა, შუბლზე ხელი გადაისვა, სახე მოკმუხნა, შეიმართა, თითქოსო მოუნდა გადრევებული სხეული გამოეფხიზლებინა, გამხდარიყო მხნე, ღონიერი, გამბედავი, და ცოლის წინაშე ყიფად, გერგილიანად წარმსდგარიყო. მსუბუქად, მოხდენილად, თითისწვერებზე აირბინა დარჩენილი საფეხურები. თვითონაც სიამოვნებდა ამგვარი უეცარი გარდასახვა, და გულში იმეორებდა: ჩემი ადელიადა, ჩემი ადა, ო, როგორ მიყვარს! როგორ მინდა... მან არც კი

იცის. ერთხელაც ვერ ვუჩვენებ, ვერ დავემტკიცე... ჩემი ადა, ადელიადა... მესამე სართულზე, მღელვარებისა და ჩქარი სიარულისგან სუნთქვა შეეკრა, ტუჩები ნერვიულად აუთამამდა, მაღალ, ვიწრო შუბლზე ოფლმა დაასხა, სიფრიფანა ცხვირი კიდევ უფრო გაუწვრილდა, სახე გაუფითრდა; ერთხანს შეისვენა, სული მოითქვა. მერე, კარი უხმაუროდ შეაღო, ფეხაკრეფით გაიარა გრძელი დერეფანი და სასტუმრო ოთახთან გახვევებულებით დაეკრო იატაკს. მოულოდნელად გარკვევით შემოესმა ქალ-ვაყის საუბარი:

კაცი: მიყვარხარ... (აღტყინებით).  
ქალი: მეც, მეც მიყვარხარ (ძლივს შეკავებული ვნებით) და იცი, რა ბედნიერი ვარ? ბედნიერი და თავისუფალი... რამდენ ხანს, რამდენ ხანს ველოდი შენს გამოჩენას...

კაცი: ჩემო კარგო, აღარც კი წარმომიდგენია, უშენოდ აქამდე როგორ ვცხოვრობდი.

ქალი: ახლა ხომ ველარავინ ვერ დავაშორებს, ვერც ჩემი ქმარი... ველარავინ და ველარაფერი წინ ვერ დაგვიდება, ვერ დავაშორებს...

სიჩუმე.  
„ნეტავ ვინ უნდა იყოს?!“ ტანში ცივად შეაყრყოლა ბატონ პეტრეს და შეშფოთებულმა უმწეოდ მიმოიხედა. გაიციქნაფა. უცებ, ფეხაკრეფით გაბრუნდა ისევ უკან, შემოსასვლელისკენ. წამით შედგა, ჩაფიქრდა, მერე ხმაურით გამოაღო კარი და მიაჯახუნა. რამდენჯერმე ჩაახველა, ხმამალა წამოიძვრა კიდევ და ფეხების ნაძალადევი ბრაუნით დაიძრა სასტუმრო ოთახისკენ. სანამ ზღურბლზე გადააბიჯებდა, ფაციფუცი და ფხაკუნნი გაიგონა. შიშისა, მღელვარებისა და სიბრაზისგან კინალამ გაიგუდა. ზღურბლზე წაიბორძიკა, თავი დახარა და ისევ შევიდა ოთახში. თავჩაღუნულმა ცერად, წარბებს ქვემოდან გაიხედა მარცხნივ, იქით, საიდანაც ახლა ისევ ჩურჩული მოისმოდა.



ადელაიდა ფართო საკარცულზე ფეხმორთხმით იჯდა და უყურებდა ტელევიზორს. ტორშერის მოყვითალო შუქზე ის ჩანდა არაჩვეულებრივად ლამაზი: თავი ხელებზე დაეყრდნო, მხრებზე ჰაეროვნად დაფენოდა აბრეშუმითი მბზინავი თმა, მაღალი თეძოები მომაჯადოებლად ინაკეთებოდა საშინაო ხალათის ნახ ქსოვილში. ბატონმა პეტრემ მოულოდნელობისა და სიხარულისგან კინაღამ შეჰკივლა, ალერსიანი, მადლიერი მხერა ჩამოაცურა ცოლის ნატიფ შუბლზე, გრძელ წამწამებზე, ოდნავ მსუქან, ვაბუტულივით ტუჩებზე, მაღალ, თეთრ კისერზე და, უცებ, შემცბარმა უკან-უკან დაიხია, — ადელაიდას პენუარი მკერდთან დაუდევრად გადახსნილიყო და სავსე კრიალა ძუძუებს ძლივს იტევდა ნაქარგი ბადე.

ბატონ პეტრეს გული გამალებით აუძგერდა, პირი გაუშრა, სხეული გაუხურდა. ღვინის ოხშივარმა დაუნისლა გონება, სისხლი აუმღვრია. გარეტიანებულებით ხარბად მიაჩერდა ცოლის შიშველ მკერდსა და მუხლებს და ბუქივით მოვარდნილი ვნებით ათრთოლებულს მოუნდა ამოეთქვა: — ადელაიდა, ადა, როგორ მინდა მოგეალერსო, ხელში აგიტაცო და ძლიერად, ისე ძლიერად... ო, რომ იცოდე, როგორ მიყვარს ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენია... რომ იცოდე, როგორ მინდა შენს წინ დავიჩოქო, თავი ჩავრგო შენს კალთაში, წელზე მკლავები შემოგაქლო ძლიერად, ისე ძლიერად, რომ სუნთქვა შეგეკრას... როგორ მიყვარხარ, ჩემო ადელაიდა! არა, ადა, ჩემო ადა, ადა...

— ადაა! — აღტყინებისაგან დაგუდული, ხრინწიანი ხმით აღმოხდა ბატონ პეტრეს და...

ქალმა მთვლემარე სიზნანტით, როგორც ბუხართან გაწოლილმა, საკუთარ ზმანებებით გართულმა კატამ, რომელმაც წინასწარ იცის პატრონის სიღარიბე და გემრიელ ლუქმას არ მოელის,

ზმორებით მოიხედა. არც ერთი წიკტი არ შერხევია, ოღონდ სახეზე ყრუსეველა გადაეკრა. ბატონი პეტრე მწყურვალე თვალებით ეძებდა მის მხერას, მაგრამ ის სადღაც საგნებს მიღმა იკარგებოდა, ყველაფერის მიღმა, და ინთქმებოდა ისევ საკუთარ გუგებში. ვნებას ეძინა. ვნება მიცემოდა ღრმა ძილს და ბატონმა პეტრემ ცხადად შეიგრძნო მისი მღუმარების სიძლიერე, მთელის არსით აღიქვა იმ ვნების დაუსრეტელობა და ფარულმა შიშმა უნებურად აიტანა, სულ მთლად შებოჭა. ახლა ბატონი პეტრე მხოლოდ იმაზედა ფიქრობდა, როგორმე არ გაედევძებინა იგი და ვეება ლოდის წინ მდგარი კაცივით მკლავები უიმედოდ ჩამოყარა. აღტყინება უმაღლეს გაუქრა ამ მიძინებულს, ყოველისმომცველი მშვენიერი სხეულის წინაშე და გამბედაობა ჩაეფარფლა. წამით გულისამრევმა სისუსტემ შეიპყრო და, როცა გონს მოეგო, ტკბილად, ალერსიანი ხმით ჩასჩურჩულა:

— როგორ ხარ, ფისო?

ადელაიდას თვალბში უწინდებურად მთვლემარე სიზნანტის ბინდი იმღვრებოდა. მხოლოდ ტუჩები აიბზუა და უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— ჰო, მეც დავიდალე. საშინლად დავიდალე, საშინლად... რა საჭირო იყო. მართლაც, როგორ დავიდალე. ეს საშინელებაც, — უაზროდ ბუტბუტებდა, თან აუტანელ უხერხულობას გრძნობდა. გაუჭირდა ადელაიდას წინაშე ასე დგომა. დატრიალდა, თითქოს მოუნდა რაიმე ხელშესახები საგანი მოენახა, რომელზეც ყურადღებას გადაიტანდა. როდესაც ვერაფერი ნახა შესაფერისი, ძლივს ამოილულულა:

— შენ, ალბათ, ჯერ არ დაწვები.

ადელაიდამ ერთ ხანს კიდევ უცქირა. შემდეგ ხმა არ ამოუღია, ისე მიიბრუნა თავი და ტელევიზორს მიაჩერდა.

აპაპი ვასაძე  
მოთხრობები

ბატონი პეტრე თავჩაქინდრული გავიდა საწოლ ოთახში.

— დაშა! დაშა! — ვედრებასავით მოისმა მისი ძახილი.

სამზარეულოდან სამოც წელს მიღწეული, ჩასუქებული და კობტად თმადავარცხნილი მოსამსახურე ქალი ბურთივით გამოგორდა.

— დაშა, სად ხარ? დამიგე ლოგინი! გესმის, ლოგინი-მეთქი... მეძინება.

როგორ მეძინება, — ბატონა ჭკეჭკეჭი ბუზღუნებდა ბატონი პეტრეს ლოკავდა ზედა ტუჩზე უნებურად ჩამოდენილ ცრემლს და თანაგრძობის მოლოდინით მისჩერებოდა მოსამსახურე ქალის კეთილ, მონადღვე სახეს.

— დაშა, ოჰ, დაშა, დაშა!

სასტუმრო ოთახიდან კი მოისმოდა მუსიკის ხმა და ქალ-ვაჟის საიდუმლოებით მოცული ჩურჩული.

## ხელოვნების მსხვერპლი

როგორც იქნა, სულიკო სარკის წინ თმის ვარცხნას მორჩა, პალტუხი გაიკეთა, სასწრაფოდ გამოეწყო კონტიუმში. ერთხელაც შეათვალიერა საქუთარი თავი და, როცა დარწმუნდა, რიგიანად გამოიყურებოდა, გასასვლელიკენ გაქანდა. იქ პალტო ჩაიცვა, სქელი ბუსუსებიანი კაშნე კისერზე შემოიქდო, საყელო აიწია, ტუჩები მოკუმბა და ქუჩაში გავიდა. დეკემბრის სუსხიანი ქარი ტალღასავით შეეხალა სახეში. სულიკომ ჩაახველა, მხრებში უფრო ღრმად ჩარგო თავი, ნეონის ნათურებით გაჩირადდებულ პროსპექტს გზებდა და გზას გაუყვავა. მიდიოდა დინჯი, თავისი ბედით კმაყოფილი კაცის ნაბიჯით და ამაყი თავაზიანობით ესალმებოდა ნაცნობებს. ოპერის თეატრს რომ მიუხლოვდა, საათს დახედა. დიდი ისარი უკვე რვას მიბჯენოდა, მაგრამ ერთხანს შეყოვნდა. უკმაყოფილო მზერა გააყოლა ოპერის შენობისკენ კანტი-კუნტად მიმავალ ადამიანებს და მწარედ გაიფიქრა: „ოპერა დაავიწყდა ხალხს, მუსიკა დაავიწყდა, ნამდვილი მუსიკა. სულ ცულლუტობაზე, როკენ-როლზე და ტაშ-ფანდურებზე მიუღიოთ გული. ეგჰ, რა ეშველებათ! წახდა, წახდა ხალხი...“ ამ ფიქრით შეურევებული გაემართა შესასვლელისკენ და მეგობრულად, თანაგრძობით გაუღიმა შემშვებ ქალს.

— გამარჯობა, სულიკო! ჩქარა, ჩქარა,

თორემ საცაა სინათლეს ჩააქრობენ... სწორედ იმაზე ვფიქრობდი. თვალში ვიღაც მაკლია-მეთქი...

— გამარჯობათ, გამარჯობათ, როგორ გიკითხოთ, — კბილებში გამოსცრა სულიკომ და ბილეთი გაუწოდა.

დარბაზში უკვე ბნელოდა. სულიკომ ფეხაკრეფით ჩაუარა პარტერის რიგებს, თავისი ადგილი მონახა, დაჯდა, გასწორდა და ღრმად ამოისუნთქა.

როდესაც დარბაზში ასე იჯდა და დირიჟორის ხელების აღმართვას ელოდა,

— გაინაბებოდა, გული შეეკუმშებოდა, სხეულში ყრუანტელი დაუვლიდა და პირი გაუშრებოდა ხოლმე. იმგვარად ღელავდა, თითქოს კულისებში თვითონ იდგა და ფარდის ახდას მოელოდა.

აი, უვერტიურა დასრულდა, დირიჟორს ტაში დაუკრეს, ფარდა შეირხა. აიზიდა, მოახლოვდა მომღერლის გამოსვლის წამი. სულიკოს ფეხები აუთრთოლდა, შუბლზე ოფლმა გამოასხა და ყელში რაღაც მოაწვა.

— მჰ, მჰ, — უნებურად ზედმეტად ხმამაღლა ჩაახველა სულიკომ.

წინ მსხდომმა ორმა ხანშიშესულმა ქალმა ერთდროულად მოიხედა. სულიკო შეცბა. ორი წყვილი მზინავი თვალი წყრომით მისჩერებოდა.

— მამატიეთ... დიდ ბოდიშს ვიხდი... — უხერხულად აიბუზა სულიკო.





რა სისულელეა! მერამდენედ მოს-  
დის ამგვარი რამ. თუმცა, ეს კიდევ არა-  
ფერი, — როცა ადგილობრივი საექვო  
ხარისხის მომღერალი ასრულებს წამყ-  
ვან პარტიას და მაღალ რეგისტრებში  
წყალწოდებულევით წაიკვილებს, სუ-  
ლიყო მოკუმულ ბაეებთან მოწოლილ  
ხმას ძლივს შეიკავეებს ხოლმე. ეპ, მოვა  
დრო და ყველას ანახეებს, როგორ უნ-  
და სიმღერა. ოღონდ, ჯერ ხალხში კი  
არა, სახლშიაც ვერ ბედავს მთელის  
ხმით სიმღერას, იშვიათად თუ წაიღი-  
დინებს. განა მესტრომ არ უთხრა,  
თვრამეტ წლამდე ფრთხილად იყავი,  
სიმღერა დაივიწყე?!

...მაინც რა ბედად აღმოჩნდა მესტ-  
რო სკოლაში გამართულ იმ კონცერტ-  
ზე. ხო, ქალბატონი ასმათის მეზობელი  
ყოფილა. ქალბატონ ასმათსაც რა ბე-  
დად გაუმართეს გამოსამშვიდობებელი  
სალამი?! პენსიაზე გასვლა რომ არ გა-  
დაეწყვიტა, სკოლის დირექტორის კი ის  
სალამო არ მოეწყო და სიმღერის მას-  
წავლებელსაც სულიყო არ მოემზადე-  
ბინა სცენაზე გამოსასვლელად, ხომ  
შეიძლებოდა საერთოდ აღარაფერი  
მომხდარიყო და მასაც სხვა მოსწავ-  
ლებივით, ჩვეულებრივად, მხოლოდ  
სწავლაზე ეზრუნა და მერე, ისევე  
ჩვეულებრივად, უღიმამოდ განეგრძო  
ცხოვრება. არა, ყოველივე ეს თვითონ  
ბედმა შეამზადა! მერედა, რა კარგი სა-  
ლამო გამოვიდა? სცენის შუაგულში  
თვითონ პატივცემული დეიდა ასმათი  
იჭდა — ყველასათვის საყვარელი, ჭა-  
ღარა, ზომავზე ოდნავ მეტად ჩასუქებუ-  
ლი ისტორიის მასწავლებელი. მის გარ-  
შემო შემომხდარიყვნენ სკოლის დი-  
რექტორი, დირექტორის მოადგილე,  
რამდენიმე დამსახურებული მასწავლე-  
ბელი და საპატიო სტუმრები. ჯერ მას-  
წავლებლები გამოვიდნენ სიტყვებით,  
ღვაწლი შეუქმეს ამაგდარს. დაწყებითი  
კლასის მასწავლებელმა საკუთარი ლექ-  
სები მიუძღვნეს. საწყალი დეიდა ასმა-  
თი თავს ძლივს იკავებდა, — დროდა-  
დრო ცხვირსახოცს აიფარებდა თვა-  
ლებზე და ცრემლს იწმენდა. შემდეგ

უფროსკლასელებმა გ. ერისთავის  
მედიდან „გაყრა“ ერთი სურათი  
თამაშეს, დაუქრეს, იცეკვეს და, შემ-  
დეგ კი სულიკომაც იმღერა.

ის დღე არასოდეს დაავიწყდება.  
სცენაზე გამოვიდა, დარბაზში მსხდართ  
თვალი გადაავლო და, როგორღაც თა-  
ვისთავად დაიწყო სიმღერა. ისეთი შე-  
გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის მაგიერ  
ვიღაც სხვა მღეროდა, თვითონ კი სად-  
ღაც დარბაზის მეორე მხარეს კუთხეში  
ატუზულიყო. საკუთარი ხმაც უცხოდ  
ეჩვენებოდა. გარეტიანებულევით მის-  
ჩერებოდა მოპირდაპირე კედელს და  
თითებს იფშენებდა. როდესაც სალამო  
დამთავრდა, სულიყო სხვა მოსწავლეებ-  
თან ერთად ქალბატონი ასმათის გარშე-  
მო წრიალებდა. სწორედ მაშინ მიუახ-  
ლოვდა ახოვანი, სუფთად წვერგაპარ-  
სული, არაჩვეულებრივად სათნო გარე-  
გნობის ხანდაზმული კაცი და თავზე ხე-  
ლი გადაუსვა.

— ყოჩაღ, ყმაწვილო, კარგად იმღე-  
რეთ, — უთხრა ბოხი ხავერდოვანი  
ხმით და ალერსიანად გაუღიმა, — სა-  
სიამოვნო ტემბრის ხმა გქონიათ. რამდენ-  
ი წლისა ხართ?

— ცამეტის, — მორიდებით მიუგო  
სულიკომ.

— ოო, ჯერ ადრეა, ჯერ ძალიან ად-  
რეა. ეცადე თვრამეტ-ცხრამეტ წლამდე  
არ იმღერო. თვრამეტისა რომ გახდები,  
ჩემთან გამოიარე. მე კონსერვატორია-  
ში სიმღერას ვასწავლი... და მაშინაც  
თუ ასეთი ხმა გექნა, საუცხოო მომღე-  
რალი დადგები. ხომ გინდა, კარგი მომ-  
ღერალი იყო?

სულიკომ ვერაფერი უპასუხა, თავი  
ჩაღუნა და მორცხვად ჩაიქირქილა.  
აქამდე მომღერლობაზე არასდროს  
უოცნებია, თუმცა სიმღერა უყვარდა  
კიდევ. ოპერაშიც იშვიათად დადიოდა.  
მაგრამ ამ უცნობი კაცის სიტყვებზე  
„დაისი“ გაახსენდა, თვალწინ წარ-  
მოუდგა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი

აპაჩი მასაძე  
მოთხრობები



მალხაზი, ზღაპრულად მორთული უზარმაზარი სცენა, მაყურებელთა ტაში, მათი ალტაცებული სახეები და, მართლაც მოხიბლა მომღერლობამ.

უცნობი ისევ მის წინ იდა და უღიმოდა.

— მაშ ასე. თვრამეტ წლამდე ფრთხილად იყავი, მაინცა და მაინც ნუ იმღერებ. მერე კი... მერე, ვნახათ.

მან სულიკოს თავზე ხელი ერთხელაც გადაუსვა და წაივია.

ეს ამბავი იმავ საღამოს მთელ სკოლას მოედო. მასეტროს ნათქვამს იქვე მდგარმა მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც ყური მოჰკრეს, და სულიკოზე ადრე იმათ მიახარეს მის შშობლებს შვილის საბედნიერო ნიჭი და წარმატება. სკოლის სიმღერის მასწავლებელს განსაკუთრებით თავმომწონედ ეჭირა თავი და იფიცებოდა, რომ ჯერ კიდევ მასეტრომდე მან პირველმა აღმოაჩინა ეს „ტკბილზნიანი ბიჭი“ და დარწმუნებულიც იყო, რომ მას „ოქროს ყელი აქვს“. აკი ამიტომაც უწერდა ხუთიანებს.

იმ საღამოს შემდეგ სულიკოს ბედი თავისთავად, მისგან დამოუკიდებლად გადაწყდა.

მეორე დღეს მეზობლად მცხოვრებმა აკომპანიატორმა ქალმა რამდენიმე სერიოზული რჩევა მისცა, რომელთა მიხედვითაც სულიკომ თბილი ქუდი დაიხურა, კისერზე ბუსუსებიანი კაშნე შემოიხვია და ოპერის თეატრისკენ გემარათა. ქუჩაში რომ მიდიოდა, ეჩვენებოდა, თითქოს გამვლელები თვალს აყოლებდნენ და ამბობდნენ: აი, ეს ის სულიკოა, გუშინ კონცერტზე რომ იმღერა... აი, ეს ის სულიკოა, მასეტრომ დიდი მომავალი რომ უწინასწარმეტყველა... აკომპანიატორმა კიდევ ერთი რამ ასწავლა: ეცადე, ცივ ამინდში ხმა დაბლა ილაპარაკო და ლაპარაკის დროსაც პირი არ გაადო. უფრო კარგად რომ განემარტა ეს რთული ილეთი, აკომპანიატორმა ქალმა თვითონ შეიკრა კრიჭა, მხოლოდ ტუჩები ამოძრავა და სიტყვები ტუჩებს შორის კბილებში გა-

მოსკრა. სულიკომაც მის თვალს მის ვარჯიშა. თავდაპირველად კრიჭა შეკრულს უჭირდა ლაპარაკი, მაგრამ მალე შეეჩვია. ამგვარი მეტყველებისგან სახეც შეეცვალა, — ცხვირი ჩამოუვრძელდა, შუბლი დაუნაოკდა, წარბები აეზიდა და კისერი დაეძაბა.

ჰო, როგორ აუჩქროლდა გული, ოპერის თეატრის შესასვლელთან წინა დღით ვაცნობილი, მალალი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი რომ დაინახა. მაესტრომაც მაშინვე იცნო, მხარზე ხელი დაადო და დარბაზისკენ წაიყოლია.

დარბაზში უამრავი ხალხი ირეოდა. მაესტრომ ირგვლივ მიმოიხედა, კუთხეში მდგარი ნაცნობები დაინახა და მიუახლოვდა. სულიკოც გვერდით მიჰყვა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ნაცნობებს მაესტრო და ღიმილით დასძინა, — გაიცანით, ეს ჩვენი უმცროსი კოლეგაა. გუშინ აღმოვაჩინე, შესანიშნავი ტემპრის ფალცეტი აქვს.

კაცებმა სულიკოს რიგრიგობით ხელი ჩამოართვეს და მოეფერნ.

— კარგი ბიჭი ჩანს, — თქვა ერთმა მათგანმა. მეორემ ჯიბიდან საწუწნი კანფეტი ამოიღო და მიაწოდა. მესამემ ლოყაზე ხელი წაუთათუნა.

— ყველა ესენი მომღერლებია, — უთხრა მაესტრომ და მათი გვარები ჩამოუსახელა, — ეცადე, ოპერაში ხშირად იარო და მუსიკას გაუგო, ჩასწვდემ...

...როცა შუქი აინთო, სულიკომ ერთხელაც ბოდიში მოუხადა წინ მსხდომ ხანშიშესულ ქალებს და ამფითეატრის კიბეს აჰყვა. გარშემო ყველა ალტაცებით საუბრობდა საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მომღერალზე. სულიკომ თვალი მოჰკრა გასასვლელში მდგარ ბატონ ლუკიანეს, ოპერის თეატრს შებერებულ ქოროს მომღერალს, და მისკენ გაემართა.

— როგორ მოგეწონათ? — ჰკითხა და ოდნავ ქედმაღლური თავაზიანობით ჩამოართვა ხელი. კი, პატივსაცემი კა-



ცი იყო ბატონი ლუკიანე, მაგრამ ქოროს მომღერალი, საბოლოო ჯამში რაც უნდა ატრიალო, ქოროს მომღერალია და, მეტი არაფერი.

— მე ვგონებ, საუცხოოა! პირველი მოქმედება მაინც მშვენივრად ჩაატარა, — უპასუხა ბატონმა ლუკიანემ მისთვის ჩვეული მორიდებულობით.

სულიკო ერთხანს დადუმდა, წარბი შეიკრა და შუბლი ცერა თითით მოიჭეჭა.

— მე კი, გულწრფელად გითხრათ, არც თუ ისე მომწონებია, — კბილებში გამოსცრა და პიჯაკის სახელოს ღილს მრავალმნიშვნელოვნად დააშტერდა.

— რატომ? რატომ? შესანიშნავად მღეროდა. როლის გარეგნულ შესრულებაში, ცოტა კი აკლია არტისტიზმი, მაგრამ...

— შესანიშნავადო?! განა მარტო არტისტიზმი?! აბა გაიხსენეთ, სი-ბემოლიდან ფა-დიეზზე გადასვლისას, როგორ გაუჭირდა ლეგატო. თანაც, ქვემოთა რეგისტრებში, უნდა დამეთანხმობთ, რომ ისე თავისუფლად ვერ ცურავს... — აღლელებით შეეკამათა სულიკო და ხელი ჩაიქნია.

ბატონ ლუკიანეს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ოდნავ სევდიანად გაიღიმა და დაღლილი თვალებით ცერად გახედა ჯერ კიდევ სულ ყმაწვილ კაცს.

სულიკომ მეორე მოქმედებასაც მოუსმინა, მაგრამ მესამეზე აღარ დარჩენილა. ქუდი დაიხურა, ყელზე ბუსუსებიანი კაშნე შემოიხვია და შემშვებ ქალს დაემშვიდობა:

— ნახვამდის, დეიდა ნინო.

— ხვალამდე, ჩვენო წუნია.

...უკვე მერამდენე წელი იყო, რაც ასე მარტო ბრუნდებოდა შინ ოპერის თეატრიდან და როგორღაც გარიყულებით დააბიჯებდა ხალხმრავალ ქუჩებში. გზადაგზა იხსენებდა რომელიმე მომღერლის მიერ შესრულებულ პარტიებს, მსჯელობდა თავისთვის, ოცნებობდა მომავალზე; ხანდახან საკუთარ თავსაც წარმოიდგენდა აბესალომის, მალხაზის,

რადამესის ან პერცოგის სამოსში მოწყობილს და ტუჩებმოკუმული სხედანსხვა არიებს ღიღინებდა. უკვე ყველა არია, მეტიც, თითქმის ყველა ოპერა ზეპირად იცოდა და უსაზღვრო ბედნიერებასაც გრძნობდა. მხოლოდ ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც წაპიერად გაახსენდებოდა, რომ მთელი იმ განვლილი წლების მანძილზე სხვა ყველაფრისგან მოწყვეტილი იყო და სევდაც კი ეუფლებოდა. ასეთ წამებში ცოტა აკლდა, ხელი აედო დიდ მომავალზე და, როგორც ოდესღაც, ჩამდგარიყო ბიჭებში, პირი დაედო, მათთან ერთად ეღრილა, ბურთი ეთამაშა, გაოფლიანებულიყო, გახურებულს ცივი წყალი დაეღია და ეს სულის შემხუთველი კაშნეც კისრიდან მოეგლიჯა; საღამოთი დათოვლილ ქუჩებში გასულიყო უქუდოდ, მკერდაღელილი და მკერდაშლილი; დღეობებზე ღვინო ესვა, ემღერა, ეარა ფეხბურთზე და სხვებთან ერთად ხმის ჩახლეჩამდე ეყვირა.

კიდევ კარგი, ეს წამები მეტად იშვიათი და ხანმოკლე იყო. სულიკო ძნელად, მაგრამ მაინც სძლევდა გულში უნებურად შემოპარულ ნადველს, კისერს მხრებში ღრმად ჩარგავდა, ტუჩებს უფრო მაგრად მოკუმავდა და ჩაფიქრდებოდა იმაზე, თუ რამდენ მსხვერპლს მოითხოვდა ხელოვნება და მომავალი. „რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“, თქვენსმეტი წლის ყმაწვილი მთელის შეგნებით, სიმწრით გაიმეორებდა აკომპონიატორი ქალის ნათქვამს და უდარდელად მოარულ ადამიანებს შენდობის მოწყალე მზერას გააყოლებდა.

გაზაფხული იყო. მაისის მზე მიწას ათბობდა და ჰაერი ყვავილთა სურნელით ივსებოდა. სულიკოს ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა პატარა ბაღი, სახლეების ყავისფერი სახურავები და შორეუ-

აპაძე ვახაძე  
მოთხრობები



ლი აქოჩრილი მთები. როდესაც მზე მთებიდან ამოცურდებოდა, პარველ სხივს სულიკოს ოთახში შეაგდებდა. სულიკოც სიამოვნებისგან შეიშმუნებოდა, თვალს გაახელდა, წამოდგებოდა და ცოტას წაივარჯიშებდა. ოღონდ, იმ კვირა დღეს, მზის ამოსვლას იგი მღვიძარი შეხვდა. გაბრუებული უყურებდა, როგორ რიყრაქდებოდა, როგორ იცრიცებოდა იისფერი ბურუსი და მოწმენდილ ცას ამკვირვალვებდა. რამდენიმე ხანს ასე თვალეზმილულული იწვა. მერე წამოჯდა, ჯერ ოთახის ერთ კუთხეში რადიოლას გადახედა, მერე მის გვერდით თაროებზე შემოწყობილ ფირფიტებს, კედელზე დაკიდებულ ვერჯის, ფალიაშვილის, კარუზოს, სარაჯიშვილისა და შალიაპინის ფოტოსურათებს და, ბოლოს, საწერ მაგიდაზე შეაჩერა მხერა. მაგიდაზე ფაქიზად დაწყობილი ბარათები შენიშნა და დააკვირდა. ნეტავ რა ბარათები იყო, გაიფიქრა და სასწრაფოდ წამოდგა. მიუახლოვდა მაგიდას და ერთი მათგანი აიღო.

„შვილო, მოგვილოცავს დაბადების დღე. შენთან ერთად ჩვენც ველოდით, ველოდით დიდის იმედითა და სიხარულით. უკვე შეგისრულდა თვრამეტი წელით. — დასაწყისი შენი ღრმა და შინაარსიანი მუშაობისა. იყავი კარგად და ჯანმრთელად. გისურვებთ მომავალში დიდ წარმატებებს. შენი დედა და მამა“.

მეორე და მესამე ბარათი დებს მოეწერათ, მეოთხე — აკომპონიატორ ქალს. სკოლის სიმღერის მასწავლებელსაც კი არ დავიწყებია მისი მეთურამეტე წელიწადი და ბარათთან ერთად საჩუქრად ფირფიტები გამოეგზავნა. როდესაც სულიკომ თვითელი მათგანი მარცვალ-მარცვალ გადაიკითხა, გული აუჩქროლდა და ცრემლმორიელმა ჩაიჩურჩულა: „რა ბედნიერი ვარ... გმადლობთ, გმადლობთ... თქვენი ყურადღება არასდროს დამავიწყდება“.

სამზარეულოდან ქალების ფუსფუსი მოისმოდა. რა თქმა უნდა, დედა ბაზ-

რიდან უკვე დაბრუნდებოდა საკვანვერ ბოდ დატვირთული, დებიც ზიხანდებოდა პარაკოდ, საგულდაგულოდ დაალაგებდნენ; გამოაცხობდნენ ხაქაპურებს და გემრიელ სადილს მოამზადებდნენ. სულიკო კი მღელვარე სიხარულისგან დაბნეული უძრავად იდგა, და გულში ისევ და ისევ მადლობას უთვლიდა ყველა იმათ, ვინც წლების მანძილზე თურმე მასთან ერთად ელოდა ამ დღის გათენებას.

მერე, თითქოს გამოფხიზლდაო, ისე მიუახლოვდა რადიოლას. თაროდან ფირფიტა ჩამოიღო, დაატრიალა. მუსიკის ხმები სასიამოვნოდ დაირწა ოთახში. სულიკო სავარძელში ჩაჯდა და გაინაბა. მომღერლის ხვეწარდოვანი ხმა ძალას მატებდა, რწმენას უღვივებდა და მხრებში ლალად შლიდა. ისეთი გრძობა ეუფლებოდა, ხმა რომ ამოეღო, თითქოს თვითონაც იმ მომღერალივით ამღერდებოდა. არა, ამდენის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ის უცებ წამოხტა, რადიოლა გამორთო, ოთახში გაიარ გამოიარა, თან, ხველებ-ხველებით ხმას იწმენდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ემღერა? ბოლოს და ბოლოს, ამ დრომაც ხომ მოაღწია! განა მთელი ხუთი წელიწადი ამ დღეს არ ელოდა?“

სულიკომ ყელი მოიღერა, თვალეზი გაუფართოვდა, წარბები აეზიდა:

„ვე-მე-ბლი ბედ-სა და ვპო-ვე ხე-ლად...“

— რა მოგივიდა, შვილო? რას ეძებდი? რამე ხომ არ გეტყინა? — დედა გაფოთებული სახით შემოვარდა ოთახში და სულიკოს შეაშტერდა. სულიკომ თვალეზი აქეთ-იქით გააცეცა, ძლივს გამოერკვა, ოღონდ ადგილიდან მაინც ვერ დაიძრა, — გახევებულივით მიკროდა ერთ ადგილს.

— შვილო, რატომ ყვიროდი? ვინდოდა რამე?

სულიკო დუმდა. ყვიროდიო? ეძებდიო? მეძახოდიო? ან იქნებ მართლაც, უბრალოდ, დედას ეძახდა და სხვა არაფერი?!





— ხო, ახალი პერანგი მინდოდა ჩა-  
მეცვა და, ვერ ვიპოვე.

— პერანგი? ახლავე, გენაცვალე...  
გული კი გავვიხეთქე და... — დედა  
გაბრუნდა და კარი მიიხურა. სულიკო  
ისევ მარტო დარჩა. უცებ, ძალზე შე-  
ეშინდა, მარტოკა რომ იდგა ოთახში.  
ისე შეეშინდა, რომ ჟრუანტელმაც და-  
უარა და ააძიკიდა. კიდეც კარგი, დედა  
მალე დაბრუნდა, — აჰა, შვილიკო,  
ესეც ახალი პერანგიო, — პერანგი იქ-  
ვე სკამზე გადაუქიდა და ალერსიანად  
დასძინა: — ჩქარა გამოდი, ხომ იცი,  
ყველანი გელით.

სულიკო ისევ მაგიდას ეცა, ქიქას  
დაავლო ხელი, ხარბად გადაკრა შიგ  
ჩარჩენილი გუშინდელი წყალი და ოდ-  
ნავ სული მოითქვა. „ნუთუ ეს მართლა  
მე ვიყავი?“ გაიფიქრა და მაშინვე თავს  
ძალა დაატანა, რომ ამგვარი სულელუ-  
რი კითხვებისაგან განთავისუფლებუ-  
ლიყო. „რა თქმა უნდა მე ვიყავი!“ —  
მტკიცედ ჩაიჩურჩულა, მაგრამ მეორე  
იმგვარადვე სულელური შეკითხვა რო-  
გორღაც თავისთავად ამოუხტა თავი-  
დან: „კი მაგრამ, რატომ? როგორ? რო-  
გორ შეიძლება ეს მომხდარიყო?“ ახლა  
უკვე სულ მთლად აუწრიალდა გული.  
მაგრამ ნებისყოფა მოიკრიბა, გადაწყ-  
ვიტა ხელმეორედ მოესინჯა ხმა;  
ფრთხილად ჩაახველა, გასწორდა, ჰაე-  
რი ჩაისუნთქა და ყელი მოიღერა:

„ჰა-რა-ლუ ჰა-რა-ლაააა...“

როცა მალალი ნოტის აღება დააპი-  
რა, მთელი ტანით დაიძაბა, მკერდიც  
წინ გამობურცა, მაგრამ ხმას მაინც ვერ  
მისცა სასურველი ჟღერადობა. ყელი-  
დან კნავილის მსგავსი ხრინწიანი ბგე-  
რები ამოსდიოდა. „ნეტავ რა მომივი-  
და? რატომ ვერ ვმღერი?!“ ისევ ისე  
დაბნეულად შეეკითხა საკუთარ თავს  
და სახეზე გულუბრყვილო, მორიდებუ-  
ლი და შიშნარევი ღიმილი გადაეკრა.

კარს იქიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლა-  
პარაკი და ჩოჩქოლი მოისმა. დედა  
ოთახში უწინდებურად აღარ შემოჭრი-  
ლა და შეშინებული სახით აღარაფერი

უკითხავს. თუმცა, ყოველგვარ კეთილ  
ვასაც და პასუხსაც ახლა რა მსმენს  
ლობა ჰქონდა, რა საჭირო იყო. ყოვე-  
ლივე უეცრად გახდა ნათელი და გასა-  
გები, შემზარავად ნათელი და გასაგები.

სულიკო მთელი კვირა ოთახიდან არ  
გამოსულა. ოჯახშიაც ხმას არავის სცემ-  
და. უბრაზდებოდა? არა, აბა ვისზე ან  
რაზე უნდა გაბრაზებულიყო? უბრა-  
ლოდ რცხენოდა და თავს უხერხუ-  
ლად გრძნობდა, უხერხულად და უმ-  
წეოდ. როდესაც ერთი-ორჯერ შინ  
მარტო დაიგულა თავი, ხელახლა სცა-  
და ხმა მოესინჯა და წამომეღერა, მაგ-  
რამ ისევ უშედეგოდ. დილა-სალამოს  
დედას ფეხაკრეფით შეჰქონდა საქმე-  
ლი, ჯერ არაფერს იმჩნევდა; მერე  
გულთბილად ანუგეშებდა; ხანაც ცდი-  
ლობდა ეხუმრა: — შე კაცო, ყველა  
მომღერალი ხომ ვერ გამოვაო... მაგ-  
რამ როდესაც შვილის ნაღვლიან თვა-  
ლებს ჩააკვირდებოდა, უნებურად მა-  
საც აუჩუყდებოდა გული და სასწრა-  
ფოდ გაეცლებოდა, თითქოს გუმანით  
ხედებოდა, რა ძნელი იყო სულიკოს-  
თვის მოეცილებინა ის ოცნება, რასაც  
ამდენ ხანს გულით ატარებდა. მაგრამ,  
აბა, რა სულიკოს ბრალი იყო? ეს ამ-  
ბავი ხომ მისგან სრულიად დამოუკი-  
დებლად მოხდა და რა ძალა შესწევდა?!  
ზოგჯერ, ფანჯრიდან ლურჯად აზი-  
დულ შორეულ მთებს გახედავდა სუ-  
ლიკო და მწარედ, ბოღმამორეული უხ-  
მოდ გასძახებდა: რა ვქნა, როგორ მო-  
ვიქციო?

მხოლოდ მეორე კვირას გამოვიდა  
თავის ოთახიდან. დიდხანს დაბორია-  
ლობდა ქუჩებში და ფიქრობდა; სულ  
ფიქრობდა, მაგრამ ფიქრებს არ უჩან-  
და დასასრული. ისევ ის კითხვები: რა  
ვქნა? როგორ ვიყო? ეს დამლული კი-  
თხვები არ ასვენებდა. ვინმე ნაცნობს  
რომ შეხვდებოდა, მზერას აარიდებდა  
და მხარს აუქცევდა. იმგვარი შეგრძნე-  
ბა ჰქონდა, თითქოს ყველას მიმართ

აკაკი მახაძე  
მონთხროვაგი



უდიდესი დანაშაული ჩაიდინა, თითქოს ყველა მოატყუა და, თანაც, დანაშაულის გამოსწორება არ შეეძლო. საღამოვამს გულმა მინც იქით გაუწია, სადაც წინათ ყოველ დღე დაიარებოდა. როგორ უნდოდა უწინდებურად ლაღად დაედგა ფეხი ოპერის თეატრის კიბეებზე, თამამად შესულიყო დარბაზში და ძველი ნაცნობებისათვის თვალი გადაეგლო; ორიოდ სიტყვით გამოლაპარაკებოდა და პარტერში თავის ჩვეულ ადგილას მოკალათებულიყო. თუმცა, რატომ არ შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა? ბოლოს და ბოლოს, იმათ ხომ არაფერი იცოდნენ?

სულიკო შედგა. მის წინ თეატრის მაღალსვეტებიანი, თაღებმოჩუქურთმებული უზარმაზარი შენობა აღმართულიყო. რიდით ახედა შესასვლელ ფართო კარებს და ოდნავ უკან დაიხია, — ნეტავ არასდროს ხმა არ ამოედო და არ ემდგრა? ან სამუდამოდ ცამეტი წლისა დარჩენილიყო? ან, სულაც არასდროს შეხვედროდა მაესტრო და თავისი ვარაუდებით მისთვის გონება არ აერია... თავში უამრავი ფიქრი და წუხილი ერთდროულად დაუტრიალდა, გააბრუა, და ის იყო აპირებდა სამუდამოდ გაცლოდა იქაურობას, რომ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელის შეხება იგრძნო.

— გამარჯობათ, სულიკო!

ეს ისევ ის მაესტრო იყო. ისევ იმ მაღალი, სუფთად წვერგაპარსული, მომხიბვლელი გარეგნობის ჭადაროსანი, რომელიც უწინდებურად კეთილად უღიმოდა.

— რა მოგივიდა? ავად ხომ არ ხარ? რაღაც, ფერი დაგიკარგავს...

სულიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. რატომღაც შეეშინდა ხმა ამოეღო.

— მეც ასე ვიფიქრე, ავად იქნებამეთქი. კარგად რომ ყოფილიყავი, აბა, ამდენ ხანს ოპერაში როგორ არ გამოჩნდებოდი? დღეს ხომ შემოდიხარ? შესანიშნავი მომღერალია ჩამოსული, —

უთხრა მაესტრომ და შესასვლელისკენ გაემართა.

სულიკო უნებურად მიჰყვა გვერდში. ფოიეში უამრავი ხალხი ირეოდა. მაესტრო ნაცნობ მომღერლებს მიუახლოვდა, მიესალმა და ღიმილით დასძინა:

— გაიცანით, ეს ჩვენი უმცროსი კოლეგაა. დიდი ხანი არ არის, რაც აღმოვაჩინე, საუცხოო ფალცეტი ჰქონდა და...

— სულიკოს ვინ არ იცნობს, მაესტრო.

— ვნახოთ, დღეს როგორ მოეწონება მომღერალი. დიდი, დიდი წუნია ვინმე ბრძანდება...

— რატომ? ეს ყმაწვილი უმეტესად სწორ შენიშვნებს იძლევა.

ამ სიტყვებზე მაესტრო უეცრად დაქინებით დააკვირდა სულიკოს, შეათვალიერა და ჰკითხა:

— კი მაგრამ, შენ ახლა რამდენი წლისა ხარ?

სულიკო დაიბნა, წამოწითლდა, თავი ჩაღუნა და ჩაიჩურჩულა:

— თერამეტი შემისოულდა.

— ეპა, მერედა ამდენ ხანს სად იყავი? აუცილებლად გამომიარე ამ დღეებში... პირდაპირ კონსერვატორიაში მომაკითხე. უკვე შეიძლება სიმღერა დაიწყო, გესმის, უკვე შეიძლება.

„რა ექნა? როგორ მოვიქცე?“ კინაღამ ხმამაღლა აღმოხდა, როდესაც პარტერში სკამზე უღონოდ დაეშვა და ფარდას მიაშტერდა. თავს ისე უხერხულად და უადგილოდ გრძნობდა, ვითომც თეატრშივე გაეშვიშვლებინათ და ეშინოდა ვინმეს მისკენ არ მიეხედა. ბროლის ქორკანდელი კი დიდებულად ბრწყინავდა და მომხიბვლელი ფერებით აშუქებდა ჭერზე მიკრულ პატარა ამურებს, ხელში ოქროსფერი საკრავები რომ ეპყრათ. როგორ უყვარდა წინათ მათი თვალიერება?! სანამ ფარდა აიხდებოდა და სინათლე ჩაქრებოდა, სულ მათ უღიმოდა. ახლა კი მათი შეხედვაც ერიდებოდა. ერთი-ორჯერ და-

აპირა ამდგარიყო, გაცლოდა იქაურობას და აღარასოდეს დაბრუნებულყო... აღარასოდეს? რა საშინელი სიტყვაა! განა შესძლებდა ამას? როგორ შესძლებდა გულიდან ამოგდო ის, რაც უკვე სამუდამოდ ჩაიმარხა და შეითვისა?! სულიყო დაძაბული იჯდა და მზერით ფარდას მიჯაჭვოდა. მერე ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ააცურა თვალი ჰერისკენ და როდესაც ამურის პირმრგვალ ვარდისფერ სახეს შეეფეთა, უნებურად შეცბა. ერთხანს გაბრუნებულებით მისჩერებოდა და, მერე, თვალებზე ცრემლმომდგარმა შესჩივლა, — რა ვქნა, როგორ მოვიქცეო?!

— სიმწრისა და უნუგეშობისაგან წამოიკენესასავით სულიკომ. გვერდით მჯდარმა კოხტად გამოწყობილმა გოგონამ მაშინვე გაკვირვებით, შეშფოთებით შემოხედა და, სულიკომ გამოფხიზლდა.

— მაპატიეთ, — უხერხულად აიბუზა და გაუღიმა, — საშინელებაა ეს რევმატიზმი. განსაკუთრებით წვიმიან ამინდში მაწუხებს... საშინელებაა პირდაპირ... მაპატიეთ.

გოგონა კიდევ უფრო შეშფოთდა, რადგან იცოდა, გარეთ გასაფხულის მშვენიერი, თბილი საღამო იდგა. პასუხად კი გაუღიმა, მაგრამ განზე მაინც გაიწია და კიდევ დიდხანს უთვალუჭრებდა.

მოქმედება რომ დასრულდა, სულიკო ნელი ნაბიჯით აპყვა ამფითეატრის კიბეებს. გზად ბატონ ლუკიანეს შეეჩეხა და ძალიან გაუხარდა მისი დანახვა, ჩვეულებრივზე უფრო მეტი თავაზიანობით მიესალმა და ჰკითხა:

— როგორ მოგეწონათ, ბატონო ლუკიანე? რას იტყვით?

— ბრწყინვალედ, სწორედ რომ ბრწყინვალედ შეასრულა პირველი არია.

სულიკომ წარბები აზიდა, ოცნებიანი თვალით ახედა სცენას და დამარცვლით წარმოსთქვა:

— მიუწვდომელი ვირტუოზია!

შემდეგ, მალულად შეათვალავდა ბატონი ლუკიანეს გახუნებული კოსტიუმი, ცუდად გაეკანძული, ალაგ-ალაგ დალაქიანებული ჰალსტუხი და გაიფიქრა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ის ძალზე დაბერებულიყო. ხუთი წლის წინათ, როდესაც პირველად დაესწრო „აიდას“, ბატონი ლუკიანე ჯერ კიდევ დროშით ხელში, წელზე ხმალჩამოკიდებული ეგვიპტელთა მეომარს ასახიერებდა. ბოლო დროს კი მოხუცის სამოსში თუ გამოაწყობდნენ და ყველაზე უკან დააყენებდნენ. სულიკომ მისდამი უყურად ისევ იგრძნო რაღაც უჩვეულო სითბო და ჰკითხა:

— თქვენ, ალბათ დიდი ხანია აქ მუშაობთ?

— ძალიან დიდი ხანია, ხო, — ნაღვლიანი კილოთი მიუგო ბატონმა ლუკიანემ, — კონსერვატორიაში სწავლისას, კარგი ხმა მქონდა. მაგრამ გლანდებმა შემაწუხა, ჩირქოვანი გლანდები მქონდა, და ოპერაციაა გავიკეთე. ოპერაციის შემდეგ კი... ალბათ, მზგერავი იოგები დამიზიანდა. რას იზამ, ხდება ხოლმე...

— მერე?

— კონსერვატორიიდან გამოვედი. მაშ, რა უნდა მექნა? ჯერ გადაწყვიტე, რავე სხვა პროფესია ამომერჩია, მაგრამ, იცი, როდესაც ხელოვნებას გულწრფელად შეიყვარებ, მერე ძნელია. სხვას ვერაფერს ეგუები... ხოდა, ისევ ოპერას მივაშურე. თუმცა ძალზე მეთაკილებოდა, მაინც ვთხოვე, და ქოროში ჩამრიცხეს. რას იზამ? როცა გულწრფელად გიყვარს და პატიოსნად ემსახურები, — სათაკილო არაფერია. არც მინანია... ამ ბოლო დროს, სტატისტიკადაც გამომიყენებენ ხოლმე, მაგრამ, მერე რა მოხდა?

— არაფერი, სრულიად არაფერი... პირიქით, ეს ძალიან, ძალიან კრგია, — სასწრაფოდ უპასუხა სულიკომ და სევ-

დიანი ღიმილით შუბლი მოიქექა, —  
ყველა სოლისტი ხომ ვერ იქნება?

მერე ხელშკლავი გაუყარა ბატონ  
ლუკიანეს და ფოიეში გაიარ-გამოიარეს.  
თეატრიდანაც ერთად გამოვიდნენ, წარ-  
მოდგენა რომ დამთავრდა.

— მაინც, რა კარგად მღეროდა ის  
დალოცვილი?! — აღტაცებას ვერ იო-  
კებდა ბატონი ლუკიანე.

— ასეთები იშვიათად იბადებიან...  
ძალიან იშვიათად, — კბილებში გა-  
მოცრა სულიკომ და წარბები აეზიდა.

მოსახვევამდე ასე ერთად იარეს და  
გაზაფხულის თბილი ღამის სურნელე-  
ბით სტკბებოდნენ. მოსახვევთან კი,  
როდესაც ემშვიდობებოდნენ ერთმა-  
ნეთს, ბატონმა ლუკიანემ ჰკითხა:

— ხვალ ხომ გამოვივლით თეატრში?

— რა თქმა უნდა... აბა, უკეთესად  
გილას სადღა წაველ?

— ხო, მუსიკა მართლაც დიდებული  
რამაა, დიდებული... — ფიქრიანად დას-  
ძინა ბატონმა ლუკიანემ, შებრუნდა და  
სახლისკენ შუკას აუყვავა.

სულიკომ ერთხანს კიდეც დააყოვნა:  
კეთილი, ნაღვლიანი მზერა გააყოლა  
აღმართში მიმავალ უფროს მეგობარს.  
მერე, როგორღაც ჯიუტად შებრუნდა,  
მტკიცედ გადაადგა ნაბიჯი და სახლის-  
კენ ღიღინ-ღიღინით გასწია. მიდიოდა  
და თითქოს აღარაფერზე ფიქრობდა,  
აღარც დარღობდა რაიმეზე. ოღონდ,  
მისი თაფლისფერი ღიდრონი თვალები  
ბედს შეგუებული კაცის ოდნავ უაზ-  
რო, გარეტყანებული მშერით იტყირე-  
ბოდნენ სიბნელეში.





რომ ვეწვევი მასლობელ,  
მოწყურებულ ამ მხარეს  
სულ ცოტა რამ მაღონებს,  
სულ ცოტა რამ მხარებს,  
ჭომას,  
ცაცხვებს,  
ბალახვანს  
ლექსის ბუდეს ვუკეთებ...  
ჩემი თვალი რას ნახავს,

მაგ ტაძარზე უკეთესს.  
აღარ გადავკეპტე  
გზა საშენო სტრიქონებს,  
მაგ ძახილზე უკეთესს,  
ყური რას გაიგონებს.  
რომ ვეწვევი მასლობელ,  
მოწყურებულ ამ მხარეს,  
სულ ცოტა რამ მაღონებს,  
სულ ცოტა რამ მხარებს.

ნეტარებით მოეშვა  
დაჭიმული ნერვები,  
სიმინდს ვთოხნი  
კოჭამდე  
გრილი მიწა მაყრია.  
ქარ-შოშინი გულმკერდზე  
გადამივლის ფერებით,  
ყანის ბოლოს ბავშვები  
შესევნიან მაყვლიანს.  
სამოთროდო ყანები  
სივრცეს ერუხჩუხება,  
ისმის კაცთა ღიღინი  
და ფერების ღაღანი...

კვამლის ღურჯი ყაითნით  
ცა მოქარგეს ბუხრებმა,  
შუაღლეა,  
იწყება  
სადილობა მაღალი.  
გალობს ხელისგულებში  
თოხის ტარი-ლატანი,  
მღერის ხელისგულებში  
ოფლის მლაშე სისველე...  
სვრელის თავში გატანის,  
სვრელის თავში გატანის  
დავიწყებულ სინარულს  
სასოებით ვისხენებ.

ბარდნის,  
ბარდნის...  
ვეფხის ქურჭზე  
შავყვითელი ლანდები!  
სიარულში სიმსუბუქე —  
ოცი წლის წინანდელი.  
უსასრულო გზა და თოვა  
და კორომი — კანდელი...  
გაიხსენა გულმა ნდომა—  
ოცი წლის წინანდელი.  
ცას ვეწიე...  
მღვრიე ცამდე  
აფრენილა წადილი.  
გვერდითა მყავს სიზმარ-ცხადი —  
ოცი წლის წინანდელი.

მართლა სულში ჩასაძვრენმა,  
მართლა კალმით ნახატმა,  
ქალიშვილის,  
ქალიშვილის  
უნახავი გამხადა.  
რა ხანია —  
არ მიგრძენია  
სითბო თოვლის ფანტელის.  
სიარულში სიმსუბუქე —  
ოცი წლის წინანდელი.  
სიყვარულით სავეს თასით  
სიჭაბუკე მეახლა...  
რას მოვესწარ,  
ამ ხნის კაცი  
ვიბადები ხელახლა.

თ ი ბ ა თ ვ ე

აჩქამდა ცელი და გაცურდა ველი შრიალით  
ვღგევარ და ვუმზერ თიბათვის მინდვრებს.

მიცურავს ველი.  
დაფუსფუსებს ველზე ბალახი.  
სალამოისხანს და მიგორავს მნათის ბორბალი:  
მიამტვრევს ტოტებს,  
მიბუღრაობს ტყეზე ხარივით.

შორიდან ვხედავ მთიბაგების დაღვრემილ ესკორტს.  
იქ: ჰორიზონტის მოაჯირებზე  
მზემ აიტანა გვრინი, როგორც დაისის პირზე  
უნუგეშოთა ხმობა შორეთით.

მიდის მთიბელი. ნაფთეებით კიღია დაღმართს.  
მოიპარება მწუსრი მღუმარი.  
და ჩქამობს ცელი — თითქოს ლაშქრად  
აწვევდეს მთიბელს  
ღამის ტალღებზე მოქანავე ზარის წკრიალი.



დროა და აპა: ხეთა ძვლებით აგებულ კედლებს  
ტოვებენ ჩვენი მუნჯი ლანდები.  
ჩვენ გადავდივართ მკვდარი წვიმის ნაგუბარებზე  
და ვხედავთ ჭალებს —  
სად მოჭრილი ხე  
უღრანს ჭრიალით ემშვიდობება.

ო, მზეო: ღმერთის ნათელო ცრემლო,  
უნათე ხეთა ჯავრის ტრამალებს!  
მიგვაცლიებენ ეს ტყერები. აქ დიდი ხანი  
ჩვენი ბებერი ტკივილების ნახირს ვმწყემსავდით.

და აპა: მწუსრი.  
აგვაფარა ბინდის ფოთლები  
ტყემ...

ხეთა ძვლებით ნაგებ კედლებს დავემშვიდობეთ.  
დავტოვეთ ტვერი თავაწეული.  
იქ დარჩა ჩვენი მოგონების მწვანე კოცონი  
და მხეცის კვალი  
ხეთა ჯავრის ტრიალ მინდვრებზე.



მიწვივ მდუმარი, როგორც ქვაბული და როგორც  
ჩიტთა ღამისთევა—ჩუმი, მიმქრალი  
დღე იწვევრება ღამის ტატნობზე.  
ამძიმებს სისხლი დაფიონის დამსკდარ ბაგეებს.  
შორს მოჩანს ზამთრის კარმიდამო: თოვლი და თოვლზე  
ღგას შენი ლანდი,  
წყვდიადიდან გამორიყული.  
ამ გარინდული შებინდებიდან  
მე გავარჩიე აურაცხელი მწერი თავისთვის მოფუსფუსე  
შენს თეთრ მინდვრებზე.  
და გამასხენდა ამ უღრანის კედლების კარად,  
ღაისის ჭერქვეშ, ყველაფერი:  
მზე და სოფელი —  
სადაც ერთგულების უბადრუკ ბაგეზე  
ღაბმულ ხაროვანის ისმოდა ბღავილი.  
და, როგორც გლეხი მეწველ ძროხას დახარბებული,  
იღგა სოფელი და არ იძვროდა...

ამოიზარდა ღამის ტატნობზე  
მნათობის პირმშო: დღე  
და ვიხილე, შორეთში ზამთრის კარმიდამო: თოვლი  
და თოვლზე  
შენი აჩრდილი: წყვდიადიდან გამორიყული.



## ჩვენი სიხოსხლე

— რა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე  
უკაზბეგოდ და უღარიბად!  
ჩვენმა ძველებმა ასე იცოდნენ  
და ჩვენც ამ რწმენით უნდა ვიაროთ.

— რა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე  
უგელათოდ და უსვეტიცხოვლოდ!  
ჩვენმა ძველებმა ასე იცოდნენ  
და ჩვენც ამ რწმენით უნდა ვიცხოვროთ.

და შენ ვინცა ხარ, ეს სულერთია,  
არასდროს გველოს უკულმა თესვით.  
შენი სამშობლო შენი ღმერთია,  
უწმინდესი და უუმართლესი.

ამ ღმერთს ვაჩუქოთ ჩვენი სიცოცხლე,  
მის სასთუმალთან მუდამ ვათენოთ!  
ჩვენმა ძველებმა ასე იცოდნენ,  
ჩვენც ნუ გვეცოცხლოს უსაქართველოდ.

## ღ ა მ უ რ ა

მისი სიცოცხლის წუთებს და წამებს  
სამგლოვიარო აცვია ძაძა,  
ღამურა არის პატარა ღამე  
და დიდ ღამეებს სიშავით ბაძავს.

იყრუებს ყურს და იღამებს თვალებს  
და აღარც ახსოვს ნათელის ხილვა,  
მისი დილაა კამკამა მთვარე,  
რადგან ღამურას არა აქვს დილა.

იქნება იყო მერცხალი მალი  
და გაიტყუა ნაგარდმა ცაში,  
ველარ გაიგო შემოსვლა ღამის  
და გადაიქცა ღამურად მაშინ.

მას მერე გახდა მეგზური ბნელის —  
ველარ გავიდა ღამიდან დღეში,  
და გათენებას ამაოდ ელის,  
რადგან დაჰკარგა სინათლის გეში.

და ველარ არჩევს თოვას და წვიმას,  
ფრთებით ეხლება ფანჯრებს და ერდოს.  
იქნება ღამე დღე იყო წინათ,  
იქნება ღამეს დღე ერქვა ერთ დროს.

დასდევს საყდრების სიზმრებს და ლანდებს,  
თუმცა დაჰკარგა თავისი ლანდი,  
მას დღე მოუკვდა ძალიან ადრე  
და მერე ასე შავებში დადის...





## მ ე ქ უ დ ე

შევედი ნაცნობ მექუდესთან  
„გამარჯობა“ ვუთხარი ჩუმად  
და გავეწოდე საქუდე ჩემი.  
მან ნაჭერი გაშალა ფრთხილად,  
დაჩხედა და მყის ზე წამოიჭრა,  
აუთრთოლდა ტურები უცებ,  
მერე ხელი ჩამკიდა ხელში,  
შემომჩერდა აცრემლებული  
და მითხრა ასე:  
„ამას რას სჩადით?!  
ცის ნაჭერი რომ  
მოგაქვთ  
საქუდედ

ახლა, იქ. სადაც ცას აკლია ეს ანაჭერი  
მზე რომ ჩავარდეს და დაიკარგოს?!..“  
მივხვდი ყველაფერს.  
ისევ უკან წავიღებ მეტქი,  
მოვუბოდიშე.

ის დაწყნარდა,  
გამიშვა ხელი  
და მაგიდაზე  
დიდი მაკრატლით  
გვირილების ხატვა დაიწყო...  
კარი ფრთხილად გამოვიხურე  
და წამოვედი...

მთელი დამე ფიქრში გავლიე,  
და მექუდის სახელსნოსკენ  
კვლავ გავიქეცი დილაადრიან.  
მაგრამ იქ ხალხი ირეოდა...  
მოსთქვამდნენ და თავებს იქნევდნენ...

ვიდექი,  
უაზროდ  
ვიმეორებდი  
„მოკვდა მექუდე...“  
და უცებ  
თავზე  
ქუდი ვიგრძენი:  
მე მარუქა კეთილმა კაცმა  
თავისი უცხო ნახელავი უკანასკნელი,  
დამიტოვა  
ლურჯი ცა  
ქულად...

და მას შემდეგ  
ვერ გამიგია,  
მე თვით დავდივარ  
თუ ქუდს დავყვავარ საითაც უნდა...  
ხან მანქანებით სავსე ქუჩაზე დავეძებ  
პეპლებს,  
ხან ყვითელ ფოთოლს დავედევნები...

დიდია ქუდი  
და მალიმალ  
ვისწორებ თავზე,  
დავეხეტები ფიქრიანი,  
დავდივარ  
და  
მზეს,  
როგორც მექუდის ელვარე დიდ ცრემლს,  
ქულზე ვატარებ.





### ემოციური ორლოვე

თხუთმეტი წელი შენსკენ მოვრბოდი ქუდმოგლეჯილი და ფეხშიშველი, თხუთმეტი წელი შენსკენ მოვქროდი და წუთით არსად არ შევისვენე. სად არ ვიყავი, სად არ ვიარე, რომელ პროსპექტებს აღარ ვსერავდი, ხან მოზეიმემ, ხან მგლოვიარემ ვერ მოვადწიე მინც შენამდე. ვერ მოვუჯექი ბუხარს მხიარულს, თეთრაწყაროზე ვერ ვისადილე, ვერ შევუშვირე თავი ჩხრიალოს, ვერ ავისრულე ერთხელ წადილი. და, ჰა, შენთან ვარ, როგორც სტუმარი, შენს ორღობეში მივალ მდუმარი. ისევ აქ დგანან, არსად წასულან ბუჩქები ჭინჭრის და ღრიანჭველის, მაგრამ არ ისმის ქამრის ტყლაშუნი,

სიცილ-ხარხარი და ღრიანცელი. არსად არ ჩანან მზეზე დამწვარი უსაცვარლესი ყრმობის სწორები... თავზე მექცევა ნათლის ტაძარი, მკერდზე მესლება ტალღა მორევის. ...ო, რა ტკბილი და მწარე ყოფილა ზაფხულის ღამის მოკლე სიზმარი, მოულოდნელად როგორ მოფრინდა და გამიყარა გულში ისარი. თხუთმეტი წელი შენსკენ მოვრბივარ ქუდმოგლეჯილი და ფეხშიშველი, თხუთმეტი წელი შენსკენ მოვქრივარ და ერთი წუთით არსად ვისვენებ. ღმერთო, ნუ მომკლავ იქ \*მიუსვლელად, მაფრინე ყრმობის თეთრი ცხენებით... და თუკი მომკლავ, იქ მიმასვენე, იქ დამიკრიფე გულზე ხელები.

### თიბათვე ქართლში

გაივლის კიდევ მრავალი წელი, მრავალი თვე და მრავალი კვირა, კვლავ იშხუილებს პრილა ცელი მათრახგადაკრულ ღიახევის პირას. კვლავაც იქროლებს გორიჯვრის ქარი, ფიქრებს და ფოთლებს აურ-დაურეგს... გორში უჩემოდ ჩაივლის მტკვარი — ხან მშვიდად, ხან კი აურ-ზაურით. გაივლის კიდევ მრავალი წელი, მრავალი თვე და მრავალი კვირა, კვლავ ჩამოდგება თიბათვე ცხელი ღიახეგადმა და ღიახევის პირას. და სადღაც წასულს

და გადაკარგულს ამა ქვეყნიდან დიდხნის წინათ, — მომენატრება თიბათვე ქართლის და გორიჯვრიდან დაძრული წვიმა. ახლადგათიბულ ბალახის სუნი თავბრუს დაახვევს ვიდაცას ალბათ, თავბრუს დაახვევს და ჩემი სულიც ამ ბალახებზე დაიწყებს ფარფატს, რომ მარად ენთოს დილა ცინცხალი და ძველებურად ისევ მხიბლავდეს ქართლის ცასავით დაუვიწყარი, დაუღვეველი ქართლის თიბათვე.

### ო რ ი ა რ ა გ ვ ი

ორი არაგვი, ორი მდინარე შეჭიდებული ცისფერ ტინებთან — ერთი მღვრიე და მუდამ მტირალი, მეორე მტკნარი და მომღიმარი.

შეხვედრის ტკობით განცხრომილები მოდიან, მოაქვთ ზრახვა ზვიადი — ორი სხვადასხვა განწყობილება, სხვადასხვა ფიქრი და ხასიათი.

# საქართველო

თ. გიორგიანი

რა ჯადოსნური ზაფხული გვიდგას  
რა ელვარება, რა ნათლის ფენა!  
ნუთუ ეს ჯიღდო, ეს შუქი წმინდა  
სულ უსასყიდლოდ მოგვიძღვნა ზენამ?!  
თვალს ვერ ვუსწორებ ცის კიდით-კიდეს,  
ჩემს შემკრთალ მზერას არ შესწევს ძალა:

დაგვიცინის ვინმე, აბუჩად გვიგდებს,  
თუ გულით გვიძღვნის ამ ღვთიურ სალამს?!  
ასე ღიმილი მომხიბვლელ ქალის,  
შუქთა ფენაში რომ ბაძავს მნათობს,  
ჟამს სიბერისა ვერ გვმატებს ხალისს,  
ვერ გვგზიბლავს, ოდენ გვაშინებს, გვაკრთობს.

## წმინდა მთები

მთვარიანი ღამე მკრთალი,  
მომხიბვლელი, იდუმალი, —  
დასწოლია უკრიანას.  
შორს, შორს ელავს ზეცის თალი,  
შორს, შორს ბუტავს ვარსკვლავთ ჭაღი  
და დონეცი ბნელში ბრწყინავს.  
დგას სიმშვიდე საოცარი;  
აღარ არხვეს ლოცვის ზარი  
სვიატოგორსკის ლურჯ თავანებს.  
გაუშლია ღამეს ფრთები,  
დუმან წმიდა აკლდამები,  
ღვთისმშოსავთა დუმს სავანე,  
აზიდულა კლდე მდუმარე,  
ბნელში თეთრად მოელვარე  
და აშაყად დასცქერს დონეს;

კლდის თავს ამკობს წმიდა ჯვარი,  
აკლდამების მცველად მდგარი,  
ამაყი და თავმომწონე,  
ძველათ, თურმე, საკვირველი,  
იქ ცხოვრობდა ვიღაც ბერი,  
ჩაკეტილი ქვაბსა შიგან,  
ლოცვა იყო საზრდო მისი, —  
სულის წმიდა ღაღადისი  
სასწაულის თხზავდა იგავს.  
თურმე, იმავე ლოცვის ძალით  
დღესაც კვლავ დგას ის კლდე სალი  
და ამაყად დასცქერს დონეს.  
განფენილა სულიწმიდა  
ღვთისმშოსავთა სავანიდან,  
გვაფხიზლებს და გვმატებს ღონეს.

## ს ა ლ ა მ ო

გაშლილ ველებზე ზარის ხმა შორი,  
როგორც წერთა ძახილი, — ისმის,  
მოდის ბგერათა ნაკადი მდორი  
და წყდება სადღაც, შორეულ ნისლში,

ვით გაზაფხულზე ზღვის სივრცე წყნარი,  
დღე არის სუფთა, ნათელი, გრილი,  
ბუნებამ მწუხრის ჩამოპკრა ზარი,  
ველებზე ლურჯად იღვრება ჩრდილი.

# მინის კარები

არასოდეს შეეხვედრივარ ასეთ ლამაზ ქალი-შვილს. ჭერ არ მინახავს ისეთი ნახი და შთა-გონებულს სახე, როგორც კიბეებზე მდგარ პატარაძალს ჰქონდა.

ვიცი, რომ პროფესიონალ პოეტს (მე კი პოეტი ვარ) უფრო ზუსტად და დახვეწილად შეეძლო აზრი გამოეთქვა, მაგრამ შთაბეჭდი-ლების გამოხატვის ცდამ პროზაში, რომელიც ჩემთვის ესოდენ უჩვეულოა, დამარწმუნა, რომ რაც უფრო უბრალოდ წერ, მით უფრო დამა-ჭრებელია და ადვილადაც მიგებენ. პოეზიაში კი ასე არ არის.

პატარაძალის დანახვისთანავე მივხვდი, რომ მას ვერასოდეს დავეიწყებ. ცხვირი მინის კა-რებზე მქონდა მიდებული და რამდენიმე გამე-ლელთან ერთად მშვენიერ ზმანებას მიგჩრე-ბოდი. ვიგრძენი როგორ ღრმად მოხვდა გულს მისი სილამაზე, უფრო მეტად კი ის მღელვა-რება, იმედი და იღვმალება, რომელიც საქორ-წილო თაივლით ხელში კიბეების ხვეულთან მდგარს, სახეს უნათებდა.

საშინელმა სურვილმა შემოიპყრო, გამეგო რა-ნაირმა ფიქრებმა მიანიჭა მას ასეთი მომხიბ-ლელობა, ასეთი სითბო და ზეშთაგონება. დარ-წმუნებული ვიყავი, რომ ვერასოდეს და ვერსად ვერ ენახავდი ფარული ფიქრებით გამოწვეულ ასეთ სილამაზეს, სახე რომ გაუციკროვანა, ბაგე დომილით გაუპო და თვალები ნახად აუციმ-ციმა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებდა რომ ბედნიერი იყო.

რა თქმა უნდა, ის პატარაძალია, ვეუბნებოდი ჩემს თავს, იგი გამიჩურებულა, მაგრამ სა-ბოლოოდ მაინც ვერ გავერკვიე ყველაფერში, ვინაიდან მის ახლო-მახლო საქმის ვერ შევ-ნიშნე.

კიბის ქვედა ბაქანზე ფოტოგრაფი იდგა და თავი შავ წამოსახამში შეეყო; მისი თანაშემწე კი პროექტორებს უფრო მოზერებულად დგამდა, რათა საჭირო ადგილები გაენათებინა. რომელიც ქალმა პატარაძალს კიბის ნაკეცი მიუჩურა. საქორწილო კიბის თეთრი ატლასი და კრემისფერი არშინიანი ნაკეცი ჩანჩქერის ნაკადად ჩამოფენილიყო და ფეხებთან მოციმ-ციმე მორევს ქმნიდა.

ვიფიქრე: ეს ან ეხლა გათხოვდა, ან საცაა გათხოვდება მეთქი. მივხვდი, რომ ყოველგვარი იმედი დეარგული იყო. რაღა ვქნა, ერთხელ ნახვის შემდეგ, რომ ვერასოდეს დავეიწყებო? შევეკითხე ჩემს თავს.

ორიოდე წუთის წინ მედისონ ავენიუთი ლენ-ჩიდან სამსახურში — „ქიმიურ ლაბორატორია — ეიჯეში“ ებრუნებოდი. საქმე იმაშია, რომ ქიმიკოსი ვარ, ესე იგი, ქიმიკ ლუკმა პურს მაჭმევს. ისე კი ჩემი მთავარი საქმე — პოეზიაა, რაშიაც მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივალ-წიე. მარტო გასულ კვირას ერთ ეურნალს თორმეტ დოლარად ბოგმა მივყიდე. ერთი თვის წინ კი ლექსებისათვის ერთი შეიღწახვერის და მეორე ხუთი დოლარის ჩეკი მივიღე. ამჟამად კი ყველაფერი შეიცვალა.

ტარტონის ახალი პოეტელი, რომელთანაც ვიდექი, სულ ეხლახანს გახსნეს და ჭერ კიდევ არ გაეღოთ ყველა კარი. სწორედ ერთ-ერთ კართან ვიდექი და სხვებთან ერთად შენობის შიგნით ვიხედებოდი. წესასცელელი რომ ღია ყოფილიყო შევიდოდი კიდევ და ქალიშვილს ევითხადი — რამ გაგამშვენიერათ ასე მეთქი.

უსაქმოდ მოვიალენი წავიდ-წამოვიდნენ და შეენიშნე, რომ მალალ კარებს თითქმის მივკ-რადი. უეცრად ქალიშვილმა რაღაც შეიცვალა; ქანდაკებას სული შთაებერა, სანთლის დეფო-ფალა აღამიანად იქცა, მთელი თავისი იმედე-ბით, სურვილებითა და განცდებით, დაფარუ-ლი სიხარულითა და იღვმალი სიცილით. იქცა აღამიანად, რომელსაც სიყვარული და სიცილ-ლე სწაღია, მაგრამ იტანჯება და ბედნიერება მისთვის უცხოა.

ხელახლა რომ შევხედე უწინდებურისა ვე-რაფერი შეენიშნე. ყველაფერი გაქრა. ყველა-ფერი დამთარდა. გამნათებელმა რაღაც დგამი გადაალოვა, თეთრი ვარდებისა და შროშანების თაივლი გადაიხარა. მისის შუა დღე იყო მე-დისონ ავენიუზე, ნიუ-იორკში. მე კარებს მოვ-ცილიდი და სამსახურისაკენ წავლასლადი. მწვა-ნე ავტობუსები და ყვითელი ტაქსები, მაღაზიის განათებული ფანჯრები და ქუჩაში მოსიარულე ხალხი — ყველაფერი შეიცვალა და უწინდ-ებური სახე აღარაფერს ექნება.





ქალიშვილის დავიწყებას ვცდილობდი. შემძლო წამეშალა მისი სახე და ტანის ნაკვთები, მაგრამ უძლური ვიყავი დამეზნო მუსიკა, რომელიც მან ჩემში შემოიტანა. სწორედ, პირველი მაშინ ვახდა ჩემთვის ნათელი თუ რა ცუდი პოეტი ვყოფილვარ. მე ხომ ვერ შევეძელი ვერცერთი ხლართის ამოძრება იმ სურვილებიდან, სვედიდან, უთანხმოებებიდან, სიხარულიდან და ცრემლებიდან, რომელიც ასე ძლიერად ვიგრძენი მაშინვე როგორც კი იგი დავინახე.

მე ჩემს ოთახში ფიქვის მაგიდასთან ვიჯექი. ჩემს უხეირო ბინაში არც ცხელი წყალი იყო და არც ლიფტი. მე ყურს ვუვადებდი მიწისზედა რკინიგზის მატარებლების გრუხუნს და ყოველი გარუხუნი მამცნობდა, რომ კიდევ ხუთი თუ ათი წუთი გვიღა. მე კი წერა არ შემიძლო და ვერც ჩემს თავს დავაცდევინე სიტყვა. თუკი ამას სიყვარულს ეძახიან, თუ კი ამას „პოეტად ყოფნა“ ჰქვია და თანაც გამიჯნურებულ პოეტად, მაშინ არც ერთი უქნია ღმერთს და არც შიორე.

ერთი კვირის შემდეგ მე ისევ ვნახე ქალიშვილი მეტოფე ავინიუდან დასავლეთით 57-ე ქუჩაზე. ტაქსი ვააჩერა და ჩაჯდომა დააპირა. კასტუმი და კოფტა ეცვა; სახეზე მუქი წითელი პირბადე ეფარა, მაგრამ მაინც მაშინვე ვიპანი.

მისი შენიშვნაც მოვასწარი, რომ ქალიშვილი ბევრად შეცვლილიყო. მისი ნაკვთები უწინდებულად სრულქმნილი იყო. მხოლოდ დაღლილი და დაწვწხებული გამოიყურებოდა. იმ საიდუმლოსა და სასწაულისაგან, რომელიც პოეტის მინის კარებიდან დავინახე, კვალიც არ დარჩენილიყო. ის მშვენიერი იყო, დაწყებულა ბრწყინვალე თმებიდან, დამთავრებული ტყავის პატარა ფეხსაცმელით, პატარა ფეხებზე რომ ეცვა — ყველა მშაპაკის და პოეტის ოცნების განსახიერება. მაგრამ ის ზემთაოწონებული სინახე, ასე ცხოველმყოფელი რომ ვახადა იქ, კიბეებზე, უკვალოდ გამქრალიყო.

კიდევ წამი და ის წავა. განა შეიძლება იმაზე ღანდობა, რომ შემთხვევითობის კანონი, რომელშიც მეორედ შევჯავხედრა ქალაქში, ხადაც რვა მილიონი ერთმანეთში ირევა, კიდევ მიშეელოს? ყველა, ყველა, მაგრამ ერთი რამ კი ნათელი იყო — ან ჯლა, ან ვერასოდეს.

მე ქალიშვილთან მივიჭერი. — მშატივით! ერთი წუთით დავიცადეთ! მინდა მოველაპარაკოთ — სული ძლიეს მოვიბრუნე და ისე ვუთხარო.

ძალზე ველავდი და ჩანდა სასაცილოდ გამოიყურებოდი. ჩემდა საუბედუროდ ქალებს არასოდეს არ მოეწონი.

ქალიშვილმა შემომხედა. ტაქსის კარის სახეურისაკენ გამვეკრილი თათმანიანი ხელი ჰა-

ერში შერჩა. ჩანდა ცდილობდა გაეკრეია, მისი ნაცნობთაგანი თუ ვიყავი რომელიმე.

ჩემი სიმკვირცხლე მისი თვალბის რადიკალიზაციის ნიარმა უცნაურმა სიციფემ და ტუჩებზე დამჩნეულმა ირონიამ ჩააფუმა. მას მსახიობივით გულმოდგინედ ეცვა — ელვანტურად და სადად. ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. ვიფიქრე, რომ ის გამოიყურებოდა როგორც „ნიუ-ორკის მისი“ — ქალიშვილი მეხუთე ავინიუდან. გული გაჭიოდა: „სადა ხარ?, რა დავამართვია?, სად დამეკარგე?“

წამით სახეზე გაოცება დავეტო, მეტე ტაქსისაკენ შეტრიალდა და სახელურს ხელი ჩასჭიდა.

— გემულარებით, შეჩერდით! — წამოვიყვირე მე, — ერთი წუთით! მე თქვენ გიცნობთ. თქვენ კიბეებზე მდგარი პატარძალი ხართ. დედამისის ზურგზე თქვენზე ლამაზი ქალი არ მეგულება. ნუთუ არ შეგიძლიათ ერთი წამით დავიკადოთ? მე... მე ნაყინზე და ვახიან წყალზე დავბატივებთ და მარტოოდენ ერთ კიბეას მოვკვებით.

ის მოტრიალდა, თავიდან ფეხებამდე უხმოდ ამხედ-ჩამხედა და ოდნავ მხიარულად თქვა:

— რა გავწყობა. სხვა თუ არაფერი, გაცნობის რადაც ახალი ხერხია!

— გამიგეთ, — ვუთხარი მე, — არავითარი ხერხი აქ არ არის. საოცრად დიდი სურვილი მაქვს თქვეთთან ლაპარაკისა, თუნდაც რამდენიმე წუთით.

მან ისევ გაოცებით შემომხედა.

— ვგონებ, თქვენს ვახიანი წყლით გამასპინძლება აღმიშეჭვით.

ამ დროს, ლაპარაკში ტაქსის მძღოლი ჩავეკრია.

— ლედი, — უთხრა მან ქალიშვილს, — იმედია თავხედობაში არ ჩამომართმევთ თუ გვითხავთ, აპირებთ ჩემი ტაქსით სარგებლობას? პირადად მე ყველანაირი ვარიანტი მაწყობს, მაგრამ თუ თქვენ დროზე გადაწყვეტთ, შეგვეძლო ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე კვლავ აღვევადინა ნორმალური მოძრაობა და პოლიციელის მადლობაც დავგეშასახურებინა.

ქალიშვილს ნიკაბი ჩამოუვარდა და სახეზე ვარდისფერმა ვადაპკრა.

— არა მჭირდება თქვენი ტაქსი და საერთოდ არ მიყვარს სატაკაში. ნახვამდის.

შემდეგ მე მომიბრუნდა.

— რაც თავი მახსოვს არავის შემოუთავაზებია ვახიანი წყალი. თქვენ სთქვით, რომ მიცნობთ, არა? მაშ ასე, მე შოკოლადი და ორი ულუფა ნაყინი მინდა.

როცა მაგიდას მიუჯექით და მან ხელათმანი გაიბრო, წამსვე შევინშენე, რომ ბეჭედი არ

**პოლ ჯალიკოვი**  
მინის კარები

ვეთა. გული სიხარულისაგან ამითრთოლდა.

— მე შევია ედუარდ ენსტი — გავცანი მას. — მე ვითხარით, რომ გიცნობთ. ასე სულაც არ არის, უბრალოდ მე მომეჩვენა. იმ დღეს ვნახეთ, ტარტონის პოტელის კიბეებზე, სურათს რომ ვიღებდნენ.

ის წამით ჩავფიქრდა და სთქვა:

— აა, ეს საზოგადო დასდევის შეკვეთით იყო, წარწერით: „როგორ ფიქრობთ ამ ქალის მოვლა-პატრონობას!“ შემდეგ შეითხა: — რატომ მეცნობა თქვენი სახე? სად მინახიხართ? იქნებ შევეცი?

— თქვენ, ალბად, „ამერიკის მიმოხილვის“ აპრილის ნომერი ნახეთ — ვუბასუხე მე. — იქ დაბეჭდილი იყო ჩემი პოემა „ცის მკვიდრნი“.

ქალიშვილმა აღმაეცარა შემომხედა და ჩალის ღეროს კენთა დაუწყო.

— თქვენ ლექსებს წერთ? — უცებ მკითხა მან.

მივხვდი მისი უნდობლობის მიზეზს. ეს ჩემი გარეგნობით იყო გამოწვეული. მე საკმაოდ გრძელი სახე და შუა დასავლეთელის უფერული თვალები მქონდა.

— მე პოეტი ვარ. ვწერ ლექსებს. კარგადაც სალდება. გასულ კვირას „ახალ საუქუნეს“ პოემა მივიცილე.

ქალიშვილმა უსიამოვნოდ გაიცინა.

— ეგ სულ სხვაა. — შენიშნა მან.

მას ვენდი კერული ეტქვა. მანეკენი იყო. გუმანით მივხვდი, რომ ის ყველაზე ლამაზი და ყველაზე ცნობილი მანეკენი იქნებოდა ნიუ-ორკში.

თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ ასეთ მნიშვნელოვან პიროვნებას დროს ვართმევდი.

— მაპატიეთ. — ვუთხარი. — ალბათ ხელი შეგოშალათ. თქვენ სადღაც მიიჩქაროდით... ვერც მოვისახრე...

— ნუ სწუხართ მე შინ მივიდიოდ. მინდოდა დამესვენა და წიგნი წამეკითხა.

გაოცებული მივანერდი.

— შინ? მე კი ვფიქრობდი, რომ ასეთი გოგოები სახლში არასოდეს ზიან. ესე იგი, ალბად, მამაკაცები წამდაუწუმ გინიშნავენ პაემანს.

მისი ჭიჭის ძირში ვაზიანი წყალი აბუყბუყდა. წამით შეეცვალა სახის გამოეტყველება.

— მამაკაცები? — მშრალად და გულცივად თქვა მან, — ყელში ამომივიდნენ. გულს მიიტყეს მთი პაემანები, წინადადებები, უხეშობა. სიტყუე, ორმაგი თამაში, გონებაჩლუნვობა და სიძუნწე. და კიდევ ის, სადილსა და კონცერტებისათვის სასყიდლად რომ ელოან. უმეტესად სახლში ვზივარ ხოლმე. ეხლაც სწორედ შინი-საკენ მივიჩქაროდი. გმადლობთ გამასპინძლებისათვის.

— ჯერ შეკითხვა არ მომიცია. — ვუთხარი

მე. — გახსოვთ კიბეებზე სურათს რომ ვიღებდით? მაშინ საოცრად შეგეცავალე. ვიღებდით ნამდევ საოცრად ლამაზი იყავით, ისეთი ლამაზი, რომ სუნთქვა შეგეკრა, მაგრამ იმ წამს თქვენ უბრალოდ ღვთაებრივი იყავით. რაზე ფიქრობდით? რამ შეგეცავალათ ასე? თუ გახსოვთ ის წუთი?

სანამ მიბასუხებდა ვენდომ გამომცდელად შემხედა. ვერ მიმხვდარიყავი ახსოვდა თუ არა რამე. მომეჩვენა, რომ წამით სახე გაუნათდა. შემდეგ თვალთ თვალში გამიყარა და მითხრა:

— წარმოდგენა არა მაქვს, მუშაობისას სურათოდ არაფერზე ვფიქრობ. ვგონებ ქალური სილამაზის და იდეალის განსახიერება ამ ქალაქში უნარო სახე უნდა იყოს, ვცდილობდი სწორედ ასეთი გამოეტყველება მიწნოდა.

აი ჩემს ძიებასაც წერტილი დაესვა. ის, რაც კიბეებზე დამინახავს, დასაშვებია, რომ მინის ციბით ან სხვითა თამაშით გამოწვეული შემთხვევითობა ყოფილიყო.

— მაპატიეთ და გმადლობთ თავაზიანობისთვის — ვუთხარი მე.

მაგრამ ამით ყველაფერი როდი დამთავრდა. ლამაზაკი თვითონვე განახლა.

— ისე ხართ დაბნეული, თითქოს თქვენთვის რამე წამებრთმობს. სხვებივით ვანა თავად არ ამედგენეთ? — ის გაჩერდა. შემდეგ თითქოს რაღაც კიდევ აწუხებდეს, დასძინა — მართალია, რომ თქვენ პოეტი ხართ?

— კი, — ვუბასუხე მე. — ჩემი ოთახი სხვენზეა, ულიფტო სახლში, როგორც პოეტებს ჩვევით.

— და რამდენადაც ვხვდები სურვილი გვლავთ, რომ ლექსების მოსასმენად თქვენთან წამოვიდეთ, ჰო? — ცოტა არ იყოს მწარედ მითხრა მან.

— მე თქვენ ლექსებს არ წაგიკითხავთ.

— რა გაეწყობა... გულახდილი ხართ...

— თქვენ ვერ გამიგებთ. მე ვცდილობდი მე-პოვნა ის, რაც მაშინ კიბეებზე მდგარს შეგამჩნიეთ და გამეგო რა იყო ეს.

— ო, არა. ნურას უკაცრავად, გარიგება არ მოხდება.

ის წამოდგა, თავის პატარა ჩემოდანი და საფულე აიღო და როგორღაც უხეშად მითხრა:

— რა გაეწყობა, ენსტი, ცდა ბედის მონახვევით, ხან გაგიმართლებს კაცს, ხან არა. ამეკრად კი კოხეზი ნიკარში ჩავივარდით.

ქუჩაში გამოვედი. პიკის დრო იყო. გზის პირას ვიღებოდი და ტაქსის ძებნაში აქეთ-იქით ვიხედებოდი. მე მასზე უნდა მეხრუნა, მაგრამ მასთან ყოფნა უცვად აღარ მინდოდა. როცა დასაწყისში მემუნვა მოვერევა, მართოდ დარჩენა გინდება ხოლმე.

მისკენ რომ შევბრუნდი საბარალო და უმწეოდ გამოხედვამ განმაცვივრა. სიმკაცრე და ცინიზმი გამჭრალიყო. დარჩენილიყო მხოლოდ



ტივილი და მიამიტობა, მიტოვებულ ბავშვს რომ აქვს ხოლმე. ჩემს წინ იმედდაკარგული, ცხოვრების პრობლემების წინაშე უმწეო აღამიანი იღვია.

— ვენდი, — წყნარად ვუთხარი, — თქვენ მწუხარე ხართ, ეული და საბრალო. წამოდით ჩემთან.

მან შემომხედა, სახე მოღუშა, ტერეზზე ზეზი დაეცა და მწარედ გამოსტერა:

— ეგრე იყოს! რა ბედენა!

ჩემი ოთახის ნიშაში ორ კომფორიანი გავის ქურა იღვია. მე ხბოს ტვინით და მომუშელო ბამილდით ერთ კვერცხს შეეწვი. შემდეგ ყავა დაღლით, თან ყველი და პური მივატანეთ და „მოწინავე საუკრინის“ მიერ პოემა „შაშვისათვის“ მოცემული უკანასკნელი ჩეკით ნაყიდი ერთი ბოთლი რიზბურგულიც გამოვცალეთ. თავიდან ვენდის ნერვიულობა ეტუბოდა, აშკარად წუხდა, როგორც ახალ აღვიდა შეუჩვეველი კატა. ის სკამის კიდეზე ჯდებოდა, სიგარეტის ბოლს რგოლებად უშვებდა, ჩემს ნივთებს ეცნობოდა, ოთახში დადიოდა და წიგნებს, სურათებს და სხვა ქონებას ათვალიერებდა. ამ დროს მე ველაპარაკებოდი. სადილობისას ენლი ოტა დამშვიდებული მეჩვენა, მაგრამ უცებ მძაფრად მკითხა:

— მამასადამე, თქვენ ის ენსტი ხართ გასულ კვირას „შოამბე“ თავის სამეცნიერო განყოფილებაში რომ წერდა? — „დოქტორი ეღუბრდ კლბო ენსტი, ბრწყინვალე ქიმიკოსი, რომელმაც რევიტაციის ახალი უებარი წამალისთვის — ტრამიტინის სინთეზისათვის „ქიმიური ლაბორატორია“ — „ეიჯექსის“ პრემია, ათი ათასი დოლარი მიიღო“.

— თქვენ ბევრს კითხულობთ. — ვუთხარა მე.

ვენდი გაცხარდა.

— თუკი მე სუფთა, სწორნაკეთებიანი სახე მაქვს, თქვენის აზრით, მოველე ვარ ქათამი ვიყო?

ახლა კი ჩემი გაბრაზების ყერი დაღვია.

— იმ „შოამბეში“ მოშურნე არამზადების ბროვა ზის. — ვუთხარი მე. — ისინი ვერ იტანენ თუკი ვინმეს ლიტერატურაში გაუმართლებს. ჩემი ლექსების თაობაზე ინტერვიუს ასაღლად ქალი მომიგზავნეს — ყოველ შემთხვევისათვის მან ასე თქვა — მე დაუფიქრებლად შევაჩერე ჩემი შარშანდელი წიგნი „ასფოდლები ასფალტზე“. მე მარტო დაბეჭდვას და აკინძავსი დავიხარე, მაგრამ უკვე გაიყიდა სამის ორმოცდა ჩვიდმეტი ცალი. იმ ქალმა უპირავი შეკითხვები მომცა. მე გულახდილად პასუხები გავეცი. მან მითხრა, ყველაფერ ამის პოეზიის განყოფილებაში დაბეჭდვით, მაგრამ მომატყუეს. წიგნზე ერთი სიტყვაც არა თქმულა.

— თქვენ მატყუებდით. — მითხრა ენდომი. —

სტატია უნდა რქმეოდა: „წარმატების მქონე ბრწყინვალე ქიმიკოსი საიდუმლოდ ცხოვრობდა უღიფთო სახლში და იქ თავისი ნაცნობი გოგონები დამყავს“.

ჩანდა მას სიამოვნებდა ასეთი ლაპარაკი. თითქოს რევიზს იღებდა იმაზე, რომ მისი ეპეი ჩემდამი უსაქუძველო არ იყო.

— ვენდი, — ვუთხარი მას, — ქიმიკა ჩემი სამსახური. მისი შესწავლა სავსებით შემთხვევით მომიხდა: სკოლაში სია შეეშალათ და სულ სხვა კლასში შოვხვდი. რასაკვირველია, ჩვენ დროში შეუძლებელია კაცმა პოეზიის შემოსავლით ირჩინოს თავი, მაგრამ ეს ნაყლებად მაწუხებებს. მე აქ ცხოვრება მინდა და ეცხოვრობ კიდევაც. მე მომწონს მატერიალების ვრუხუნო, თითქოს ვეებერთელა მეტრონომი იყოს. პოეტი სულაც არ არის მოვალე ისე იცხოვროს, როგორც შემოსავალი აიძულებს. პოეტს შეუძლია იქ დასახლდეს, სადაც მოესურვება.

ჩანდა მას ჩემი არ ჭეროდა. სექტიკურად შემომხედა, წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. უყურებდა რკინიგზის ლაინდაგებს და მოპირდაპირე ფანჯარაზე გაბმულ თეთრეულის გასაფენ თოკს. ჩემქენ რომ მობრუნდა, საბრალო სახე ქონდა.

— როდის აპირებთ საქმის დაწყებას?

ეს ისე უმოწყალოდ გაისმა, როგორც ნიუ ორკის უქმებს ნიმფებს ჩვევიათ. მე კი ვიცილი: აქ უბრალოდ შიში და უბიწოება, და კიდევ რაღაც, რომელიც ჭრ ჩემთვის გაუგებარი იყო.

— ვენდი, რას იტყვით თუ არავითარ საქმეს არ დაიწყებთ?

ამის თქმაზე ის წამოდგა, მაგიდასთან დაჯდა და მკითხა:

რა ძნელია ურთიერთობის დამყარება და რა უმწეოა სიტყვები მაშინ, როცა გულის თრთოლვა, სევდა და ვნებები გინდა გადმოსცე.

შევეცადე აიხსნა:

— ის, რაც კარს იქით შევნიშნე თქვენში — თქვენის სილამაზეში.

ამის თქმაზე ვენდის თვალში დაუეწიროვდა.

— ეს სულ სხვა სილამაზეა, ვენდი, — ვუთხარი მე. — მამაკაცს მთელი სიცოცხლე ენატრება ის. იგი მასში როგორც მოგონება ისე სადღურობს, შესაძლოა სევდასავითაც. ჩვენ მამაკაცები ეოცნობთ მიუწვდომელ ქალზე, ფერიანზე, ანგელიზზე! ისეთზე, რომელიც გინდ რაჯობთადა იქცეს და გინდაც სამოთხედ აწ და მარადის. — იმ წუთს დიდი სურვილი მქონდა ვენდის ჩემთვის გაეგო. — ხანდახან ხდება ის, რომ ამ ოცნების ნაწილს ის იუერს სახის ნაკვებით, დამეული ჩურჩულით, მოულოდნელი ცრემლებით სავსე თვალეებით, თითების თბილი

**პოლ ჯალიოვი**  
მინის კარბანი

შეხებით, რომელიც მის თვალწინ გაიხსნებოდა ხოლმე. მაგრამ ძლიერ ახლოს ვერასოდეს ვერ მივა მასთან. ხანდახან მაინც ხდება, რომ ქალი მთელი თავისი მშვენიერებით გამოძვლავდება ხოლმე მამაკაცის წინაშე, როგორც იმ დღეს კიბეებზე თქვენ გამოამძვლავნეთ მთელი თქვენი მომხიბვლელობა, ის, რის წარმოდგენაც არ შეიძლება და მივაყვლი იმას, რასაც ვეძიებდი.

— ახლა კი მსგავსი რამ ჩემში აღარ არის. — უხალისოდ თქვა მან. — მე უბრალოდ მიუსაფარი არსება ვარ, უსახლკარო კატასავით ქუჩაში რომ შეიძლება დაიჭიროს და სახლში მიიყვანოს. გეთანხმებით. ვიცი რაზედაც ვფიქრობდი იმ დღეს, კიბეებზე. მე პატარასლს ვთამაშობდი. წარმომედგინა, რომ მივისწრაფვი მისკენ, ვისზედაც ჯვარს ვიჭერ. ის კეთილშობილი, უანგარო და პატიოსანია. მას ყველაფერი ესმის. მე ის ჩემთვის გამოვიგონე, იმიტომ, რომ მჭირდება.

მან უეცრად შემომხედა, თითქოს უნდოდა გავოცო რაზე ვფიქრობდი. შემდეგ ერთბაშად უწინდელმა სიბრაზემ მოიკცა და მწარედ გააგრაძელა სათქმელი. — წარმატება ნიუ ორკში! ყველაზე ფოტოგენიური სახე ამერიკაში! მამაკაცებს კი ჩემგან ერთი რამე სურთ და არც ფიქრობენ სამაგიერო თუნდაც გულის პატარა ნაწილი შემომთავაზონ. ეს კილევ არაფერია, იმასთან შედარებით, რომ თავს მარჯობენ თავიანთი სიბრძნით, სისამაგლოდ და თავქარიანობით. მათ შეუძლიათ მხოლოდ თავიანთ თავზე, პატივმოყვარეობაზე და სახელის მოხვეჭაზე იფიქრონ. ბიზნესი და სექსი აი, რა აინტერესებთ. და კილევაც რომ რამელიმე მათგანს გავყოლოდი და მისთვის ტრამპისის საბაბი მიმეცა, მაინც არაფერი შეიძლება.

და აი, მეც ჩემთვის საქმრო მოვიგონე. ის მდიდარი არ არის, არც რამე წარმატებას აღწევს, მაგრამ ეს არც ჩემთვის და არც იმისათვის დიდს არაფერს ნიშნავს. ის მხოლოდ ჩემზე ზრუნავს და იმაზე ფიქრობს, რაც მაწუხებს და რასაც ვგრძნობ. თავად ის ბევრს ფიქრობს და ხანდახან ჩვენ მთელ ღამეს ლაბარაკში ვათენებთ ხოლმე. ის, ალერსიანი და ყურადღებიანია. ნამდვილი მამაკაცია: ძლიერია იქ, სადაც სხვებია სუსტი; კაცური კაცია იქ, სადაც ძალა — მხოლოდ პოზაა. და აი მეც გადაწყვიტე მისთვის მიმეცა ის, რაც არავისთვის არ მიმიცია, იმიტომ, რომ სხვები არაფრად მგაძობენ და არც ისინი ღირან ჩემთვის გრომკამკადა.

უცებ ვენდომი მოიწყინა. თვალბეჭდით სიბრაზე ჩაუჭრა.

— აი, ასე ოცნებობენ ხოლმე ხანდახან ქალები, — თქვა მან. — მაგრამ მათაც შეუძლიათ სიმართლეს თვალბეჭდით შეხედონ. კლიპ, გამაცილეთ სახლში. ჩვენ ვითომ ერთმანეთს გზაში ავცდით. ჰო? იქნებ გსურთ, რომ დავ-

რჩე? ახლა ეს ისე აღარ გამიჭირდება. რასაკვირველია, თუ ამით უკეთ იგრძნობთ თავს, როგორც თქვენ გსურთ, ისე მოვიტყევი.

ჩემმა ვენებამ მთელი ოთახი აავსო და ზენა-ქარივით იატაკი და კედლები შეაზანზარა.

ვენისთანა შეუძლებელი იყო იმის დამალვა, რომ მე სუსტი და ავზნებული ვარ და პოეტის როლში შესულმა კილევ უფრო ვუმატე ტრამპისს. მე მის წინ ვიდელოქი — მსიღებულ ტრამპასა და სხვებზე არა ნაკლები მატყუარა, მაგრამ მინც ვუთხარი:

— წამოდი, ვაგაცილებთ, ვენდი.

ამჯერად მან გულთანად, უწყინრად გაიყინა. — ო, კლიპ! თქვენც კი გეყოთ გამბედაობა, რომ გამოვლოთ! თქვენ მართლაც პოეტი ხართ! ვენდი ქალაქის დასავლეთ ნაწილში აგურისბნულ სახლში ცხოვრობდა. მთელი გზა ტაქსისხმა არ ამოგვიღია. არც მიცდია მისთვის ხელზე, ხელი მომიკცია ან მოვხვედოდი.

„ჩვენ ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს. — ვფიქრობდი მე, — იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე სულელურად მოვიქეცი და მხოლოდ ტყვილი მივაყენე. რატომ არ დავრთე ნება დარჩენილიყო? რა მოგვივიდო? რა გამოიმეპარა ან როდის?“

მე ის ძველებურ, ფართო წინგარდის კიბესთან მივაცილე და ვუთხარი:

— მშვიდობით, ვენდი. შემიძლია გითხრაოთ — „მშვიდობით!“ იმიტომ, რომ შეგვლებ, ჩემს თავს ვაიძულებ, აღარ შეგხვდეთ. მაგრამ მაინც უნდა გითხრაოთ, რომ მიყვარხართ, როგორც არ უნდა იყოთ და მუდამ მეყვარებით. მან ხელი გამომიწოდა, გადახვებია და მაკოცა.

— კლიპ, — მოთხრა მან, — ნუთუ ვერ ხელებით რატომ მიწოდდა თქვენთან დარჩენა?

ახლა მე მივაშტერდი მას.

— სულელო — წამწურჩულა ვენდომი. განა არ იცით, რომ მინის კარებში ორივე მხრიდან ჩანს? ეს თქვენ მომიყვანეთ ქალოშვილივით ოცნების გუნებაზე. ჩემს თავს ვუთხარი: შეიძლება ის პოეტიცაა. მას ხომ ასეთი უტყუარი თვალბეჭდით აქვს. თქვენ სწორედ იმად შეჩვენეთ, ვიზედაც ოცნებობთ. როცა ვიფიქრებ, რომ თქვენ ისეთი ხართ, როგორც სხვებია, შიმში შემოპყრო და ყველაფერი არაარად მივიჩნიე. მოდი ხელ ჩემს წასაყვანად, კლიპ. მოდით ვისწავლოთ ერთმანეთისაგან. არ ღირს საყოფარო თავის ვამარცხა. ჩვენ ხომ მხოლოდ ახლავიწყობთ. ჩვენ ჯერ კილევ ბევრი რამ უნდა გავიგოთ ერთმანეთის შესახებ.

როცა კიბეებზე ჩავდიოდი, ვენდი წინგართან იდგა და მიყურებდა. მას ფანრის შუქისკემბა, მაგრამ სხივთა თამაში როდენ ანჭებდა მის სახეს უსაზღვრო სილამაზესა და სათნოებას.



# შ ე რ ი ჯ ე ბ ი

ჯანსუღ ღვინჯილია

## მურმან ლებანიძის 50 წელი

შართალია, სათაური საიუბილეო განწყობილებაზე მიანიშნებს, მაგრამ მე არ მინდა ასეთი მოლოდინი გავეუმატოლო მკითხველს. არ მინდა, რადგან მურმან ლებანიძე არ ზის უხუცესი მწერლის სავარძელში, რომ ელოდებოდეს მხოლოდ გუნდრუკის კმევას. იგი 50 წლისა და ამიტომ შეფერის სიტყვა არა მხოლოდ იმაზე, რაც გააკეთა ქართულ ლიტერატურაში, არამედ იმაზეც, რასაც ვკეთებ და რაც უნდა გააკეთოს. პოეტი თავის ე. წ. „სიმწიფის“ ხანაშია, მუშაობს შთაგონებით და ინტენსიურად, ძვალსა და რბილში აქვს გამყვადარი ახალი სათქმელი, ოცნებები და მიზნები. ასეთ დროს მხოლოდ ქება-დიდება, თუნდაც დიდი სიყვარულით გამართლებული, არ შეიძლება შინაგანად არ შეურაცხყოფდეს პოეტს, რომელსაც შემოქმედებითი უკმარობა სხვა სიბალღებვისავენ მიეზილება.

მინდა, მურმან ლებანიძის პოეზიაში, ჩემი რწმენით მეორეხარისხოვანზე მინიშნებით, მათი უკან დაწევით, კიდევ მეტი სიცხადით გამოჩნდეს ის ფასეული, რომლის შექმნითაც პოეტმა აღიარება და სიყვარული მოიპოვა, რითაც დაეფუძა მკითხველის ფანტაზიას და წარმოდგენებს.

ჩვენ ყველანი მონაწილენი ვართ იმ სულიერი წვისა, რომელიც პოეტის არსებას გამსჭვალავს და ამიტომ უფლება არ გვაქვს, ამ დღეს ნათქვამი სამადლოელი სიტყვა თავის თავში არ გულისხმობდეს ისეთ სიფხიზლესაც, რაც პოეტის წვას გააძლიერებს. ეს სამადლოელი სიტყვა უნდა შეეფარდებოდეს იმ დაუცხრომელ შემოქმედებით პროცესს, რომელსაც უმსახურება, და კიდევ დიდხანს უნდა მოეპასუხროს მურმან ლებანიძე

ქართული ლიტერატურის სინამდვილეში ბევრი შენაშნავს ერთ ფაქტს. პოეტთა ნაწილი დოლსტატებსა თავისი ცხოვრების შეაწლებში აღწევს. მხოლოდ სიკაბუჯის ნიშნად პოეზიის

გაგება თანდათან კარგავს დამაჯერებლობას. არიან პოეტები, რომლებიც პირველი ამოსუნთქვით ამბობენ ყველაფერს, შემდეგ მათი შთაგონება იშრიტება და წლების განმავლობაში ინერციით მოდიან ლიტერატურაში. უარყოფით მომენტად არც ეს უნდა ჩაითვალოს. ერთი განუწყვეტელი ამოსუნთქვა პოეზიისა, ყოველგვარი არსებობის ამოწურვა საკუთარი თავიდან და გაჩუმება — ასეთია მათი ბუნება. შედეგისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ თანდათანობითი შემოქმედებითი პროცესი თანხმლება ვაცუდებებთა და მიღწევებით ლიტერატურული ცხოვრების განუწყვეტელ მდინარებას ქმნის და ამდენად აუცილებელია. მომენტობრივი ხასიათის პოეტური ზეალსელებით რომ ხასიათდებოდეს ყველა პოეტი, მაშინ ძალზე ხშირი იქნებოდა მკვდარი სივრცეები ქართულ პოეზიაში, დარჩებოდა მხოლოდ ლამაზი, მაგრამ წამიერი განათებები. მურმან ლებანიძის ნიჭი აღმაჯილი ხასიათისაა. მურმან ლებანიძის პოეზია, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი ტონალობით, თანდათან ახალ ფაზაში შედის მიღწევებითა და წარუმატებლობითაც, ფართოვდება ინტერესის არე და იცვლება საგნებისადმი დამოკიდებულება.

თავისთავადი ზელწერა, საკუთარი ტონალობა, — ამ ნიშნებითაა აღბეჭდილი პოეტის სტრიქონები. შეიძლება ითქვას, ზელწერას პოეტთან ენერჯის მაქსიმუმი ეწირება, მაგრამ ორი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ფორმა ვერწყმის სათქმელს და როდესაც ფორმა უბრალოდ გარემოცავს სათქმელს. პირველი შემთხვევის ნიმუშია:

კორტოხზე პურის ძნა,  
ქალის ყანაში მარტო —  
ჩემი უფროსი ძმა,  
ჩემი ლალო.

სიმინდი იდგა ტყელ,  
სერული ვაპქონდა ფართო,  
ყანას თონინდა მხნედ  
ჩემი ლადო.

სამხარი ჩავეტანე ჩრდილში  
ღვინო დავვიწყნია რატომ,  
ლექსი წავეუთებე შიშით  
ლადოს.

მითხრა ბებრი წერსო ღღეს,  
უნდა ოც წელიწადს რანდო,  
სახლში წაიდევანო თებეს,  
ლადომ.

ცრემლი მომებჯინა ყელში  
ვითომ რატომ,  
შენ ვის დაუწუნე ლექსი,  
ბიქო ლადო!

მეორე შემთხვევის ნიმუში:

პ რ ო ფ . ა დ ა მ . ჩ ა ხ ტ ა უ რ ს

რომ შემხვედროდა დიოგენი ჩვენს ახალ  
გზებზე,  
და განუყრელი თავისი ფარნით ზღვა  
ბალში მავალს,  
„კაცს ვეძებო“, — რომ ეთქვა ჩემთვის,  
არც დავფიქრდებოდი! — ჩავეტობდი  
ეკვიან ფარანს,  
ხელს ჩაეკიდებდი, მოვიჩხრეკდი ჯიბეში  
მანეთს,

„ტაქსი“, — ვიყვირებდი  
და საჩქაროდ — „დელისისაყენ!“ —  
ვეტყობდი მოფერს...

გამობრძანდებოდით ზარის წყრიალზე  
ერთი შეხედვით ღრუბელივით ქუშტი და  
მკაცრი...

და მერე, როცა ვაშლიდით მკლავებს  
და ნეტარად ჩაიღიმებდით,  
მოვეტრუნდებოდი საოცარ ბერძენს  
და ვეტყობდი: — თქვენ კაცს ეძებდით?  
აგერა — კაცი.

პოეტის ხელწერა იმდენად თავისთავადია,  
რომ ერთგვარი გადაპარბეზული სითამამითაც  
კი ვეცდებოდა ავტორი ფაქტებსა და მოვლენებს.  
აშკარაა ერთი მომენტი: მურმან ლებანიძე ცდი-  
ლობს პოეტური საფენელი მოუნახოს ყველა-  
ფერს, რაც კი მის გარშემო ტრიალებს, ან რას-  
თანაც მისი სული მიმართებაში ექცევა. ერთია,  
როდესაც პოეტური ბუნება ყველაფერში სა-  
კუთარი ბუნებისადმი თანხვედნას ესწრაფვის.  
ეს სურვილი თავისთავად პოეზიაა, მაგრამ მე-  
ორეა, როდესაც პოეტური ბუნება მართლაც  
თანხვედრა საგნების ასეთსავე ბუნებას. ამ შე-  
მთხვევაში პოეზია უტყუარად დგე-  
ბა ყველაფერზე მაღლა. ისეთ თემებს, რომ-  
ლებიც გაუხუნარნი არიან დასაბამიდან, მურ-

მან ლებანიძემაც გაუღო ხარკი. მაგრამ პოეტის  
ისინი უკვე აღარ მიაჩნია (და ეს უკვე მთავრად  
დაც) ნიჭის თავისთავადობის გამძლე დასაყრ-  
დენად. იგი თავისი დროის შესაფერ მთე-  
ლენებთან კონტაქტს ესწრაფვის. ძიების ეს  
თვალშისაცემი ფაქტორი განსაზღვრავს მურ-  
მან ლებანიძის პოეზიის ღირსებასა და ნაკლს.  
იგი თავშეუყავებელია ამ ძიებაში. ერთ გარე-  
მოებას აქვე უნდა ვეცდეთ ხაზი. მეოცე საუკუ-  
ნეში, საერთოდ, ცხადზე ცხადია სურვილი  
ბუნების თვით არაპოეტური მფლენების პო-  
ეტიზირებისა. ყველაზე დიდი სურვილი ამ  
მიმართულებით მაიაკოვსკის გააჩნდა. იგი ხში-  
რად „უხეშო“ საგნებისა და საოცრად პროზა-  
ული განწყობილების პოეტიზირებას მიმართავ-  
და. მისი დიდი ენერჯია მიიღტვოდა, სამყარო  
მთელი თავისი არსენალით ვადებარშა პოე-  
ტურ ბუნებაში და ახალი სიტყვებს მიეცა  
მისთვის. ეს ერთგვარად რისკივ იყო. ამ რისკს  
არაერთხელ მოჰყოლია მარცხი, მაგრამ არა-  
ერთხელვე გაუხუბრებია ერთ ახალი სიღრმეების  
აღმოჩენით. მაგრამ სინამდვილეში მაიაკოვსკის  
არაპოეტური ბუნების მოვლენები კი არ უქცე-  
ვია პოეტურად, არამედ მანამდე მიუტუნებელი  
საგნის პოეტური ნიშნები ამოხიდა ღღის სინათ-  
ლეზე. ამ თანხვედრაში აღწევდა წარმატებას მი-  
სი სურვილი. არის თემები და მოვლენები, რო-  
მელთაც ამაოდ უტრიალებდა პოეტი გარშემო,  
მათი პოეტიზირება იერ იქნა და იერ მთხერ-  
ხდა, მაგრამ ძიების ეს პროცესი პოეზიის ახა-  
ლი თვისებების აღმოჩენამდე მიდიოდა ხშირად,  
და მაიაკოვსკი სწორედ ამ გაზრებით გვესმის  
როგორც ახალი სიტყვის პოეტი. შემდეგ ეს  
მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდა პოე-  
ზიაში.

მურმან ლებანიძეც ესწრაფვის ყოფითის  
ფრთხი ვაშლოს და პოეზიის ფრთებს დაა-  
ტოლოს. პოეტი ბუნებრივად მიღის ორივე ხა-  
სიათის შედეგამდე. ზოგჯერ საგანი, ფაქტი,  
მოვლენა პოეზიის სამოსელს ირგებს და  
ახალ სიტყვას იწყებს, ზოგჯერ თვით პოეზი-  
ის ფრთები დაეტოლება ყოფითს და აღმადგენა  
თვალსა და ხელს შუა ქრება. ამ საკითხის შე-  
მადგენელი ნაწილია მიმართებით ხასიათის  
ლექსები. სასაუბრო კილოს დამორჩილება, მო-  
ქნილი პოეტური ენა და ფრაზის ლამაზი ელ-  
ფერი საშუალებას აძლევს პოეტს სითამამით  
მოეკიდოს ყველა ნიუანსს და წარმატებაც იხე-  
იმოს. მაგრამ ზოგჯერ მოწაბული არ არის პო-  
ეტური სულის მისწრაფებაში ის ნათელი წე-  
რტილი, სადაც მართლაც სუნთქავს პოეზია,  
რაც ამაღლებული მომენტია ადამიან-  
თა მიმართებაში. როგორც კი პოეტი ამ  
წერტილს იბოვის, მაშინვე ფრთებს შლის პო-  
ეტური ადლო, მაგრამ მეორე შემთხვევაში,  
როგორც ლამაზი სტრიქონითაც არ უნდა შეა-  
მოს მხოლოდ შემველი მიმართვა, პოეზიის ენა



მინც მღუმარეა. ლექსები: „ახალგაზრდობა“, „ტებერდა, კლდემი ჭიხვ-რაჯი“, „ესპანური კანტატა“, „ქართველი ღეღა“, „მარი ბეწუქელს“, „ლილი“ და კიდევ რამდენიმე სხვა სწორედ ასეთი. წარუმატებელი ცდაა პოეტიზირებისა. ასეთ შემთხვევაში არც ტკივილი და არც აღმავლება პოეზიის სფეროში არ ზის, შშრალი და უსიცოცხლოა. ხომ ასეთი ტკივილითაა ნაკარნახები სათქმელი ლექსისა „ახალგაზრდობას“, ხომ ასე ლამაზია მასში სტრიქონები, ლაღი და ფრთხილი ფრაზა, მაგრამ რაკი ბოლომდე არ ადის გაშიშვლებული ტკივილის მიზნად, ლექსი დეკორატიულია პოეზიის და რიგით მკვლევარს იქცა პოეტის შემოქმედებაში. ზედაპირული ტკივილი და სიხარული ვერასოდეს ვერ ადის პოეზიის სფერომდე. პოეზია ყოველგვარი განცდის უკიდურესობამდე გაფიქრებას მოითხოვს. ლექსი „ახალგაზრდობას“ უფრო დიდამტკიების ასპექტში მოექცა, ვიდრე ნამდვილ პოეტურში.

არის მიმართებითი ხასიათის ლექსებში ერთი ფაქტიც ყურადსაღები: პოეტი თითქოს ყველასათვის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომელმაც მისი სული შეშრა. სინამდვილეში კი კონკრეტული, ყოფითი მომენტი ყოფილა და მტკი არაფერი. როგორც კი ზოგადი ნიშნისაგან განიტივრთება ლექსის ბუნება, იგი მასწინვე საალბომო ხასიათის ლებულობს და შემოქმედებითი პროცესისათვის არაარსებითი ხდება.

მურმან ლებანიძე უპირატესად აღწევს თავს ამ ხასიათის მოვლენას მთელ რიგ ლექსებში. ამ შემთხვევაში სწორედ პოეზიის განმპაპობებელი სილამაზა მიგნებული აღამიანთა ურთიერთმიმართებაში, ყოფითზე ამაღლებული დიდი მასშტაბის ტკივილი და სიხარულია გაცხადებული, ფორმა მომდინარეობს და მკითხველის სულსაც ეხმარება. თითქოს არაფერი არ განახლებებს ლექსებს „ლაღო“, „თამუნია ქეთარაძეს“ და „გურამ რჩეულიშვილის ხსოვნისადმი“ ზემოთ დასახლებული ლექსებისაგან გარეგნული ხასიათის მიხედვით, მაგრამ აქ სწორედ შინაგანი სიმღირობა უმთავრესი. ამ კარგი ლექსების არც ერთ თემას არაფერი აქვს გაღანახული ქვეტექსტისათვის, მხოლოდ არსებითი ტკივილია წინ წამოწეული, ჩამოცილებულია ყოველგვარი შემთხვევითი,

„გურამ რჩეულიშვილის დაღუპვის ფაქტს პოეტი მარტო მეგობრის დაკარგვად კი არ განცხადებინებს, არამედ ქართული ლიტერატურის, და ამდენად, ქართული ხალხის სევდად აცხადებს და ასე ამოლიანებს მკითხველისა და საკუთარ განწყობილებას.

ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა  
მარი ბეწუქელს  
ვიცოლი!  
იქ სლავურ სოფელს რა უნდოდა — მე რა.  
ვიცოლი!  
და სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა  
სახედად  
რომ მპატივებდი, ველარასდროს თუ ვერ  
გნახავდი,  
მე რა ვიცოდი.

„ნელი ტანგოა“ ეს ქვეყანა, გურამ.  
ხომ არ იცეკვებო, ათასჯერ მკითხეს.  
აბასთუმანში ტიქა არაყზე.  
„გურამი დამღრჩვალა“, —  
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს.  
აწ გვაგონდები ჩუმი სევდით და ჩუმი  
წყენით,  
ვინც კაცურ მჭილით გრანტიტებს ფშვნილი...  
გურამ, შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი —  
შენს კისერს უგავს  
კისერი — მშვილდი!

ფიქრობთ, ასე უბრალო გადატანით ნათქვამი ტკივილი მინც დედისამშობლოსაგან ნათქვამი სიტყვა დაკარგული შვილისადმი, განწყობილება გარემოცავს ჩვენს სულს და ლექსი საკუთარ ამოსათქმელად განიცდება.

საპირისპიროდ ამისა, ლექსში „ტებერდა, კლდემი ჭიხვ-რაჯი“ — ვიწრო, საალბომო მასშტაბის საუბარია და რაგინდ ლამაზადაც არ უნდა იყოს წარმართული, იგი ჩვენთვის მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საშრდოა და მტკი არაფერი:

ტებერდა, კლდემი ჭიხვ-რაჯი,  
ალპურ მდგლოთა ეშხი,  
და შენ, ბიჭია ჭიხრაძე,  
ტრელი ყვავილით ხელში...  
ისა ხარ? სხვა ხარ? ვინა ხარ?  
ათი წლის შემდეგ გპოვე.  
შვიდი ფუთი ხარ — წინა ხარ!  
გოცნი ლოთსა და პოეტს.  
გოცნი ძმასა და დოსტაქარს,  
ყვდებით, ვთერებით და ყვევებით,  
ვით გაგვატანეთ დროს და ქარს  
და ვით დავხარჯეთ წლები...  
ტიქა — ვეება ხელშია,  
გული ოცუნებას მალავს, —  
კოჭლი სტრიქონი გერჩია,  
ვიცი, დოსტაქარის დანას.  
მინც დახარჯულ წლებზე  
ვერ დამაჯერებ აუგს. —  
გებდავ სახალხო გზებზე  
გამარჯვებულს და ჩაუქს.

გურამ!  
ახალციხისთან ტბა ყოფილა — მე რა  
ვიცოლი!

**ჯანსუღ ლვინჯილია**  
მურმან ლებანიძის 50 წილი

პოეტის მთელი შემოქმედება ისეთ „ძარღვმა-  
გარ“ ქართულზეა დამკვიდრებული, ყოველთვის  
ისე ნედლია ფერები და გაცუცვეთი ფრაზა,  
რომ სულს არ წყინდება სიარული უწერი-  
ლესი ბილიკებითაც კი ამ ქვეყანაში. ლექსები  
ძალდაუტანებლად იკითხება, ერთგვარი მოლო-  
დინით. პოეტი ძალიან ახლოს დგას მკითხველ-  
თან, ეს მისი პოეზიის საერთო ნიშანია. შეი-  
ძლება ითქვას, მურმან ლებანიძის სიტყვის ძა-  
ლის საიდუმლოება ძირითადად დამოუკიდებ-  
ბელ ხელწერაშია, ეს ხელწერა ნათელია, ფერე-  
ბსავსე. პოეტი განსაკუთრებით ენდობა თავისი  
ნიჭის ამ უტყუარ თვისებას. სიამოვნებით უნდა  
აღინიშნოს, რომ მურმან ლებანიძის პოეზიაში  
იშვიათია მანერულობა. დამოუკიდებელი ხელ-  
წერა პოეტის თავისთავადობას განაპირობებს,  
თავისთავადობა კი ყოველთვის საოცნებო ნიშა-  
ნია. თავისთავადობისაყენ მისწრაფებას ბუერი  
მიყავს წმინდა წყლის მცდელობამდე, მაგრამ  
რადესაც პოეტის არსებამს ზის საკუთარი ფო-  
რმის გრძნობა, მისთვის ხელწერის თავისთა-  
ვადობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ასევე ჩვე-  
ულებრივი მოვლენაა ეს თავისთავადობა მურ-  
მან ლებანიძის პოეზიაშიც. ზიანაფარდობა ხელ-  
წერასა და ლექსის სავანს შორის კარგი შედე-  
გის გარანტია, მაგრამ ამავე დროს იგი მთავა-  
რი სკიპთიკაა, იშვიათად მიიღწევა. ასეთი  
თანაფარდობის ნიშნად მიგვიჩინა მურმან ლე-  
ბანიძის შემდეგი ლექსები: „გოი, რა უფერულია  
სიყვდილი ლოკინში“, „ლადო“, „თამუნია ქაე-  
თარაქს“, „გვრამ რწეულიშვილის სსოვინსად-  
მი“, „სანადიროდ დაქვივარ“, „მოცოცავს, მო-  
ცოცავს მთებზე გაზაფხული“, „გაზაფხული  
შემოვიდა, ლენ“, „ვთამაშობ ნადირობას“,  
„თეთრი ლექსი ფერისას“, „გახსოვს; ვიგი“,  
„გვაშაყან“, „ღრუბლები“, „ფთოთარაულის ბიჭი  
პატარა“, „მახსოვს“, „იოსებ ნონეშელს“,  
„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „მახ-  
სოვს აზრი დიადი“ და კიდევ რამდენიმე.  
ყოველი ამთავანი გამოდგება სანიშნოდ.  
მოგვყავს ერთ-ერთი:

პირმოღუშული საბითა  
აქ მრავალს ჩაუვლია...  
შენ ამ ქალაქში რა გინდა,  
პატარა თამუნია?  
ქალაქი დიდი იმედის  
ქალაქი — ტყუბი შეგის:  
დადიან ბრძნული ხველებით  
ვეტერანები ქლექის...  
მთაში ირემი აყვირდა  
ტირილი გაურია...  
შენ ამ ქალაქში რა გინდა,  
პატარა თამუნია?  
სად უცხო ქალაქი არი  
და სად ვიწროში ბღავის  
არავი — არავიანი,  
იქ უნდა კრეფდეს ყვაილის...

პირმოღუშული საბითა  
აქ მრავალს ჩაუვლია...  
შენ ამ ქალაქში რა გინდა,  
პატარა თამუნია?  
ანანურზეთ სოფელი...  
წელში გაჩრილი წაღლით,  
ტყის წვა მამა მშობელი  
მუშტისტიკოლაა დარდით...  
მთაში ირემი აყვირდა —  
ტირილი გაურია...  
შენ ამ ქალაქში რა გინდა,  
პატარა თამუნია?

ყველა გრძნობა პოეტს საკუთარი სამშობ-  
ლოს წიაღიდან გამოყავს. სამშობლო მურმან-  
ლებანიძისთვის სათავე ყოველგვარი სიხარუ-  
ლისა და ტყეილის. ნუნანსებით აღბეჭდილი  
ლექსებში შინაგანად სამშობლოს გრძნობასთან  
არის შედუღებებული. ეს არ ნიშნავს პოეტის  
შემოსახლერას ე. წ. საკუთარი ორლობით. —  
სვენეთის თემაზე შესრულებული ლექსები,  
ესოდენკონკრეტული და კოლორიტული, მხო-  
ლოდ ეგზოტიკისათვის არ არის გამიზნული.  
დიდი ადამიანური სითბო, რასაც გრძნობს ამ  
მხარში პოეტი, უნაწილდება მკითხველსაც,  
საიდანაც არ უნდა იყოს ის. †  
ლექსების ციკლი „ფიქრები“ ასეთივე შთა-  
გონებით არ არის შექმნილი, მასში პოეტური  
აღმაფერენის კვალც არ შეიმჩნევა. „ნაასალი“  
მადღეს არ ატყვია „ლადოს“ დამწერის. ამი-  
ტომ ეს ლექსები რალაცის თქმის სურვილით  
მოტივირებული ცდა უფროა, ვიდრე ცოცხა-  
ლი სახე შემოქმედებითი ნაყოფისა. ზომ ასე  
კოლორიტულია სვენეთის ციკლის ლექსები,  
პოეტის შინაგანი წვიდან გამოდინარე. საპი-  
რისპიროდ ჩამქრალი გრძნობების შემცველია  
ციკლი „ფიქრებისა“.  
მიღიარე შემოქმედებითი ბუნების სითამა-  
მეა მთავარი მიზეზი იმისა, რომ პოეტი ხში-  
რად თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტში დიდი  
აზრის სიღამაზეს პოულობს და არაჩვეულებ-  
რივი სისადავით მოაქვს იგი ჩვენამდე;

მოცოცავს, მოცოცავს მთებზე გაზაფხული,  
ვაი, მომამტერა ყვაილის მტვერი,  
ჩემი მოსისხლე და სამტროდ გაწაფული  
ჩემი მეგობარი და ჩემი მტერი.  
აბასთუშანში ახლა ზამთარია,  
თბილისშიც ვერ შტოზე კვირტი  
მაქვს დათვლილი,  
აპრილი — ნორჩი მხატვარია,  
ფანქრები ცუდად აქვს წათლილი.  
მინც იხატება ქვეყნის კონტურები,  
მწვენი აბლაბუდა იბლანდება,  
ავერა ტყეშები თეთარად მორთულები —  
ქვეყანა აბლად იბადება...  
ღამით ბუბუბუბენ ბნელში ვილაყები.  
ასუ-სუო“, — ერთმანეთს აჩუმებენ,





მთელ ღამეს უძილობით ვიქანებები,  
 ვგ თურმე კვირტები ფაჩუნობენ...  
 დილით კი სარკმელში ოქროს ნაწნავია, —  
 სენაკს მოაშურეს ნაცნობს,  
 ვაზაფხული — ჩემი წაწალია,  
 ვაიმე, რარივად წაწლობს!  
 მოცოცავს, მოცოცავს მთებზე ვაზაფხული,  
 ვაი, მომამტვერა ყვავილის მტვერი...  
 ჩემი წაწალი და მოსისხლე ვაწაფული,  
 ჩემი მეგობარი და ჩემი მტერი.

აზრი, რომლისთვისაც ამ სურათის ჩარჩო  
 ჰირდება, პოეტს, განსაკუთრებულად ღრმა გან-  
 წყობილებას ბადებს მკითხველში. ლექსი კარ-  
 გია ლაკონურობის თვალსაზრისითაც. ზედმე-  
 ტსიტუვაობა, რომელსაც რაღ ლექსებში გან-  
 მეორებისათვის მიმართავს მურმან ლებანი-  
 ძე, აქ საერთოდ არ შეიგრძნობა.

სიღრმითა და განცდის ექსპრესიით აღბეჭ-  
 დილი ლექსია «ვოი, რა უფერულია სიკვდილი  
 ლოგინში», რომელიც გურამ თიანაძის და-  
 ლუბვით არის შთავგონებული. ერთგვარი ხალხუ-  
 რი ფორმა დატირებისა პოეტმა თავისი ლექსის  
 ტონლობად რომ აირჩია, მისტიკურ ელფერ-  
 ში ხევეს ან წაწარმოებს, მაგრამ იგი ყველაზე  
 ხელსაყრელი ფორმა აღმოჩნდა დიდი ტკივი-  
 ლის გადმოსაცემად. ამ ლექსზე საგანგებოდ  
 უნდა შევჩერდეთ. მურმან ლებანიძეს ბევრი  
 კარგი ლექსი აქვს, მაგრამ ყოველი პოეტის  
 სულიერი პოეტეცია ერთ ლექსში დავიანებს  
 ხოლმე. ასეთ დროს ლექსის შექმნის მიზეზიც  
 და საბაბიც განზე რჩება; ასეთი ერთი ლექსი  
 პოეტის სულიერი წიაღიდან წამოიღებს ყველა  
 დიდებულ ნიშანს და ისე გატყავდება.

ამ ლექსის თემა დაწვრიდა თავის პირველ მი-  
 ზეხს, მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონებში  
 მოხსენიებულია გურამ თიანაძე, ვინც თავისი  
 ღამაში სიკვდილით შესძრა პოეტი. ლექსის თემა  
 უფრო ზოგადია, ვიდრე კონკრეტული პიროვ-  
 ნების დატირება, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა  
 ყოფილიყო ეს პიროვნება ერის ცხოვრებაში.  
 ლექსში დატირება ადრე კლდიდან მოხსლეთი-  
 ლი ყველა ოცნების, შემართების, ენერჯიის,  
 თითქოს გურამ თიანაძეს კი არა, მთელ ერის  
 ენერჯიის მოუცდა ახალგაზრდული ნაბიჯი.

ლექსი დასაწყისიდანვე ექსპრესიულია, თით-  
 ქოს სტრიქონის გამორღევეს ცდილობს რა-  
 ლაც. იმთავითვე საგრძნობია დიდი ზარი:

ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში  
 ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში  
 ისიცი ლოგინში მომკვდარა, ოღონდ —  
 ყინულის ლოგინში!

მომდევნო სტროფში ერთმანეთს ერწყმის  
 დიდი სევდა და დიდებული პლასტიკური სურ-  
 რათი მგლოვიარე ხალხისა, ეს სურათი გრან-  
 დიოზულია, თითქოს მართლა ვხედავდეთ უბე-

ღურებისაგან მთებთან მოჭურბულ ერს, რა  
 მელსაც თავისი ღამაში ოცნება დაედუბა; აღ-  
 ვადგინოთ ეს სურათი:

ვოი, კალა-უმგული შეკრებილა, ყანას და  
 სათიბს მომკვდარა,  
 მთელი სევანეთი შეკრებილა, მთლად  
 საქართველო შეკრებილა,  
 შხარასთან ღრუბლეფით მომდგარა,  
 ვოი, შხარა სისხლით შეღებილა, —  
 კოხტა თიანაძე მომკვდარა!

ეს გლოვის ზარი სიღრმიდან მოიწვეს,  
 გუგუნ-გუგუნით ამოდის მაღლა, აქ სურათი  
 ძლიერდება ახალი შტრიხით. მურმან ლე-  
 ბანიძემ მთელი კავკასიონის ფონზე გამოკვეთა  
 ოთხი სევდით სახეჩანუნებული ვეჟაკი, ხელ-  
 ში გურამის ნეშით.

ბექნუ ხერგაისს და ბექნუს ლომებს,  
 გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,  
 ბექნუ ხერგაისს და ბექნუს ლომებს  
 მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში...

ლექსის ყოველ მუხლში იგრძნობა, რომ  
 გურამ თიანაძე დიდ, ღამაშ ოცნებას ჰქვია  
 სახელად და არა კონკრეტულ პიროვნებას.  
 ამიტომ საყოველთაო გლოვაც და გარინდე-  
 ბაც საშინელების წინაშე. შთამბეჭდავია ამის  
 გამომხატველი სტროფი:

გურამ თიანაძეს შხარა აფლია  
 რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა,  
 საკუთარ ხელით პალო დაუგია, საკუთარ  
 პალოზე მომწყდარა...

ცოცხლისგან საყვედური აუგია — თოკი  
 ერთადერთი ჩაუტია —  
 თავი სიმამაცით წაუგია, ვოი-ვო, სიმამაცით  
 მომკვდარა.

შემდეგ ზემოთ მოყვანილი სტროფი (ბექნუ  
 ხერგაისს...) მეორდება, და განწყობილება იმ-  
 ბება, მაგრამ ლექსში მოქცეული ზარის ძალა  
 მომდევნო ორ სტროფში უმაღლეს წერტილ-  
 ზე აღის, გარემოცავს ყველაფერს. რაღაც არ-  
 ქაული ხანგრძლივობის ენერჯიაა დაგროვილი  
 ამ დატირებაში:

ხოჩა საყავე გამოთალეთ, დაგაწყა ხორცი  
 და ძველი,  
 სიკვდილი სიციცხლედ ჩამითვალეთ,  
 აღმართში კენსით ამიტანეთ,  
 ვაეზე მითხარით ზარი  
 უშგულში გამოვარდა ივდითი ნიქარაძე,  
 შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა.

ჯანსუღ ღვინჯილია  
 მურმან ლებანიძის 50 წელი



ფლოსტების ფლატუნით უხნესი დიაცი  
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყავ:  
„თეთნულდმა რა მოგცა? უშმაზე რა  
გქონდა? შხაზაზე რა  
გინდოდა, გმირო?  
ეო, გურამ, რამხელა ბექები დაგქონდა —  
რამ დაგაპატარავა, შვილო!“

ლექსს საოცარი შინაგანი მთლიანობა გან-  
მსკველავს თავიდან ბოლმდე. იგი მე მურმან  
ლუბანიძის პოეტური შესაძლებლობის სრულ-  
ყოფილ გამოვლინებად მიმაჩნია.

სასიამოვნოა ის გრძნობაც, რომელიც პოე-  
ტის ლექსების კითხვისას გვიჩნდება. ეს არის  
საქართველოს ყოველი კუთხის და ქართული  
სულის თითქოს უმნიშვნელო ნიუანსის ხელა-  
ხალი შეგრძნება. სამშობლოს შეგრძნების ამო-  
უწურავი ხასიათი — აი, პოეტის წიგნების მი-  
ნიშნება. ასეთ დროს ლექსის სრულყოფაზე  
ლაპარაკი უკანა პლანზე ინაცვლებს. იმდენად  
აუცილებელია სილამაზის ახალა მომენტების  
განცდა, სილამაზისა, რომელსაც ყველა ჩვენ-  
თაგანი თან დაეატარებთ ჩვენს ფიქრებში, რო-  
მელიც არსებობს ჩვენს ირგვლივ. ლუბანიძის  
მთელი შემოქმედება ასეთი „ჩვეულებრივი  
სილამაზისადმი“ ყურადღების გადატანაა. ბევ-  
რი ლექსი ნამდვილი პოეზიის სფეროში ექ-  
ცევა. „გახსოვს, გიგო“ ამ შემთხვევას ადას-  
ტურებს. პოეტური ნიჭის ღირსება, ვფიქ-  
რობთ, ძირითადად ეს არის, შემოსს უმნიშ-  
ვნელო არაჩვეულებრივად წარმოგვიდგი-  
ნოს და როდესაც ამ სრულყოფას აღ-  
წევს პოეტი, მაშინ იგი მკითხველთან ერთად  
ზეიმობს. როდესაც ცდა მცდელობადაა რჩება,  
მაშინ ვაცულებს უქცარი გრძნობა იკიდებს  
ფეხს. ერთიც და მეორე მომენტიც მურმან  
ლუბანიძის შემოქმედებაში პოელობის დადა-  
სტურებას. ეს ჩვეულებრივი თანამზღები მოვლე-  
ნაა შემოქმედებითი პროცესისათვის და მას  
თავი უნდა გაუსწოროს როგორც ავტორმა,  
ასევე ქემშარტმა შემფასებელმა. არ შეიძლე-  
ბა უარყო პოეტის ხელწერით დალდასმული  
სათქმელი, მაგრამ არ შეიძლება არ დაინახო  
ისიც, რომ „თამუნია ქეთარაძის“ დამწერი ზოგ-  
ჯერ უმწიფარ ნაყოფს ვგაწვდის. კარგი ლექ-  
სი იშვიათია მუდამ, მას ფონი ჭირდება, მაგ-  
რამ ფონში არ უნდა ვიგულისხმობთ ლაბორა-  
ტორიული ხასიათის ნიმუშები. მათზე უარის  
თქმა დაბეჭდვამდე უნდა შეგვეძლოს.

აქამდე შედარებით ადრე დაწერილ ლექ-  
სებზე გვიხილვოდა საუბარი. ჩვენ ვანზრახ მო-  
ვიტოვეთ მთავარის სათქმელად ბოლო ორი  
წიგნი პოეტისა: „მახსოვს“ და „ანისის ალე-  
ბა“. მოვიტოვეთ იმიტომ, რომ ადრეულ ლექ-  
სებში პოეტის ორმხრივი ხასიათი იყო გამო-  
ვლენილი — ძიება როგორც დადებითი, ასევე  
უარყოფითი შედეგებით; მთლიანობაში კი ყო-  
ველივე ლუბანიძისული ხელწერით განისა-

ზღვრებოდა. ეს მთავარი პირობა, რამდენადაც  
ბოხს, პოეტის უტყუარ ნიჭზე არაფერს ვამ-  
ბობთ, მაგრამ მივეუბნებთ, როდის არის ლექსი  
ნამდვილი და როდის — მხოლოდ მცდელო-  
ბა. ბოლო წლებში მურმან ლუბანიძის ნიჭი  
უფრო ერთი მიმართულებით განვითარდა. და-  
სახელებული ლექსების ორივე წიგნი ამის  
უტყუარი საბუთია. ლექსების წიგნმა „მახსოვს“  
მოწონება დაიმსახურა. მოწონებას იმსახურებს  
უკვე სტაბილური, ლუბანიძისეული ტონალო-  
ბით აღბეჭდილი ხელწერა: ეს ხელწერა აქა-  
მდე კიდევ ითმენდა თავის გვერდით სხვისეულ  
კალაპოსს. ამ წიგნში მკვეთრად თავისთავად  
გახდა ლუბანიძის სტილი; ამ სტილმა მხოლოდ  
პოეტისეული, ძირითადი ნიშნები დაიტოვა. ლე-  
ქსების წიგნი „მახსოვს“ მოგონებების საფუძ-  
ველზე შექმნილი კრებულია. ერთგვარად მე-  
მუარების სახეც აქვს, თუ შეიძლება საერთოდ  
მემუარული ხასიათის პოეზიაზე ვილაპარაკოთ.  
მაგრამ რადგანაც ავტორმა თავიდანვე განსა-  
ზღვრა წიგნის პროფილი, ეს ფაქტი ანგარიშ-  
გასაწევია. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმა-  
ზე, რომ პოეტი ასე წერს თავისი შემოქმედები-  
თი ცხოვრების სიმწიფის ხანაში, მაშინ, როდეს-  
აც თავისთავადი სტილი დაიმკვიდრა. თუ მკი-  
თხველის წმინდა ცნობისმოყვარეობით დავეკმა-  
ყოფილდებით, მაშინ რა უნდა გვექონდეს სადა-  
ვო წარსულის ფურცლების ასეთი ნიშნულო-  
ბით აღდგენასთან:

იქ ირჩეოდა  
რომელიღაც პოეტის ბჭკარი.  
უთანხმოებამ  
**გალატონში**  
...  
და კამათმა როცა იფეთქა,  
შემოლო ანხლად კარი,  
და ხაზგამსული  
მოწიწებით, მახსოვს, იკითხა:  
ოპ, კრება ვაქვთ  
პოეტებს, ძამიკო?!  
ვიღაც წამოდგა,  
იქვე კართან, ფეხქვეშ გაგვო,  
აუხსნა რალაც,  
მან დასტოვა ღიმილის, ხურღა,  
თავისი დიდი რკინის ხელი სულში ჩაგვიყო  
და გაგვეცალა.  
მას უბრალოდ ხუმრობა სურდა.

მაგრამ რამდენად არის მოგონებების მთელი  
ეს ციკლი პოეზიის სფეროში მოქცეული? არის  
თუ არა წმინდა სახის მოგონება პოეზიის საგა-  
ნი? აღნიშნული წიგნი ლექსებისა ამ ხასიათის  
კითხვებს ბაღებს. წიგნი ნაწილობრივ დაშო-  
რებულია პოეზიის საგანს, იმ არსებობს, რომე-  
ლიც ყოველთვის ყოველგვარ მოვლენაზე მალა  
დგას. რაგინდ ლამაზიც არ უნდა იყოს მოგონე-  
ბები ვალაქტიონზე, ის მაინც მოგონებაა, რო-  
მელსაც პოეზიასთან, მკაცრი ვაგებით, ცოტა

რამ აქვს საერთო, ლექსი „ლადო“ შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ ბიოგრაფიული მასალიდან რა არის დასათმობი, რათა ტყეილის ძირამდე მივიღოთ და ლექსის საგანს მივაგნოთ. მასში თითქოს მოგონებულია ლადოს მიერ ლექსის დაწერება, მაგრამ ეს მხოლოდ ამბად არის გამოყენებული, შემდეგ მის გარშემო განფენილია ლადო ასათიანის ხასიათი, სიმბოლურია ყანის თონხაც. წიგნში „მახსოვს“ არაარსებითი დეტალების მოგონებაა, ყოველგვარი ზოგადის ხაზგასმის გარეშე; მინდობილი მხოლოდ თავისთავად ნიუანსურ სილამაშეს, მაშინ, როდესაც ლექსში „ლადო“ პოეტის ბუნება ზედაპირულრ შტრიხებით კი არ არის გახსნილი, არამედ შინაგანი, სიღრმისეული ნიშნებით არის განათებული. გალაკტიონის ციკლში სულ გარეგნული ხაზებია, წვრილ-წვრილი ამბები, უფრო მეტაფორების ვრცელი გვერდების შესაფერისი, ვიდრე ლექსისა. ეს ნიშნები და ამბები თითქოს შიანი-შენებენ გალაკტიონის ბუნებაზე, მაგრამ მაინც გარეგნული აქსესუარებია. ამიტომაც ზედაპირულია ლექსები. გალაკტიონის ბუნების გახსნა პოეზიაში მისი შინაგანი ბუნებიდან უნდა დაიწყოს და არა წმინდა ემპირიული ხასიათის მოგონებებიდან, რა მოსწრებული თქმის შთაბეჭდილებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს ის. პოეზიის საგნად მოგონების ქცევის ნიმუში სხვა ლექსშიც მოგვცა მურმან ლებანიძემ. ესაა სოსო იორამაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი. იგი ყოფით, ნატურალისტურ ამბავზე ამაღლდა და პოეზიის ფრთები გამოიხსა. დადებითი შედეგი მიღწეულ იქნა სწორედ იმ არსებითზე ხაზგასმით, რომელიც განმამპირობებელი გრძობა იყო მოგონებისა, და რაც სოსო იორამაშვილის ბუნების ძირითად მხარეა ხსნის და აქანდაკებს ჩვენს წინაშე. ამით დანაკარგზე სევდაც გვიძლიერდება და პოეზიის განწყობილებაც ძალუმად ზემოქმედებს.

ეს ერთი სიტყვა უნდა ავიხირო  
მახსოვს!  
შენი დათვის სისხლა შავი ღვინო —  
მახსოვს-  
შენგან მოძღვნილი არყის ბოცო  
მახსოვს!  
შენგან მოწვდილი ტახის ხორცი  
მახსოვს!  
იოს გულანლოში სადილობა  
მახსოვს!  
შენ რომ შემყავარე ნადირობა  
მახსოვს!  
შენ რომ ლელიანის კატა მპოვინენ  
მახსოვს!  
შენ არ ესროლე და მე რომ მასროლინე  
მახსოვს!  
მე რომ პირველი ხოხობი გავიხარე,  
მახსოვს!  
შენ რომ დიხარე და აიყვანე

მახსოვს!  
ივრის ქალები აქორჩილი  
მახსოვს!  
ეგ მხრები ბრეზენტით გაკოპილი  
მახსოვს!  
მზისგან დამწვარი გორმახები  
მახსოვს!  
შენი თათარი ყონალები  
მახსოვს!  
ბოლო ხანებში გველლებოდი.  
მახსოვს!  
მახსოვს, ხელიდან გვეცლებოდი,  
მახსოვს!  
„მეც ვებრდები და ძალიც ბერდებაო“,  
მახსოვს!  
პაუ, რანაირად თენდებაო!  
მახსოვს!  
ლექსებს მიკითხავდი კოცონთან  
მახსოვს!  
ეს ოთხი სტრიქონი მოგწონდა  
მახსოვს!  
„გახდე კახეთი — დამსკლარა ატამი,  
რა მალე მოვიდა ავვისტოს პირველი  
გარეულ ქალებში ტრიალებს ქთამი,  
კაბოში იხვია მოწყენით შირიველი“...

ხომ არ არის ერთგვარი გადაჭარბება იმ განცხადებაში, რომ ლექსების წიგნში „მახსოვს“ ზოგიერთი ლექსი ერთგვარად დაშორებულია პოეზიის საგანს? იქნებ ეს ავტორის ბუნებაა — ყოველ ნიუანსი არსებითად წარმოვედიგნოს და პოეზიის სუნთქვა ჩაბეროს? თუ ასეა, მაშინ რატომ არიან გვერდიგვერდ არსებული ლექსები ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული? ხომ აშკარა ამალღებულობა ლექსებისა „ლადოს“, „თამუნია ქვათარაძეს“, „სოსო იორამაშვილის ხსოვნას“ და იმ ლექსებს შორის, რომელიც წიგნში „მახსოვს“ გალაკტიონის ციკლით და სხვადასხვა მიძღვნის სახით შევიდნენ. ე. ი. განსხვავება თვით მურმან ლებანიძის პოეტურ ბუნებაში შეინიშნება. ვიმეორებთ და ხაზგასმითაც, თავისთავადი ზელწერა რომ არ იყოს, პოეტი ასეთ თავისუფლებას არ მიანიჭებდა ყველა შემთხვევით მოვლენას თავის ლექსებში. მაგრამ რაკი გარეგანი ფორმა სახიამოვნოს ხდის მის ლექსს წასაკითხად, პოეტიც ერთგვარად „იოლად“ აძლევს მათ მიმართულებას მკითხველისაკენ. შემოდადება აშკარად შეიძლება. ასეთი სახის პოეზია არსებობს გარკვეული უფლებით და მასზე უარის თქმა არ არის მიზანშეწონილიო, მაგრამ ჩვენ, გამოძინარე თვით ლებანიძის პოეტური ბუნების განვითარებიდან, ლექსების მითითებული წიგნი არ მიგვაჩნია პოეტის ძირითადი ზემოქმედებით

ჯანსუღ ღვინჯილია  
მურმან ლებანიძის 50 წელი

ჯზის განვითარებად. უარი არ უნდა ეთქვას ასეთი სახის პოეზიას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას უარი არ უნდა ეთქვას ლებანიძის პოეტურ ბუნებასთან მიმართებით. როდესაც ასეთი ხასიათის პოეზია საყურადღებო ადგილს იჭერს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩათვალოს დადებით მოვლენად, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც „სსო იორამიშვილის ჟღერისადმი“ (რომლის სიღვივრესაც თვითონ ნაც კარგად გრძობს პოეტი) ხასიათის ლექსები ამ წიგნში შემთხვევითი ხასიათისაა და ისინი კი არ განსაზღვრავენ წიგნის ძირითად ხაზს, არამედ დანარჩენი. ამ შინაგან წინააღმდეგობას თვალს უნდა გავუსწოროთ ჩვენც და თვით პოეტმაც პირველ რიგში.

სანამ თავისი შემოქმედების ერთგომულს მიიწვდიდა მურმან ლებანიძე მკითხველს, მან გამოსცა წიგნი „ანისის ალება“. ეს წიგნი და უკანასკნელ პერიოდში პრესაში გამოქვეყნებული სხვა ლექსები აშკარად გვიჩვენებენ, რომ პოეტი სულ უფრო და უფრო მეტად განიცდის საქართველოს წარსულს, მის დღევანდელ სახეზე და მომავალზე ოიჭრობს. საქართველო მისი შთაგონების უპირველესი საგანია. საქართველო განცდა განიეთდა ერთ დიდ ტყვიულად, მთელი ისტორიის გააზრებად, მისი განვითარების მთავარი ხაზის გააზრებად. ლექსი „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, არ გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით. მაგრამ მისი შინაგანი პათოსი მეტად მნიშვნელოვანია. ახალ ბიზანტიად XII ს. საქართველოს აღქმა, სითამამესთან ერთად ზომიერების დიდ გრძნობასაც მოითხოვდა, რათა სევდა კვებნაში არ გადაზრდილიყო. მაგრამ პოეტმა მიგნებული მომენტები ტყვიულად გაიხარა და არა სიამაყედ. ამან კი დამაჩერებლობა მიანიჭა ლექსის სტრიქონს. თანაც პოეტმა დაღმართზე დაქანებული საქართველოს მშვენიერი სურათი მოგვცა და წარსულთან დამოკიდებულება გაამძაფრა.

ერეკლი ისტორიულ პოემა „ანისის ალება“ სერიოზული ცდაა ამ მიმართულებით. საქართველო დანახულია თავისი ძლიერების ხანაში, იმ ხანაში, როდესაც ერის შინაგან პოტენციას ვასაქანი მიეცა აღმავლობის გზაზე და არა მარტო თავისი თავი გაითავისუფლა ბოროტებისაგან, არამედ ძმად მიჩნეულ ქრისტიან მეზობლებსაც გაუწვდინა დახმარების ხელი. საქართველოს მახვილის ზარი უმოთგის მუსლიმანური ქვეყნების სატაბატო ქალაქებს უწევდა და ფართოვდებოდა ის არენა, რომელზეც ერი სასპარეზოდ უნდა გამოსულიყო, გამოსულიყო და თავისი ღირსების შესაფერი სიტყვა ეთქვა. ეს ღირსება კი კარნახობდა არა მეზობელთა „მოსრვას“ და მათ ძვლებზე საკუთარი დიდების ტაძრის შენებას, არამედ ღირსი ჩაეპარდინის

დახმარებას და სამართლიანობის სასწორების გაფართოებას დედამიწაზე. ჩვენი ერის მოუცილებელი თვისება დახატა პოეტმა, რომელიც დავით აღმაშენებლის უძლეველობის პირობა. პოეტს სერიოზული მიზანდასახულობა აქვს. მან ყოველ ქართველში დღეს არა მარტო პატივისცემის გრძნობა უნდა გააძლიეროს წარსულისადმი, არამედ აგრძნობინოს დიდი ვალდებულება, პასუხისმგებლობა იმ სამართლიანი ძლიერების წინაშე, რომელიც დავითის ერმა გამოავლინა თავის დროზე და რომლის შთამომავლად და მეგვიდრედ ყოფნა არ უნდა გვაიწყებოდეს. ეს ვაძედა მით უფრო ხელშეახებდა, რომ ყველაფერი, რაზეც პოეტი პოემაში ლაპარაკობს, იქით კი არ არის მიმართული, რომ წარსულის დიდებით ვყოფილობდეთ, არამედ დაეარგულისადმი სინანულნარევი სევდა დაგვეუფლოს და სიფხიზლე გავვიძლიერდეს.

პოემის პირველი თავი დიდებული ფერწერით იწყება:

მთელ დღეს ქიხინებდა  
აგვისტოს რაში,  
(შუბ!) და ოქროსფერი  
გუმბათს ახურებდა.  
იღვა მეციხოვნე ანისის ცაში.  
ყურძენს კიცილა და ქალაქს გაკყურებდა.  
სპილენძი გაეღრიალდა.  
ქაჭვი გაჩხრიალდა,  
ურდული გასრიალდა,  
კარიბჭე განიზიდა,  
სამი გოხოსანი  
შეღვა აბჯრიათან.  
სამი შავოსანი  
გავიდა ანისიდან.

აი, ის დიდებული ლებანიძისეული ხელწერა, რომელიც ძირითადი უნდა გახდეს პოეტის შემოქმედებაში. იგი პოეტის დაბრძანებული ტონისათვის მიგნებული ფორმაა.

პოემის პირველსავე თავში პოეტმა აღადგინა მეგობრობის ამალგებული გრძნობა, რომელსაც ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთის მიმართ ისტორიულად ატარებდა. სცენა მარანში მშვენიერი სურათია. ზატვის ის ნიშნები, რომელიც ლებანიძეს სხვა ლექსებში არავითხელ გაუმჟღავნებია, აქ პოემისათვის დამახასიათებელი სისრულით გაიშალა.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს:

იხარეს წმინდა მამათა,  
თვალებს ჭუტავდნენ მწვანეს.  
რაიცა თორებს ეხება,  
მტვიცე უარი ბრძანეს.  
ხო, ხო, უარი ბრძანესო,  
უარი როგორ ბრძანეს?!  
აღარ მოვიღვივართ ანისსო.  
ხო, ხო, უარი ბრძანეს!



იწყინეს წმინდა მამათა  
ქოში უკულმა ყარეს,  
დაფანჩველ წარბ-წამწამიდან  
ისრებს ისროდნენ მწარეს...  
არა! არ იყვენენ წვეულნი  
ოღეს ჯვრითა და წიგნით  
თავადაც სცმოდათ თორებში  
ანაფორების შიგნით.

მაგ სევდაში დაღლაა და სიბერეა,  
სხვა რა რჩება უქანასკნელ გზამდე?  
უკვე ქონდა ვებერთელა იმპერია  
გადაშლილი, დავით, ზღვიდან ზღვამდე!  
რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მტრიათი.  
მაგრამ ქრისტედ, აღდგენილად მკედრებით,  
უკვე გქონდა საქართველო მთლიანი  
და მთლიანზეც ბარე ორჯერ მეტიც.

მესამე თავში ყველაზე კარგად და მხოლოდ  
ერთხელ მთელ პოემაში გამოჩნდა დავით აღმა-  
შენებლის დიდებული სახე, მისი შეუვალი სიმ-  
ტიციე, სიბრძნე; გამოჩნდა შესაფერისი ფორ-  
მით.

პოეტის ვაზა გრძელდება. ყველაფრის ერთ  
წერილში დანახვა და აღიარება არ ხერხდება,  
არ ხერხდება ბევრ საგულისხმო მომენტზე  
დავაც. ეს უკვე შემოქმედის სიმდიდრეა. არ შე-  
იძლება იმაზე დიდი ბედნიერება არსებობდეს  
მურმან ლებანიძისათვის, ვიდრე იმის შეცნობა,  
რომ ცხოვრების 50 წლისთავზე მისთვის ნათქვამ  
სიტყვაში იგრძნობა არა მხოლოდ მადლობა იმი-  
სათვის, რაც შექმნა, არამედ დაუმცხრალი მო-  
ლოდინი ახალი კარგი ლექსებისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპილოგი. მას-  
ში პოეტმა თითქოს მთელი თავისი სევდა მოა-  
ქცია. ისტორიასთან დამოკიდებულება და საუ-  
კუნეების მანძილზე გაზრდილი სინანულის  
გრძნობა განსახიერდა ეპილოგში:

### ბ ი ლ ო ც ა ვ თ ...

ორმოცდაათი წელი დაგინახავს... კვლავაც გოგოპრობს შენი ცხელი გული,  
ახალი სიმაღლიმეგისკენ გიხმობს, ცაცხლი ანთია შენს თვალებში, ალკიური ყვავი-  
ლმეგის უში მონატრებიათ. კვლავაც ბიარის მუხლი, ბაღის მარჯუნი და მიტყვივის კო-  
ხი, ოდა სახლი და ფაცხა, შენი საჭარტველო...

ბავრი გითქვამს, ბავრი გიწოდებია, ბავრად მიტს ეპირებია... მაღლოვა შენს ბავრ-  
დელ გოგოლის მუხას, ფარადი ხილვებით რომ აბივსო ბავშვობა, მაღლოვა მაგის  
არდელის, ბაბირებიაში რომ არ გბოვებს, მაღლოვა ყველას, ვინც კობტისთვის სიყ-  
ვარული არ დაიშურა. ბაღაბიხდია, მართი ათასად ბაღაბიხდია ვალი და ვახუი.

ამ დღეს, ულაბახეს, ხვავრიელ შემოღბომას გილოცავენ, ქამო მურმან, შენი  
მიბობებია, შენი „ცისპარი“, შენი ლეჰსითა და კაცობით ბახარაგული.

„ილორბინე, იღიადა,  
იქლიერე აწ და ვარად,  
საჭარტველოს სასახლოდა!  
საჭარტველოს ბასახარად“.

## ბრიგოლ ხარხაულიძე

# პროზნულკის პროგლეკ თანაქვლკოვე ქართულ კოპიკო

აღნიშნული პრობლემის გარკვევას ამკერად ჩვენ ვეცდებით ქართული საბჭოთა პოეზიის პირველი ეტაპის ფონზე.

ეროვნულობა მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ამა თუ იმ ქვეყნის მწერლობას განსაზღვრავს და თვით-მყოფად სახეს აძლევს სწორედ მისი ეროვნული ხასიათი. მწერლობა, პირველ ყოვლისა, გამოხატავს თავისი ხალხის სულს, ზნეჩვეულებებს, ტრადიციებსა და ტემპერამენტს. იგი არის ბოლოს და ბოლოს ხალხის ცხოვრების სარკე. ყოველი ქვეყნის ლიტერატურა მსოფლიო სულიერ კულტურას ამდიდრებს ეროვნული ხასიათითა და ნიშნებით. ამიტომაცაა, რომ განვითარების ყოველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, საკითხს, თუ რა მონაწილეობას ლებულობს მწერლობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლიტერატურა თავის დიდ მისიას შესრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აღბეჭდილია ეროვნულობის უტყუარი ნიშნით.

როგორ იყო ვაგებული ან როგორ იდგა ეროვნულობის პრობლემა ოციანი წლების ქართულ ლირიკულ პოეზიაში?

საკითხის გარკვევისას ამოსავალ დებულებად უნდა გვქონდეს ის ისტორიული წინაპირობა, რომ გასაბჭოების დღიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო თვისობრივად ახალი ერა. ხალხის მრავალსუფუნოვანმა თავდადებულმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის ნაყოფი გამოიღო და საქართველო დაადგა სოციალისტურ ეროდ ჩამოყალიბების გზას. ოციანი წლები ამ პროცესის პირველი საფეხური იყო და ბუნებრივად მოსალოდნელი იყო აზრთა ქიდილი, შეცდომები და წარმატებები ქვეყნის მომავალ ბედობლაზე მსჯელობის დროს. ამ დავაში აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა მხატვრული ლიტერატურაც, კერძოდ, პოეზია.

რალ თქმა უნდა, მხატვრულ სიტყვას ვერ დავაკისრებთ, გადაწყვიტოს და ცხოვრებაში გაატაროს საზოგადოებრივ-თეორიული პრობლემები. მის კომპეტენციაში შედის გამოავლინოს თავისი პოზიცია ამა თუ იმ საკითხში და მხატვრული ხერხებით ხელი შეუწყოს მის წარმატებას. ეს უკვე დიდი საქმეა, რამდენადაც ხალხის მთელი გულისყური ქეშმარიტი ხელოვნებისაკენ არის მიპყრობილი.

მართალია, იმდროინდელი ლექსების ერთი ციკლი საქართველოს ეხება, მაგრამ მათში აღნიშნული თემა უფრო განყენებულ პლანშია ასახული. ეს არის საშობლობსა და მისი ბუნების ერთგვარ რომანტიკულ მიმართებაში აღქმა. ახლა კი საჭიროა ზოგად ხაზებში მიიწკვრივინოთ, როგორ ესმოდათ ახალი პოეზიისა და ეროვნულობის ურთიერთკავშირი მოცემულ პერიოდში.

ხსენებული პრობლემის გარკვევა იზოლირებულად, მხოლოდ პოეტური მასალის გათვალისწინებით, არ იქნება მიზანშეწონილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნულობის საკითხი მთელი სიმწვავეით იდგა იმ დროის ქართულ მწერლობაში და ლირიკაც საერთო ვითარებას გამოხატავდა ამ მხრივ. ქართველ ლიტერატორებს სხვადასხვაგვარად ესმოდათ აღნიშნული საკითხი და მას მრავალი პოეტური, ბელეტრისტული, პუბლიცისტური თუ კრიტიკული ნაწარმოები ეძღვნებოდა.

1926 წელს ქურნალი „ქართული მწერლობა“ ბეჭდავს ნიკოლოზ მიწიშვილის სტატიას „ფიქრები საქართველოზე“. აეტორი პუბლიცისტურ ფორმაში აყალიბებს საკუთარ აზრებს და შთაბეჭდილებებს ძველსა და ახალ ქართულ კულტურაზე. ჩვენ არ შეუვადგებით დასახელებული წერილის ღირსება-ნაკლოვანებების განხილვას.

ამის შესახებ ბევრი ითქვა იმ დროის ჩვენს პერიოდიკაში და სხვადასხვა შეკრებებზე, აშკარად გვანტიტრესებს წერილში გამოთქმული შეხედულებები პოეტისა და სამშობლოს ურთიერთმიმართების თაობაზე.

ნ. მიწიშვილი შემდეგნაირად მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე: „ჩემს წინ სდგას კითხვა: კითხვა „დედა-შვილობის“ და კითხვა: სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის.

საზრდოობა სამშობლოსაგან თუ „ჩრენა“ სამშობლოსი“. წამოყენებულ კითხვას ავტორი თვითვე პასუხობს: „და მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „სამშობლო-პოეტისათვის“ (ხელოვანისათვის). ე. ი. რომ სამშობლოში (არა მარტო ზოოლოგიურ ცნებებსა და ეტნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერჯია, ის სხვადასხვაობა, რომელიც ბადებს დიდ შემოქმედებს. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერა, ნაყოფიერება, რომელიც აღმოაჩენებს შემოქმედებას... ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე „კვანჭს ვერ მოიკიდებ“ და ვერც ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს“.<sup>1</sup>

რა შეიძლება ითქვას აქ განვითარებული მოსაზრების გამო?

პირველად ის, რომ მასში თვით კითხვა არ არის სწორად დასმული.

„სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის?“ — კითხვობს ავტორი. ასეთი დაპირისპირება პოეზიისა და მისი შთამაგონებელი წყაროსი არ არის მართებული. ცნობილია, რომ დამოკიდებულება სამშობლო ქვეყნის ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის ორმხრივია და პირდაპირპროპორციული. ხელოვნება საზრდოობს თავისი წარმომშობი ხალხის, ბუნების წიაღით, ხოლო შემდეგ მისი (ხელოვნების) ნაყოფი თვით საზოგადოების საკუთრებად იქცევა და მის განვითარებას ემსახურება. ეს ნათლადაა განმარტებული მატერიალისტურ ესთეტიკაში. შორს რომ არ წავიდეთ, საზოგადოებისა და შემოქმედების ურთიერთგამნაყოფიერებელი თვისება კარგად აქვს ახსნილი ილია ჭავჭავაძეს თავის საპროგრაფო სტატიაში. დიდი მოაზროვნე, არცეცს რა მეცნიერებისა და ხელოვნების კავშირის ცხოვრებასთან, შემდეგ აღნიშნავს: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი

შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლედ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალს ცხოვრების გამოსავანაძეად“.<sup>2</sup> აქედან ის გამოდის, რომ ცხოვრება და ხელოვნება ერთმანეთზე დამოკიდებული კატეგორიები და მხოლოდ რომელიმე მათგანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება პოეზიის განვითარების საქმეში სწორი არაა.

შემდეგ, არც იმის თქმა შეიძლება: ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტში ვერც ნახავ ვერც პოეზიისა და ვერც საქართველოს. გვეჭერა, ამ მწვევე გამოანთქვაში უფრო საინტერესო და უფრო მნიშვნელოვანი პოეტური მოვლენის და ნახვის გულწრფელი სურვილი გამოსკვივის, მაგრამ მაინც ასეთი კატეგორიული განცხადება გადაკარგებულია. ვერც ეს ერთი, თუ აქ განახლებული საქართველოს სრულყოფილი ასახვის მოთხოვნა იგულისხმება, ასეთი რამ მაშინ, როცა ზემოაღნიშნული სტატია იწერებოდა, ქართულ პოეზიაში მოსალოდნელი არ იყო. ხოლო მეორეც, მაღალი ლირიკის ნიმუშები იმ დროს ჩვენში საკმაოდ მოიპოვებოდა. მარტო გააქტიურდნის დასახლება კი ნათესა გახლდა ამ საკითხს.

დაბოლოს, ნ. მიწიშვილის სტატია დაწერილია 1922 წელს სტამბოლში და მისი გამოქვეყნება ოთხი წლის შემდეგ კიდევ უფრო გასაგებს ხდის ავტორის საჭოჭოვანი პოეტიკის ქართული კულტურის ძირეული პრობლემების მიმართ. რასაკვირველია, ნ. მიწიშვილის სიყვარული სამშობლოსადმი ისევე გულითადაა, როგორც სხვა მისი კოლეგების. „ო, საქართველო, წიგნო, ჩემად გადასწავლო, გულის ცემაში ჩასრეისლო სიყვით წმინდა“ — ამ ტრაგედიის ავტორის სათუთი და თანაც მძაფრი პატრიოტული გრძნობა ალბათ ვერაყის ამყოფებს გულგრილ მდგომარეობაში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეროვნულობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი იყო საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1926 წლის თებერვალს თბილისში. ყრილობის დღის წესრიგის უძირკვითადესი საკითხი ითვალისწინებდა მიმდინარე პოლიტიკური ნომენტიკა და ქართველ მწერალთა ამოცანების გარკვევას. ქართველ მწერალთა აღნიშნულ ფორუმს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. საბო-

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბუნედ, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 62-63.

<sup>3</sup> ნიკოლოზ მიწიშვილი, სამშობლოს, „ქართული მწერლობა“, 1927, I.

<sup>1</sup> ნიკოლოზ მიწიშვილი, ფიქრები საქართველოზე „ქართული მწერლობა“, 1926, № 4-5, გვ. 16-17.

### ბრიგოლ ხიჩაშულია

ბრძოლვითობის პრობლემა თანამედროვე ძარბათულ კონიჯიაში



ლოდ უნდა დადგენილიყო ქართველ მწერალთა პოზიცია ახალი საზოგადოებრივი წყობის მიმართ, უნდა დამყარებულიყო მჭიდრო, საქმიანი კონტაქტი ხელისუფლებასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის, სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულებების ბაზაზე უნდა შექმნილიყო სრულიად საქართველოს მწერალთა ერთიანი კავშირი. ეს საკითხები ყრილობამ დადებითად გადაწყვიტა.

ბუნებრივად, პაექრობის საგანთა ამ წრეში ეტყეოდა ქართული ლიტერატურის ეროვნული ხასიათის შენარჩუნების საკითხი. გამოითქვა ზოგი მიუღებელი და, რაც ნათავარი, ზოგი საყურადღებო მისაზრება, რომელიც ყრილობის დელეგატთა უმრავლესობის მიერ გაზიარებულ იქნა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ეროვნული გზით განვითარების საკითხი განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ვ. კოტეტიშვილის (სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი), რ. კალაძის (პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია) და სხვათა სიტყვებში. გასაგებია, ყველა მათგანს გულწრფელად აინტერესებდა მშობლიური მწერლობის მომავალი და ცდილობდა გაეჩვენა, რა გზით უნდა წარმართულიყო მისი განვითარება. ვ. კოტეტიშვილი, იმომშობდა რა ვ. ი. ლენინის სიტყვას პარტიის მერვე ყრილობაზე, რომელიც ეროვნულ საკითხს შეეხებოდა, აღნიშნავდა არასასიამოვნო ურთიერთდამოკიდებულებას იმდროინდელ საქართველოს ხელისუფლებასა და ქართულ მწერალთა ერთ ჯგუფს შორის და მოითხოვდა მათ შორის არსებული უნდობლობის სრულ ლიკვიდაციას. ხოლო რ. კალაძე, ეყარებოდა რა პარტიის თვალსაზრისს ეროვნულ საკითხზე, შემდეგს აცხადებდა: „ქართველი მწერლები უნდა ემსახურებოდნენ ერს, უნდა ატარებდნენ ეროვნულ იდეას, მაგრამ ქართველი მუშათა კლასის, მისი მოწინავე რაზმის კონტროლის ქვეშ, მისი ხელმძღვანელობით“<sup>4</sup>. ამასთან ერთად, ზოგიერთი სხვა ორატორის გამოსვლაში ამჟღავნებდა იერქნობად დაბნეულობას და არასწორი გაგება აღნიშნული პრობლემისა, ასე რომ ეს კითხვა მთელი სისრულით იდგა ჩვენს მწერლობაში, რაც მართებულ გადაწყვეტას მოითხოვდა.

ასეთი ერთული ვითარება, ბუნებრივად, იმსახებოდა მაშინდელ ქართულ პოეზიაშიც. გაურკვეველობა, იჭვი და იმედები ერთნაირად იყო აღბეჭდილი იმ დროს გამოქვეყნებულ ლექსებში.

საერთოდ, ტ. ტაბიძეს ყოველთვის აინტერესებდა ეროვნული საკითხი და მისი ურთიერთმიმართება მშობლიურ კულტურასთან. ეს პრობლემა მის წინაშე ოციანი წლებში განსაკუთრებულად იდგა.

4. ქართველ მწერალთა ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1926, გვ. 43.

ბული სიმწვავეთ დადგა და იგარ დეგბეჭდულად ემასუხებოდა მას პოეტური თუ პუბლიცისტური სიტყვით. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოთქვა თავისი აზრი პოეზიისა და ქართველი ერის განვითარების თაობაზე. ჩვერ კვლევ 1921 წელს ტ. ტაბიძე მგზნებარედ წერდა: „პოეზია საქართველოში იმ თავითვე ერთადერთი ამტკიცებდა საქართველოს ყოფნას, პოეზიას გამოუტანავს მისი მონობაც და თავისუფლებაც. ამიტომ არის, რომ არც ერთი სახელი საქართველოში არ ყოფილა ისე პოპულარული, როგორც პოეტების. საქართველოს შეიძლება ნეორე სახელთ რუსთაველი დაეჭვას. არ არის სხვა ქვეყანა, სადაც პოეზიას ისეთი ორგანული კავშირი ჰქონდეს ერთად, როგორც საქართველოში. არ ყოფილა არც ერთი იდეა, რომელიც სულს უდგამდა ერს, რომ პოეზიაში არ მიეღოს გამართლება და გამტკიცება“<sup>5</sup>.

რა შეიძლება გეჰონდეს საწინააღმდეგო ყოველი იმისთან, რაც აქ არის ნათქვამი? არაფერი მართლაც, ოღითგანვე განუყრელია კავშირი ქართულ პოეტურ სიტყვასა და ერის ცხოვრებას შორის. ქართული პოეზია ყოველთვის და ყველგან თან ახლდა ჩვენს ხალხს. საქართველოს მასაბჭოების პირველ წელსვე ნათქვამი ზემომოყვანილი სიტყვები უნდა მიგვანიშნებდეს ავტორის შეხედულებას ქართული პოეზიის მისიაზე, ერის ახალ ცხოვრებასთან მისი დაკავშირების აუცილებლობაზე.

რასაკვირველია, ერთგვარ პოეტურ ხუმრობად უნდა ჩაითვალოს ტ. ტაბიძის ნათქვამი: „შემძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის ნაწილიც დმტარი ვარ. და თუ ამას დამატება, რომ ლოთობა ჩემი სტიქია—ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში“<sup>6</sup>. ეს არის მოდური მიმართულების—„დადაიზმისადმი“ გაღებული თავისებური ხარკი, რითაც დროებით იყო გატაცებული ტ. ტაბიძე ოციანი წლების დასაწყისში. შემდგომი წლების ლექსებში ტ. ტაბიძე მხატვრულ სახეებში დრო და დრო აყალიბებდა ამ საკითხზე თავის შეხედულებებს, რომლებიც ხან სცოდავდნენ ბუნდოვანებით და ხანაც ჩანსაღ ელემენტებს შეიცავდნენ.

წინააღმდეგობა აგრეთვე ს. ჩიჭოვანის სიტყვები, რითაც იგი მიმართავს ბარათაშვილს: „შეეცდილვარ შენებრ ერის გრძნობების და სურვილების გაპიროვნებას“<sup>7</sup> აქ უშუალოდ ცხადი ხდება პოეტის მონდობა თავისი დიდი წინაპრის მსგავსად იყოს ერის ფიქრებისა და

5 ტიციან ტაბიძე, „პოეზიის დღე“, 7 მაისი, 1921 წ.

6 ტიციან ტაბიძე, უფშური კვირა. თხზულებანი, I, 1966, გვ. 150.

7 სიმონ ჩიჭოვანი, მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლექსები... 1934, გვ. 165.



ბედ-იღბლის გამოშატევილი ახალ ისტორიულ ვითარებაში.

შეიძლება ვარკვევით ითქვას, ოციანი წლების ქართულ მწერლობაში საკმაოდ იგრძნობა ლიტერატურის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის ბრძოლის შედეგადა.

ეს ყოველივე ასე, იყო, მაგრამ აშკარა შეცდომები და გაუგებრობები ამ საკითხში გაიხსენიანებოდა. თუ „ცისფერი ყანწულებსა“ და „აქადემიურ“ ჯგუფებში საგრძნობი იყო „ქართული მესიანიზმისა“ და ერთგვარი ნაციონალიტური განწყობილებები, სამაგიეროდ პროლეტმწერალთა და ფუტურისტთა შორის ფეხმოკიდებული იყო ეროვნული ნიპილიზმისა და პატრიოტიზმისადმი გულგრილობის ტენდენციები.

ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ ნაწარმოებში შეიმჩნეოდა პატრიოტიზმით სპეკულაცია და ამ იდენს არასწორი გაგება, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მისი გულწრფელი გამოხატვა ლიტერატორთა ერთი ნაწილის გულისწყრომას იმსახურებდა. ასეთ ცნებებს, როგორცაა „პატრიოტი“, „ეროვნული“, „სამშობლო“, „მამული“, თავისებური ტაბუ ჰქონდა დადებული და მათი გამოყენება მწერლობაში ვარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. მწერალს, რომელიც თავის შენობქმედებაში ასეთ გრძნობებს უღებდა კარს, ზოგი ახალი იდეოლოგიის მოწინააღმდეგედ თვლიდა.

„პროლეტარულმა პოეტმა უნდა დასძლიოს მომავლადი განწყობილებანი. ამაში შედის პატრიოტული მოტივიც, რომელიც ცენტრი იყო და არის ძველი ლიტერატურისა“<sup>8</sup> — ვითხოვლობთ ერთ იმდროინდელ სტატიას. ნაციონალური ნიპილიზმი მწერლობაში ამაზე შორს მწელია წაყიდეს. მოყვანილ მცირე ციტატაში ერთდროულად ორი უხეში შეცდომა დაშვებული. ჯერ ერთი, ხელოვნებისათვის ისეთი სისხლხორცეული, მარადიული მოტივი, როგორცაა პატრიოტიზმი, მომავლად მოტივად გამოცხადებული, ხოლო მეორეც, აქ გამოძღვანებულია ავტორის ნეგატიური დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი.

1926 წელს კარლო კალაძე წერს ცნობილ ლექსს „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელიც მძაფრი კრიტიკული შეტყვის საგანი ხდება, როგორც ევთიმდა ნაციონალიტური ნაწარმოები. გვაჩვენებთ აღნიშნული ლექსის იდეურ-მხატვრული შინაარსს, ხოლო შემდეგ გავცინოვით კბილი მისი მისამართით წამოყენებულ ბრალდებებს.

„ძახილი აღმოსავლეთს“ გამოირჩევა პუბლიცისტური ძვრადობით და მხატვრული შეს-

რულებების ორიგინალობით. ამ დიდი მოცულობის ლექსის ლირიკული გმირი თვით ავტორია, მისი ფიქრები და განცდები განსაზღვრავენ ნაწარმოების მთელ შინაარსს. იგი თანდროლოლობის სიმალლიდან გადაჰყურებს სინამდვილეს, აღადგენს ტრაგიკული წარსულის პერიპეტეებს და ისტორიზმის პრინციპის სწორი გაგებით ამყარებს კავშირს თანამედროვეობასა და გარდასულს შორის. პოეტი ახალი ქვეყნის აღმართის სიამაყით ესაუბრება მთელ მსოფლიოს. ლექსში აღმოსავლეთის თემა გახსნილია კონკრეტული მოვლენის განზოგადებით; სახელდობრ, ფერეიდანში დასახლებული, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველობის მწარე ბედში ავტორი ზედაც ყველა ჩაგრული აღმართის დარდს. სწორედ ამ მომენტს იყენებს პოეტი წარსულისა და აწმყოს დასაყვერებლად. ეს აზრი შეღვენდება გადახვეწილი ქართველებისადმი მიმართვაში:

სადა ხართ ეხლა, უცხო ქვეყნებში  
დაგახრჩობთ სევედა გულს ნამალევი,  
ვინ შემოკრიბოს ვარსკვლავებზე  
შობილურ ცის ქვეშ თქვენი თვალები!..  
თითქოს ძახილი გვესმა მრავალჯერ  
ერთმანეთი კი ვერ გვიმოვინა!  
გეამცნეთ რომ არის ცხრა მინდორ გალმა  
სხვა საქართველო ფერეიდანის, —  
და ნუ შეგვერგოს შობილელს ძეძუ  
ოღისლაც ერთად რომ გვიწოვია,  
აღმოსავლეთის ყოველი შვილი  
თუ ვეღარ ვიძმობთ ამერიდანი..

და განწირულებს კენესით რამდენჯერ  
ჩვენევე ზორცი დავეკებენია!  
მაგრამ, ქედმალალ კავკასიონის  
ძვირფასი მწვა ისევ ჩვენია...<sup>9</sup>

პოეტი მთელი აღმოსავლეთისა და ამით, მასთანავე, მსოფლიოს წინაშე ნიშნულად აყენებს ახალ საქართველოს, როგორც აღორძინებისა და ბედნიერების კერას. ვის არ განაკვიფრებს და აღადროვანებს ხილვა იმისა „ძველ სამშობლოში დღეს რომ შენდება ქვეყანა მზის და კომუნარებისა...“

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების იდეური საყრდენი საგანგაშოს არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ სწორედ ეს მომენტი გახდა მისადმი მიმართული უსამართლო კრიტიკის საბაბი. კრიტიკა მაშინვე გამოეხმაურა აღნიშნულ ლექსს. უმჯობესია, ჯერ გავცინოთ ამ ნაწარმოების მიმართ გამოთქმულ ძირითად, დამახასია-

<sup>9</sup> კარლო კალაძე, ძახილი აღმოსავლეთს, რჩეული ლექსები, 1927, გვ. 19.

### ზრიგოლ ხარხაულიძე

ბრძოლველადი პრიობლემა თანამედროვე  
ძარბულ კოეზიასი

<sup>8</sup> ბენიტო ბუაჩიძე, პროლეტარული მწერლობის ათი წელი, „პროლეტარული მწერლობა“, 1927, № 9-10.

თეველ კრიტიკულ შენიშვნებს და ბოლოს გა-  
რთევით ჩვენი აზრი ამ შენიშვნების ირგვლივ.  
„მნათობის“ ბიბლიოგრაფი, მკაფიოდ, შემ-  
დგენიარად „ამკობდა“ ლექსის ავტორს: „ნუ  
თუ ეს პროლეტარული პოეტის საკუთარი სიტ-  
ყუებია? ნათესავი ჩვენ სისხლთან ქედმაღალი  
კავკასიონი, რომელმაც ვადაარჩინა (ვისგან?)  
საქართველო ჩაქრობას! საკუთარი სახის შენა-  
რჩუნება! რა არის აქ პროლეტარული? ვისია  
ასეთი იდეოლოგია? „ლიტერატურული ჯიბვი-  
რობა ჩვენს დროში სხვა რა უნდა იყოს, თუ  
არა პროლეტარული პოეტის ნიღაბით ძველ,  
დროშოვულ ნაციონალისტურ (Sic! გ. ხ.)  
მწერლობის მოტივებზე წერა და გოდება?...“  
პროლეტარულ პოეტს ვერ მოუწოდებია ხსოვნ-  
ის შორეულ საქართველოს! პროლეტარული  
პოეტი არ გმობს, — რასაკვირველია! — გამა-  
ფრებულ სისხლს და არ ურიგდება „ქართველ  
მშობის“ არსებობას „ცხრა მიწოდის ვაღა“.  
მის ქართველი მხოლოდ საქართველოში წარ-  
მოუდგენია. მით უმეტესად დღეს, როდესაც  
ქედმაღალ კავკასიონის ძვირფასი მიწა ისევ  
ჩვენია...“ თუ პროლეტარული პოეტი კარლო  
კალაძე კარგად ვგუება „ძუძუდამშრალ მშობელ  
მიწას“, საკვირველია ის „ძუძუდამშრალი მშო-  
ბელი მიწა“ როგორ ითმენს პოეზიას და ისიც...  
პროლეტარულს?!<sup>10</sup>

შემდეგ, „ძახილი აღმოსავლეთს“ უეჭველად  
წარმოადგენს რეციდივს ქართველ იმპერიალის-  
ტურად (Sic! გ. ხ.) განწყობილი ინტელი-  
გენციის იდეებისას, რომელსაც ოდესღაც არ  
აქმყოფილებდა „ჩვენი პატარა და კოპჩია სა-  
შობლო საქართველოს“ საზღვრები. სავალა-  
ლო იყო, რომ ასეთი განწყობილებებისათვის ავ-  
ტორმა საბჭოთა საქართველოს ფონი ამორჩია.  
იგი მოუწოდებდა ოდესღაც საქართველოდან  
გადასახლებულ ფერეიდანელებს შემოკრებას  
„მშობლიურ ცის ქვეშ“ საშობლო საქართვე-  
ლოს ახარებს გასაბჭოებით. მაგრამ თუ ავტო-  
რისათვის საინტერესო იყო ქვეყნის გასაბჭოება,  
მაშინ რატომ მხოლოდ ფერეიდანის და არა  
მთელი სპარსეთის, მთელი აღმოსავლეთ-  
ისი?!<sup>11</sup> — წერს სხვა კრიტიკოსი.

საკვირველი ის არის, რომ იმდროინდელი  
ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეც კი სწორად  
არ ერკვეოდა ლიტერატურის ეროვნულობის  
საკითხში და ამის გამო უმართულო დასკვნ-  
ები გამოჰქონდა კ. კალაძის ლექსიდან. მაგა-  
ლითად, მ. კახიანი აღნიშნავდა: „კარლო კალა-  
ძე სწერდა, რომ საჭიროა საქართველოში ვაღ-  
მოვასახლოთ ფერეიდანელი ქართველებიო. სა-

დაც სპარსეთში სცხოვრობენ ქართველები,  
რომლებიც დიდი ხანია აქედან გადასახლდნენ.  
და აი პროლეტარული მწერალი უნდა შეეცადოს  
სხვა თემას, ვარა და მისა, რომ მიმართოს მათ  
და მოიწვიოს ისინი საქართველოში. ამ ლექსს  
აქვს ასეთი მყვირალა სათაური — „ძახილი აღ-  
მოსავლეთს“. შეიძლება გვეფიქრა, რომ  
პროლეტარული მწერალი მიმართავს აღმოსა-  
ვლეთის ჩაგრულ მასებს, მიმართავს ჩინეთის  
მუშათა და გლეხთა მასებს, დაგვიხატავს ჩი-  
ნეთის რევოლუციას. ეს იქნებოდა საესვებით  
შეხმატკნისებელი ჩვენი რევოლუციის მოტი-  
ვებთან, მაგრამ რატომღაც კარლო კალაძემ  
ამორჩია სულ სხვა თემა. ის მიმართავს ფე-  
რეიდანელ ქართველებს, ვინაიდან ეს ხალხი,  
როგორც ის თითონ გვიხსნის, „სისხლით და ნა-  
თესაობით“ ქართველებია. ეს ამხანაგებო, უკვე  
ნაციონალისტური ვადახარა, რომელიც სრულე-  
ბით არ შეშვენის პროლეტარულ მწერალს.“<sup>12</sup>

კ. კალაძის ლექსის „განქიქების“ დროს საქმე  
უკუტირბოდა არ დამთავრებულა. ერთ-ერთ  
კრიტიკოსს ნაწარმოების ვითომდა იდეური მხ-  
რის მიზეზად ასახელებდა ავტორზე მისი  
მამის მსოფლმხედველობის გავლენას. როგორც  
ცნობილია, პოეტის მამა, ძველი ბოლშევიკი  
რადენ კალაძე ოცან წლებში აქტიურ მონაწი-  
ლეობას იღებდა ლიტერატურულ ცხოვრე-  
ბაშიც. ალბათ ეს იყო ხსენებული აზრის წარ-  
მოშობის საბაბი. კრიტიკოსი, თითქმის აღმოჩე-  
ნით გახარებული, შემდეგ წერს: „ამხ. რად-  
ენს ჰყავს პოეტი შვილი — კარლო კალაძე.  
ოპოზიციური და ნაციონალისტური მოტივები  
არის შეერთებული ამ პოეტში. მან დასწერა „ძა-  
ხილი აღმოსავლეთს“, ძახილი ფერეიდანს და  
არა რევოლუციონერ ჩინეთს...“ მოჰყავს რა  
ლექსის წინასიტყვაობა, სტატიის ავტორი ასკუ-  
ნის: „როგორც ხედავთ აქ კარლო კალაძეს ნა-  
ციონალისტური განწყობილება მოხერხებულად  
გადააქვს პოეზიაში. ეს არის ამხ. რადენ კალა-  
ძის „ეროვნული ხაზის“ უშუალო გაგრძელება.  
მეორე მხარე, პოეტი კალაძე სწერს ოპოზიცი-  
ონურ ლექსებს — მამის გავლენით.“<sup>13</sup>

მოყვანილი ამონაწერები საესვებით საკმარისი  
იმის გასათვალისწინებლად, თუ რა უმართუბე-  
ლო შეფასება მიიღო კ. კალაძის აღნიშნულ  
ლექსმა თავის დროზე.

როგორც ვნახეთ, საწინააღმდეგო ნაწარმოების  
მთავარ, უხეშ შეცდომად მისი თითქოსდა ნა-  
ციონალისტური შინაარსი მიჩნევა. იტულებუ-  
ლი ვარო ლექსის განზილებს დროს ზემოთქმულ  
ჩვენს მოსაზრებებს ამ მხრივ ზოგი რამ დაუ-  
შატოთ, რომ უფრო ცხადი გახდეს აღნიშნული  
ბრალდების უსაფუძვლობა.

<sup>10</sup> ვანი. „ძუძუდამშრალი მშობელი მიწა“ და...  
პროლეტარული პოეტი (გესლიანი რეცენზიის  
მაგიერ) „მნათობი“, 1927, № 7, გვ. 239.

<sup>11</sup> პლატონ ქიქოძე, ქართული მწერლობის  
ერთი წელი 1927, „მნათობი“, 1928, № 1,  
გვ. 177.

<sup>12</sup> მხ. კახიანი, კულტურული რევოლუციის  
საკითხები, „მნათობი“, 1928, № 2, გვ. 164-5.

<sup>13</sup> გ. მუშიშვილი, თანამედროვე ლიტერატურ-  
ის ვითარება, „მნათობი“, 1927, № 11-12, გვ.  
197.



მინც, რაში გამოხატება პოეტის „ნაციონალისტური გადახრა“? ნუთუ იმაში, რომ ნაწარმოებში გამოყენებული ისეთი გამოთქმები, როგორცაა „საკუთარი სახის შენარჩუნება“, „ქედმაღალი კავკასიონი“, „ხსოვნა შორეულ საქართველოსი“, „ქუთუდაშრალი მშობელი მიწა“? რა არის ნაციონალისტური ამ გამოთქმებში? არაფერი. საკუთარი ეროვნული სახის შენარჩუნება, ეროვნული ტრადიციების დაცვა ყველა ხალხის უბირველესი საზრუნავია.

ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარქისონ-ლენინიზმი და დადებითად ჭრის მას. 1920 წელს ვ. ი. ლენინი ამ საგანზე შემდეგს წერდა: „აქედან გამომდინარეობს ყველა ქვეყნის შეგნებული კომუნისტური პროლეტარიატის მოვალეობა—განსაკუთრებით ფრთხილად და განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყროს ნაციონალური ვრანძობების წაშობებს ყველაზე უფრო დიდი ხნის ჩაგრულ ქვეყნებსა და ხალხებში“.<sup>14</sup> ეს სახელმძღვანელო დებულება სოციალისტური რევოლუციის ბელადისა შეუძლებელია არ სცოდნოდნათ საქართველოში. მრავალჯერავე სახელმწიფოში სხვადასხვა ხალხის ეროვნული თავისებურებების შენარჩუნების საუკეთესო მავალითაა სწორედ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. ეროვნული სახის განვითარებისა და ხალხთა თანასწორობის პრინციპი არის ძირითადი საყრდენი სოციალისტურ ეროვნებათა დიადი ოჯახისა. ეს პრინციპი ცნობილი იყო იმთავითვე, ოციანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირი იქმნებოდა. რატომ ივიწყებდნენ ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს ლიტერატურის კრიტიკოსები?

„ხსოვნა შორეულ საქართველოსი“. რატომ უნდა შეეშინებინა ამ სიტყვებს ლიტერატორთა ერთი ნაწილი? ყოველი ერი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს და რაიმე წვლილი აქვს შეტანაში კაცობრიობის განვითარებაში, პატივს სცემს თავის წარსულს, თავის სახელოვან წინაპრებს. შეუძლებელია ხალხმა დაივიწყოს თავის მიერვე შრომით და ბრძოლით განვლილი გზა. გავიხსენოთ, რასა წერს ი. ჭავჭავაძე ამის თაობაზე: „ერის დაცემა და გათავისრება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“<sup>15</sup>. თუ მსოფლიოში რომელმე ერი თავს მოიწონებს თავისი გმირული წარსულით, თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს წინაპართა შემოქმედებით შემართებით, ქართველი ხალხი მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია. რატომ უნდა გამხდარიყო სადაოდ „ხსოვნა შორეულ საქართველოსი“? გარდა ამისა, ჩვენ ვნა-

ხეთ, რომ პოეტი წარსულსა და აწმყოს ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს, ძველ თანამედროვე ადამიანის თვლით აფასებს. იგი ხელდას „ძველ სამშობლოში დღეს რომ შენდება ქვეყანა მზის და კომუნარების“. როგორც ვაწმყუნდებით, წარსული აქ მეტად აქტიურადაა განცდილი. ისე, რომ ნაწარმოების არც ეს მხარე იმსახურებს რაიმე საყვედურს.

არც ის შენიშვნა მართალია: პოეტი აღმოსავლეთში ფერეიდანის ვარა და ვერაფერს ვერ ხედდავს და სხვას არაფერს არ გულისხმობს, მას მხედველობიდან ეხარება აღმოსავლეთში მომხდარი უახლესი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებით. ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ნაწარმოები გამსჭვალულია სწორედ თანამედროვეობის უხიზელი შეგრძენებით და ფერეიდანის თემასაც იგი განიხილავს იმეფმად აღმოსავლეთში მდგარ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ბუნებრივია, „ცხრ. მინდორ ვალმა“ მყოფი ქართველების თემა ძირითადია ამ ნაწარმოებში და აღნიშნული საკითხები დამხმარე მონეტრება უმთავრესი აზრის ვასამსულად. ჩვენი აზრის დასამტყიცებლად მივმართოთ მაგალითებს. ნაწარმოების წინასიტყვაობაშივე აქტორი მიმართავს ფერეიდნულებს: „ეს ლექსი მოვიხმობთ თქვენ, — და დამონებულ ერთი მზის ხალხებს...“, ხოლო ლექსის ძირითად ნაწილში ეს მოტივი ასე ვითარდება: „წამოდექ!— ჩვენთან შეხორცებულმა ერთი მზის ხალხებს შენც ვადასძახე: — წითელ დროშების ვარშემო გულვით ზღვა სურვილები რომ შემოვიკრიბნ...“ შემდეგ: „ტკივლით გვახსოვს აზრის ხალხებს გულური სისული როგორ გვსდიოდა, დღესაც არბევენ შორ აღმოსავლეთს და ეს ჭრილობა სასიკვდილოა!— მაგრამ ვარდუვალ რისხვად მომსკდარი, მილიონ გულთა სურვილი მოდის! და ჩინელებიც მასვე მფერიათ გამარჯობისთვის რასაც ვმღებოდით...“ პოეტის სურვილია „რომ ყოფილიყო აღმოსავლეთი ჩვენი მიზნებით აღტაცებული...“ და კიდევ: რაც მთავარია: — „ძმებო, ბრძოლისუფრ ბაირაღებთან დროა, შემოკრებს აღმოსავლეთი, რომ შრომის მხარეს და საბრძანებელს ჰქმნიდეს მხარიმხარ მთელი თაობა!“ — მოყვანილი ციტატები ექვს არ ტოვებენ, რომ პოეტს ეროვნული თემა ვაშლილი აქვს მთელი აღმოსავლეთის ფონზე და მის მიმართ გამოთქმული შენიშვნა ამ მხრივაც დამყარებულა სრულ ვაუტგებობაზე.

როგორც ვნახეთ, საქმე იქამდასაც კი მივიდა, რომ ერთ კრიტიკოსს „ძახილი აღმოსავლეთს“ მიაჩნდა „ქართველ იმპერიალისტურად განწყობილი ინტელაგენციის იღუვების რეციდივიდ“, ხოლო მეორე კ. კალაქის ოპოზიცი-

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი, პირველადი მონასახი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე, თხზულებანი, ტ. 31, 1952, გვ. 172.

<sup>15</sup> ილია ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თხზულებანი, 11, 1942, გვ. 486.

**გრიგოლ ხრახუაძის**

მრკველულობის პრობლემა თანამედროვე ქართულ კოზიზაში



ნური ლექსების ავტორად იცხადებდა. რა გვე-  
თქმის ამ მართლაცდა პოლიტიკური ბრალდებ-  
ების შესახებ? ვფიქრობთ, მათზე სერიოზუ-  
ლი მსჯელობა ზედმეტია, რადგანაც არაფერი  
ამის მსგავსი კ. კალაძის პოეზიაში არ ყოფილა  
და არც შეიძლება იყოს ყოფილიყო. კ. კალაძე  
სიყრმიდანვე ტრიალბდა რევოლუციონერად  
განწყობილ ატმოსფეროში, მის ლექსებს იმთა-  
ვითვე თან დაჰყვა ახალი მებრძოლი იდეოლო-  
გიისა და განახლებული ცხოვრების მხურვა-  
ლება.

როგორ თუ კარლო კალაძემ ვაბედა ფერეიდ-  
ნელების მოპატრეება საქართველოში, რას მიქ-  
ვია სისხლით ნათესაობათ — უკეივბდენე  
პოეტს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსის ავტორი  
მადლობისა და მხარდაჭერის ღირსი იყო და  
არა საყვედურისა. პოეტმა სწორად განსჯერი-  
ტა ისტორიული პერსპექტივა. მისი გულწრფე-  
ლი სურვილი იყო დათრგუნევილი სამართლი-  
ანობის აღდგენა. სამშობლოდან ძალით მოწყვე-  
ტილი ადამიანების დაბრუნება თავიანთ მიწა-  
წყალზე, მათთვის თავისუფლებისა და ბედნიერ-  
ების მინიჭება, მხოლოდ და მხოლოდ მისალ-  
მეობა და სიხარულის საგანი უნდა ვამხდარი-  
ყო, მაშინ კი, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა.  
დროთა სელამ ბრწყინვალედ გაამართლა პოე-  
ტის შემოქმედებითი აღლო.

დღეს მხოლოდ გაევირეებისა და სინანულის  
გრძნობას იწვევს ის უხეშო ტონი, რითაც ზო-  
გიერთი კრიტიკოსი თავს ესხმოდა აღნიშნულ  
ლექსს. ერთ წერილში, მაგალითად, როგორც  
ვხახეთ, ვკითხულობთ: „ლიტერატურული ჯიბ-  
გირობა ჩვენს დროში სხვა რა უნდა იყოს, თუ  
არა პროლეტარული პოეტის ნილაბით ძველ,  
დროშოქმულ ნაციონალისტურ მწერლობის მო-  
ტირებზე წერა და ვოლბა“. ჩვენ ვვიძიებთ ასე-  
თი კრიტიკური „სტილის“ შესაფერისი კვალი-  
ფიკაცია.

უნდა დავასკვნათ, კ. კალაძის „ძახილი აღ-  
მოსავლეთს“ საინტერესო ნაწარმოებია რო-  
გორც იდეური ჩანაფიქრის, ისე მხატვრული  
ხორცშესხმის მხრივ. თვინი წლებს ჩვენს  
ლირიკაში ამ ლექსს განსაკუთრებული მნიშე-  
ნელობა და ადგილი ენიჭება, როგორც ვაბე-  
დულ, ორიგინალურ პოეტურ ფაქტს.

მკაცრი და უსამართლო კრიტიკის ობიექტი  
მარტო კ. კალაძის ლექსი როდი ყოფილა. შეგ-  
ვიძლია დავასახელოთ არა ერთი ნაწარმოები,  
რომელთაც ისეთივე ბედი ერგოთ, როგორც  
„ძახილი აღმოსავლეთს“ მხოლოდ იმიტომ, რომ  
მათში სამშობლო — საქართველო სიყვარუ-  
ლით იყო ნახსენები. საილუსტრაციოდ მოვი-  
ტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ქუჩნალში  
„არიფიონი“ ი. მოსაშვილმა გამოაქვეყნა ლექსი

„უღელტეხილზე“, რომელსაც ავტორი თავის  
საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც  
მასში გამოთქმული იყო ახალი ცხოვრების  
სრული აღიარებისა და მისდამი ერთგული სამ-  
სახურის აზრი. იმავე წელს დასახელებულმა  
ლექსმა დამისახურა ყოველად უცნაური რეპ-  
ლიკა. ერთ-ერთი ბიბლიოგრაფიული წერილის  
ავტორი იმყოფებდა ი. მოსაშვილის სტრიქო-  
ნებს — „და საქართველო მზე არ მზუვავლენს“  
— მე ისე მღერა არ შემოძლიან“ — და რიხიან  
კითხვას სვამდა: „რატომ? რისთვის? ეს გაუგე-  
ბარია ჩვენთვის“. „საქართველოს მზე“ არ „მზუ-  
ვავდა“ ბიარონს, პუშკინს და სხვა გამოჩენილ  
მსოფლიო პოეტებს, მაგრამ „მღეროდნენ“.  
ალბათ არც მოსაშვილი დაიწუნებს მათ „სიმ-  
ღერებს“!<sup>16</sup> შეუძლებელია ღიმილი არ მოგვეგვა-  
როს მოყვანილობა სიტყვებმა. ნუთუ რეალიკის  
ავტორმა არ იცოდა, რომ „ბიარონს, პუშკინს  
და სხვა გამოჩენილ მსოფლიო პოეტებს“ თავ-  
თავიანთი ქვეყნის მზე სწვავდა? ან რატომ უნ-  
და ყოფილიყო აკრძალული ქართველი პოეტი-  
სათვის თავისი მშობლიური ბუნების წიალთან  
შედღელება, რაც მას შთაგონებდა სიხალის და-  
მამკვიდრებელ შემოქმედებითს შრომაში?

აღნიშნულ საკითხთან მკიდროდაა დაკავში-  
რებული ისტორიული წარსულის და კლასიკუ-  
რი მემკვიდრეობის გაგებისა და შეფასების სა-  
კითხი. უკეთ რომ ვთქვათ, ეს საკითხები ერთი-  
მედლის ორი მხარეა.

საერთოდ, წარსულის მემკვიდრეობის ათვი-  
სების საკითხი მართებულად იდგა იმ დროის  
ჩვენს მწერლობაში. ამის საფუძველს ქმნიდა  
კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი პოლი-  
ტიკა აღნიშნული კუთხით. ცნობილია ლენინის  
არაერთი გამოცემა, სადაც იგი ნათლად აყალი-  
ბებდა საპროგრამო შეხედულებებს ამ საკითხ-  
ზე. ლენინი აღნიშნავს: „მარქსიზმმა, როგორც  
რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგია,  
თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა  
მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგ-  
დო ბურჟუაზიული ეპოქის უქვირფასესი  
მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და  
გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო

ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას  
წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში. ნამ-  
დვილი პროლეტარული კულტურის განვითარე-  
ზად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ  
შემდგომი მუშაობა ამ ნიადაგზე, და ამავე მი-  
მართულებით, მუშაობა, რომლის სულისჩამდგ-  
მელი იქნება პრაქტიკული გამოცდილება პრო-  
ლეტარიატის დიქტატურისა, როგორც მისი  
უკანასკნელი ბრძოლისა ყოველგვარი ექსპლოა-

<sup>16</sup> გ. მუშიშვილი „არიფიონი“, „მნათობი“,  
1928, № 3, გვ. 229.



ტაციის წინააღმდეგ<sup>17</sup> მიუხედავად ამ საეკ-  
ნომიკურ გარკვეული თვალსაზრისისა, ზოგიერთს  
არა სწორად ესმოდა პარტიის პოლიტიკა, მცდარ-  
ად განმარტავდა და ამახინჩებდა მას. ამის  
შედეგად იყო ლიტერატურაში ბევრი მიუღებელ-  
ი აზრის გავრცელება. ასეთი გაუმართლებელ-  
ი მოსაზრებები საკმაოდ გვხვდებოდა ქარ-  
თულ სინამდვილეშიც.

შეუძლებელია მწერლობის ისტორიკოსმა  
ფერტიკოდ დატოვოს ფ. მახარაძის ზოგიერთი  
დებულება, რაც ქართულ კულტურულ-ლიტერ-  
ატურულ მემკვიდრეობას შეეხება. მართე-  
ბულ მოსაზრებებთან ერთად მას აქვს მცდარი  
შეხედულებებიც, რომლებიც განსაკუთრებით  
გვეჩოთბურება დღეს.

ქართულ მწერალთა პირველ ყრილობაზე  
გაყვანილ მოხსენებაში ფ. მახარაძე ერთი  
მხრით, სამართლიანად იცავს წარსული კულ-  
ტურის ათვისების აუცილებლობას, ხოლო მე-  
ორე მხრივ, აღნიშნავს: „თუმცა მეცხრამეტე  
საუკუნის მწერლობას რამდენიმე უკვე ეტყო-  
მა გადემოკრატება. მართალი უნდა ვთქვათ,  
რომ კარგად სწერდნენ, ენაც კარგი ჭონდათ,  
ფორმაც. ამას ვერაინ ვერ უარყოფს. სიამოვნ-  
ებით წაიკითხავთ ხელაქ იმ ლექსებს, პოემებს,  
რომლებიც იწერებოდა აკაკი წერეთლის, ილია  
ჭავჭავაძის და სხვების მიერ. მაგრამ ხალხის  
ინტერესები სინამდვილეში მათ არ სწამდათ,  
და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ჰქონ-  
და... რა თქმა უნდა, დღეს მწერლობა ასე აღარ  
შეიძლება გამოკვეთოთ“<sup>18</sup> საკითხავია, რალა  
ფასი აქვს აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავა-  
ძის სამწერლო ნიჭის აღიარებას, თუკი ვიტყ-  
ვით, „ხალხის ინტერესები სინამდვილეში მათ  
არ სწამდათ“ და ვინა მტკიცებას საჭიროებ-  
და ის ფაქტი, რომ ილიამ და აკაკიმ მთელი თა-  
ვისი მოქალაქეობრივ-შემოქმედებითი ენერ-  
ჯია ხალხის ინტერესების სამსახურს შეაღიეს?  
ქართულ მწერალთა მეორე ყრილობაზე  
ფ. მახარაძე ამბობდა: „თამარის და გორგას-  
ლანის დროის კულტურას ჩვენ ვერ მივიღებთ.  
იმ კულტურას მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა, მაგ-  
რამ თანამედროვე ეპოქისათვის ის უკვე დრო-  
შემოქმედია“<sup>19</sup>

საერთოდ, ჩვენ უადრესი პატივისცემით ვე-  
პყრობით წარსული კულტურის ძვირფას საგან-  
ძურს, როცა მას სათანადოდ ვაფასებთ და  
ჩვენი კულტურის მშენებლობაში აქტიურად

ვიყენებთ — ამ პოზიციიდან მოყვანილი მო-  
საზრებები გაკვირვებას იწვევს.

კლასიკურ მემკვიდრეობასთან დამოკიდებუ-  
ლების მხრივ წინააღმდეგობებს ვხვდებით  
თვით მწერალთა გამონათქვამებშიაც. ყოველი  
ლიტერატურული გაერთიანება ცდილობდა გა-  
მოემდღავებინა თავისი შეხედულება წარსუ-  
ლის კულტურის მიმართ. ყოველი მათგანი  
თითქმის თანაბრად იყო არათანმიმდევრული  
აღნიშნულ საკითხში, ხან ნიპოლისტურ გან-  
წყობილებას ავლენდა, ხანაც საყრდენად მიაჩნ-  
და წინაპართა ნამოღვაწარი. „ცისფერყანვე-  
ლები“, მაგალითად, ადრე უპირისპირდებოდ-  
ნენ კლასიკას და მხოლოდ ვეჟა-ფშაველას  
თვლიდნენ თავიანთ სულიერ წინამორბედთ.  
გავისხევოთ:

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,  
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს  
უარი,  
რა ვქნა რომ ჩემთვის ბეთხოვენი მხოლოდ  
ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე  
ანდამანტი.<sup>20</sup>

იგივე პ. იაშვილი ერთ თავის სტატიაში წერ-  
და: „ბარათაშვილის „მერანი“ უკვე დაიღალა  
ორმოცდაათი წლის ჰენებით, ახლა ის ბებე-  
რი, ტყავაგაბშიარი და ფერდებჩაკვენილი ჰკაც  
ცხენია და ვიღას გააკვირვებს? მისი უნაგირი  
ჩიმჩმა დახრა, და მხედარიც ხერხეშალ მოღუ-  
ნული უქანასნელ დასვენებას ელის. „ქართლის  
დედას“ ძუძუები დაუშრა... საიდუმლო ბარათს  
ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს, და აღმართ  
აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწვერ-  
ვალამდის ვერ მიღწია, მეოთხედ გზაზე სიბერე,  
დაუწია პატროსან მოგზაურს და ტყვიად დაე-  
ძინა მამა დაგიოხე... ჩვენ საუკუნეს შერჩება  
ბახტრიონის დევი, გველის მკამელი ვეჟა ფშა-  
ველა, დაუბერებელი მოახლე ლაშარის გიორ-  
გის და დიდხანს აფეთებს თავისი ველური აბ-  
ჭარის ხმაურობით პოეზიის წერილფება წუ-  
კალებს“<sup>21</sup>. რასაკვირველია, ასეთი ახირებულო  
აზრები, დასკვნითი დებულებების გამოკლებით,  
თავისებური ხარკის გავლება იყო მოლოცვი ეს-  
თეტიშმის წინაშე, შემდგომში როგორც პ. ია-  
შვილი, ისე სხვა „ყანწელები“ საეკნებით ფხიზ-  
ლად აფასებდნენ წარსულის დიდ შემოქმედთ.

<sup>20</sup> პაოლო იაშვილი, ერთტომეული, 1965, გვ. 121.  
<sup>21</sup> პაოლო იაშვილი. პოეტი საქართველოში, „ბახტრიონი“, 1922, № 1.

<sup>17</sup> ვ. ი. ლენინი, პროლეტარული კულტურის შესახებ, თხზულებანი, ტ. 31, 1952, გვ. 380.  
<sup>18</sup> ქართულ მწერალთა ყრილობა, „სახელ-გამი“, 1926, გვ. 21.

<sup>19</sup> ფ. მახარაძე, ქართული მწერლები და კულტურული რევოლუცია, „მნათობი“, 1928, № 4, გვ. 168.

**პრიგოლ ხარხაშულიძე**  
მროველმოგის პრობლემა თანამედროვე  
ქართულ კოეზიზში



„თანამედროვე ქართული პოეზია — აღნიშნავდა ე. ვაფრინდაშვილი — ყანწელების სახით აღრმავებს თავის შინაარსს და ფორმას, მაგრამ ზურგი გამაგრებული აქვს რუსთაველით.“<sup>22</sup>

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს გ. ლეონიძის ლექსების ციკლი „ქართლის ცხოვრების“ თემაზე, რომელიც ჩვენი მძიმე, გმირული ისტორიისადმი მიძფერი პატივისცემის გრძნობით არის გამოთარი. იმავე წლებში მან პოეტური ფერადებით გამოძერწა რუსთაველის, სულხან-საბას, გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ი. ბავიაშვილის, ვაჟა-ფშაველას სახეები. ძველი თბილისელი ოსტატებისადმი მიძღვნილ ლექსში, მაგალითად, კარგად ჩანს წარსულის მოღვაწეთა შემოქმედებითი შრომის ღირსეული დაფასება:

ვხედავ მათ ნათელს შარავანდელს სცვივა  
ფანტელი  
ათი ათასი მთაწმინდაზე ბრწყინავს სათელი,  
თავს დაგნათიან, სატახტოო, დიდო,  
უკვდავო, —  
რომ მათმა სხივმა სამუდამოდ  
გაგასუფთავოს!<sup>23</sup>

იმ დროისათვის გ. ლეონიძეს უკვე საკმაო სიკვდილითა აქვს შეგნებული კლასიკური მემკვიდრეობის კეთილსიმყოფელი მნიშვნელობა უახლესი ქართული პოეზიის განვითარებისათვის. იგი თავისი პოეტური სიცოცხლის სიმწიფის ხანას განიცდიდა და მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები აღბეჭდილია სრული ენერგიით, ასასახავი მოვლენებისა და მხატვრული უაღიზის ურთიერთშესატყვისობით. „მეჩვენებიან მე პოეტები, ვინც საქართველოს ხმით შეაბერდა“ ან „მღეროდნენ, როგორც დიდი წვიმები, ვით ფრინველები ათასხმიანი“ — ამბობს პოეტი და იქვე განაგრძობს:

ხმაღმა, ხანძარმა,  
კალიამ, ჭირმა  
მათი სიმღერა ვერ შიანელა, —  
შოთა,  
ბესიკი,  
გურამიშვილი,  
ჯიხტყაყიანი ვაჟა-ფშაველა!<sup>24</sup>

მოყვანილ სტიქონებში მკაფიოდ დასტურდება სპეციფიკურად ლეონიძისეული მხატვრული მეთვლელება, სადაც პოეტური ფაქტურა

გამოკვეთილია ქართული ბუნებისა და მხატვრული მასალით.

კლასიკური ტრადიციის ნიპილისტური შეფასების ფაქტებს აკადემიური ჯგუფის წარმომადგენელთა მხრივაც ვხვდებით. ერთს მათ გამოცემაში ვკითხულობთ: „ქვეყანამ იცის, რომ დღეს აკაი წერეთელის და ეველოშვილის პანგებითა და იდეებით ვერაინ ვავაფონს, ისე როგორც ილია ჭავჭავაძის და ეგნატე ნინოშვილის იდეების პირზე არ გამოადგება ჩვენ სინამდვილეს.“<sup>25</sup> როგორც ვხედავთ, აქ მსჯელობა არ არის სწორად განვიტარებული. ცხადია, სხვა იყო ილია ჭავჭავაძის და აკაი წერეთლის იდეების სფერო და სხვა — ქართული საბუთა მწერლობისა. ისე რომ მათი ამგვარი დაპირისპირება გაუმართლებელია. ვარდა ამისა, დასახლებული კლასიკოსების მხატვრულ ნაწარგეში და საერთოდაც მთელს მათს შემოქმედებაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც უშუალოდ ენათესავება და ეხმარება ჩვენს სინამდვილეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოკიან წლებში ქართველ „აკადემისტთა“ ნაწერებში, შემოთქმულის საპირისპიროდ, გარკვევით იგრძნობა კლასიკური მემკვიდრეობისადმი პატივისცემის ტენდენცია. მოვიგონოთ, თუნდაც ი. გრიშაშვილის ცნობრილი ლექსი „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“, სადაც პოეტი წუხს ძველი ქართული რივნების ბედაზე და თანამედროვე მოუწოდებს მათი მოვლა-პატრონობისაკენ.

ქართველი ფუტურისტების საპროგრამო გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ მათი შემოქმედებითი მრწამსი ეფუძნებოდა ეროვნულ ნიადაგს და რომ თანადროულობის შესაფერ მხატვრული სიტყვის შექმნას ისინი აპირებდნენ სწორედ ქართული ლიტერატურული და ხალხური ტრადიციების გათვალისწინებით. მაის ერთ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „ჩვენი მხატვრული პრაქტიკა, რომელშიაც ერთიანდება მსოფლიო მემარცხენე ხელოვნების მიღწევები ეროვნულ შემოქმედებით სულთან დაკავშირებით უნდა დაუახლოვდეს ფართე საზოგადოებას და იგი მასების ხელოვნებათ უნდა იქცეს.“<sup>26</sup> მემარცხენეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბიძინა აბულაძე ავითარებდა აზრს, რომ ახალი, ინტერნაციონალური პოეზიის შესაქმნელად უნდა გამოვიდეთ ხალხური პოეზიიდან, რომელიც ხასიათდება გამძლეობით.<sup>27</sup> ამ მოსაზრე-

<sup>22</sup> ე. ვაფრინდაშვილი, ორი სტიქია „მახტრიონი“, 1922 წ., №4  
<sup>23</sup> ვიორგი ლეონიძე, თბილისის ოსტატები, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 324  
<sup>24</sup> ვიორგი ლეონიძე, ძველი პოეტები, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 333.

<sup>25</sup> „ილიონი“, 1923, № 4, გვ. 88.  
<sup>26</sup> „დროული“, H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის საბჭოს ორკვირული ორგანო, 5 დეკემბერი, 1925 წ., ტ. ტფილისი, №1.  
<sup>27</sup> ბიძინა აბულაძე, უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში, „ლიტერატურა და სხვა“, H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>, 1924-25.

მათა საწინააღმდეგოდ არავის არაფერი არ შეიძლება დაჰქონდა. ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფუტურისტთა პოეტური პრაქტიკა, წინააღმდეგ მათი შეხედულებებისა, ვერ ამართლებდა თავის თავს. კუბიზმი, ზაუმი თუ დადიზმი ვერ ეგუებოდა ეროვნული პოეზიის ტრადიციებს. ხოლო მათს ზოგიერთ ნაწარმოებში თავს იჩენდა კლასიკური შემოქმედებისადმი უხეში დამოკიდებულება. მაგალითად, ერთ-ერთი ფუტურისტთა პოეტი ასე იმუქრება:

გაგაცილი ღმერთებს  
რუსთაველის თანდამატებით  
ანდამატებით საღლაკებში რომ გეჭაჩებათ  
ვეფხვიის ტყავიდან.<sup>28</sup>

ამის საპირისპიროდ არ შეიძლება არ აღინიშნოს ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძისადმი გამოძღვანებული შემოქმედებითი სიმბათია და პატივისცემა, რასაც ვხვდებით ს. ჩიქოვანის ლექსებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოციანი წლების დასასრულს ლიტერატურული მემარტოვნობის თეორიულ გამოსვლებში შეინიშნება კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ სწორი მიდგომის ტენდენციები. ერთ-ერთ სტატიაში, მაგალითად, ვკითხულობთ: „კლასიკოსების მიზანშეწონილად წარმოებული აგტიკოზა — ამავე დროს არის თანამედროვე მწერლობის აგტიკოზა. ამ გზით გაიზრდება მასების ინტერესი ლიტერატურისადმი და საერთოდ კულტურისადმი. ამიტომ კლასიკოსების მასებში ვატანა — კულტურულ რევოლუციის ერთ-ერთი მომენტთაგანია.“<sup>29</sup> როგორც ვხედავთ, სტატიის ავტორი მართებულად განმარტავს კლასიკური მემკვიდრეობის როლს სოციალისტური კულტურის მშენებლობის პირობებში.

წარსულის კულტურისადმი დამოკიდებულების საკითხში ყველაზე მეტად სცოდავდნენ პროლეტარმწერლები, რომლებიც ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონის პრეტენზიით გამოდიოდნენ. მათ ეგონათ, რომ პარტიის გეზს ატარებდნენ ხელოვნებაში. ისინი აყენებდნენ ასეთ დებულებასაც კი: „საქართველოს რეპეტიორმა წარსულმა დატოვა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მხატვრული ნაშთები.“<sup>30</sup>

რასაკვირველია, ეს იყო აშკარა ვულგარ ზატორული გამოხადობა საქართველოს გმირული

წარსულისა და მხატვრული მემკვიდრეობის მიმართ. ამ შემთხვევაში საცხებით დაეწეებოდა ისტორიული სინამდვილისა და ძველი ხელოვნების ძეგლების შეფასების ობიექტური კრიტერიუმი, რასაც გვთავაზობს მარქსისტული მეთოდოლოგია.

„მუზისა და აკაკის მეთოდით წერის დრო წავიდა. ამას შეგნება უნდა.“<sup>31</sup> — გაძახოდა პ. ჭიჭიძე. მაინც, საინტერესოა როგორი იყო ეს „მუზისა და აკაკის მეთოდი“? ორივე ერთი: კრიტიკოსი აქ ან შთაგონების როლს უარყოფს ან წერის რეალისტურ ხერხს. იქნებ ორივეს ერთად?

უფრო დასანანი ის იყო, რომ ასეთი მცდარი შეხედულებები თავს იჩენდნენ ხოლმე პროლეტარპოეტთა მხატვრულ პრაქტიკაში. ერთი პროლეტარპოეტი თავისებური „სიმაჟაით“ მიმართავდა აღრესატს:

გრიშაშვილს კითხულობ, ვიცი,  
იგონებ ტაბიძის „მერის“  
აკაკის ლექსებსაც იცნობ  
და ხშირად „სულიკოს“ მღერი.

ეძებე! — ჩემში ვერ ჰპოვებ  
ძველ ქართულ მგოსანთა სადარს,  
რადგანაც მწრომელთა პოეტს  
მჩვევია ცხოვრება სადა.

სატრაბახო და თვემოსაწონებელი ამ სიტყვებში არაფერია. გრიშაშვილს და ტაბიძეს რომ თავი დაეანებოთ, აკაკის ლექსების კითხვა აქ ეპოქისათვის მიუღებელ, ცუდ ტონად არის გამოცხადებული. პოეტს არ სურს, რამდენიმე მინუტ ჰგადავს ძველ ქართულ მგოსანებს.

თავის დროზე კრიტიკის სამართლიანი საყვედური დაიშახურა ა. მამაშვილის ლირიკულმა პოემამ „მე და ბარათაშვილი“. მართალია, როგორც აღინიშნული ვართის ნაწარმოები, იგი ჩვენი განხილვის სფეროში არ შემოდის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მასში არა სწორი პოზიციებიდან არის შეფასებული ბარათაშვილის პიროვნება და მისი შემოქმედების არსი. ამასთანავე იგრძნობა ერთგვარი მედიდური დამოკიდებულება თანამედროვე პოეტისა გენიალური წინაპრის მიმართ.

ბარათაშვილისადმი, ცოტა არ იყოს, ირონიული განწყობა შემთხვევითი არ იყო იმ დროს ჩვენს პოეზიაში. ამგვარ მაგალითს კიდევ ვხვდებით. ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ: „ბარათაშვილი! დაუეჭი მაზუთის მერნებს რომ პესი-

<sup>28</sup> პ. ჭიჭიძე, „მნათობი“, 1929, №7 (ზიბლიო-გრაფ ა), გვ. 218.

### გრიგოლ ხრახუაძის

ბიოგრაფიული მონაცემები  
თბილისის უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკის მუშაკი

<sup>29</sup> ნიკოლოზ შენგელია, სათაურა „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, 1924 წ., №1.

<sup>30</sup> ბესარიონ ელენტი, კლასიკოსები და თ ნამედროვეობა „ქართული მწერლობა“, 1923, №11-12, გვ. 171.

<sup>31</sup> პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი (მანიფესტი) „პროლემათ“ 1925, №1, გვ. 4.

მიზმი მოვიჩინოს ამ ინდუსტრიამ<sup>32</sup> ამ სიტყვების ავტორს ალბათ ეგონა, რომ დიდი პოეტის პესნიში ზედამიბრული იყო და არ ემყარებოდა ღრმა ეროვნულ ტიპილზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეროვნული ნიჭილიზმის საპირისპიროდ პროლეტარეთა შემოქმედებაში შეიმჩნევა განსაღი მოტივებიც, რაც სამშობლო ქვეყნის სიყვარულს და სახელოვან წინაპართა ამავის აღიარებას ემსახურება. ახლანდელ დასახელებულ ა. შაშვილის ნაწარმოებში, მაგალითად, ნათქვამია:

საუკუნებზე მარად ივლიან,  
ვინც ხალხის გულში დასდგა კარავი,  
ცოცხლობს აყავი, ვეჟა, ილია,  
წარსულის ფერფლით დაუფარავი.<sup>33</sup>

ახალი ქართული ლიტერატურის დიდი სამეულის ამ კონტექსტში მოხსენება ნიშნავს მათი მთლიანობის აქტუალურობის დაფასებას ქართველი ხალხის სოციალური განვითარების ახალ ეტაპებზე.

საინტერესოა, რომ ვეჟა-ფშაველას მიმართ არც ერთი ლიტერატურული დაჭყულება არ იყო გულგრილი. მას თითქმის ყველა თავის შემოქმედებითს მაგალითად მიიჩნევდა. როგორც ცნობილია, ჩვენი სიმბოლიკები ვეჟა-ფშაველას იმთავითვე თავიანთ წინამორბედად თვლიდნენ. ხოლო ოციან წლებში აქ მათ შეეცოდნენ „ფუტურისტები“. მათი განცხადება ამ შემთხვევაშიც არ იყო მოკლებული „ორიგინალურობას“: „სანტიმენტალური დილოჯი კეჰს უშლიდა მხოლოდ ერთს. ეს იყო  $H_2SO_4$  — ის ძირი ვეჟა-ფშაველე“<sup>34</sup> — წერდა ერთ-ერთი მთავანი. ვეჟასადმი ასეთი ყურადღება იმ დროს ნიშნავდა მისი გენიის საერთო აღიარებას.

იმავე ხანებში კ. კალაძე წერს ლექსს, რომელშიც თბილისის წარსულისა და აწმყოს ამსახველი სურათები ისტორიზმის პლანშია ერთმანეთთან შეპირაბიერებული. ავტორი ამქვად ნებს ქრისტიანობისათვის წამებული გმირისადმი გულისხმეობას და მოკრძალებას: „ეხლა ზიღზე ვარ და გავყურებ ნაპრალს მედიდურს, სადაც მარხია ტფილისელი არაბის ფერფლი“<sup>35</sup>

სხვა შემთხვევაში პროლეტარეთს სწორად წარმოუდგენია ახალ ეპოქაში ძირითადი ნაციონალური თვისების ფუნქცია:

<sup>32</sup> დავით ცაგარელი, ურბანული, „დარიალი“, 1925, №1.

<sup>33</sup> ალიო მირცხულავა (მამაშვილი), მე და ბარათაშვილი, ერთთემული, 1953, გვ. 540.

<sup>34</sup> ბენო გორდუზიანი, სამი სანახაობა, „დროული“, 1925 წ., №1.

<sup>35</sup> კარლო კალაძე, ტფილისი, „დარიალი“, 1925, №1.

ლამაზ ქვეყანას სღაუნის ბუნება  
შრომის გუგუნით ზე აღმართული,  
კომუნა ტრფობით ესალბუნება  
და ისმის ძღვეით სიტყვა ქართულში.<sup>36</sup>

ძველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ტიპური განწყობილება გამოხატული აბაშელის ლექსში, სადაც ერთმანეთს ენაცვლება შიში და სიხარული, გაკვირება და იმედი. ავტორის ამგვარი გაორება მინც როგორღაც უფრო მომავლის რწმენითა დაძღვული და წარსულის გმირთა მოღვაწეობასთანა დაკავშირებული:

ბრწყინავს ჰაერში ძველ მეტროლოთა წმინდა  
კრებული  
თითქოს სრულდება მათი წყევა და დანაქადი.  
ვუცქერი ზღაპრულ გაქანებას

განციფრებული  
და შიშისა და სიხარულის მივლის ნაყადი.<sup>37</sup>

თავის ადგილას უკვე ვთქვი, რომ გ. ტაბიძის ლირიაში ოციან წლებში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნულ-ესთეტიკური მრწამსი. პოეტი ახალი ქვეყნის აღმშენებლობის პერიოდში მარჯვედ იყენებს ეროვნული ტრადიციების გამძლე მასალას და ახალი იდეების სამსახურში აყენებს მას. იგი დიდი პატივისცემით ეკიდება ძველ, საამაყო სამყაროს და შესაფერის მომენტში რომანტიკულ ბურუსში ხვევს მოვლენებს. ამის დამამტიკებელი მხატვრული ფაქტია გ. ტაბიძის შესანიშნავი ლექსი „ჩემო იარალი“. პოეტი, არჩეული თემის მიხედვით, ხელსაყრელი დრო ჰქონდა წარსულის რომანტიკის „გათანამდროვეობისა“ და ისიც ხელიდან არ უშვებს ამ შესაძლებლობას:

ჩემო იარალი! — ასე ჰადაგებდა  
ყაბახის გმირი მზგაგებდა ლომის  
ორბელიანი; რომელიც აქებდა  
ღვინოს და სალომეს.

ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი  
მიინგრა-მოინგრა, სცივათ კახურებს,  
და ნარიყალა ცრემლებით სველი,  
მატარებლების კვილს გაყურებს,  
მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო  
დამთვრალი ახალ სანახევითა  
რითი გავართო, როგორ გავართო?  
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!<sup>38</sup>

მსუბუქი ირონია ამ ლექსში ორგანულად ერწყმის ასეთსავე მსუბუქ გულისტკივილს,

<sup>36</sup> ს. ერ-ელი (ს. ერთაშვინდელი), მე-4 წელზე, „ჩირალიანი“, 1925, № 4.

<sup>37</sup> ს. აბაშელი, მეოცნების დღიური, „ახალი კავკასიონი“, 1925, 1-2.

<sup>38</sup> გალაკტიონ ტაბიძე, „ჩემო იარალი“, ლექსები, 1927, გვ. 40.





წარსულის რომანტიკული იერის გახუნებით გამოწვეულს. მაგრამ დამოწმებული ნაწარმოების ძირითადი აზრი მაინც ახალი დროით აღძრული გაცემებით განისაზღვრება.

როგორც ვნახეთ, ეროვნულ-შემოქმედებითი კრედოს შემუშავების და წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების მხრივ ოციანი წლების ქართულ ლირიკულ პოეზიაში საესკები გარკვეული წინააღმდეგობები არსებობდა. აღნიშნული საკითხის სწორი პოეტური ინტერპრეტაციის პარალელურად არა-ინვითად გვედებოდა უმართებულო მხატვრული გააზრებები, ხოლო ზოგჯერ კი ვულგარიზატორული შეცდომებიც. ასეთი არასახარბიელო ვითარების მიზეზი იყო, ერთის მხრივ, რევოლუციამდელ პოეტურ ძალებში შემორჩენილი ძველი შეხედულებები, ხოლო მეორე მხრივ, პროლეტკულტისა და რაბპის მიერ შექმნილი გაუგებრობები. უფრო სახიფათო იყო ეს უკანასკნელი, რადგანაც ზოგჯერ მათი არა სწორი მოსაზრებები სახელმწიფოს მხატვრული პოლიტიკის იარაღივით საღებოდა. მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პროლეტკულტელთა შეცდომებს არავითარი საყრდენი არ შეიძლებოდა ჰქონოდა პარტიის სახელოვნო პროგრამაში.

მართალია, პროლეტკულტელთა და რაბპელთა საქმიანობის ძირითადი პათოსი კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებას გულისხმობდა, მაგრამ ისინი გადაჭარბებით აღუსებდნენ თავიანთ როლს ახალი კულტურის შექმნაში, არაფრად ავდებდნენ და მტრულად მიჩნევდნენ სხვა ლიტერატურული ძალების შრომას, ეგონათ, რომ მხოლოდ თვითონ იყვნენ პარტიის სამხატვრო პოლიტიკის წარმმართველნი. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ პროლეტკულტელები, ასე გასინჯეთ, ანგარიშს არ უწევდნენ ვ. ი.

ლენინისა და რკპ (ბ) ცკ-ის მითითებებსა და დღენილებებს და თვითნებობას ინტენსიურ კულტურის საკითხების მოგვარების დროს პროლეტკულტისა და რაბპის ასეთი მოქმედების უშუალო გამოძახილი იყო, რასაკვირველია, საქართველოში შესაბამისი ლიტერატურული ორგანიზაციების ზოგიერთი შეცდომა.

პროლეტკულტელები და რაბპელები შეცდომით განმარტავდნენ საბჭოთა სახელოვნო კურსის ზოგიერთ პუნქტს. მათ, მაგალითად, არა სწორად ესმოდათ რევოლუციური ეპოქის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ძველის, დრო-მოჭმულის ნგრევისა და ახლის შენების შესახებ. ახალი საზოგადოებრივი განვითარების ამ მართებულ ტენდენციას ისინი მექანიკურად ნერგავდნენ მხატვრული შემოქმედებისა და საერთოდ კულტურის სფეროშიც. ამ ვითარების შედეგი იყო მათი უმართებულო პოზიცია პარტიოტიზმისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოულოდნელო არ იყო იმ რთულ ისტორიულ სიტუაციაში, როცა მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლა. გასაგებია, ახალი ყოფის რევოლუციური დამკვიდრების პირობებში შეცდომებისაგან დაზღვევა მეტად რთული საქმე იყო. სულ მალე პროლეტკულტისა და რაბპის წარმომადგენლები სხვა სამწერლო ძალებთან ერთად ცხოვრებისეული განვითარების ზეგავლენით ასწორებენ თავიანთ შეცდომებს და წინ სწივენ სოციალისტური კულტურის მშენებლობის საბატიო საქმეს.

<sup>39</sup> История русской советской литературы, т. I, Москва, 1967, გვ. 627.



## ბიოგრაფიული ნოვანიკა

# მუხრან მაჭავარიანი

„თქვი“ თქმასთან არის დაკავშირებული. მ. მაჭავარიანს ჭეშმარიტად მომადლებული აქვს თქმის, მეტყველების, ტკილიქართულის ნიჭი. თავისი შინაგანი ბუნების, აზრის, სათქმელის, განწყობის, მიმართების და საერთოდ სულიერი შემოქმედების გამოვლენას მ. მაჭავარიანი მართლაც შესაფერისად, ზუსტად და სრულყოფილად აღწევს თქმის ხელოვნებით. ამ სიზუსტის წყალობითაა, რომ მისი ფრაზა უწინარეს ყოველისა არის მართალი, ქმედითი და ღირსეული. არ შეიძლება ხაზი არ გავსვას ამ ადამიანის არაჩვეულებრივ პატიოსან და გულწრფელ დამოკიდებულებას სიტყვებთან, ქართულ ენასთან. ამ დამოკიდებულებაში უპირველეს ყოველისა არ იგარანობა იძულება თუ ძალდატანება. აქ არც ცალკეული სიტყვების სიყვარული არის — ახალი იქნება ის თუ ძველისძველი. — ეს არც ფრაზების, ქტვების, რიტმების, ალიტერაციების თუ ენის სხვადასხვა სამკაულებრივ ნაწილთა სიყვარულია. ამ სიყვარულში ენა არამც და არამც არ ნაწილდება. უფრო ეს ენის ერთიანი, თვითმყოფი სულის სიყვარულია, ანუ არამართო სიყვარული, არამედ ამ ენის ჭეშმარიტი დაფასებაც და ღირსეული აღიარებაც. ამ დაფასებასა და აღიარებაში გვინდა იმას გავუსვათ ხაზი, რომ იგი სუბიექტური, პირადული და რამდენადმე აკვიტებული კი არ არის, როგორც საერთოდ ხშირად ხდება ხოლმე სიყვარულში, არამედ გარდა ასეთი სიყვარულისა, აქ არის ამ ენის ქვეშეცნეული ზუსტი და ობიექტური ცოდნაც, ე. ი. სიბრძნე. ენის ასეთი აღიარება წელში მართავს ადამიანს, შეგნებულ მოქალაქედ წარმოაჩენს მას და თავისივე სიტყვის პატრონად ხდის, როგორც ძველები ამბობდნენ და ამით აღნიშნავდნენ მოქმედის სათქმელისა და ნათქვამის აბსოლუტურ სიზუსტეს, იგვიგობას. ამ დროს სიტყვა არამც და არამც არ შეიძლება იყოს სამკაული. აი, სწორედ სიტყვის ამ არავასამკაულებრიდან იწყება მ. მაჭავარიანისეული ცოდნა და შეგნება ენისა. ბუნებრივად მოკიდებულებაში თვითთული სიტყვა იმ მთავარი და ჭეშმარიტი აზრიდან იხსნება და გამოიყენება, რა აზრსაც ეს სიტყვა ატარებს სინამდვილეში. უფრო სწორად, მოქმედი ძლევს სიტყვის ყოველგვარ ხიბლს — მისი სილამაზე იქნება ეს, სიძველე, გაუცქეთლობა, ელვარადობა, იღვწალება თუ გამოუთქმელი მიმზიდველობა; მოქმედი არ აირევა, არამედ ყოველთვის გარკვევა არამართო თვითთული სიტყვის ცოდნაში, არამედ იმ მრავალმხრივ, წვრილმან და თითქმის უხილავ მიმართებებსა და ქვეშინაარსებში, რასაც ორი სიტყვის კავშირი, ურთიერთობა თუ დაუღლება წარმოშობს ხოლმე. — სიტყვები თითქმის თავისით მიეზიდებიან ერთმანეთისაკენ. (უფრო თვალსაჩინოებმისათვის ვთქვათ, მაგალითად, „საღამოს ხავერდოვნება“, სადაც ცალკე აღებული საღამო და ხავერდოვნება სხვადასხვა გარკვეულა და დასრულებული შინაარსის ნატარებლებია, ხოლო ურთიერთდაუღლებით ისინი მესამეულ მიმართებებს და შინაარსებს ჰქმნიან ნაყოფიერებით. ეს ორი სიტყვა საღამო და ხავერდოვნება ერთმანეთისაკენ მიეზიდებიან იმ ძალით და იმდენად, რამდენადაც ხავერდშიც არის საღამოს მოლამუნე სირბილე და საღამოში ხავერდის გარბილებული სიჩქმე. ამ მიაზლოებით ურთიერთმსგავსებასთან მოსდევს არამსგავსების ნისლი და ბუნდოვანება, რადგან ხავერდი შინც სხვა არის და საღამო სხვა, როგორც შეუცნობელი ქვეშინაარსი. ხოლო ამ მსგავსებისა და არამსგავსების უფაქიზესი მოდულაციები ათსგვარ საღამო მიმართებებსა და მოძრაობებს იწვევს. — პოეტები და მით უმეტეს თანამედროვე სიტყვის ოსტატები, გრძნობენ რა სიტყვათა ასეთ მიზიდულობებს, ხშირად შორეულ მსგავსების ან ნებისმიერ სიტყვებსაც კი უღუღლებენ ერთმანეთს). სიტყვათა ასეთი ურთიერთობის დროს, იმდენი ახალი და მრავალი ქვეშინაარსები,



ელემენტალები წარმოქმნიდნენ, რომ მთქმელს უტირს თავი გაართვას მათ და ზნდება და თავისი მთავარი (ანუ რისი თქმაც მას თქმანდეს სურდა) სათქმელი აზრიდან, როგორც თავისი შეგნებიდან და თვითშემეცნებიდან, გვერდზე და განზე უხვევს და უფრო სიტყვათა შემოქმედებასა და ქმნალობას ემორჩილება, პასუხის ხდება. ვერ ყოფნის ძალა განათვითულოს, დამორჩილოს და წარმართოს თვითეული სიტყვა. (ჩვენ არაფრით არ უფულებებუყვადთ სიტყვათა ასეთ დაუღლებუმეს. გასაგებია ისიც, თუ ამგვარი ურთიერთობით რამდენი შემოქმედების ძალა და ყოფითი თუ ცხოვრებისეული შინაარსი იქსოვება, რაც ძალზე ტუბილია, მაგრამ ჩვენ უფრო ევოლუციურ სინარტულდ მიგვიჩნია, როცა სიტყვები ასეთ შეუღლებასა და პირად ცხოვრებაზე მეტად კაცის ნებას ან ცნობიერების ძალას ემორჩილებიან; მაშინ ისინი იმ ცენტრალური და ქეშმარტი შინაარსიდან ელინდებიან, რაც მათ სინამდვილეში გაჩინათ — ასეთი რამ კი მათ მთქმელმა უნდა შეაძლებინოს, მთქმელს უნდა ჰქონდეს დიდი შეგნება და ნება). სწორედ ასეთ მთქმელს უახლოვდება მ. მაკვარიანი. მის სტრიქონში სიტყვათა შეუღლებაზე უფრო განთვითულება, სიტყვის ინდივიდუალობა შეიგარჩნობა და სიტყვები მის ნებას ემორჩილებიან, ანუ თავიანთ საკუთარ ინდივიდუალობამდე მალდებია.

2. მაკვარიანის სტრიქონში, რაკი სიტყვებიან მისეული დამოკიდებულებიდან მისი სტრიქონის აგებულებაზე გადავდებით, სიტყვის ასეთი განთვითულების წყალობით, ვიტყვოდით, სიტყვის მამაკაციური გახსნის გამო, უპირველეს ყოვლისა არის სინათლე და სიწმინდე. დათარგუნულია, გამათილებელი და გაიშვითებულია სიტყვების, ასე ვთქვათ, ერთგვარი პირადობა, ცხოვრება და ტუბობა, და ყოველივე ამით გამოწვეული სირთული, ინერტულობა, მატერიალიზაცია და სტატიურობა, და სტრიქონს, რაკი იგი კაცის ნებას ემორჩილება და კაცის აზრის გამტარია, ენიჭება ამ აზრის ელვისებური დინამიკა, უხრწნადი მატერიის თვისობრიობა და სიკაცისავე.

რა თქმა უნდა, მის სტრიქონში არის სიტყვათა ზემოხსენებული დაუღლებუბიც, მაგრამ ისინი სუსტია და არ არის ზაზგამტლი. სამაგიეროდ, მრავლად და ჰარმად არიან სიტყვათა სხვა ჯურის კავშირნი. ასეთ სხვაგვარ კავშირში სიტყვები ერთმანეთისაკენ თავისით კი არ მიიზიდებიან, კი არ ანაყოფიერებენ ერთმანეთს და კი არ ბარტყობენ, არამედ კაცის შეგნებასა და ნებას დამორჩილებულნი, საკუთარ ინდივიდუალობამდე ამაღლებულნი უფრო დიდ შინაარსს ემსახურებიან. სიტყვათა ასეთ კავშირსა თუ თანავარსკვლავედებში იმდენად ორგანული და სისხლბორცვეულია სიტყვათა კონტაქტი, რომ ისინი, საერთოდ, აზრის უჯრედები, ქართული

ცნობიერების ფორმულები, ენისა და ერის ცნობის სატელიტებია. ჩამოთვლით რამდენიმეს კარგი დახლი დაუღვებათ, რაც მიჭვია, ღმერთმანუ ქნას, რა თქმა უნდა, რაც არის არის, ჯანი გავარდეს, თუ გული გულობს, მე შენ გეტყვი, მსგავსიც არავითარი... და, საერთოდ, ქართული აზროვნების ამ არქიტექტურისა და ჩუქურთმის ყალიბზე ჩამოქნილი მრავალი ვარიანტი: რა ჩემი ჭკუის საქმეა, წეტა, მამულა ჩემო, გილიხნს თუ გიკორს; არა, მისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი; მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა; წვერები ჰქონდა, მე მოგვედ, თხისსზე არანაკლები; არადა, უშნოდ, რომ მოვედვა ღობე და ყორეს; სიცოცხლა თუ რაღაცაა, სწორედ ეს არის; მქონია და მაქვს იმედი ჩემი ეთილიკაციობის; მაშინ დავმწოდე — დამკერფოს ხელები გულზე, ხილი ვიხილო და მებაღე თუ არ ვკითხო; შენ გეკითხები, ერთი მითხარა; თუ გული გაქვს — არ იქნება, რომ არ გვიხს გულმა რეჩხი; მიწა რომ არა, წვიმაც კი ვერ მოვიდოდა ციდანა, ვეღარ ვიგარჩო ბალახები განა ისე გავზევადდი; და სხვა და სხვა... ასეთ თანავარსკვლავედებში იმდენად დღვია სიტყვათა კონტაქტი და ერთობლიობა და ისე სწრაფად და წამიერად მოძრაობს შიგ აზრი, რომ ისინი ერთ ცნებას გამოხატავენ, ერთ, უფრო დიდ, სიტყვას ჰქმნიან; აზრის დინამიკა და პლასტიურობა აბსოლუტურია. (ეს სიტყვათა ძმობებია და არა თახებები).

დინამიკის მხრივ საინტერესოა თვითეულ სტროფის აგებულებაც. მ. მაკვარიანის სტროფი ხშირად ერთი წინადადებაა და ისეა შეკრული და შთამბეჭდავი, იმ სიმბლენზეა აყვანილი მისი გაფორმების ხელოვნება, რომ ასეთი სტროფები არ შეიძლება ქართული აზრის გამოვლენის, და საერთოდ, თანამედროვე ქართული მეტყველების ნიმუშებად არ ჩაითვალოს. არსებობს თეთრი ლექსი, როგორც ვერსიფიკაციული ფორმა, მაგრამ მ. მაკვარიანთან ლექსი მხოლოდ და მხოლოდ მეტყველების თავისუფლების ძალის განო თეთრდება, იმდენად დღვია მეტყველების პრიმატი ამ ადამიანში. სტროფებში მეტყველება, აზრი კი არ ემორჩილება პოეზიის კანონებს, არამედ, პირიქით, პოეზია ემორჩილება მეტყველებას.

ამ ქვეყნად მოსვლა ჩემი და შენი, თქვი!  
 წულე მართო იმიტომ ღირდა, —  
 რომ სიყვლილამდე  
 რაღაცას ვლი,  
 და იმის მერც  
 რაღაცა ვინდა.

ზიორგი ნიშინიძე  
 მუხრან მაშავერიანი



იმდენი კარგი ვაჟაკი მოკვდა!  
 იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!  
 მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა —  
 არც ისე იგი,  
 რაც უძვე მოხდა,  
 როგორც ის —  
 აწი რაც უნდა მოხდეს.

თუ გული გაქვს  
 არ იქნება,  
 რომ არ გიყოს  
 გულმა რეჩი,  
 არ იქნება  
 არ გვინუნოს  
 ჩვენი კუთხის  
 შნო და ეშხი:  
 წვიმის შემდეგ,  
 ხიდან წვიმა —  
 ქარის ვანო,  
 ანუ ლუშხი,  
 ჩონთოელი —  
 ქათმით ხელში —  
 მიმავალი საჩხერეში.

გაპქრა,  
 დამარხეს,  
 დამამარდა — სიცოცხლის ღირსია...  
 აღმართის შემდეგ  
 თავდაღმართზე დაეშვა ხალხი...  
 და თუ გარცნა ვერ შენიშნა ვერავინ მისი,  
 ვით თრამლის ძირას,  
 წვიმის შემდეგ,  
 ამოსულა ვარყის —  
 სამაგიეროდ, —  
 ოდეს ხორცი მიეცა მიწას,  
 ოდეს ლექსშიდა სხაურობდა პოეტის  
 სისხლი, —  
 ქვეყანა შეძრა სიკვდილმა ნისმა,  
 თხემით ტერფამდე იგრძნო ხალხმა  
 დაკარგვა მისი,  
 და სხვა და სხვა.

აქ ავტორი, ადამიანი კი არ გვეთენის პოე-  
 ზიას, არამედ პოეზია ევეთენის მას (ასეთ გან-  
 თვისუფლებას ყოველი პოეტი, თუ ვერ შეს-  
 ჭლებს, უნდა ეცადოს მაინც). პოეზია ხომ ძვე-  
 ლად მეტყველებს, თქმის სრულყოფილების  
 სურვილმა შექმნა. პოეზიის ასეთ უძველეს და  
 პირველად გაგებას ინახავს და იცავს მ. მაჟეა-  
 რიანი. რაი სიტყვა უძველესი ვახსენეთ, არ  
 შეიძლება არ გამოვეყოთ და ხაზი არ გავუსკათ  
 იმ გარემოებას, რომ მ. მაჟეარიანიში ბევრი რამ  
 არის შენახული, საერთოდ, უძველესი მსოფლ-  
 შეგრძნების გაურყენელი პრინციპებიდან, —  
 ეს იქნება უპირველეს ყოვლისა მისი ცხოვრ-  
 ბისეული რიტმი და ინტონაცია, თუ ყოფილი  
 კანონზომიერება, თავისუფალი ინდივიდუალობა

თუ მორალი, ცენტრალზეული ნებისმიერად  
 ენერგიული, ეთერული აღქმები; სხვა სიტყვით  
 ლივე ამით განპირობებული სიცოცხლის მისეუ-  
 ლი, განსაყუთრებული სიყვარული, უჭამსადესი  
 შეგრძნება ბუნებისა, უშუალო ძალისმიერი  
 გრძობები და ელვისებური, დაუნაწევრებელი  
 განცდები. — ასეთი ფორმაციის ადამიანები ყო-  
 ველთის იცავენ და ინახავენ რაღაც ღიღასა და  
 სანუეკარს... ვიებერთელა, უხარმზარი, ფართე,  
 ვანიერი — აი სიტყვები, რომლებსაც ის ხში-  
 რად ხმარობს და რომლებიც ძალის მისეულ  
 განცდებს ესაღვებთან. უამრავია ასეთი შეგრძ-  
 ნებები: აი მე ხელედი, აი მე თვალები — რა  
 ბედნიერი ვარ, იცი... ჰაერზე ვაღვამ უხმოდ ნა-  
 ბიჯებს და ნელა-ნელა ავლივარ მალა... — და  
 ამ უკიდევანო ძალის, ეთერის შეგრძნებითა და  
 სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით პოეტი  
 აუცილებლად აღწევს მარადისობის, ანუ მარა-  
 დისობის უფრო ქართული გაგებით რომ  
 ეთქვას, მარადი სიცოცხლის, მრავალგამიერი  
 ცხოვრების განუპირობებელ გამარჯვების გან-  
 ცდას. ამ განცდაში არაფერი არ არის ანალი-  
 ტური, დანაწევრებელი, დამოლო და დიფერ-  
 რენციური. მეორე მხრივ, ეს განცდაა მი-  
 ზეშიც, რომ მის ლექსებში ერთობ მტოვია ან  
 ძალზე უნიშვნელოა ანალიტური გრძობები,  
 კერძო და სუბიექტური, ეთერისაგან გამოყო-  
 ფლი ემოციები და ყველა იმ განწყობილებათა  
 მრავალფეროვნება, რაც მხოლოდ და მხოლოდ  
 მარადისი სიცოცხლის განცდის უპირობობით  
 წარმოიქმნება ხოლმე ადამიანებში. ბევრმა ეს  
 შეიძლება ნისი პოეზიის ნაკლადაც მიიჩნიოს.  
 მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანა-  
 ზე აუცილებლად არსებობენ დაუნაწევრებელი,  
 გაურყენელი, მარადიული განცდებიც და ურ-  
 ყვეი აზრებიც. მისი მსგავსი წყობის, ასე  
 ეთქვას, ფორმაციის ადამიანები კი, ვიმეორებთ,  
 რაღაცას უფრო ინახავენ და იცავენ, ვიდრე  
 ავლენენ.

სამაგიეროდ, თუ კი მის პოეზიაში არ არის  
 საკუთარ განცდათა მრავალფეროვნება, ერთობ  
 ხშირია სხვათა, ანუ დრო და სივრცეში მოცე-  
 მული და პოეტის ვარე არსებული, არა მარტო  
 განწყობილება, — არამედ სულიერ-სოციალურ  
 ისტორიკების, ცხოვრებებისა და ბედის აღ-  
 ქმაც. გვიხსენათ „სახა“, „დავითი“, „ქოლა“,  
 „ვახტანგ ნეფის ნანადირევი“, „მიწურული მე-  
 ცხამეტე სატუნისა ანუ იმერული ქელები“,  
 „პუშკინი ტფილისში“, „იყო“, „ბებები“, „პოე-  
 ტი“ და სხვა და სხვა, სადაც, მართლაც, წვერილ-  
 წერილი განწყობილებების ვარდა, უპირველეს  
 ყოვლისა არის უხარმზარი, მაგრამ შეუქმშული  
 დრო, ასევე დროის მერიდიანზე გაქრული სუ-  
 ლიერი დრამები, ცხოვრებისა და ბედის გზები.  
 და აი ყოველივე ამას, თუმცა ისინი სხვათ  
 თენით, მ. მაჟეარიანი თავისი სულიდან იქვე  
 ამოზიდავს, როგორც საკუთარ განცდას, მჯ.



ლექსში „დავითი“ ისე მკვეთრი და ძლიერია სცენის შეგრძნება, ისე უშუალო და ცხოველ-მყოფელია შთაბეჭდილება, და იმდენად სრულყოფილად არის აღქმა გაფორმებული, რომ, ჯერ, ერთი ეს ლექსი, თავისი სიცოცხლის უნარიანობითა და მოქნილობით, კუნთს ჰგავს და მერე თვითონ სცენა ენერგიულად და ეთერულად სრულიად განახლებულია:

### დავითი

„მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს ვეახელ და თავყანსა ვეც“.

დ. გურამიშვილი.

ჯდა ვახტანგ მეფე მართკა, —

უხანჯლოდ და უღაბტოდა.

მადლიდან ნახა:

სირბილით

კიბეზე

კაცი

ახტოდა.

ავარდა —

მეფეს წარუდგა

და ფეხთა მისთა წინარე

დაეძნო —

მიწას აუოცა...

ვახტანგმა:

— ნეტა ვინ არი?

ერთხანს უმხერდა ხელმწიფე

და როს უბრძანა:

— აღეკი!

წამოხტა —

წელში გასწორდა

ვეკაცი წარმოსადეგი.

შეხედა —

იცნო —

გაოცდა —

წამოიძახა:

— დავითი!

თვალწინ დაუდგა

მიწა და

ზეცა და

ხალხი თავისი.

ამ სამსტროვიან ლექსში წარმოდგენილი დრო წამამდგა დაწეხილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ამბავი და დროში ვითარდება. მაგრამ აქ დანაწევრებასა და ანალიტურ განვითარებას რამოდენიმეჯერ აღემატება შეკუმშვის, შეერთების, სინთეზის ძალა, — ეთერის ცენტრისკენული ძალა. წამი, ანუ გაუდინარი დრო.

ამიტომაც არის ეს ლექსი ასეთი ცოცხალი და ცხოველყოფილი, რაკი დანაწევრებას, უწყვეტ უწყვეტობას, დაშლასა და სიკვდილს ძღვეს მისი ცხოველური წამიერობა, ანუ განუზომელობა.

ასეა ზემოაღნიშნულ მრავალ სხვა ლექსშიც, სადაც თითქმის მთელი ცხოვრებაც და ბედიც რამოდენიმე წამშია შეკრული. თითქმის წამი, წუთი მართლა სწვდება წუთისოფელს.

ამგვარად არის აგებული თვითთული ფრაზაც და სტროფიც, სადაც ისე დიდია შეკუმშვის ძალა, ცენტრისკენული მოძრაობა და აღქმა იმდენად წამიერია, რომ ბევრი სტროფი გარეგნულად გაქვავებულსაც კი ჰგავს, ტვიფრის, ჩუქურთმისა და ყალიბის მდგრადობას უახლოვდება, ანუ ელვისებური, წამიერი დინამიკა უძრავობას ემსგავსება გარეგნულად, ისევე როგორც ქვესა თუ კრისტალში. ამ სტროფებში დინამიკა ერთდროულად, ელვისებურად არის და არ არის.

ამ დროს მის სტროფში აუცილებლად იგრძნობა ერთგვარი მოუხეშაობა და სიტლანქე (ვიმეორებთ, უკიდურესი წესრიგის გამო), სტრიქონიც თითქმის კრისტალიტით წიბოვანი და წახანგოვანი ხდება, ხშირია ფრაზის უმკვეთრესი დამუხრუჭება და პაუზა, რაც ამორტიზირებასა და უკუგდებას უფრო ჰგავს. — სათქმელი აზრი წმინდა ფიზიკურ ცხოვრებას იღებს, მინერალის მდგომარეობაში შედის და ალმასივით ბზინავს, აქედან არის მისი უძლიერესი შთამბეჭდაობაც.

მ. მაჭავარიანს ისე უყვარს ეს ტვიფრები, ყალიბები და ჩუქურთმები, როგორც ათასგვარი მინერალური ფიჭალები, კრისტალები და ქვები მეუღაბნოესა და განდევილს. წამს კრისტალები და კრისტალიტები გაქვავებული „ჩუქურთმები“ აჩერებენ და ინახავენ. ეს აზარის ქვა მარტო ჭიმიისა თუ ფიზიკის კუთხით დანახული, მეუღაბნოესათვის ეს არის ტლანქი, მოუქნელი, მკვრივი, ჭიტი, ძლიერი, შეუპოვარი... ამ გარეგნულ თვისებებთან ერთად ქვეს შინაგანი ბუნებაც აქვს — ეს არის ბრყევი, გაურყენელი, წრფელი, ალლი, მომთენინ და წმინდა, და იმდენად წმინდა, რომ იგი არის და არ არის.

ასეთ მაღალ ძაბვასა და დიდ წესრიგში იწვრთნება, ფხიზლდება და თვინიერდება თვითონ ჭართული სიტყვაც. მ. მაჭავარიანი ზუსტად ისეთის მზრუნველობითა და ხელწიფეფებით აცლის ამ სიტყვებს ინდიფერენტობას, სინარბაცებსა და სიძაბუნეს, რა მზრუნველობითაც და ხელწიფეფითაც მათ ერთ დროს აგროვებდა, ინახავდა და ახარებდა საბა სულხანი.





# მკრთალი წიგნი

ალექსანდრე კალანდაძის რომანი „მაკიზარებთან“ („მერანი“, 1969) ემყარება თავგადასავალს მერთე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში მოხვედრილი ქართული ბატალიონისა, რომელიც ფრანგი კომუნისტების ხელშეწყობით თავს დააღწევს ტყვეობას და ფრანგების, პოლონელების, ესპანელების მხარდამხარ ღირსეულად იბრძვის სამხრეთ საფრანგეთის დაბა-სოფლებისა თუ ქალაქების გათავისუფლებისათვის გერმანულ ფაშისტთა ბატონობისაგან; ცხარე ბრძოლებით გაივლის გზას მოყოლებული მთიან სოფელ ქუყვილიდან, სადაც მაკიზარები (ჩვეუბურად პარტიზანები) გაიხიზნულან, ვიდრე ქრთულზეამდე; შემდგომაც არაერთი ხიფათის, დაბრკოლების გადალახვა მოუხდება და ბოლოს შინ, სამშობლოსაკენ გაშობრუნდება. როგორც წიგნის ანოტაცია გვაუწყებს, ავტორი ამ ბატალიონის კომისრად ყოფილა.

და თუმცა ეს წიგნი ნამდვილ ამბებს აგვიხაზავს, ე. წ. „დოკუმენტური პროზის“ ფარგლებს მინც აშკარად სცილდება და დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებად გვევლინება. ავტორი ამბებს, მოქმედ პირთა თავს გადანახედს როდესაც გვაცნობს მხოლოდ, უპირატესად ნაირგვარ ადამიანებს გვიჩვენებს, მათი ხასიათის თავისებურებას, ინდივიდუალურ სულიერ თავისებებს, მათს ლტოლვას, ქირ-ფარმასა და ვანცდებს, მათს შინაბუნებას გვიმჟღავნებს. მოვლენები უფრორე ფონად გამოიყურება, ადამიანებისა და მათი ბედ-იღბლის საზრუნველ ფონად. ამგვარად, მოვლენათა კალეიდოსკოპით კი არა, უწინარესად ნაირგვარი პერსონაჟების, ადამიანთა ინდივიდუალურული მხატვრული სახეების მეშვეობით იქმნება და მხატვრული სინამდვილის ფსიქოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური სურათი. ბუნებრივია, ავტორი ცოცხალ ადამიანებს გვიხა-

ტავს (თუმცა ზოგი მათგანი — ბაბანა თუბთუხაძე, ემილ ბლანშმა, ლანუაზი, ნარეც ტიპადაც ესახება მკითხველს. ხოლო ერთ-ერთი პერსონაჟი, კრისტიანა, შეიძლება ითქვას, ხასიათადაც არის გარდასახული, რამდენადაც მთელ თავის ინდივიდუალობას, უკომპრომიზო ქალიშვილის ბუნებას მოქმედებაში ავლენს). მაგრამ მწერალი ახერხებს, კერძო პირთ ემპირიულობის ჩენჩო შემოაოცლოს და განზოგადებულ მხატვრულ სახეებად გარდაქმნილი წარმოგვიდგინოს. ამგვარმა თავისებურებამ ლიტერატურაში კარგა ხანია იჩინა თავი. ჯერ კიდევ ცვაიგი აღნიშნავდა, გორკიმ თავის შემოქმედებაში ცოცხალი ადამიანები შემოიყვანა, ცოცხალ ადამიანებს გაუხსნა გზაო. ხოლო გორკამდე ზოგი სხვა მწერლის თხზულებაშიც გამოვლენილა ზემოხსენებული თავისებურება, თვით იმ მწერალთა თხზულებებშიც გამოვლენილა, უმთავრესად ზოგად-სიმბოლურ სახეებს რომ ქმნიდნენ, წინასწარვე დასახულ რაიმე იდეას რომ ასხამდნენ? ხორცს. მაგალითად, „იდიოტისა“ და „მშები კარამაზოვისა“ ავტორი ერთი ამგვარ შემოქმედთაგანია, მაგრამ მან „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“ რომანში, რომელიც თავად ავტორის მიერვე კატორღაში უშუალოდ ნანახისა და ვანცდისის მხატვრული უქუფენაა, სწორედ ცოცხალი ადამიანები გამოიყვანა, ოღონდ ცხადია, ზოგად აზრის შემცველ მხატვრულ სახეებად გამოკვეთილი. ასეთები არიან, მაგალითად, სუშილოვი, აკიმ აკიმიჩი, პეტროვი...

რომანის მოქმედ პირთაგან ყველაზე უფრო ვრცლად და სრულად თვით მთხრობელის, ანუ ავტორისა თუ მისი ორგულის შინაგანი სამყაროა წარმოჩენილი. ამის მიზეზი ის კი არ არის, თითქოს ავტორი თავისი პიროვნების წინ წამოწევას ესწრაფოდეს პატრიმოყვარობის გრძნობით უპყრობილი. ამგვარი წამოწევამგებინა მისთვის, სწორედ რომ უსამართლობა



იქნებოდა. საკუთარ ავ-იარაგის განჩხრეკას იგი ფრთხილად გულსაძლიოდა, ასე გასინჯავით, მკაცრი კია. ხოლო სხვათა, სიმაძაძით გამოჩენილთა, შარავანდით შემოსვისას ფერებს არ იშურებს. მთხრობელის სახე, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას, რაკი მრავალმხრივ და ღრმად გვაცნობს აღმამინის შინაგან „მეს“, იმგვარი სასრულთა და ისე ახლოა, ინტიმურად გვაცნობს, რომ პერსონაჟთა ძირითადი სახეების — ხასიათისა ან ტიპის — ჩარჩოებში ვერ თავსდება და თავისი არსებითი ნიშან-თვისებებით პიროვნებად წარმოგვიდგება (პიროვნება, როგორც უნივერსალური სახე პერსონაჟისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და იკვირებს ადგილს ლიტერატურაში. უკვე პიერ ბუშუევი და მეტადრე ლევინი დასრულებულ პიროვნებად გვევლინებიან). პიროვნებისათვის დამახასიათებელ რა არსებითი ნიშან-თვისებას გვეულისხმობთ, მთხრობლის სახეში რომ გამოვლინდა? პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამის უმძიმეს, პერიპეტეიებით აღსავსე გზაზე მავალ ავტორს იმის ენის მიხედვით შეჩვენია, ამ გზას უქვეროდეს, როგორც თავისებურ ანპარუზს, სადაც საკუთარი თავი უნდა გამოსცადოს, თავისი სულიერი შესაძლებლობანი შეამოწმოს; ის იღვალა, რაც ოდესღაც გაუძვალარბილებია, არა მარტო გულში ატაროს, შეძლებისდაგვარად კიდევაც განახორციელოს; მისი ხასიათი ამხელს იმ აქტიურ საწყისს, იმ ნებას სიცოცხლისა, რაც საამისოდ საჭიროა.

ერთ-ერთი მთავარი თვისება, ამ პერსონაჟს რომ ახასიათებს, ეს არის შეცნობა თავისი თავისა, რაკი იწყება თავის თავზე დაკვირვებით, საკუთარ გრძნობებში გარკვევით. თვითდაკვირვების მოწმენი პირველად ვხვდებით ერთ-ერთი ტყვე ქართველის, ხაზაზიშვილის, სიკვდილით დასჯის აღწერისას. გორელი ვაჟაკი კობა ხაზაზიშვილი თანამოძმეთა თვალწინ, საჯაროდ უნდა დახვრიტონ (სიკვდილით დასჯის იმითომ გადაუწყვეტენ გერმანელები, რომ მთელ დღეს მწყობრთან ერთად ლასლასით ილაგაწყვეტილი და დასიცხული, შესვენებისას ღია ონკანს მიეტანება წყურვილის მოსაკლავად; გერმანელი ზედამხედველი გაგდებას დაუპირებს, ხაზაზიშვილი გაუძალიანდება; ბოლოს კონდახების ცემით მოაცილებენ ონკანს). უიარაღო, ფეხშიშველი ტყვე ქართველი ათასეული უძღვრია, რაიმე იღონოს სასიკვდილოდ განწირული თანამოძმის დასახმარებლად. ამ ამბის დამსწრე ავტორი ასე გადმოგვცემს თავის სულიერ მდგომარეობას: „თითქმის ბურანში გიყავი, ყური მიფუთოდა, საკუთარი თავისადმი ზიზღის გარდა გერაფერის ვგრძნობდი, უმწეობის ბოღმა მხარხობდა.

თავის თავის უბოძოდ შემაზიზღი ყოფილა,

როცა თვალწინ აღმავფოთებელ უსამართლობას სჩაღიან, შენ კი დუმხარ, არ შეგიძლია, გულმკერდსა სარჩლო ებედუღს.“

ამგვარ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, იმას სჭერდებიან, რომ მოძალადე შეაჩვენებენ წოდებ. ხოლო ზიზღს თავის თავისადმი მსგავს შემთხვევაში ის იგრძნობს და ამ გრძნობას ის გამოამხუერებს, ვინც, ჭერ ერთი, ფრთხილ მალალ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ სინდისს და, მეორეც, შეუძლია უღმობლად განსაჯოს საკუთარი თავი. ავტორისეულ თვითანალიზს საერთო არა აქვს რა ფსიქიკის ხვეულებში თვითმიზნურ ქექვასთან. ეს უფრო შინაგანი ხმაა, რომელიც მოვიწოდებს, გაბედულად უსწორო თვალს საკუთარ თავს, გააჩირო შენი ავი და კარგე, ღირსება თუ ნაკლი, ხოლო ამის აღუქმელზე დასაბამი ეძლევა სწრაფვას ზნეობრივი სრულყოფისაკენ. ამ თვალსაზრისით ორი გრცელი ეპიზოდია რომანისა მეტად საყურადღებო. პირველ ეპიზოდში მოთხრობილია, როგორ გაასამართლებს სახელდანელოდ შეკრებილი მაკიზართა საველე ტრიბუნალი პარტიზანთა მეკავშირეს, გერასიმ ივანატიჩს. მას ლალატში დასდებენ ბრალს და სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ... თურმე პარტიზანთა მეკავშირე გერმანელებს შეუპყრიათ და მაკიზართა ადგილ-სამყოფელი მიგვასწავლეო, უბრძანებიათ. რაკი ვერ გამოტყუნიათ, ცოლ-შვილი დაუპატიმრებიათ და უწყამებიათ. ბოლოს თვითონ იგი და მისი უმცროსი ქალიშვილი შანთონ იძულებულუყვით თავი თავზე ეხალათ და ასე დახოცილიყვნენ. გერასიმ ივანატიჩმა ვერ აიტანა ქალიშვილის წამება და გერმანელთა დამსჯელ რაზმს ეუკვეთისაკენ, მაკიზართა ბანაკისაკენ, წაუძღვია. თუმცა იმდენი შინაც მოახერხა, ბანაკს მიახლოებულმა ყვირილი მოირო და გუშავებს ცეცხლი გაახსნევინა. ეუკვეთილი საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მრავალი პარტიზანი დაიღუპა, ქალი და ბავშვი მოიხრა... სასიკვდილო განაჩენს ტრიბუნალის სხვა წევრებთან ერთად მთხრობელიც მისცემს დასტურს. განაჩენის აღსრულების ხელმძღვანელობასაც მსვე მიანდობენ. მაგრამ დახვრეტის ადგილისაკენ მიმავალი გზა სიკვდილმისჯელზე მეტად თავადვე ექცევა გოლგოთად. თვალწინ დაუდგება გერასიმ ივანატიჩის „ზიზღნარევი სიბრაულულით“ მომზირალი სახე, დახვრეტის წინ, გაჭრილი სამარის პირას მდგარს რომ ჰქონდა, და „ამბობებუი სინდისი ქვენჩის“, ზნეობრივად იტანჯება. თავის თავსა თუ ორადს ენაექრება: „სიცოცხლე მოუესპეთ, რადგან სრულყოფილი ადამიანი, იდეალური პიროვნება არ აღმოჩნდა. ნუთუ არის მომენტები, როცა არა-

**თენგიზ ჩხიძე**  
მარტალაი წიგნი



სრულყოფილება მომაკვნივებელი დანაშაუ-  
ლია?!" აბრაფად ჩაავდნ კაცის სიცოცხლე?!  
ათასჯერ უფრო მეტი მოსთხოვე მას, ვიდრე სა-  
კუთარ თავს მოსთხოვდი?! შეგეშინდა, რომ  
გამოსარჩლებით შენთვისვე არ დაეწამებინათ  
სულმოკლეობა და მერყეობა?! "მერ და მერე  
სულ აღარ ზოგავს თავს: „მშოშარა და პატივ-  
მოყვარე კაცი ყველაზე უღმრთესი მსაჯუ-  
ლია!" „ღმერთმა ნუ ჩავაგდოს მშოშარა და პა-  
ტივმოყვარე კაცის ხელში". „აეი მოსამართლე  
ყველა მკვლელზე უარესი ბოროტმოქმე-  
დაა...! ამ დროს საბა თურმანია გამოჩნდება,  
ეს თითქოსდა მისივე განსხვავებული სინდი-  
სის ხმა, და თავისი შეგონებებით შიგ გულში  
დაუტრიალებს შამფურს. თურმანიასთან მოკა-  
მათე უფრო და უფრო რწმუნდება, უმართებუ-  
ლოდ მოვიქცევიო, ვინ იცის, მოლაღატის დამს-  
ჯელი მეთქმის, თუ კაცისმკვლელო. და რაც  
უფრო რწმუნდება ამასი, მით უფრო ხელდება,  
უკმეხად მოიშორებს თავიდან აბეზარ მოპაექ-  
რეს. ჭეჭრებობით იგი არ ყრის ფარ-ხმალს.  
მაგრამ მკითხველი ატყობს, ეს მისი „გამარჯვე-  
ბა“ პიროსის გამარჯვებაა...

გამოხდება ხანი და მსგავსი ვითარება კვლავ  
განმეორდება. ისევ სახელდახელო ტრიბუნალი.  
ისევ სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება,  
ამჯერად ქურდობისათვის (ქართველმა უცხო  
ქვეყანაში „თავი მოგვკრა და პასუხი აგოს“.  
„თითო-მითოა წუნკალს ნებას არ მიეცემ, რომ  
საფლავიდან ამოვადონ ჩვენი შეგობრები, ნამუ-  
სი შეუგინონ გვირულად დაღუბულ ამხანა-  
გებს!"). მაგრამ აქ უბრალო ფრანგი ხალხი გა-  
მოესარჩლება დამნაშავეს: მოპარული ფული  
უკანვე დააბრუნებინეთ, ხელს კი ნუ ახლებთო.  
საბა თურმანიას მეცადინებობა და რიგითი  
ფრანგი ადამიანების მეოხებით კომისარს (იმავე  
მთხრობელს), არა მარტო უკან მიაქვს გადა-  
წყვეტილება, მასში გარდატეხაც ხდება. მკითხ-  
ველს საყრა, რომ ამიერიდან, თუ კვლავ კაცის  
ყოფნა-არყოფნას შეეხოს საქმე, ყალბი თავმოყ-  
ვარეობისა თუ სიამაყის გრძნობა სინდისის ხმას  
ვეღარ დაუღუბებს. თითქოს ზნეობრივადაც გა-  
ნიწმინდება, თავისებურ კთარზისს განიცდის.  
„მშადლოთ, მპაატოე, ბიძია საბა!“ — ეუბნება  
საბა თურმანიას, და ეს მადლობაცა და პატივ-  
ბის თხოვნაც ამ კთარზოსს მიგვანიშნებს.

რომანში აღწერილია ხსენებული პერსონა-  
ჟის ვნებათაღელვაც, რაიც ყველაზე უფრო ნათ-  
ლად გვიჩვენებს ხოლმე სულს ადამიანისა. ეს  
ვნებათაღელვა (უფრო ზუსტად, ავტორისავე  
გამოთქმით — „ქრძალულების აღმაფრენა“)   
ვლინდება ქალისა და ვაჟის სიყვარულის სახით.  
იგულისხმება ზემოხსენებული პერსონაჟის სიყ-  
ვარული ფრანგი ქალიშვილის იგეტა ვენიზე-  
სადმი. ოღონდ ეს იმგვარი ტრფიალია, მეტრ-  
ფეს რომ ცხოვრების აზრს შეაცნობი-

ნებს. ამ აზრს იგი იმაში ხედავს, რომ ყოველი-  
ვე მოიმოქმედლოს, რათა სხვას, საყვარელს პრეს-  
ბას, ზედისაგან შეჭირებულ ქალშვილს შეეწი-  
ერება მიანიჭოს. ხოლო ცხოვრების აზრის ძიება,  
სწრაფვა უმძლესი მიზნისაკენ, ამ მიზანთან  
მიმართება ერთ-ერთი არსებითი ნიშანია პი-  
როვნებისა.

იმავე დროს ეს პერსონაჟი პასიური აღმქმე-  
ლი როდია გარესამყაროში მიმდინარე ამბები-  
სა; იგი ესწრაფვის მოვლენათა განვითარების  
კვალდაკვალ გაიზაროს, გონებით განწყობი-  
ტოს ამ მოვლენათა შინაარსს; შეიქმნას საკუთარი,  
პირადი გამოცდილებით შემოწმებული შეხე-  
დულება ვატიკოზზე, ადამიანისა და საზოგადოე-  
ბის რაობაზე. ამასთან ერთად, მკითხველს სა-  
შუალება ეძლევა, თვალი გაადევნოს ხსენებულ  
პერსონაჟს ისეთ მძაფრ ვითარებაშიც, როცა  
გონება გამოთიშულია და ინსტინქტილი ფიზი-  
კოლბს, როცა ნამდვილი და ზმანული ერთმა-  
ნეთს გადახლართვია. ამ მხრივ საკულისხმოა  
ეპიზოდი, სადაც ხსენებული პერსონაჟი, ყუ-  
კევილიდან ლტოლვილი, ვიორის ხეობაში მი-  
იკვლევს ზვას ლამის ბინდ-ბუნდში, მთავრის  
მკრთალ შუჭზე, გერმანელთა მღევარი ელან-  
დება და, ერთი პირობა, „სულმოკლეობასაც“  
გამოიჩენს, თავის მოკვლას დააპირებს ტყვედ  
ჩავარდნისა და წამების შემოქმადლებული. ამ  
ეპიზოდში მწერალი აღწევს იმას, რომ სიტყ-  
ვით აღბეჭდავს სიზმარ-ცხადს, აფიქსირებს უმ-  
ცირეს შეგარბნებებს.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა პერსონაჟი, რომელ-  
საც სრულყოფილად ვეცნობით: მსოფლშეგრძ-  
ნობით დაწყებული, ვნებათაღელვის გამოხატ-  
ვით ვაგრძელებული და პიროვნული მსოფლ-  
მხედველობის დღენით დამთავრებული, რაც  
მოიცავს პიროვნების შინაგანი „მეს“ საშივე  
ძირითად მხარეს (სხეული — სული — გონება).

რომანის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას  
ყუკევილის ტრაგედიის გმირი ვიან ბეროშვილი  
წარმოადგენს. იგი ერთი სოფელი ბიჭია, მშო-  
ბლიერ შილდანი კოლმეურნეობის მქოლად  
მუშაობდა; ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩუმი  
და შეუმჩნეველია. მაგრამ განსაცდელის ყამს  
გოლიათად იქცევა, ისეთ სულიერ ძალასა და  
მოსაზრებულობას იჩენს, ხალხის წიაღიდან,  
ხალხის შუაგულიდან ამოზრდილთ რომ სჩვე-  
ვიათ, ანახლად გამოჩენილი მტრის დასახვედრად  
გასაოცარი სისწრაფით აწყობს, ხელმძღვანე-  
ლობს თავდაცვას. მომხდურის პირობისი მდგა-  
რი, ჯოჯოხეთურ ორომტრიალში მოქცეული,  
ფეხს არ იცვლის ადგილიდან, ტყვიამფრქვევის  
ცეცხლი ზვას უღობავს ალყის შემორტყმის  
მოსურნე მოწინააღმდეგეს, რათა ამხანაგების  
უკანდახვევა დაიფაროს, უიარალო ქალსა და  
ბავშვს საშვილობოს გაღწევის საშუალება მის-  
ცეს. საკუთარი სისხლის ფასად იხსნის არაერთი





თანამებროძოს, არაერთი ქალისა თუ ბავშვის სიცოცხლეს. ბოლომდე თავის საბრძოლო პოზიციებზე დარჩენილს, მიმედ დუბრილს, გერმანელები იგდებენ ხელთ. საშინლად აწამებენ, მინც ვერ გატეხენ, ქედს ვერ მოახრკივნიებენ. ამ ამბის მოწმე ფრანგი ბერიქალი ყვება: „სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ნეტავ, რომელმა დედამ გაზარდა ამისთანა რკინის კაცი!“ მაგრამ ბეროშვილის სახის მნიშვნელობა განახევრდებოდა, მწერალს რომ ფაქტობრივი სიმართლე ვერ აღემაღლებინა მხატვრული სიმართლის დონემდე. ჩვენს წინაშე თანდათან იხსნება ამ გმირის ხასიათი. ავტორი ჯერ მის პორტრეტს გვიჩვენებს, გვიხატავს მძაფრ მიმენტიში, იმ დროს, როცა ძმადნაფიცის, კობა ხაბაზიშვილის, ჯერ ისევე თბილ ცხედართან უსიტყვო, მაგრამ ერთობ მეტყველ ფიცსა დებს, მტრის ჯავის არ შეგაკუმეინებთო. აი, ეს პორტრეტი: „დევის ნაგლეჯი იყო. ჩოხასავით აკვალთულ, თხელ ფარჯაში გასასროლად მომზადებულ ისარს ჰგავდა. გულმკერდი ისე ჰქონდა ჩამოსხმული, გეგონებოდა, ტინის პერანგი აცვიო. ლეგა, ეანგარო სახე გასციებოდა და თვალებიდან ცეცხლი უჯვავსავდა. ცრემლი დიდი ხანია გამშრალი ჰქონდა ყველას. ბეროშვილი დაიხარა, ტუჩი მოიკვინტა, ძმადნაფიცს პერანგის საიქმე მოახია, სისხლში გაედინა და ჯიბეში ჩაიღო. ეს რაღაც შემადრწუნებელი ფიცი იყო. ბიჭებმა უსიტყვოდ შეხედს ერთმანეთს. ეს უბედური აღამიანზე განუყრელად დაამოზიდა ათასგვარმა ტანჯვა-წამებამ. ტყვეობამ მეგობრობის რაღაც ნახე და მგრანობიარე კავშირი დაბადა. ყველა ერთ ტაფაში იწვოდა, ფერდი ფერდზე ჰქონდათ გაყრილი და ერთმანეთის სიყვარულში წამწამი დენაყათ“.

ავტორს გარკვეული ხნის მანძილზე ბეროშვილის გვერდით ყოფნა უხდება; აკვირდება, ეცნობა ამ კაცის ბუნებას; და რაც უფრო ახლოს ეცნობა, მით უფრო მეტად იზიდავს ეს გულდახტურული, სიტყვათმწიფი ადამიანი. შეუყვარდება, რადგან „მასში განუსაზღვრელ ენერჯის და გამაძაბლს შეიცნობს“. შინაგანად უყოყმანოდ (და უშურველადაც) ცნობს მის უბრაატეობას. ხოლო ეს შინაგანი ცნობა გარეგნულად კრძალვის, თავისებური, მამაკაცური სინაზის სახით ვლინდება. ავტორი მიმართავს პირდაპირს ფსიქოლოგიურ ანალიზს გმირისას, რითაც აამკვარებს მისი ხასიათის დედაქარდეს: „მას შეეძლო მხოლოდ ზიზი ან სიყვარული, მხოლოდ მტრობა ან მეგობრობა, მხოლოდ — სიკვდილი ან სიცოცხლე; მისთვის ორგანულად აღარ არსებობდა შუალედები. მას დიდი ხანია გამრობოდა ცრემლი, დიდი ხანია დადუმებოდა ენა, ეს იყო დაბნული ხანძარი, დაგუბებული ქარიშხალი, მივლემარე ველკანი, რომელიც შეუცნობელ

რიდას და მოწიწებას იწვევს. მას მარტო იმიტომ კი არ უნდოდა გატეკვა, რომ ცუდად ეტყეოდნენ, რომ შიოდა, სწყუროდა. არა! ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო ადამიანური ღირსების ძახილი!“

ხომ შემზადებულია მთხრობელი, ბეროშვილისაგან მამაცურ საქციელს მოელოდეს. მაგრამ ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ ემს საკუთარი თვალთ დანახული მინც განცდიერებს. გაკვირების წამოძახილი აღმოხდება გულში: „ნუთუ, დასაჯერებელია, რომ ასეთი განკითხვის ემს ამისთანა რამეზე (ე. ი. ოსახელობის აწიოკებისაგან გადარჩენაზე, თ. ჩ.) ფიქრობს?“. ეს გულწრფელი გაკვირება თავად შემსწრის კიდეც უფრო გაჯერებულ ბეროშვილის საქციელის სიმართლემ.

მწერალი ერთ შტრისხაც აღნიშნავს, რაც ხელშესახებად გამოკვეთს ბეროშვილის, როგორც კონკრეტული ადამიანის, ინდივიდუალობას. ეტყვიელში რომ რია-რია შეიქმნება, ბრძოლის თადარიგით გართულ ბეროშვილს, აქამდე ნიადაგ გულწათხრობილსა და კრიჭა-შეკრულს, შუბლი ეხსნება, სახეზე მომეტებული სინალისე ეხატება, რითაც ყველისაგან გამოირჩევა. ასე გასინჯეთ, მთხრობელს მხიარულად მიამატებს, ამა და ამ ადგილას დაიკავე პოზიციოთ. მთხრობელს თან უხარია თან უჯივრს, ძლივს არ გამოიქნათო. რა თქმა უნდა, ვანო ბეროშვილს ისა ჰკერის სინარულს, ეამი დადგა და მტრის ჯავრს ამოკიერითო. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ მის ბუნებას და ვერ ვიტყვით, იმ ჟურის კაცია, შურისძიება სისხლით ტკობის საღისტურ ინსტინქტს უღვიძებდესო. შურისძიება მისთვის უფროე ღირსების საკითხია, ზნეობრივი ვალია. ნურც ის დაგვიწყევდება, რომ აწიოკება ელის უდანაშაულო, უმწეო ხალხს; ხოლო ამ ხალხის ბედი რაოდენ ახლოს მიაქვს გულთან ბეროშვილს, ეს საქმით დაამტკიცა. მამ, რა ურეგია ამ მის სინარულს? აქ უნდა გავისენოთ ხაბაზიშვილის დახვერტის სურათი და იმიც, რომ იმ ხნიდან მოყოლებული ბეროშვილი კიდეც უფრო გულწახეული შეიქნება, დანა პირს არ უხსნის. ამავე დროს, ჩვენ ვიცნობთ მთხრობელის კონკრეტულ განცდას ხაბაზიშვილის დახვერტისას. და თუ ეს მთხრობელს, „აღმამუთოებელი უსამართლობის“ მაქერალს, საკუთარი უძღურების შევენებამ თავის თავისადემ „უზომო ზიზი“ აგრანობინა, რაღა უნდა ეგრანო ამგვარ შემთხვევაში ბეროშვილისთანა მონოლითური ბუნების, გაუთიშევი კი არადა, შინაგან წინააღმდეგობათა საერთოდ არმცოდნე ადამიანს? გათ-

**თენგიზ ჩხაიძე**  
მართალი წიხნი



ვითუცხოვება უნდა ეგრძნო. მის ეუცხოება თავისი თავი. და, აი, ქუქვეილი, მტერთან პირისპირ შებმისას, როცა შეუძლია თავი არ დაზოგოს! თანამომეგებისა და უიარაღო ქალბავშვის გულსათვის, იგი კვლავ პოულობს თავის თავს, ძალად დარღვეულ სულიერ პარმონიას აღიდგენს. იმ მის სიზარულსაც, მტრისთვის სამაგიეროს მიზღვის რწმენა რომ ჰკერის, ერწყმის და ავსებს ეს თავის თავის პოვნის სულიერი პარმონიის აღდგენის სიხარული.

დაბოლოს, მწერალი ამოშვლებს გვირის საქციელის ფესვებს. იგი წერს: ბეროშვილი „მუდამ ის იყო, რაც იყო და ფიქრად არ მოუვიდოდა, ყოფილიყო თავის თავზე უფრო მტერი, თუნდაც ერთი მოჩვენებითი შტრიხით შეეგვო თავისი თვითმყოფლობა. მან არ იცოდა მტრობა, არ შეეძლო ნამდვილი სიძულვილი, უყვარდა ყველა და მამინაც, როცა გაიცოფებული ტყეამფრქვევით სიკვდილს თესავდა ან საყუთარი ხელით ახრჩობდა მისთვის სრულიად უცხო ვინმეს, ისეთივე გრძნობით ექიმბგებობდა ადამიანთა შორის სიყვარულს, როგორც ბოროტი ადამიანებისგან დაბრკელებულ ბავშვებს ან პირტყევის მწვალებულთა მიერ გატანჯულ ცხოველებს ესარჩლება გულმზურვლად, შემთხვევითი გამკვლევი...“

ვანო ბეროშვილს ისე ჩინებულად ესმის კაცურკაცობის არსი და ისე პირნათლად აღასრულებს კაცურკაცობის ვალს, ბევრ ნაფიც ჰუმანისტს შეშურდებოდა.

აგტორი განასხვავებს რამდენიმენაირ გვირობას: ბევრი ბეჩავი და მშისარა შეიძლება აქციოს გვიროდ განსაცდელმა, სიკვდილის საფრთხემ, თავმოყვარობამო, გვეულებმა. მაგრამ არიან ისეთებიც, გვირებად რომ იბადებან. ბეროშვილს ამ უკანასკნელთა რიცხვს მიაკუთვნებს.

ვანო ბეროშვილის სახით მწერალმა შექმნა მომქეთათვის, კაცური ღირსებისათვის თავგანწირული, გვირული ბუნების მქონე ადამიანის ფსიქოლოგიურად დამაყრებელი, განზოგადებული ხატი.

ქუქვეილში მომზადარი ამბები კომპოზიციურ ფუნქციასაც ასრულებს, თავისებური კანონის შეკრად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ აქედან ექლევა დასაბამი მთავარ მოქმედ პირთა ნათლად გამოყვეთილ მისწრაფებას, რადაც უნდა დაუდგოდ, მოიხელთონ, დასამარონ ბეროშვილისა და ხაზაშვილის ცოფიანი მკვლელები, ბოროტების სიმბოლოდ დასახული ფაშისტები — ბაღინგერი და ჰიმეზბალუ. ვიდრე ამას არ მიადწევენ, ვნებათაღვლისაგან ვერ დატბრებიან. ეს მათი სულიერი მისწრაფება, მიზანდასახულობა სიუჟეტურად კრავს რომანში განვითარებულ ამბებს ვიდრე ტურლუხის გათავისუფლებამდე, როცა ბაღინგე-

რისა და ჰიმეზბალუს „ვეებერების“ ხელის მოთხვრილი სახეები“ სიმბოლურად ჩაეკანება უფსკრულს, მიწის პირისაგან აღიგვება.

მწერალს ემარჯვება, ამა თუ იმ პერსონაჟის არსებაში შენიშნოს და წარმოაჩინოს იმგვარი სულიერი თვისება, რაც ერთბაშადვე ახლომდისა და დასამახსოვრებელს გახდის ამ პერსონაჟის სახეს. მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟი, Savant-ი, სობონის უნივერსიტეტის პროფესორყოფილი („სწავლული“ ამიტომ შეარქვეს მეტსახელად), რომელსაც პირველად ქუქვეილს მოუკვართი თვალი, დიდხანს მხოლოდ სილუეტად რჩება. მაგრამ, აი, ქართველ თანამებრძოლებთან ერთად იგი ავტომობილით უახლოვდება პარიზს, გათავისუფლებულ პარიზს, მიატანს მის გარეუბნებს, და უცებ ჩენს თვალწინ იდგამს სულს, მუდრეგითი აღდგება. ეს დიწი, დაბრინელი კაცი მშობლიური პარიზის კვლავ ხილვისას ბავშვით აფოფინდება. ომისაგან გაუბედურებულს, ცოლ-შვილის დამარგველსა და თავად გაზეიბრებულს, უნუგეშოდ დაეარდნის, სულის სიღრმეში მინე შერჩენია წმინდა, ხალასი აღტყეობის, შემართად პოეტური აღტყინების საკვირველი უნარი. ამ უნარს პარიზთან შეხვედრა გამოამკლავებინებს, იმ პარიზთან შეხვედრა, რომელიც ცოცხალ არსებასავით უყვარს, რომლისადმიც თითქმის რელიგიური მოწიწებითაა გამსჭვალული... პერსონაჟი თავს გამახსოვრებინებს.

ნაწარმოები ლალი, ხატოვანი ქართულითაა დაწერილი (ორ-სამგან კალმისმიერი შეკლომა გაპარულა. 133-ე გვერდზე წერია არ ძალდა მიძღა, მართებულისა არ ძალმეღა 333-ე გვერდზე წერია ვ ზ ვ ართ, უნდა იყოს ვ ს ხ ე ვ ართ). აგტორი ნანახსა და განცდილს მოვეთხრობს შინაგანი მღელვარებით, თუ გნებავთ, ერთგვარი პათოსითაც, ოღონდ ეს პათოსი გულწრფელია და ყალბ პათეთიკაში არსად გადადის.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ფრანგი ხალხის სოციალური ყოფის ამსახველ სურათებზე, რაც რომანში დახატულია ძირითადად რანტი ემილ ბლანშისა და ძველ მარტოელების, პოლ ვენიხეს ოჯახების შემოხისპირებით. არ შეგებოვართ ომისდროინდელი სიფრანგეთის პოლიტიკურ ვითარებასაც, რაც უშავარესად ნაჩვენებია, ერთის მხრივ, ფრანგი კომუნისტების — ანოსა და გრანისეს, ხოლო, მეორეს მხრივ, დეგოლულების — მაიორ რომარისა და ფორესტის ურთიერთშეპირისპირებით. მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები საკმაოდ ინტენსიურად ითარგმნება და იცემა რუსულ ენაზე. ამ წიგნის გაცნობა რუსი მკითხველისათვის ფრიად სასურველია.

## შალვა შორჩიძე

# ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია

ეს უზარმაზარი ანთოლოგია, რომელიც ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური ყოფის, დიდი პოლიტიკური ძვრებისა და გარდატეხების, ახალი აღმავალი ცხოვრების ყველა ეტაპს მოიცავს 1921 წლიდან დღემდე, შეგვიძლია პირობითად ოცენავს შევადაროთ, ერთნაირად რომ ავსებულა როგორც უთვალავი მწვეანე ფლატეებიდან და ბორცვებიდან გამონაყური შენაკადებით, ისე მთებიდან და ხევებიდან მოხეთქილი წყალუხვი მდინარეებით, ხოლო ანთოლოგიაში მოთავსებული ნაწილი პოეტებისა — ოცენადან ამოზიდულ მეტ-ნაკლები სიძაღლისა და სიდიდის კუნძულებს, ნაწილი კი მუდამ ერთ დონეზე დამდგარ, მშვიდად მთელმხარე ზღვას, რომელზედაც ტიციან ტაბიძე ამბობდა: „ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა“.

ჩვენი კრიტიკის მოვალეობაა, კუნძულებივით მაღლა ამოზიდულ პოეტებს მაღლიერი სიტყვა უთხრას, ხოლო ერთ დონეზე გაჩერებული პოეტები ჩააფიქროს და გამოაფხიზლოს, მეტი პასუხისმგებლობა დააქისროს და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა გაუღრმავოს. თორემ უმართებულოდ ვინმეს წინ წამოწევას ან მიჩქმალვას ისტორია არავის აბატეებს. როცა მომავალი თაობები ქართული პოეზიის მრავალრიცხოვან, სხვადასხვა ფორმატის წიგნებზე დაკაბადონებულ ქმნილებებს / ინტერესით ვადაიკითხავენ და მათ შემომქმედთა გარდასულ სახეებს წარმოიდგენენ, უმჯველია, უპირველეს ყოვლისა, იმ პოეტების შემომქმედებაზე შეაჩერებენ ყურადღებას, რომელთა ცინცხალი სტრიქონებიდან მეტი მცხუნვარება და ფერების სიუცხოვე გამოასახივებს, ღრმა პოეტური აზრი ცოცხალი, მხატვრული სახეებით გამოანათებს და თვალმისაცემი, მშრალი რიტორიკის ნასახიც კი არ შეინიშნება.

სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა შევხედოთ წინამდებარე ანთოლოგიაში მოთავსებულ

პოეტურ ქმნილებებს. ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ და გავიზიაროთ ახალი საბჭოთა პოეზიის განვითარების გზა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე და შეძლებისდაგვარად აღვნიშნოთ, რა ცვლილებები განიცადა ქართულმა პოეტურმა სიტყვამ, აზროვნებამ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე. ბუნებრივია, ანთოლოგიაში მოთავსებულ ყველა ნაწარმოებზე ვერ შეეჩერდებით. ხოლო იმ პოეტებსა ქმნილებათა განხილვა, რომელთაც რომელიმე კუთხით მაინც ხელი შეუწყვეს ახალი საბჭოთა პოეზიის განვითარებასა და აღორძინებას, ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია. უმთავრესად მაინც იმათზე გვექნება საუბარი, ვინც იდეურ-ფორმალური სიასლითა და ახალი მხატვრული გამოსახველობითი საშუალებებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

რევოლუციის წინა წლებში, როცა უკვე აღარ იყვნენ დიდი აკაცა და ვაჟა-ფშაველა, ქართული პოეტური სიტყვის ძალა და ელვარება შეუდარებელი ემოციურობითა და შეუცნობელი იდეულობით უმთავრესად ვალაკტიონ ტაბაძის უბადლო სტრიქონებიდან გამოზრწყინდა. მაგრამ ამ პერიოდში ქართულ პოეზიას ფასდაუღებელ ამაგს სდებდნენ ჩვენი სახელოვანი პოეტებიც: ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და „ციხეგრე ყანწელთა“ მთელი ჯგუფი.

დადევთ იქ. სადაც ქარიშხალია, და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრივალებს ეწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

ამ სტრიქონებმა ტონი მისცა მაშინდელ ქართულ პოეზიას.

ახალ საქართველოში შექმნა ალექსანდრე აბაშელმა თავისი ლირიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. „მამის სიყვდილი“, „წერალი ნოე ჩხიკვაძეს“, „უცნაური ამბავი“ და „ლენინის

სოცნასა. ამ ლექსებით იხსნება ანთოლოგია და ისინი ახლაც საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოგებენ.

გახარებული თვლებით შესცქეროდა საბჭოთა საქართველოს მისი გულწრფელი მომღერალი, მგზნებარე, მებრძოლი სულის პოეტი, კეთილშობილი ადამიანი **გიორგი ქუჩიშვილი**. ანთოლოგიაში მოთავსებული მისი ლექსები კარგად გამოხატავენ პოეტის ტემპერამენტს, სულიერ სრწამსსა და მშობელი ხალხისადმი უანგარო სიყვარულს.

მათი გადაკითხვისას დღესაც სიამოვნებას განვიციდით.

ანთოლოგიის ფურცლებზე, როგორც ვხედავარ, დეკორატიული ბეჭეტი მუხა, ისეა გატოტვილი **სანდრო შანშიაშვილის** ლექსი „მუხის დაცემა ჰიპოურის ტყეში“. ეს ლექსი გვხვდება პოეტური სიტყვის ღონისა და დეკორატიული შინაგანი ენერჯით. ხოლო მსკოვანი პოეტის ლექსი „დუღისერთა ღუნინთან“ დიდხანია ქრესტომათიების კუთვნილებად იქცა და ახლაც ამშვენებს ჩვენს ანთოლოგიას ღრმა შინაარსითა და განუმეორებელი, ძნელად მისაღწევი პოეტური უშუალობით.

ი. **გრიშაშვილი** პოეტური ხმა ძველი თბილისის ფოლკლორული პოეზიის ინტონაციებზე დაამყნო და მეტად საინტერესო, ორიგინალური პოეტური სამყარო შექმნა. მისი ჯავარიანი სიტყვის მაღლი და ლაზათი დღესაც სიამოვნებას გვანიჭებს, თუმცა მის ლექსებს ახლა, ჩვენის აზრით, აშკარად ემჩნევა პოეტური წარმოსახვებისა და აზროვნების ერთგვარი სიმარტივე. რეკლუციამდე იგი ვატყობელი იყო სატრფიალო ლირიკით და მოსთვის უცხო არ იყო წვრილბურჯულაბული განწყობილებები, ეგრეთყოლებული ყარაოლული მოტივები. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან შექმნა მრავალი პატრიოტული ლექსი, რომელნიც მძაფრი, თავისებური პოეტური სიტყვის სურნელით მულამ დაამშვენებენ ქართულ საბჭოთა პოეზიას. ეს ლექსები გახლავთ ანთოლოგიაში წარმოდგენილი „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“, „სამშობლოსადმი“, „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „ვეფხისტყაოსანი და ჰიაკოკიანი“, „მეისტორივე, წიგნი დახურე“ და „გრიგოლ ორბელიანი კომპაემირის ზეივანში“.

სულ სხვანაირად აელვარდა ანთოლოგიის ფურცლებზე **ვალერიან ვაფრინაშვილის** ლირიკა. იგი მოგვევლინა როგორც ტრადიციული, ათმარცვლიანი ლექსის საუკეთესო ოსტატი, რთული პოეტური ხილვებისა და უნაზესი განცდების პოეტი. მისი მხატვრული სახეები, შედარებები მულამ მოულოდნელია, ახალი და ზოგჯერ უცნაურიც, მაგრამ ყოველთვის ზუსტად გამოხატავენ პოეტის ჩანაფიქრს.

მიუხედავად იმისა, რომ ანთოლოგიაში ვაფრინაშვილი ძალზე ძუნწად არის წარმოდგენილი, ჩვენ მაინც ვხედავთ პოეტის მკვერთად გამოკვეთილ, თავისებურ სახეს, ვგრძნობთ მისი სპეტიკი სულის სწრაფვას მაღალი შემოქმედებისათვის. „ისეთი ლექსი დაწერო მინდა, რომ არ დაშვირდეს კვლავ ლექსის წერა“, ამბობს იგი.

**კონსტანტინე ჰიქინაძის** აკვარელები—„ელებში“ მშვენიერად შერჩეული ფერებითაა შესრულებული. პოეტი ცოცხლად ხატავს ქართული სოფლის კოლორიტულ სურათებს, მაგრამ ქართულ პოეზიაში იგი უფრო ცნობილია, როგორც პირქუში, ზვიდი ბუნების, სტიქიური მოვლენების მხატვარი. ადღენად, პოეტის ლექსებს მისი საყვარელი კავკასიონის გელტიჩრებისა და თოვლიანი მწვერვალების სინათლესთან ერთად უსათუოდ დაჰკრავს ერთგვარი სიკვდილი და მაინც მთელს ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად მიგვიჩნია მისი „რიონის აპოლოგია“.

მეოცე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის **გალაკტიონ ტაბიძის** შემოქმედება (საბჭოთა პერიოდისა) ფართოდ არის წარმოდგენილი ანთოლოგიაში. მაგრამ ანთოლოგიაში შემდგენელნი მაინც დიდი სიფრთხილით უნდა მოკიდებოდნენ მისი ლექსების შერჩევას, რადგანაც გალაკტიონის პოეტი გახლავთ, რომლის ფრთებქვეშ ვითარდებოდა მთელი მეოცე საუკუნის ქართული პოეზია ორმოცდაათიან წლებამდე და დღესაც ბევრი კარგი პოეტის შემოქმედებაში იმისი მისი პოეტური ხმის ექო შორეულად მაინც. იგი იყო ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მაღალი ქართული პოეზიის, პოეტური კულტურისა და გემოვნების მეტრი. მისი პოეტური მემკვიდრეობის იღუმლება დღესაც არაა მთლიანად ამოცნობილი. ამიტომაც, ვფიქრობთ, ანთოლოგიის კოლეგიას არ უნდა შეეტანა ამ წიგნში გალაკტიონის საოცრად გრძელი ლექსი „მშობლიური ჩემო მიწა!“, „იღია“, „ართან დღენი“ და „ბორჯილის მეტის ის არაფერა კარგავს“. გალაკტიონის პოლიტიკური მრწამსი და სტივისთვის მიუღწეველი პოეტური შესაძლებლობანი კარგად მოსჩანს ანთოლოგიაში შესულ დიდებულ ლირიკულ ქმნილებებში. გალაკტიონის პოეტიკისა და პოეტური თავისებურებების შესახებ ლაპარაკი ახლა აქ ზედმეტად მიგვიჩნია.

მეოცე საუკუნის პოეზია გალაკტიონმა გადაიყვანა ახალ რუკებზე და ახალ საბჭოთა პოეზიის, პოეტურ სიტყვის სულ სხვა განათება მისცა. მაგრამ ამ საქმეში იგი მარტო არ ყოფილა. განუზომელად დიდია პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის დეკლარაციული პოეტური კულტურის ამაღლების საქმეში.





საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, როგორც კი დააღწიეს თავი სიმბოლისტური პოეზიის გავლენას, განსაკუთრებულ ენერგიით შეებნენ ისინი ქართულ პოეტურ სიტყვას. წინა მოდერნისტული ძიებანი მათ დაეშვარა ახალი საბჭოთა პოეზიის ფორმის დახვეწისა და პოეტური აზრის მრავალნაირი გამოსახველობითი საშუალებების შექმნაში. ეს ყველაფერი კარგად მოქანს ანთოლოგიაში წარმოდგენილ ლექსებში.

პაოლო იაშვილი შეგნებულად გაურბოდა პოეზიაში სხვის მიერ გათელილი ბილიყებით სიარულს და თავდავიწყებით ეძიებდა ახალ რიტმებსა და მეტრას, ქართულ პოეტურ სიტყვას მანამდე უცნობ მუსიკალურ ტონალობას ანიჭებდა. მან დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ეგრეთწოდებული თავისუფალი ლექსი, შექმნა ლირიზმით გაყვნილი, ლაღი, პოეტური სასაუბრო კილო, ლექსის თავისებური სტრუქტურული წყობა. იგი დიდი არტისტული ვარდსახვების პოეტია იყო. მისი სიტყვა ხან მომეტებულად რბილია, ხან მზესავითი ფიცვი. გამოსუნთქ ლექსი „პოეზია“. სასურველი იყო ანთოლოგიაში ისეთი მშვენიერი ლექსებიც შესულიყო, როგორცაა „დილა“, „პოეტის საქმე“, „სამსი არგვეთლი“, „მწვერვალებიდან“.

პაოლო იაშვილს ჰქონდა შეუმცდარი გემოვნება და ყოვლისმზილელი თვლი. იგი ფერწერის დიდი ოსტატი იყო...

როგორც აფრის ტაკუნნი,  
მოვარდნილი ზღვიდან,  
ისეთი ვაეკატური  
ვაქროლება მიწდა!

წერდა პოეტი და თავდავიწყებით მიეკანებოდა შალაღი პოეზიის აღთქმულ მხარისაკენ და თან მოჰყვებოდა ვარშემომხვეული პოეტების მთელი ამაღა.

ახლად მოხნული, ნოყიერი ყამირის სურნელება ახდის ტიციან ტაბიძის პოეზიას. მისი მეწყერივით მოვარდნილი პოეტური სიტყვა მომეტებულად ემოციურია და მწველი. იგი ნაღვლებად ეძებდა. ახალ რიტმსა და მეტრულ საწომს, უმოთავრესად ჩვეულებრივი აომარცვლიანი ლექსით წერდა და მაინც დიდი სიხალე მოიტანა ქართულ პოეზიაში. გამოიმუშავა რა საკუთარი მძაფრი ინტონაცია, მან ყველასაგან განსხვავებული პოეტია შექმნა. სიმონ ჩიქოვანის ვადმოცემით, იგი თურმე პრინციპულად წინააღმდეგი ყოფილა ლექსში პეიზაჟის აღწერითი ელემენტის შეტანისა. და მართლაც, ტიციანის პოეზიაში იშვიათად ვხვდებით პოეტურ ფერწერას, მაგრამ მისი სტრიქონები საოცრად ნედლი, ცოცხალი და მიმზიდველია. იგი იშვევლი, სისხლიანი ცხელი გულია. აღუვარდებია და

შედარებებს კანტიკუნტად თუ მიმართავდას ამბობდა, როგორც ხედავდა, მოსწონებოდა, მოულოდნელად და დიდ ემოციურობას აღწევდა. მის ლექსებს ისე აყრია ზორაკი, როგორც ცაში აზიდულ ნამეხარ მუხას ტანზე კოყრები და სწორედ ამ კოყრებშია ჩაბუდეებული დიდ ცეცხლი და მგზნებარება, მათი კითხვისას გულზე რომ გვეკიდება და სულს გვიშინავს. ტიციან ტაბიძის ჰქონდა ძალა მიიღოდა პორღვეული ზეავისა, სიხარული უნაპირო, ტყვილა ცასავით ღრმა. იგი ენდობოდა ამ ძალას, სიტყვას ზარმაცად ხვეწავდა, მისი ყურადღება მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ სტრაქონში სიხარულთან ერთად მეტი ტყვილა ჩაეტია და სწორედ აქ აღწევდა დიდ ოსტატობას. ამას თვითნაღვ გომიზობდა, სიხარულით შესაქცროდა ქართულ ცას და რია-რია ლექსებს წერდა. მას ჰქონდა ცხოველი ფანტაზია და ახალ საქართველოს თავდავიწყებით უმღეროდა.

საქართველოში ცოტაა პოეტი, რომელიც ასე უყვარდეს ხალხს და ეს სიყვარული მისი ალაღი გულის ბრალია. მისი სისხლმოქარებელი სტრიქონების მადლია. პოეტის აქ წარმოდგენილი ლექსები მთელი ანთოლოგიის მშვენიერებაა.

აღამიანის სულის სისხეტაკისა და წიწამურის ეროვნული ტრადიციის, საქართველოს მშვენიერი დღა-საღამოების და თოვლიანი დღეების, სიჩემისა და სისუფთავის, სიცოცხლის საყვარულისა და სამშობლოსათვის თავდადებული ემიგრების უხადლო მომღერლის — კოლაუ ნადირაძის პოეზია კარგადაა წარმოდგენილი ანთოლოგიაში. იგი საოცარი სინაზით ხატავს შრომდღერ მხარეს. იმერეთს თავისი ცისფერი ღელეებითა და ქაჯებით სავსე დიდი ტყეებით. ვისაც კი ერთხელ წაუკითხავს, არ შეიძლება არ დაამახსოვრდეს პოეტის „დილის სიმღერა“.

კოლაუ ნადირაძეს აქვს ცხოვრებისა და ბუნების ფილოსოფიური აღქმის იღუმალი გრძობა. მისი ლირიკული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები: „ზღვისთან“, „შენ ჩემში ცოცხლობ“, და „ზღვის პირას“ ამის საუკეთესო საბუთებია.

ვინც ილო მისაშვილის ლირიკას იცნობს, დაგვირწმუნება, რომ პოეტი აქ მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი. ანთოლოგიის შემდგენელ რატომღაც გამორჩენილ მისი ბევრი კარგი ლექსი და ახლა სინანულის მეტი რა გვეთქმის. მაგრამ აქ წარმოდგენილი ლექსებიდანაც კარგად მოჩანს დახვეწილი პოეტური სიტყვის ძონილობა, პოეტური აზრის სიხუნეს და უხადო ქართულით გამართული სტრიქონების ელვარება. ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსები: „უღელტეხილზე“, „მოვარება“, „მყინვარებში

**შალვა ფორჩხიძე**  
მართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია

შეხვედრა“ „ღამე ტყეში“ და „ოქტომბრის თი-  
ობას“ უსათუოდ ოსტატურად დაწერილი ლი-  
რიკული ქმნილებებია.

ჩვენი აზრით, ანთოლოგიაში სუსტად გამოი-  
ყურება ნიკოლო მიწიშვილის პოეზია. აქ თემა-  
ტიურად ყურადღებას იპყრობს მხოლოდ „პაჩი  
მურატიის მოჭრილი თავი“, მაგრამ ეს ლექსაც  
მეტად ტრადიციულად არის დაწერილი და  
ახალს არაფერს ამბობს.

ანთოლოგიაში რაღაც გვეტაძის ლექსებიდან  
უსათუოდ კარგია „ბავშვობა“, „ია მოსულა“,  
„წვიმიან ღღეს...“ აქ მოჩანს პოეტის ლირიზმი,  
გაუღწეოთილი თავისებური ნაწი, პოეტური ხმა;  
„ისე წვიმს, თითქო გუბამი ტირის...“ ანდა „ვინ  
შვილებო, ია მოსულა, მაგრამ უთქვენიოდ უნდა  
გახუნდეს“...

ტერენტი გრანელის ძალდატანებელი, ნაღ-  
ლიანი, მაგრამ საოცარი სინაზითა და დაბინძუ-  
ლი, მიმზიდველი ფერებით დაწერილი ლექსები  
შემოდგომის უცხო ყვავილებივით მოჩანან. ცნო-  
ბილია, რომ პოეტი შეპყრობილი იყო რადაციზი-  
რი თანდაყოლილი, გაურკვეველი მეღაწეოლით  
და სიყვდილამდე სიჩუმისა და სიმარტოვის, თე-  
ორი მღუშარებისა და სიმარტოვის მირაჟების  
მომღერალი დარჩა, მაგრამ მის პოეზიაში არის  
სიწმინდე და სისუფთავე კეთილშობილი ადამი-  
ანის სულისა, მწუხარებაცა და სიხარულიც, მზით  
გაბრწყინებული სამყაროს იდუმალების შეგრ-  
ძნების წყურვილით გამოაწვეული...

როცა გიორგი ლეონიძის ქუშპარიტად მალაღი  
ძაბვის პოეზიას ვკითხულობთ, გვეჩვენება, რომ  
მისი ლექსები დანადგულია ადუღებული მზისა  
და გახურებული მიწის მცხუნვარებით და ზარი-  
ვით რეკავს პოეტის ვანმეორებელი, ომბიანი  
ხმა. მისი ტევადი, ღონიერი პოეტური ფრაზა  
მუდამ ახალია და ჩახჩახა. იგი ახალი ქართული  
პოეტური სიტყვის ერთ-ერთი დიდოსტატია და  
მოჭირნახულე. მის ლექსებში მოჩანს პოეზიით  
გახარებული ადამიანის გულის ფეთქვა სიცოცხ-  
ლისა და სამშობლოს უზაღო სიყვარული.  
გ. ლეონიძე უადრესად ერთგული, თვითმყო-  
ბადი პოეტი. მის პოეტურ სიტყვას მუდამ მო-  
ძალებული აქვს ფერი და ხორცი, მაგრამ ცხ-  
ვეწა და ძერწვა არასოდეს აკლია...

გიორგი ლეონიძე საოცრად ტრადიციულად გა-  
ნიცხლდა და აღიქვამდა სამშობლოს სისხლიან  
წარსულს, მაგრამ მას არ სჩვეოდა ვულგატეზი-  
ლობა და წუწუნი. იგი ქართველი ერის დიდი  
მომავლის დიდი მომღერალი იყო.

ანთოლოგიაში შედარებით მცირე მოცულო-  
ბითაა წარმოდგენილი ჩვენი სახელოვანი მწერ-  
ლების: კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალექსან-  
დრე ქუთათელისა და კონსტანტინე გამსახურდი-

ას ლირიკული ქმნილებები. ეს ალბათ ისე, სა-  
კამიოდ! მაგრამ ამ ლექსებში მწერ-  
მათი თავისებური დამოკიდებულება პოეტურ  
სიტყვასთან. ჩვენ აქაც გვხვბლავს კ. გამსახურ-  
დიასეული სიტყვის გრძობა და სინატიფე... და  
უფრო გვიკვირს, ანთოლოგიაში რატომ არ შე-  
ტანეს ალექსანდრე ქუთათელის კოლორტილი  
ლექსები, სადაც ის მშვენივრად ხატავს ამერე-  
თის ამწვანებელი ყურსათებისა და მშობლიური  
კუთხის მიდამოებს, კერძაათის მომხიბვლელ ფერ  
ღობებსა და ატეხილ ჰალებს... ჩვენზე დაუფი-  
ყარი შთაბეჭდილება დატოვა კონსტანტინე  
ლორთქიფანიძის მეტად ინტიმური ლექსმა  
„მერის“. მშვენიერი ლექსებია აგრეთვე პოე-  
ტის „ზამთრის პირას“ და „გამოთხოვება“. ამ  
უკანასკნელში დიდებულადაა გამოთქმული დიდი  
შემოქმედებითი ცეცხლით აღგზნებული ადამი-  
ანის სინანული იმის გამო, რომ საოცრად ძნე-  
ლია და იქნებ მოუხერხებელიც ყვედაჯრის  
სტრუქტურებში გადატანა, რაც კი კაცს სიცოცხ-  
ლეში უფიქრია და განუცდია.

ზემოთ ჩვენ უმთავრესად ვილაპარაკეთ იმ  
პოეტებზე, რომლებიც ქართულ მწერლობაში  
რევოლუციამდე მოვიდნენ. მაგრამ საბჭოთა ხე-  
ლისუფლებს დამყარების პირველსავე წლებში  
ქართულ პოეზიაში გამოჩნდა მთელი რიგი ახალ-  
გაზრდა პოეტებისა, რომელთაც თავიანთი ბე-  
დი იმათივე ქართველი ხალხის აღძვარი  
ცხოვრებისა და ახალი პოეტური სატყვის გან-  
ვითარებისა დაუკავშირეს. ესენი ვახლავთ: დავით  
გაჩეჩილაძე, ვიქტორ გაბესკია, ალიო მირც-  
ხულავა, სიმონ ჩიქოვანი კონსტანტინე ლორთ-  
ქიფანიძე, კარლო კალაძე და სხვები. ეს პოეტ-  
ები მამინდელ სხვადასხვა ლიტერატურულ და-  
გუფებში ეკუთვნოდნენ მაგრამ ყველა ერთნა-  
ირად იბრძოდა ახალ, საკუთარი პოეტური სიტ-  
ყვის დამკვიდრებისათვის. და თუ ვინ როგორ  
მოახერხა ინდივიდუალური პოეტური ხმის, გა-  
ნერის საკუთარი ხელწერის გამომუშავება, ამას  
ქვემოთ დავნიშნავთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი,  
რომ ჩვენ ბოლომდე ისევე კონკრეტულად ვი-  
ლაპარაკებთ ცალკეული პოეტების თავისებურე-  
ბებზე, რომელთა შემოქმედებაზეც კი მოვახერ-  
ხებთ ყურადღების შეჩერებას ერთ საყურნალო  
წერილში, როგორც ზემოთ შევეკადეთ. ჩვენი  
აზრით, ეს იმიტომაა საჭირო რომ რაც შეიძლე-  
ბა ნათლად წარმოვიდგინოთ ანთოლოგიაში მო-  
თავსებული პოეტების ლიტერატურული პორტ-  
რეტები, ვავითვალისწინოთ ქართული საბჭოთა  
პოეზიის, პოეტური კულტურის, მხატვრული  
სიტყვის მიღწევაცა და ნაკლიც, რათა უფრო  
ღრმად ჩაუფიქრდეთ დღევანდელი ქართული  
პოეზიის მდგომარეობას, მის მომავალ პერსპექ-  
ტივებს, რახედაც ჩვენ ქვემოთ გვეჩვენება საუ-  
ბარი...



**დავით გაჩეჩილაძე** არცთუ მრავალი ლირიკულ ლექსთა კრებულის ავტორია, მაგრამ მისი პოეტური ხმა მაინც მომეტებულად მკვეთრად გაისმის ქართულ პოეზიაში. იგი რადიკალური მოწოდებითა და სათნოებთა ეკიდება პოეტურ სიტყვას და მეტად თავისებურ ლირიკულ ლექსებს ქმნის. მისი პოეტური წარმოსახვებისა და ფანტაზიის მასშტაბები საკმაოდ ფართოა და საინტერესო. პოეტმა ომის წლებიდან მოცილებული ლირიკული პოეზიის არაერთი საუკეთესო ნიმუში შექმნა. მისი ლექსი მუდამ ყურადღებას იქცევს საწუთროს თავისებური აღქმით, პოეტური თემის უჩვეულო გაშლითა და გადაწყვეტით. ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსებით პოეტი ჩვენს წინ წარმოსდგა, როგორც სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი. დასაინანი, რომ დავით გაჩეჩილაძე აქ საგრძნობლად შემეცირებულადაა წარმოდგენილი.

ამ თაობიდან ანთოლოგიაში მეტად მკრთალად გამოიყურება **ვიქტორ გაბესკირაია** და **ვარლამ ფურულას** პოეზია. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ მეტ-ნაკლები მხატვრული ლირებულების მქონე ლექსები, მათი პოეტური შესაძლებლობა, ლექსის ტექნიკური მხარე, დღეს მოულოდნელ დასაღ დონეზე აღმოხდა. ვიქტორ გაბესკირაიას ნაწი განწყობილებები, ვიწრო კანერული პოეტური ხმა აქ წარმოდგენილი ლექსებში აშკარად ვერ პოულობს შესაფერის ფორმას, ასევე თითქმის ვარლამ ფურულას ლექსებზეც, თუმცა მისი „გაწყვეტილი სიმი“ ერთ-ერთ კარგ ლექსად მიგვაჩინა.

**ალიო მირცხულავას** ბუნებრივად ამღერებულ, კლასიკური სისადავითა და უშუალოებით განათებულ პოეზიაში კარგად იგრძნობა მშობლიური ცისა და მიწის ფერი, მზის მცხენვარება და ქართული კაცის ვითარლებობა. იგი თავიდანვე მებრძოლი სულის პოეტი იყო. როცა მის ლექსებს ვკითხულობთ, თვალწინ გვეხატება ქართველი ხალხისა და ახალი საბჭოთა პოეზიის განვითარების ყველა ეტაპი ოციანი წლებიდან მოცილებული დღემდე. მან შექმნა საზოგადოებრივი, სამოქალაქო მოტივებით დატვირთული თვისობრივად ახალი ლექსი. იგი პოეტურ სიტყვას მომეტებულად თავისუფლად ფლობს და ცხოვრებისეული, ყოველნაირი პროზაული მოვლენად კი მუდამ კუშიარტი პოეზიის სიმძლავრე აყვავს და ეს პოეტის დიდი ღირსებაა გახლავთ. მას სჩვევია ცხოვრებისეული მოვლენების ჩაღრმავება და ყოველდღიური საკითხების სალი, რეალისტური თვალით აღქმა.

უცხო, ამწვანებული კენჭლივით მოჩანს ანთოლოგიაში **სიმონ ჩიქვიანის** პოეზია. მან დიდი წინააღმდეგობებით სავსე შემოქმედებითი გზა გაიარა და პოეტური სიმწიფის წლებში აღმოაჩინა და იხილა ის, რაც ჩვენს სინამდვილეში მის-

ნაირად არავის დაუხანავს და განუცდია. მჭკვეთხად, როგორც იტყვიან, მართლაც რთულად პოეტური წარმოსახვები, სიახლის დიდი გრძობა და შეუმჩნეველის ინტელიციით ხილვის განსაცვიფრებელი უნარი. იგი ითვალისწინებდა რა უფროსი თაობის დიდი პოეტების შემოქმედებით თავისებურებებს, მუდამ ახლის ძიებაში იყო და პოეზიაზე ფანატიკურად შეყვარებული, ხანტის წინ აღგზნებული მლოცველივით მუდამ უშილავის ხილვას ელოდა. და ს. ჩიქვიანმა მიაღწია იმას, რომ მისი პოეტური სიტყვა მისი ყალიბში ჩამოსხმული სტრიქონი არავის პოეტურ სიტყვასა და სტრიქონს არა ჰგავს. მისთვის შედარებით უცნობი დარჩა ქართული მუსიკალური ფორთიანი ლექსის მომხიბველულობა, მაგრამ ჰქონდა გადაძვლები განწყობილებები, საგნისა და მოვლენის ბოლომდე წვდომის ენის და ყველა-საგან გამორჩეული პოეტური სამყარო შექმნა. იგი ფერწერის დიდოსტატი იყო პოეზიაში და პოეტური აზრის სრულყოფაში პოვებდა დიდ შემოქმედებით სიზარულს. მან გაამდიდრა ახალი ქართული საბჭოთა პოეზია მანამდე უცნობი რიტმითა და თავისებური ინტონაციებით. გრძნობდა, რომ „არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების თუ სიმორცხვის ეპიპო“, როცა თავდება ყოველგვარი ექსპერიმენტული ძიება და იწყება დიდი შემოქმედებითი ამბოღება.

ცნობილია, რომ **კარლო კალაძემ** თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე მეტად საინტერესო ვერსიფიკაციული ძიებანი ჩაატარა ქართულ პოეზიაში და ამ მხრივ რამდენადმე სასურველ შედეგსაც მიაღწია. მას უსათუოდ აქვს თავისებური პოეტური ხელწერა და ფერწერული სურათების შექმნის უნარი. კ. კალაძეს ქართული ლექსის გამოჩენილი ოსტატთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს და მით უფრო გეწყინს, რომ ანთოლოგიაში შესული მისი ლექსები, თუ მალაღობ პოეზიის პოზიციიდან შევხედავთ, ავტორის პოეტურ შესაძლებლობას სრულად ვერ გამოხატავს. აქ არის პოეტის კარგი ლექსები: „ენგური“, „არაკი ბუხრის წინ“, „მედოქეები“, „ქვა“, მაგრამ უმრავლესობა ამ ლექსებისა განსაკუთრებულს არაფერს ამბობს. გულწრფელად გაკვირვებულ ვართ, კარლო კალაძემ ანთოლოგიაში რატომ არ შეიტანა სიკვამლის დროინდელი ლექსები ანდა სიმწიფის წლებში დაწერილი „მერთისის განთიადები“, ან ადგილები თავისი ახალი ლირიკული პოემიდან „ფერები“.

ანთოლოგიაში მოთავსებული მისი ლექსი „შავი ზღვის პირას სახლი ავაგე“ მეტად მსუბუქი-

**შალვა ფორჩხიძე**  
 ძარბთული საბაოთა კომიზის ანთოლოგია



გაუბრალოებული ინტონაციით არის შესრულებული.

პოეტს მეორე პატარა ლექსში ქმნის კარგ პოეტურ სახეს: „ვემს რომ თვალს მოვვრავ, ასე მგონია, მოცურავს ომის ტაძარი თეთრი“, მაგრამ ეს ლექსიც ნაძალადევი, ხელოვნურ სტრიქონებით იწყება.

ანთოლოგიაში მოთავსებულ კარლო კალაიძის მიზრული ფულ-ლირიკულ პოემაში არის ცალკეული მოვლევარით დაწერილი ლირიკული ადგილები, მაგრამ მთლიანობაში პოეტის ჩანაწერი გადმოცემულია მეტად მოძველებული, მარტივი ფორმით. პოეტს შეეძლო ტრავიულად დაღუპული მამის ხილვა უფრო მაღალი პოეზიის რეგისტრში აეყვანა. ამის შესაძლებლობა მის მშვენიერ ლექსებშიც კარგად ჩანს.

პოეტური აზრის მომეტებულად გაუბრალოებასა და გამარტივებას პოეზიაში გემოვნებიანი მკითხველი ისევე უსიამოდ აღიქვამს, როგორც სიცარიელის დასაფარავად გამოგონილ ბუნდოანებას. როგორც სათქმელის განგებ გართულება, ისევე საშინელია და დასაგმობი პოეტური გულბრწყვილობა. პოეზიაში ფორმის უშუალოა და სისადავე სრულიადაც არ გულისხმობს პოეტური აზრის სიმარტივესა და ბნალობას. პირიქით: ყოველი ახალი პოეტური ნაწარმოები მით უფრო საინტერესოა და მიმზიდველი, რაც უფრო კეთილშობილი, მაღალი იდეები და რთული აზრებია გამოქმული მასში ყოველგვარი პოზისა და მანერულობის გარეშე. თუ ამ თაღსაზრისით შევხედოთ თანამედროვე ქართულ პოეზიას, რაც ანთოლოგიის ფურცლებიდანაც კარგად მოჩანს, არცთუ იშვიათად ვხვდებით ჩვენს სინამდვილეში ყალბი მანქვან-გუნებით, ეითომ პოეტური სირთულით შესრულებულ პოემებსა და ლირიკულ ქმნილებებს. ამჟამად, რომ მომეტებულად მთერია ბალახი ქართული პოეზის დათავთავებულ ყანას, მომრავლდა შინაარსისა და ემოციისაგან დაცილილი, არაფრისმოქმელი ლექსები, გამეფდა ერთფეროვნება, შტამბი, ლექსის ერთნაირი სტრუქტურული წყობა, ერთნაირი სიტყვიერი ფაქტურა, რითმა, მხატვრული სახეები, მეტაფორები, ლირიკული ქმნილების შექმნის თუ შენების ერთნაირი პრინციპი და, ასე ვასინეთ, ერთნაირი განწყობილებები და პოეტური წარმოსახვებიც კი.

ამან გამოიწვია მეორე უკიდურესობა. ბოლო დროს ზოგიერთი პოეტი დაფინებით მიმართავს ეგერეთოდებულ თავისუფალსა და თეთრ ლექსს, რათა სხვებისაგან გამოჩრევით უკრო მძაფრად გამოაჩინოს ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობანი და საკუთარი პოეტური ხმა, ხელწერა დაიმკვიდროს, გაეცეს შტამბასა და პოეტურ ბნალობას. მაგრამ ხშირად ამას ვერ ახერხებენ და უზარალო, დეფორმირებულ პროზაულ ლექსებს გვათავაზობენ. მათ აეიწყებიათ, რომ თავისუფალსა და თეთრ

ლექსს ისევე მკაცრი, თავისებური პოეტია აქვს, როგორც ტრადიციულ, კლასიკულ, იმპროვიზაციულ და საოცარი ისაა, რომ თავისუფალი და თეთრი ლექსის მოტრიალებულ ზოგიერთი კრიტიკოსი ისეთ რამებს აწერს, ზოგჯერ კაცს ღმირს მოვგვრის, თითქმის ეს ახალი ხილი იყოს ქართული პოეზიისათვის. თავისუფალი და თეთრი ლექსი ისევე ძველია, როგორც თეთრი პოეზია. ძველმა ეგვიპტელებმა, უპირველეს ყოვლისა, ამ ფორმით შექმნეს თავიანთი შესანიშნავი ლირიკის ნიმუშები. ასე იყო ჩვენშიც: გავიხსენით ძველი ქართული სასულიერო ლირიკა და სვანური სარიტუალური ლექსები, მაგრამ შემდეგმა თაობებმა ათანაირი ახალი კომპონენტით გააძლიერეს პოეტია. ჩახრუხადისა და რუსთაველის გენიალობა, გარდა დიდი საკაცობრიო იდეების ქდავებისა, იმავითაა, რომ მათ დაეაწიონეს და დაამკვიდრეს ჩვენს სინამდვილეში ათმარცვლიანი და თექვსმეტმარცვლიანი მტიკედ მაქედრა რითმინი ქართული ლექსი. ჩვენ სრულიადაც არა ვართ თავისუფალი და თეთრი ლექსის შინააღმდეგი. ამ ფორმებს არსებობის ისეთივე უფლება აქვს პოეზიაში, როგორც იტალიურ დანტესეულ ტერცინას, სონეტს, ტრიოლეს და ლექსის კლასიკას, სხვა ფორმებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ ვიცნობთ თავისუფალი და თეთრი ლექსის ისეთ ავტორებს, რომელთა მიერ შესრულებული რითმიანი ლექსები სრულიად ვერ აქაყოფილებენ თანამედროვე პოეზიის მოთხოვნილებას. პოეზიაში სიახლე, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედის სულიდან აზროვნებიდან უნდა მოდიოდეს და მერე რა თქმა უნდა, სინამდვილე თუ ეს სიახლე ახალ შესაფერის ფორმასაც მოძებნის. რასაკვირველია, ძნელია, საოცრად ძნელი, სწორედ იმ ფორმებით, როგორითაც მეცნიერებმა საუკუნეებისა და მეოცე საუკუნის დიდი პოეტები თხზავდნენ ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს და მარცხი არ განიცადო, რაიმე ახალი თქვა. მაგრამ ოსტატობა სწორედ იმას გულისხმობს, გამოხვიდე დაეანონებული პოეტის ნორმებიდან და შენა საკუთარი პოეტია შექმნა, საკუთარი ხელწერა გამოეშვა, ინდივიდუალური პოეტური სამყარო გაიჩინო, თანამედროვე გამართული, რითმიანი ლექსის შექმნის საიდუმლოებას დაეუფლო და ამით მონაპოვო ყოველნაირი ფორმით წერის უფლება, მით უმეტეს, რომ ჩვენი დავეიერებთ, გაცილებით ძნელია ნამდვილი, კუშმარტივი, დასამახსოვრებელი, ემოციური, თავისუფალი და თეთრი ლექსების დაწერა, ვიდრე ჩვეულებრივი რითმიანი ლირიკული ლექსისა. ერთი სიტყვით, ჩვენს პოეზიაში ახლა ისეთი ვითარებაა, რომ საჭიროა პოეტური აზროვნების, ფორმალურ ძიების, გამოცდილების მეტი კონდენსირება, დაკვირვება და დაზუსტება. ამ საკითხებზე თა-





ვისი პირუთენელი, ავტორიტეტული სიტყვა ქართულმა კრიტიკამ უნდა თქვას...

ყოფას, ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ლურ სურათებს.

პოეზიაში ბანალობასა და პრიმიტიულობაზე თავისი შეხედულება მშვენივრად აქვს გამოთქმული ირაკლი აბაშიძის ანთოლოგიაში მოთავსებულ ერთ პატარა ლექსში:

სულ ნუ ამოსთქვამ შენ დიდ ზღვის ღელვას, მწვდიად ითმინე მგოსნის სათმენი, რომ თავის სულში შენმა მკითხველმა ვეჭვოს ხანთლით შენი სათქმელი.

ეს სტრიქონები 1970 წლითაა დათარიღებული, ზოლო ირაკლი აბაშიძე ოცდაათიან წლებში მოვიდა ქართულ პოეზიაში. მოვიდა და თან მოიტანა ლირიზმით გავლენილი, ზომიერად დახვეწილი თავისთავადი პოეტური სიტყვა. ანთოლოგიაში მოთავსებული მისი ლექსები მკითხველს ხიბლავს ფორმისა და შინაარსის სრულყოფითა და სათქმელის მომეტებული მძაფრი განცდით. თემატური მრავალფეროვნებითა და პოეტური სიტყვისა და აზრის უაღრესი ლაკონიკობით. საილუსტრაციოდ მოვიტანთ პოეტის პატარა ლექსს „შემოდგომა“!

ღრუბლებმა ზეცა გადააქრლეს ზაფხულის მზეში ნაკრიალები; ფთოლ ახლა ომში დაქრილებს ყრუ ტეხვით ტეხენ ნატყვიარები.

ირაკლი აბაშიძემ უკანასკნელ წლებში შექმნილი ლირიკული ლექსების ახალი წიგნები: „შიახლოვება“ და „ბალესტინა, ბალესტინა“, რითაც გარკვეულ სიმაღლეზე ასწია ორმოცდაათიანი წლების ქართული პოეზია. ანთოლოგიაში მოთავსებული მისი კეთილზმოვიანი ლექსები სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებენ მკითხველს.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავისებური, დაწმენილი ლირიკული ხმითა და სინაზით გამოირჩევა ანთოლოგიის ფურცლებზე პოეტი ქალის მუხვალა მრევლაშვილის ლექსები: „პირმშო“, „მამა“, და „ქვიშხური ეტრუღებიდან“.

ასევე კეთილშობილური განცდებითა და ქართული ეროვნული პოეტური სიტყვის ელფერით, გულწრფელობითა და სისამეტყუით იპყრობს მკითხველს ყურადღებას გიორგი შატბერაშვილის ლექსები: „წარწერა მეგობარ პოეტის წიგნზე“, „დიდ ხელებს“, „შუალღე“, „ქართლი“, ტივის ხე“. ამ ლექსებს მუდამ სიამოვნებით წაიკითხავს ქართველი მკითხველი.

ოგვე უნდა ითქვას გიორგი კაპაბიძისა და ბონდო კემლაშვილის ლექსებზე. მათ ახასიათებთ პოეტური გულწრფელობა, უაღრესად კეთილი, ჩანასლი განწყობილებები, კარგად ხატავენ თანამედროვე მშრომელი ადამიანის ზასიათსა და

ალექსანდრე გომიაშვილის პოეზია ფართოდაა წარმოდგენილი ანთოლოგიის ფურცლებზე. აქ არის პოეტის კარგი ლექსები: „წუთისოფელი“, „ადგილის დედა“, „რუსთაველი და ვეჯა ფშაველა“, „ბაზალეთის ტბა“, „გუდამაკარი“, „ხევის პატარალი“, „მწყემის სიმღერა“. ჩვენ პოეტის ბევრი კარგი ლექსი და სტრიქონი გვახსოვს „ფოსტა არ არის?“, „წერილი არწივებს გამოატანე!“ მავრამ, ვფიქრობთ, ანთოლოგიაში არ უნდა შეტანილი მისი გრძელი ლექსი თუ პოემა „ისევ ეძახიან გერმანია“. მართალია, ეს ნაწარმოები დიდი პოლიტიკური სიმახვილითაა დაწერილი, მაგრამ პოეზია ნაკლებად იგრძნობა. რაც შეეხება ამ ნაწარმოების აზრს, იგი უფრო ნათლად და გასაგებადაა გამოთქმული პოეტის ვრცელ პროზულ სტრიქონებში, რომელიც ამ ლექსისათვის წაუმძღვარებია.

ფრთხილად გამოვადებული შინაგანი დრამატიზმი, თავშეკავებული ტემპერამენტი, კეთილშობილური განწყობილებები, ზომიერად შეზავებული ფერები და ლბილი პოეტური ელო ანიჭებს ცხოველმყოფელობასა და თვითმყოფადობას გრივოდ აბაშიძის პოეზიას. იგი უაღრესად დახვეწილი გემოვნების პოეტია და მისი ლექსი მუდამ შესამჩნევი ოსტატობითაა შესრულებული. არ უყვარს ყალბი, თვალშისაცემი პათეტიკობა. პოეტურ ჩანაფიქრს მკითხველს მუდამ განგებისაგან მონიჭებული სიმშვიდით აწვევებს სულში ოსტატურად ნაყვით სტრიქონებით. იგი იღუმენტებით მოცული ცისა და მიწის შუა მოქცეული ადამიანის სიხარულისა და ტკივილების მომღერალია და ყოველთვის დიდი დავიერებით ცდილობს ბუნებისა და ცხოველების ელფერების ფილოსოფიურ ასპექტში აღქმას. ამ თვალსაზრისით ანთოლოგიაში მას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფთოლად.

დიდი სამაშელი ომის დაწყებამდე მოვიდა ქართულ პოეზიაში ნიჭიერი პოეტების ახალი თაობა. ზოგი მათგანი ეს-ესაა ვასკლ პოეტური სიმწიფის ასაკს და ქართული ლექსის კარგი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. ზოგი კი, ნიკა ავაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „ჰაბუკები ღარჩნენ მარად“, ადრე წაიღწენ ჩვენგან, მაგრამ პოეზიაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ერთი მათგანი ვახლავთ ლადო ასათიანი, რომლის ძლიერი ლირიკული, ხავერდოვანი ხმა ისევ მიმზიდველად გაისმის ჩვენს პოეზიაში. მართალია, მას არ მოუტანია რაიმე ვერსიფიკაციული ან

ქართული საბჭოთა კომუნისტური ანთოლოგია შალვა ფორჩხიძე



თემატიკური სიახლე და მის პოეზიაში შეიმჩნევა დიდი ქართველი მგოსნების პოეტური ხმის შორეული ექო, მაგრამ მას ჰქონდა რაღაცენაირი თავბრულამხვევი მგზნებარება და ცეცხლი, იყო კეთილშობილი და პოეზიისთვის თავდადებული, რის წყალობითაც ქართული ლირიკის ნამდვილი საუკეთესო ნიმუშები შექმნა, რომლებიც ახლა ჩვენს ანთოლოგიას ამშვენებენ. მისი ლექსები: „საღალბო“, „კრწანისის ყაყაობები“, „ცხრა ძმა ზერზეულიძე“, „ვულბათი ჭავჭავაძე“, „ნადირობის შემდეგ“, „სარწყული“, „ბარდნალა“, ალბათ, მხოლოდ მას უნდა დაეწერა. ეს ლექსები როგორღაც ხავერდოვით არიან ნაქსოვნი და სიამოვნებას განგვატღვენიებენ მუდამ. ლაღო ასათიანს ჰქონდა ჭეშმარიტად დიდი, დაუარკებელი ენერჯია და მძაფრი, ემოციური, ცხელი პოეტური სიტყვა.

სულ სხვადასხვა პოეტური ხმისა და ინტონაციის პოეტები იყვნენ მირზა გელოვანი და გაბრიელ კაბუშაძე. მე შეჩვენება, რომ ისინი ანთოლოგიაში მეტად ბუნებრივად არიან წარმოდგენილნი. მივივრს, რატომ არაა აქ შესული მირზა გელოვანის „შეანებადა“, „თორღვა“, „მწყემსის მუქარა“, „შავგოვა“, რომელნიც მეტად თავისებური ინტონაციით არიან შესრულებულნი და უსაათოდ კარგი ლექსებია. ანდა რატომ არაა ანთოლოგიაში შესული გაბრიელ კაბუშაძის „არაგვიანი“, „ხმალი“, „ორწყალი“, „თიმსარიანი“. ეს ლექსები ჩვენ საბედობლოდ გვაგახსენდა, თორემ შეიძლებოდა მის შემოქმედებაში უკეთესების დაძებნაც.

ანთოლოგიის შემდგენელთა შედარებით კარგად შეუჩრჩევიათ ადრე წასული, საოცრად ნაზი განწყობილებებისა და სუფთა ლირიკული ხმის პოეტის ალექსანდრე საჩავას ლექსები. თუმცა შეიძლებოდა აქ ყოფილიყო მისი საუკეთესო ლექსებიც ციკლიდან „სომხეთში“, „წამოსვლა“, „ცაცხვი“ და „წელს უთუოდ წკრიალა წვიმებს შეუყვარდები“.

ანთოლოგიაში სულ ოთხი ლექსითაა წარმოდგენილი ისეთი დამხვეწილი გემოვნების პოეტი, როგორიცაა გიორგი კალანდაძე. ეს ლექსები ვახლავთ: „თერგდალეული“, „შადრევანი პუშკინის ბაღში“, „დე, დაილოცს“ და „საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში“. აქ კარგად მოჩანს პოეტის მკაცრი დამოკიდებულება პოეტური აზრისა და სიტყვისადმი. იგი ზედმიწევნით ცოტას წერს, მაგრამ ყოველთვის გვხმობს ლავს მისეული ზუსტი მხატვრული სახის სინათლე, დახვეწილი პოეტური ფრაზა.

ამ თაობის პოეტებთან ანთოლოგიაში შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი რევაზ მარგვიანის, ალექო შენგელიას და იოსებ ნონეშვილის პოეზია.

რევაზ მარგვიანის პოეტური ხმის ინდივიდუა-

ლობა, ცხოვრებისეული მოვლენების წინააღმდეგ ტიპური აღქმა, მხატვრული სიტყვების მდიდრობა და პოეტური თემისადმი ლირიკული დამოკიდებულება იმათივე გამოჩნდა მის საუკეთესო ლექსებში. პოეტის „მირანგული“ და „მეწყერი“ დღესაც ინტერესით იკითხება და ჩვენში ოდნავადაც არ განელბებულა ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნაწარმოებთა პირველ განცნობისას მიგვიღია. სამაშველო ომის თემაზე დაწერილი საუკეთესო ლირიკულ ჭმინლებათა რიცხვს მიეკუთვნება მისი ლექსი „მე უბთი ვატარებ პატარა ბარას“, ხოლო პოეტის „მთის კალთაზე სახლი მედგას“, „ჩხვი“, „როცა დამეშვიდდე“, „მარილი“, საერთოდ, ქართული ლირიკის კარგი შენაძენია. მაგრამ ამ ლექსებში რამდენიმე შესამჩნევ ხდება ცხოვრებისეულ სიახლეთებში ჩაღრმავებისა და პოეტური ჭკერტის ხარჯზე ლექსის შინაგანი დინამიკის შენელება, პოეტური სიტყვის ფაქტურის ერთფეროვანება, რაც ხელს უშლის პოეტური ხილვებისა და ლირიკული ჩანაფიქრის მეტი ემოციურობით აღქმას.

ალექო შენგელიას მეტად ნათელი ფერებით შესრულებული ლექსები, პოეტის უაღრესად თბილი ლირიკული ინტონაცია ყოველთვის შეცვამხნევი და სინტერესოა მკითხველისათვის. მისი ლექსი „ანდერძი“ ახალ საბჭოთა პოეზიაში სამშობლოსადმი მიძღვნილ ლირიკულ ლექსებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პოეტის უაღრესი გულწრფელობით დაწერილი ლექსები: „ქარისკაცი ბრუნდებოდა“, „ნუგრა“, „კოლხური შემოღომა“, „თეთრი წიქელი“ და სხვა უსაათოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და ანთოლოგიაშიც თავისებური ელფერი შემოაქვს. ა. შენგელიას ახასიათებს პოეტური თემის ლაკონიურობა, სათქმელის ინტიმური განცდა და მეტი გრძნობიერება. მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ აღწევს მეტროსა და რიტმის მონოტონურობას. მისი ლექსების კითხვისას ზშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მუდამ ერთნაირი განწყობილებით წერს, ერთნაირი საღებავს ხმარობს, ერთნაირი მასაღით აშენებს სტრუქტურებს. მიუხედავად ამისა მის ლექსებში ყოველთვის გამოსჭევივის სითბო და სინაზე, მაგრამ იგი მიანიც უნდა ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას.

იოსებ ნონეშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ საზოგადოებაში და ეს გამოწვეულია მისი პატრიოტული და სატრფიალო ლირიკის ბევრი კარგი თვისებით. იგი უტყუარი სმენის პოეტი. მის უაღრესად მსუბუქ, სასილერო ინტონაციებით დაწერილ კარგ ლექსებს ახასიათებს პოეტური აზრის მომეტებული სინათლე და უშუალობა, რაც ხელს უწყობს პოეტს მკითხველთან მეტად



ბილ, ინტიმურ კონტაქტის დამყარებაში. ანთოლოგიაში მოთავსებულ ლექსებს შორის საუკეთესოდ მიგვაჩნია: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშენდებოდა“, „საუბარი ნაქვბთან“, „ჩუქურთმის მკრელის ეპიტაფია“, „გამიგონია, მთვარიან ღამეს“, „ორი გასაღები“, „ადამიანი მთვარეზე დადის“ და სხვა. მაგრამ, საერთოდ, მისი ბევრი ლექსი მეტად იოლად შესრულებული პოეტური ნახატიან შთაბეჭდილებას სტოვებს. თანამედროვე გემოვნებიან მკითხველს ახლა არ შეიძლება აკმაყოფილებდეს ისეთი მსუბუქი, ზედაპირული ლექსები, როგორცაა პოეტის „არის ასეთი გვეყვანა“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, და კრიანურებელი ლექსი „შორეულ გზებზე“. როგორც ამ წარმოდგენილ ლექსებში, ისე, საერთოდ, მის პოეზიაში არაიშვიათად შეინიშნება მშრალი, დეკლარაციული სტიქიონები. ეტყობა, იგი ამ ბოლო დროს ნაკლებად ზრუნავს პოეტური აზრის სიღრმისა და სიტყვის დამოუკიდებლობისათვის.

**შალვა ამისულაშვილისა და ლადო სულაბერიძის** გახმობრებულ პოეტურ სახელს აშკარად არ შეეფერება მათი ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსები. მართალია, კარგია შალვა ამისულაშვილის „წიწამურის გზაზე“, „ორი ბელისკი“, „შემოგაძახებენ“, ლადო სულაბერიძის „სანგარი“, „როსინანტი“, „ბუბია“ და ადგილები მისი გრძელი ლექსიდან „ოცნება“, მაგრამ ეს ლექსები სრულიად ვერ გამოხატავენ, ჩვენი აზრით, მათ პოეტურ შესაძლებლობას. აქ ნაკლებად იგრძნობა მათი პოეტური ინდივიდუალობა, პოეტური აზრის ის ახალი გამოხატულებებითი საშუალებები, რაც ცხადად შეინიშნება უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში. შეიძლება ამ შთაბეჭდილების მიზეზი ისიც იყოს, რომ ანთოლოგიაში ისინი მეტად ძუნწად არიან წარმოდგენილნი.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ თაობის პოეტთა შემოქმედებაში, ლადო ასათიანის გამოკლებით, რატომღაც მეტად მცირე დოზით იგრძნობა როგორც ქართული ეროვნული ღონიერი ლექსის შინაგანი ღინამიურობა, ენერჯია და ძალა, ისე ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებისათვის დამახასიათებელი სიფიცხე და ელვარება, პოეტური ფრაზის ნებისმიერი მოღვენა და მოქნილობა. და ეს იმთქმის მათი შემდგომი თაობების ბევრი პოეტის შემოქმედებაზეც, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ თვალსაზრისით ზემოდანახებულ პოეტები უსათუოდ უნდა ჩაუკვირდნენ თავიანთ პოეტურ ლაბორატორიას და უფრო დაკვირვებით გაითვალისწინონ მდიდარი ქართული პოეზიის დიდი ტრადიციები,

რადგანაც ყოველი ერის პოეზიის, პოეტის სილიადის ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, ერთგულად და მერე კი ყველაფერი ის, საერთოდ ადამიანის სულს ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს, იდეურად და ზნეობრივად ამაღლებს.

დიდი სამამულო ომის წლებში ვაისმა ქართულ პოეზიაში ისეთი პოეტების ზმა, როგორცაა ზუტა ბერულავა, ოთარ ქელოძე, მურმან ლებანიძე, ფრიდონ ხალვაში, ვახტანგ გორგანელი და თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ხოლო სამამულო ომის დამთავრებისას შემოემატნენ მათ ანა კალანდაძე, არჩილ სულაყური, მიხეილ ქვიციანი, ნაზი კილასონია, ოთარ მამფორია, გიორგი ხალუკიაძე, ზაქარია შერვაშაძე, ოთარ კუპრაძე, ვასილ გვეტაძე. რასაკვირველია, მათ მეტ-ნაკლებად ბევრი ახალი კომპონენტი შემოიტანეს ქართულ პოეზიაში, ხოლო ზოგმა მეტად თავისებური, ორიგინალური პოეტის სახელი დაიმკვიდრა.

ანთოლოგიაში წარმოდგენილი **ზუტა ბერულავას** ლექსები ჩვენს ყურადღებას იპყრობს მხატვრული სახისა და ფრაზის კონკრეტულობით. მას აქვს განსალი განწყობილებები. მისი ლექსი მუდამ ნათელი, ადვილად აღსაქმელი ფერებითაა შესრულებული. პოეტის საუკეთესო ლექსებად მიგვაჩნია „ვლადიმერ ლენინს“, „სიჩქარე“, „მშობლიური მელოდიები“, „ისევე მამა“, „მეგობრის პორტრეტი“ და სხვა. იგი მუდამ მხურვალედ ეხმადრება ცხოვრებისეულ მოვლენებს და არასოდეს ღალატობს ჩვეულებრივი, ათმარცვლიანი და თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ტრადიციას. მაგრამ უნდა შევინიშნოთ, რომ მის პოეზიაში ნაკლებად იგრძნობა მეტრისა და რიტმის ნაირსახეობა, სტიქიონების ნერვიული რხევა, პოეტური სტილის სიმამფრე, რაც ვგზომ აუცილებელია მაღალი პოეზიისათვის და რაც რამდენადმე არაემოციურს ხდის მის კარგად მოფიქრებულ ლექსებსაც კი. ჩვენი აზრით, ეს იმიტთაა გამოწვეული, რომ მისი პოეტური სიტყვის საქცევიბი ერთობ მშვიდად ეხებიან და შორდებიან ერთმანეთს, ეტყობა, პოეტის უფრო ვატაცხებელია პოეტური აზრის ლოდიკური განვითარებითა და სათქმელის ზუსტად გადმოცემით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ენის ინტიმურ განცდას, პოეტური ფრაზის იღუმალი ცეცხლით დამუბტვასა და უჩვეულო მიმოზრას.

სულ სხვა ყაიდის პოეტი ვახლავთ **მურმან ლებანიძე**. მის პოეზიაში, უპირველეს ყოვლისა, ენის ფენომენი დომინირებს. იგი ყოველგვარად **შალვა ფორჩხიძე** პართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია



ველ პოეტურ სიტყვას საკუთარი გულისფთქასავეთ განიცდის, მისი სტრქორის საოცრად ელსტურია და მოღვენილი. ამიტომ, რომ იგი ზოგჯერ თარგმნილ ლექსებსაც რაღაცნაირად ქართული, ეროვნული სიტყვის საბურველში ხვევს და მათი კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს კი არ ეთარგმნოს, თითონ შეუთხზას (ვახტანგის მის მიერ თარგმნილი ბერძნის ლექსები).

მერმან ლებანიძე ანთოლოგიაში უხვადაა წარმოდგენილი და პოეტს, გამოცემის გარდა, მშვენიერი ლექსებიც შეურჩევია: „სანადიროს დავდივარ“, „მამა“, „დათვები“, „მოცოცხალ“, „მოცოცხალს მთებზე ვახაფხული“, „თამუნია ქეთარაძეს“, ცელიდან „თეთრი ლექსები ფიქრის“ უსათუოდ დღევანდელი ქართული პოეზიის კარგი შენაძინა და ანთოლოგიაშიც ფრად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი ემოციური ლექსების გვერდით იგი ზოგჯერ მეტად იოლად შესრულებულ, ზედაპირულ ლირიკულ ქმნილებებს გვთავაზობს. ფრთხილ სიტყვასა და სტრქორებს გამოკიდებული, მოქნილი, მოხდენილ ფრაზაზე მინდობილ ნაყულ ყურადღებას უთმობს რთული პოეტური წარმოსახვებით მიღებული აზრის სიძლიერესა და სიღრმეს და არა იშვიათად ნაწარმოების გარეგნული, მოჩვენებითი ელვებით კმაყოფილდება. ამ თვალსაზრისით პოეტის სუსტ ლექსებად მიგვაჩნია ანთოლოგიაში მოთავსებული „მახსოვს“, „ლაღო“, „ვაი, რა უფერულია სიკვდილი ლოვინში“, „ფიქრები“ და „გადამხდა გადასახდელი“. აქ მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და მკრთალი ფერების თამაშია და მეტი არაფერი. მაგრამ აქვე სიტყვას აღარ გავაგვრებულბთ.

დიდი სამამულო ომის სიმძიმე საკუთარ მხრებზე გადაიტანეს გაყინულ სანგრებში ბევრ ქართველ მწერალთან ერთად ვახტანგ გორგაძემ, თემურაზ ჯანგულაშვილმა და აკაკი გეჭაძემ. ანთოლოგიაში მოთავსებული მათი ლექსების უმრავლესობა სწორედ ომში განცდილი მღვდელი დღეების ანარქიაა. მთ ლექსებში კარგად მოჩანს ფრონტზე მიღებული ციკცხალი შთაბეჭდილებები, საბჭოთა ხალხის თავგანწირული ბრძოლები.

სამამულო ომს შეეწირნენ ჩვენს ნიჭიერი ხალგაზრდა პოეტები: სვერთან ისაინი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფტეარაძე, ვლადიმერ უბილაძე და სხვები. დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში ჭერ კიდევ არაა ასახული ისე, როგორც საქართველოში. ამ ფრად სერიოზული, უზარმაზარი თემის დამლევად ლირიკურაში ადგილი საქმე არაა, მით უმეტეს, ლირიაში. ანთოლოგიაში წარმოდგენილ ზემოთ დასახელებული პოეტების

ლექსებს უსათუოდ თავისებური ელფერი შემაჯავთ ქართულ საბრძოლო ლირიკის, რომელიც ისიც უნდა ითქვას, რომ იმ აუარებელი ლირიკული ქმნილებებისაგან, რაც ომის დამწვებიდან დღემდე შექმნილა, სულ რამდენიმე ლექსმა მოიპოვა გამარჯვება და მაღალი პოეზიის კუთვნილებად იქცა. ეს ლექსები ვახტანგ: გორგო ლოვინის „არ დაიდარდო, დედაო“, ირაკლი აბაშიძის „კაბიტანი ბუხაიძე“, დავით გაჩეჩილაძის „ძახილი უკვეთებისა“, გრიგოლ აბაშიძის „ღროშები“ და რევაზ მარვიანის „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“.

როგორც ზემოთ ვთქვით, სამამულო ომის დღეებში დაიბეჭდა ჩვენს ქართულ-ვახტანგში ზურაბ ლორთქიფანიძის პირველი ლექსები და მას შემდეგ იგი დიდი თავშეკავებითა და მოთმინებით იბრძვის საკუთარი პოეტური სიტყვისათვის. მისი ლექსები ფორმის თვალსაზრისით თითქოს ახალს არაფერს ამბობს, მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით ჩვენთვის ნათელი ხდება პოეტის ხატოვანი თქმები, პოეტური აზრის მოულოდნელობა და საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობა. ერთი შეხედვით იგი თითქოს შეგნებულად გატრბის ზედმეტ მუსიკალობას პოეზიაში და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ვანგე უტერს სადავეს სტრქორებს, რომ შიგ მეტი ფიქრი და გზნება ჩაითოს. „ქვეყნად ეინც ნამდვილ სიციოცხლეს მისდევს, უშიშრად დაღის სიკვდილის გვერდით“, ესიტყვება პოეტი იარაღსხეულ მესაზღვრეს.

ანთოლოგიის ფურცლებზე კარგად მოჩანს ოთარ ჭელიძის მშვენიერი ბალადებისა და ლექსების თავისებურება. მისი მკაცრი დამოკიდებულება პოეტური ნაწარმოების შინაარსისა და ფორმისადმი. იგი მეტად სანატრესო ასოციაციებისა და ინტონაციების პოეტი ვახტანგ. მისი პოეტური წარმოსახვები, რიტმისა და მეტრის მრავალფეროვანება მკვეთრად გამოირჩევა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მას ეს ჩვენ პოეტის დიდ ღირსებად მიგვაჩნია. მის ებიური აზროვნების კარგი უნარი აქვს, სანატრესო სიუჟეტსა და კომპოზიციურად სრულყოფილ ლექსებსა და ბალადებს წერს. მისი პოეზია დამწვენებელია ადამიანის სულის სიწმინდითა და ზნეობრივი, მოქალაქეობრივი მოტივების დიდი ინტერესით. პოეტი თავისუფლად ფლობს სიტყვას და მუდამ თავის ნებაზე გრბავს საკუთარი ინტონაციის შესაქმნელად, მაგრამ რითმითა და საკუთარი ფორმის შექმნის სურვილით გატაცებული, ზოგჯერ ბუნებრივობას ვერ იცავს და ხელოვნურად შედავს სტრქორებს, რაც ერთგვარად ძნელად შესაჯიოთხს ხდის მის პოეზებსა და ლექსებს. ამის



გამო ხშირად ბუნდოვანებისაგანაც არაა დაზღვეული და ლექსიც ხანდახან მომეტებულად ცივი და არაემოციურია. მიუხედავად ამისა, მისი „ზეშუაქის ბაღადა“, „ბორის პასტერნაკი“, „სუმერლოს ტამარი“, „შურანი წვიმა“, „ვეფხისტყაოსანი“, „ორი მარბდელი“, „ქიტესა“ შეტად საინტერესო პოეტური ქმნილებებია და ქართულ პოეზიაში საპატიო ადგილი უჭირავს.

მკითხველი სიამოვნებით წიკითხავს ადრე დაღუპული პოეტის ვახტანგ ნადარეჭვილის ლექსებს. მართალია, იგი აქ მცირე მოცულობითაა წარმოდგენილი (მეერი არც დარჩენია), მაგრამ, რაც არის, იმ ლექსებიდანაც ნათლად მონაწილეობს პოეტის კარგი გემოვნება, სულიერი სიფაქიზე და პოეტური სიტყვის სინატირე. ეს ითქმის უმთავრესად ლექსზე „თამარ ქვაში?“, ჩახრუხებისა და თამარის ნიკოლაძისეულ ქანდაკებებზე რომ დაუფრიალა პოეტს...

თანამედროვე ადამიანის ყოფას, მის სულიერ განცდებსა და წყობას, ოჯახურ სიწმინდასა და საშობლოს კეთილდღეობისათვის თავშეწირულ ადამიანებს უმღერის მიხეილ ქალიძე. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მხატვარია, პოეზიაში იგი ნაკლებადაა გატაცებული ფერწერული სურათებით. მას უფრო ადამიანის მხნეანი სულიერი მოძრაობა აინტერესებს და მისი ლექსი უფრო ხშირად ფსიქოლოგიურ მონერტებზეა აგებული. იგი კარგად აღიქვამს თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის ლტოლვასა და მისწრაფებას და მის განწყობილებასაც კარგად გამოხატავს. პოეტი ლექსის თვითველ სტიქონს მუდამ გემოვნებით ხვეწავს და სასურველ კეთილზმონანებას აღწევს. მას აქვს თბილი, ლირიკული ხმა, კარგი, შერბილებული სასიამოვნო ფერები, ზომიერების გრძობა და პოეტური ტაქტი, რის გამოც მისი ლექსები ყოველთვის სიამოვნებით იკითხება. მაგრამ იგი პოეზიაში რამდენადმე უპირატესობას აზრასა და მსჯელობას ანიჭებს, რაც, ჩვენი აზრით, ზოგჯერ რამდენადმე ანელებს ლექსის შემოქმედების ძალას. მიუხედავად ამისა, მისი დახვეწილი პოეტური სიტყვა ყოველთვის შესაფერის ფორმას პოეტობას. ანთოლოგიაში მას სამართლიანად უჭირავს კუთვნილი ადგილი თავისი თაობის კარგი პოეტების გვერდით.

ბუნებრივობითა და გულწრფელობით იმყრობს ყურადღებას ოთარ მამფორიას ლექსები. პოეტის თბილი ლირიკული ხმა სასიამოვნოდ ეღერს უშუალო, ძალდაუტანებელ სტიქონებს. იგი მგრძნობიარე, ნაზი განწყობილების პოეტია და, ერთი შეხედვით, თითქმის აღუღლებლად წერს, ნერვების დაუძაბავად, მაგრამ სამავიეროდ მის ლექსს ყოველთვის მოძებნილი აქვს თავისი კუთხე, ოთარ მამფო-

რის კარგად გაფიქრებულ ლექსებში მჭიმოვანი კავთმყოფარეობა და საშობლოს უანგარო სიყვარული. მისი ლექსები თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი ინდივიდუალური პოეტური ხმის დამკვიდრებას უფრო ლექსის შინაგანი აზრობრივი დატვირთვით, ცხოვრებისეული მოვლენების თავისებური აღქმით ცდილობს. მას ნაკლებად იზიდავს ვერსიფიკაციული ნაირსახეობა, სამავიეროდ მუდამ გარიღებულაა განწყობილებებისა და პოეტური დაქტის განმეორებას და მონდომებით იბრძვის ახალი პოეტური აზრისათვის. ანთოლოგიაში შეტანილი ლექსებიდან ყურადღებას იქცევს: „ცარიელი სკამი“, „გაქცეა ბავშვი“, „წიგნები თოვლში“ „მეტოქენი“, „ღრო მონადირე“, „ქალენდარი“, „დაბადების დღე“ და სხვა.

ასევე ითქმის ფრიდონ ხალვაშისა და ნოდარ გურუშვილის პოეზიაზეც. იმ განსხვავებით, რომ მათ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ, სამოქალაქო მოტივებით აღღრმავებულ ლექსებში უფრო მეტი დოზით შეინიშნება მძაფრი, პათეტიკური დეკლარაციული კილო, რასაც ჩვენ ნაკლებად კი არ ვუთვლით, მათი შინაგანი პოეტური ბუნებისთვის მთავარად მიგვაჩნია, რაც ვგზობს საქირაბა ახალი საბჭოთა პოეზიის განვითარებისა და გამრავალფეროვანებისათვის. ანთოლოგიაში უსათუოდ კარგი, თავისებური განწყობილებები შეგოაქვთ ფრიდონ ხალვაშის ლირიკულ ლექსებს „მითხარ, როგორაა მალექეთი“, „მამილა“, „მინდობაში იღვა პატარა სახლი“, და „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. ეს ლექსები დიდი პატრიოტული გრძნობითაა გაღუნითი და მკითხველს კარგად აღიქვამს. ასევე კარგი ლექსებია ნოდარ გურუშვილის „ლომის სიკვლილი“, „ბავშვები“ და „მე დავიბადე გემის კაპიტნად“. მაგრამ გვეკვირს ანთოლოგიაში რატომ არაა შესული მისი უფრო ლიბილი ფერეზით შესრულებული ლექსები, მავალითად, „თეთრი ბაკრიანი“ ან სხვა. ნოდარ გურუშვილის პოეზიას ახასიათებს მძაფრი პოლიტიკური სიმამხვილე. მას აქვს ზომიერების გრძობა და მუდამ დაკვირვებით პასუხობს თანამედროვე პოეზიის მოთხოვნილებებს. მისი ღირსება ისაა, რომ არაპოეტურ, პროზაულ თემასაც კი პოეტურ ფაქტად აქცევს ხოლმე და მშვენიერ ლირიკულ ლექსებს წერს.

სამამულო ომის დამთავრებისას მოვიდა ანა კალანდაძე ქართულ პოეზიაში და თან მოიტანა პოეტური სულის რაღაცნაირი მავიერი ძალა, რითაც ერთმანედ მოხიბლა ქართული საზოგადოება. ამ ვახშურებას, ვარდა ანა კალანდაძის ხალასი ნიქისა, ნაწილობრივ იმანაც შეუწყობელი, რომ იმ წლებში ომის მრისხანე წლებში, მთელი ქართული პოეზია მოცული იყო მძლავ-

შალვა ფორხიძე  
ძარბაზლი სანაპოთა კოეზიის ანთოლოგია



რი, საბრძოლო განწყობილებების პერიოდით და ანა კალანდაძისეული მძაფრი, მოძეტებულად ნაზი, ინტიმური განცდებითა და უადრესად ნატიფი პოეტური სიტყვით ჩამოქნილი ლექსები საოცრად უტყოდ გაისმა, რომელთაც თან მოჰყვა ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და პავლოვარაფიული სავალდებულების სურნელება. ანას კეთილშობილური, ღვთაებრივი მადლით მოსილი კეთილხმოვანი სტრიქონები მაღამოსავით წაეცხო ომის მძიმე წლებში დაღლილ ადამიანების სულს... ახლა კი, როცა დრო გავიდა და მის პოეზიას კრიტიკული თვალთვითი თვალთვლით, პოეტის ბევრი ლექსი ანაქრონიზმად გვეჩვენება. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მის საუკეთესო ლექსებთან შედარებით ფშვარ მოტივებზე დაწერილი ლექსები, ჩვენი აზრით, ერთობ დაბალ დონეზე დგას. მართალია, იგი დიდი არტისტული გარდასახვის პოეტია, მაგრამ ამ ლექსებს უფროდ აკლია მისეული უშუალოდა და ბუნებრიობა. თვისობრივად ანა კალანდაძე თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის ყველაზე ახლო დემოკრატთან დგას და საქმარდაცაა მისგან დავალებული. მაგრამ მის იმდენი საკუთარი თავისებურება აქვს, რომ ეს არავისათვის თვალშისაცემი არაა. იგი უზადლოდ ფლობს პოეტური ფერებისა და სიტყვის შერჩევის საიდუმლოებას და საოცრად განვითარებული აქვს პოეზიის სურნელის შერგმუნის უნარი.

**გივი ძნელაძის** ლექსებით გვესმის ხმა სიკეთისა და ადამიანის კეთილშობილი სულის გულწრფელი მომღერლისა, რომელიც გაღიზიანებულია სიცოცხლის სწრაფწარმავლობითა და დამწვიდებას მხოლოდ მაჩადილ სინათლეზე ფიქრითა და ადამიანებთან სიახლოვით პოულობს: „ისე ვარ ახლა, ვაკთა ბედი ჩემს ხელთ რომ იყოს, თვითველ მათვანს ათასი წლის სიცოცხლეს მივცემ“, ამბობს პოეტი და თავყანს სცემს ადამიანურ სიწმინდეს. გივი ძნელაძე თავისებური ინტონაციის პოეტია. მას აქვს მაღლიანი პოეტური სიტყვა და ადამიანის ყოფიერებაზე თავისებურად ჩაფიქრებული სავულისხმო ლექსებს წერს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი არაშედათად ექცევა მშრალი, ფილოსოფიური მსჯელობის რკალში. საქმე იმაშია, რომ ღრმა ფილოსოფიურ აზრს პოეზიაში ჩვენ მაშინ აღვივებთ სიამოვნებით, როცა ის უტყვო, მოფლდნელ მხატვრულ სახეებშია ჩადვრილი და უჩვეულო მეტყველი ფერებით ფრთხილად და გამღაღვენებელი უნაზუს განწყობილებებთან ერთად. ეს შენიშვნა მარტო გივი ძნელაძეს კი არა, ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების თაობის ბევრ პოეტს ეხება...

ხალხური ინტონაციებით და ქანსალი განწყობილებებით გამოირჩევა ანთოლოგიაში **ჯაქარია**

**შერვადაშვილისა და ნოდარ შამანდის** ლექსები. მათ შემოქმედებაში უსათუოდ იგრძნობა ცხოვრებისეული მოვლენების ასახვისა და გამოცემის ინტერესი. მათ აქვთ პოეტური თემის შერჩევისა და თავისებურად გადაწყვეტის უნარი, თავისებური სასიამოვნო ფერები, ბუნებრიობა, უშუალოდა და ადამიანური სიკეთე მათი მხატვრული წარმატებების საწინდარია. მაგრამ ამ პოეტებს პირდაპირ უნდა ეუთხროთ, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ უკანასკნელი ხანის ქართული პოეზიის მიღწევებს, სათქმელს ზედმეტად აღბრალებენ და ნაკლებ ანგარიშს უწყვენ ლექსის ტექნიკურ რაფინირებას.

ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებასთან, მის აღმავლობასთან ერთად იცვლება და ვითარდება მეცნიერებისა და ტექნიკის სფერო. აღმავალი ცხოვრების შესაბამისად პოეზიაც მუდამ განახლების პროცესშია. ადამიანის შინაგანი სიახლე, სულიერი მისწრაფებანი, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სიამოლოვანი სიზუსტით პოეზიაში აღიბეჭდება. ჩვენ ახლა რაკეტებისა და კოსმოსური ფრენის ეპოქაში ვცხოვრობთ. თანამედროვე ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებები, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებისა და პოეზიის სფეროშიც სულ სხვაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სიახლის ძიება პოეზიაში უმთავრესად ახალგაზრდობის ზედა რიგია. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორმოცდაათიანი-სამოციანი წლების ახალგაზრდა პოეტებმა უსათუოდ დიდი სიახლე შემოიტანეს ჩვენს პოეზიაში. მათ შემოქმედებაში ცხადად შეინიშნება ლტოლვა იმისათვის, რომ ქართულ ეროვნულ პოეზიას, პოეტურ სიტყვას, აზრს ახალი სისხლი შემატონ, ახალი ფერითა და სურნელებით გააპოზირონ. ესენი არულოდ სხვადასხვა ყაიდისა და მანერის პოეტები არიან. ეს ერთგვარი გაგრძელება იმ პოეტური ტალღისა, რომელიც ომის შემდეგ გამოიჩნდა ჩვენს ლიტერატურაში. ზოგიერთი მათგანის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ზოგზე კი ახლა მოგახსენებთ.

ერთხელ პირად საუბარში პოეზიაზე ვიორგი ლეონიძემ გვითხრა, ვინ იცის, ქვეყანაზე რამდენი მეფე ყოფილა, მაგრამ ისტორიას უმთავრესად ის მტფეები შემორჩნენ, ვინც საკუთარი მონეტის მოჭრა მოახერხაო. პოეტმაც უსათუოდ თავისი მონეტა უნდა მოჭრასო. დიახ, მუხრან მაჰვარიანი ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომელმაც საკუთარი მონეტის მოჭრა მოახერხა. მის ფოლადივით მაგარ სტრიქონებს სწორედ საკუთარი ხელწერის დამლა ასხივოსნებს. იგი ქვეშაირტად თავისთავადი პოეტია. მას მეტად დონიერი, ეროვნული მადლით დაღვაფული ემოციური სიტყვა აქვს. მისი სტრიქონი ყოველთვის შეკუმშულია და პოეტური აზრით მუდამ შესაშურებლად განათებული.



**მუხრან მაჭავარიანმა** ბევრი ახალი კომპოზიციებით გამოიღვრა ქართული პოეზია, კერძოდ, ქართულ ლირიკაში მის შემოქმედს დილოგი, რასაც მანამდე იშვიათად თუ ვხვდებოდით. გაიხსენეთ მისი „საბა“ და წერილი ლექსები „დილოგებიდან“. მას აქვს თავისებური პოეტური ხედვა, საგნისა და მოვლენის თავისებური აღქმისა და განცდის უნარი. მან იცნა პოეტური სიტყვისა და აზრის უჩვეულო დატრიალება და გაცემა! გაცემა და — ამით მკითხველისათვის დიდი სიამოვნების მინიჭება. ანთოლოგიაში წარმოდგენილ მისი ლექსებიდან ასეთებდალ მიგვაჩნია: „ხორციის სიმძიმე მიატყულებს“ „ღავეშვა ადამა“, „ოუმორცხა“, „იმდენი კარგი ვაქვია მოკვდა“, „ოქ დაბრუნდები ციდანა“, „ჩემს პატარა ნანას“, „საბა“, „შენ, სისხლო ჩემო“, „მიდის, მიდის“, „ეთთარცა მტკვარი“ და სხვა. მაგრამ, ჩვენი აზრით, მუხრან მაჭავარიანი ზოგჯერ ზედმეტად ენდობა თავის ომახიან ხმას და გულგრილობას იჩენს ლბილი პოეტური ფერებისა და დახვეწილი ქართული ტრადიციული კლასიკური ლექსის ფორმისადმი. პოეტი გადაჭარბებულად ენდობა აწეულ ტემპერამენტსა და ელვარე პოეტური სიტყვისა და აზრის გამჭრელობას, ნაყოფი ანგაროშს უწევს სტრიქონებისა და სიტყვის მოღვევნიასა და სიღბოს, რასაც შალალო პოეზია ვერ ითმენს და თვალში საცემი ხდება მშრალი პათეტიური მსჯელობა და დეკლარაციულობა.

ბედნიერებაა, როცა შემოქმედი მხატვრულ აზრს, ლირიკულ ჩანაფიქრს თავის შესაფერის ფორმაში აქცევს, სიტყვას თუ სათქმელს ერთვინულ ემბაზში ავლებს და ისე აწოდებს მკითხველს. და ეს ბედნიერება აქვს **შოთა ნიშნიანიძეს**. პოეტის ერთ-ერთი დიდი თავისებურება ისაა, რომ მისი პოეტური სულის ნახატი მუდამ საგანგებოდ შერჩეული, მომეტებულად სქელი, შედგებულ, პოხიერი ფერების ნახაფითაა შესრულებული. მას აქვს ხილვა შორეულისა, ყნოსვა სიახლისა და სინამდვილის მძაფრი განცდა. გაიხსენეთ პოეტის ლექსები: „დიოსკურია“, „უოლტ უიტმენს“, „მოსე“, „ილიადას მთარგმნელი“, „რიტმები“. შოთა ნიშნიანიძის ძარღვიანი სიტყვა, პოეტური აზრი მუდამ თავისუფლად სუნთქავს მის უშუალო, ბუნებრივ სტრიქონებში. იგი უადრესად კლარიფიკული პოეტია. მან არა ერთი თვისობრივად ახალი საკუთარი ლექსი შექმნა: „ბროწეულა“ „მადშალია მომკვდარა“, „იმერეთი... გიორგობის თვე“ და სხვა. მისთვის ნიშანდობლივია კლასიკურ პრინციპებზე აფეხული მხატვრული მოღელის ახალი წახნაგებით გამდიდრება.

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში მკვეთრად შეინიშნება ცხოვრებისეული საკითხების ფილოსოფიურ ასპექტში წარმოსახვა მათი პოეტურად აღქმის ბევრი საინტერესო ფაქტი, მაგრამ

ახლა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მისი მეტაფორული პოეზიისა და ხეიფლიანი პოეტური სიტყვის ძალა და მიშზიდველობა კარგად მოჩანს ლექსებში: „ხარი“, „ციხე-ტაძართა საგალობელი“ „ხევესური“, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებაში ზოგჯერ შეინიშნება ლიტერატურაში უკვე არსებული პოეტური თემებისა და მოტივების განმეორება, არა იშვიათად გავხვდება მცირე პოეტური ფაქტის ზედმეტად დაზვიადება, რამდენადმე გაუბრალოებული სტრიქონები, რასაც პოეტი უნდა ერიდოს.

სასიამოვნოდ ედრის ანთოლოგიის ფურცლებზე **ნაზი კილასონიას** ოდნავ მინორული, თავისებური პოეტური ხმა. მისი ლექსების უმრავლესობა საყოფაცხოვრებო, ინტიმური მოტივების საფუძველზე აღმოცენებული უშუალო შთაბეჭდილებითაა შთაგონებული. პოეტის ლირიზმით გაცლენილ სტრიქონებს მუდამ თანახლავს თბილი, მელოდიური კილო და მშობლიური ქვეყნის კოლორიტის დიდი გრძნობა. მისი პოეტური სიტყვაც, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ისტორიული ყოფისა და ქართული ეროვნული პოეზიის ნიადაგზეა დაფესვიანებული. როცა პოეტი ქალის დახვეწილ, ფაქიზი გემოვნებით შესრულებულ ლექსებს ეკითხულობთ, ხელშეახებდალ ეგრძნობთ ქართლისა და ძველი კოლხეთის გარდასულ სურნელებას, თანამედროვე ცხოვრების მარჯს ფეოქვას, მშობლიური მიწის სინოყიერესა და მზის მცხუნვარებას. მას აქვს თემის შერჩევის ალლო და ზომიერების კარგი გრძნობა, რითაც ყოველთვის სასურველ ემოციურობას აღწევს. ჩვენი აზრით, ქართული კრიტიკისაგან ნაზი კილასონია ისე არაა დაფასებული, როგორც საპირია. ლექსები: „ვეგალობ ჰარალეს — დოვლითის ღმერთს, „მე რომ წავიდე“, „მამა“, „ოჩოკოჩი“, „პატარალი“, „გიო“ და „სავალობელი სიყვარულისა“ უსათუოდ დიდი შემოქმედებითი სიხარულით იკითხება.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე ანთოლოგიაში წარმოდგენილი **მედვა კახიძის** ლექსები. მას ახასიათებს ბუნებრიობა და უშუალობა. მისი ლექსები, უპირველეს ყოვლისა, მკითხველისათვის საინტერესოა ადამიანური ყოფის ჭანსალი მოტივების კონცენტრაციით. პოეტური გულწრფელობა მისი თანდაყოლილი თვისებაა, რის წყალობითაც მისი ლირიკული ჩანაფიქრი ადვილად აღწევს მკითხველამდე. მის ლექსებში მოჩანს ქალური სევდაცა და სიხარულიც.

მედვა კახიძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს

**შალვა ფორჩხიძე**  
ქართული საბავთე პოეზიის ანთოლოგია

რაც ოჯახურა, საყოფაცხოვრებო საკითხების პოეტურ ასპექტში წარმოსახვას. იგი ვადაცებით უმღერის ქალისა და ვაჟის უკეთილშობილეს გრძნობებს, მათ სულიერ სიწმინდეს.

საერთოდ, როცა მედღეა კახისის მეტად გამჟღავნავალ, ნათელი ფერებით შესრულებულ ლექსებს ვაჯერდები, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მან უფრო მეტად უნდა იზრუნოს ფორმისა და შინაარსის სიღრმისა და სრულყოფისათვის, საკუთარი პოეტური გზის გამოკვეთისა თუ დამკვიდრებისათვის, რის შესაძლებლობა მას უსათუოდ აქვს.

ინდივიდუალური, მსუბუქი, სასიამოვნო პოეტური ხმისა და ხელწერის პოეტია მორის ფოცხვილი. ანთოლოგიაში მოთავსებული მისი ლექსები, გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ნათელი, სასიმღერო ინტონაციითაა შესრულებული. მორის ფოცხვილმა თავისი ცხოველი ფანტაზიის წყალობით თემატურად მეტად მრავალფეროვანი პოეზია შექმნა. მას აქვს პოეტური თემის ორიგინალურად ვიდეოაქტის უნარი, რის გამოც სამართლიანად იმსახურებს მკითხველის ყურადღებას და ემოციურობასაც აღწევს. ამ მხრივ საინტერესოა მისი ლექსები: „ლაზიერის გამბიტი“, „კოსმიური უღლება“, „ქარაგმა“, „კვირა დღე ზოლოფიურ ბაღში“ და სხვა, მაგრამ ფოცხვილის პოეზია, ზოგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, რამდენადმე აკლია შინაგანი ენერჯია და ფერი. მისი ლექსები ხშირად ზედაპირულია და ძნელადმისაღწევი იდეოლოგიისგან გაძარცვული. ისინი შეიძლება სიამოვნებით მოისმინო კათედრიდან და აღტაცებაც იგრძნო, მაგრამ როდესაც თვალთმოკითხვით ჩუმად, შენთვის, მათი მოსმენის დროს მიღებული შთაბეჭდილებები უმაღლეს ქრება და გულდაწყვეტილი რჩება. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ პოეტი შემოქმედებითი აქტის დროს, ეტყობა, ნაკლებ ენერჯიას ხარჯავს სათქმელის მეტი სიმძაფრით გამოხატვისათვის. იგი მხოლოდ პოეტური ფაქტის მიგნებით, ეგრეთვლილებული, პოეტური გამოხატვლობით ემაყოფილებდა, ერთობ ცოტას ზრუნავს ლექსის სისხლ-ხორცისათვის, მტკიცე ნაქვლობისათვის, მკიდროდ ნაქსოვი სტრიქონებისათვის.

ამგვარივე მსუბუქ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ლექსები: „ნადირობა“, „ვინც ამ ვაგონს გააცივნებს“ და „გახსენება“. ეს შენიშვნა ბევრ ჩვენ ახალგაზრდა პოეტსაც შეეხება, რომელთა შესახებაც ახლა აქ ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ ისინი კი უსათუოდ უნდა მიხვდნენ და ყურადღებონ...

ანთოლოგიის ფურცლებზე ვრცელადაა წარმოდგენილი ჩვენი საოცარი მოძრაი, მოქმედი პოეტის ჯანსუფ ჩარკვიანის ლექსები. თავისი თაობის პოეტებისაგან იგი, უპირველეს ყოვლი-

სა, ჯანსაღი მოქალაქეობრივი პათოსითა და ტემპერამენტით გამოირჩევა. მისი უკუჩქვინებელი თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტი ზრუნვისა თამაშე. იგი გაბედულად მიდის პოეტურ თემასთან. არ უყვარს სათქმელის განგებ ვართულება, მხატვრული სახისა და სტრიქონის წვალება, ყალბი, მიჩვენებითი პოზის მისაღებად. იგი გულთბილ მღერის, ძალდაუტანებლად და ამით აღწევს ემოციურობას.

ჯანსუფ ჩარკვიანი უფრო უეცარი აფეთქებისა და დაწყობილებების პოეტია. მისთვის უცხოა მონოტონურობა, ერთნაირი, დამშვიდებულ პოზაში ყოფნა. იგი ყელამდე ჩაფლულია ჩვენს მღელვარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუდამ გახანგრძლივებული თვალთმოკითხვისაგან ვიღაცამს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება. მას უყვარს ადამიანი, სიცოცხლე და სამშობლოს წარსულსა და მომავალზე რომანტიკულად ჩადგინებული ალალად მღერის. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებით მართალი, თუ პოეტს არ ვეტყვი: ზოგჯერ მის ლექსებს ერთგვარი აჩქარება ეტყობა. ხშირად ლექსის მუსიკალურ რბევას აყოლილი მარტვე სტრიქონებს ქმნის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლირიკული ლექსის თუ პოემის სიუჟეტურ განვითარებას, კომპოზიციურ სრულყოფას, აზრის ეფულ სისარმებს.

თამაზ ჭილაძის ლირიკული, დამწინდელი პოეტური ხმა, მისი დახვეწილი გემოვნება და პოეტური მრწამსი კარგად მოხანს იმ მკვირვრიცხოვან ლექსებშიც კი, რაც ანთოლოგიის ფურცლებზე მოუთავსებიათ ამ ვიდეორთელა წიგნის შემდგენელთ. ჩვენი აზრით, იგი აქ მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი. თამაზ ჭილაძეს, როგორც პოეტს, დიდი ხანია იცნობს ქართული მკითხველი. მისი ლექსები ქართულ პოეზიაში გამოირჩევა თბილი, სასიამოვნო ფერებით, მხატვრული სახისა და პოეტური აზრის სიზუსტით. მას აქვს ზომიერების დიდი გრძნობა და წერტილს მუდამ თავის დროზე უსვამს სათქმელს. ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსებიდან თითქმის ყველა ერთნაირი, სასურველი ოსტატობითაა შესრულებული.

ასევე სასურველი ოსტატობითაა შესრულებული, ანთოლოგიის ფურცლებზე მოთავსებული ვახტანგ ჯავახიძის უსათურო, ლირიკული ლექსები. იგი უსათუოდ თავისებური მანერის პოეტია. მისი ლექსი ყოველთვის ნათელია და გამჟღავნავალი. იშვიათად თუ მოქმედნი ჩაყარნლი, ბუნდობლივად აზადრისმთმელ სტრიქონს. იგი, როგორც იტყვიან, უფრო გონებისმეორე მშვიდი ტემპერამენტის პოეტია, ვიდრე აღზნებული განწყობილების, მოულოდნელი აფეთქების შემომქმედი.

გულწრფელად უნდა ვილაპარაკოთ, რომ, როცა მის პოეზიას ვეცნობოდით, დიდ სიამოვნებას





განვიცლით დახვეწილი, კარგად მოფიქრებული ლექსების კითხვით. მაგრამ, როგორც კი შევამჩნიე, რომ თითქმის ყველა ერთნაირი ტონალობითაა შესრულებული, რატომღაც იმ წამსვე კრიტიკულად დავუწყეთ ცქერა მის პოეზიას და ისიც აღმოჩნდა, რომ მის ლექსებს ნაკლებად ახლავს თან ვამძლე, ვადამღები, დიდ ხანს გამყოფი განწყობილებები. ეს იქიდან დავსკვინით, რომ, როცა თავის სტილში მის მშვენიერ ლექსებს კითხულობ, მოგწონს და კმაყოფილების გრძობით ივსები, მაგრამ, როდესაც წიგნს ხურავ და შორდები, გიჟირს აღადგინო მენსიერებაში წაითხული ცალკეული ლექსის სხეული, ნათლად წარმოადგინო მისი კონკრეტული სახე. აღბათ ამითაა გამოწვეული, რომ პოეტი იშვიათად თუ ასათურებს თავის ლირიკულ ქმნილებებს. ამ გარემოებას იგი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს. მით უმეტეს, რომ პოეტს აქვს ისეთი ლექსებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენს შენიშვნას: „ბევრი რამ ხდება საოცარი ამ ქვეყანაზე“, „ღედებს იმდენი ხობა შეისხეს“, „რაც გამაჩნია, ყველაფერს ვყიდ“ და ბევრი სხვა. საერთოდ, ვახტანგ ჯავახიძე ერთ-ერთი კარგი პოეტია ორმოცდაათიან წლებში გამოსული თაობის პოეტთა შორის.

ყველა ზღაპარი როგორ გასრულდა,  
სად მიმიყვანა ჩემმა ბილიკმა...  
მე ვნახე სულში ამოკაწრული  
სიკვილ-სიცოცხლის რთული ბილინგვა.

ეს სტრიქონები ანთოლოგიის ფურცლებზე წარმოდგენილი ტარიელ ჭანტურას პოეტური პროდუქციის ბოლო ლექსიდანაა, რომლისთვისაც ავტორს „პოეტის ბოლოსიტყვაობა“ უწოდებია და რომელსაც ასე ამთავრებს:

ღვას ოპელისკი ცად აზიდული —  
სად შემიტყუა ვიწრო ბილიკმა...  
ვნახე სიოცხლე, ვნახე სიკვილი —  
მე ორავესი კმაყოფილი ვარ!..

არ ვიცი, შეიძლება ეს ვინმეს პრეტენზიულ განცხადებადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ერთი უდგოვია: ვინც სიკვილ-სიცოცხლის სულში ამოკაწრული თუ ამოტიფრული ბილინგვა იხილა და იგი შეუცდომლად ბოლომდე წიიკითხა, მართლაც ბედნიერი და კმაყოფილი უნდა იყოს!

ტარიელ ჭანტურას ბედნიერება სწორედ ის არის, რომ მას სრულიადაც არ ეტყობა კმაყოფილება. იგი მუდამ ძიებაშია და საქმიოდ რთული პოეტური წარმოსახვებისა და შორეული ასოციაციებით დატვირთული ფანტაზიის წყალობით ამქვეყნიური აღმამაწერ ყოფის, სიკვილ-სიცოცხლის იღუმალებით მოკულ ბი-

ლინგვის წაქითხვას ცდილობს, პოეტურ სიტყვას, სათქმელს მონდომებით ხევეწას და მომეტეულად შეუქმშული ნათელი აზრით დამბეჭტულ ლექსებს წერს: „მეც ზურაბივით ქართლის კედელში ჩატანებული გყავარ შუამდე“, — მიმართავს იგი სამშობლოს... საინტერესოა ტარიელ ჭანტურას პოეტიკა. იგი პოეტურ ფრაზას რადიკალურად განიცდის მწეავედ, სიტყვას მოწინებითა და სიფრთხილით ეკიდება მუდამ, პოეტურ გულუბრყვილობას ეკრძაღვის, გონებისა და ნერვების დაძაბვას არ ერადება, კონკრეტულსა და ზოგადად ერთნაირი ძალით აღიქვამს ინტიმურად და ამით აღწევს სასურველ კეთილზმოვანებასა და ემოციურობას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელ ჭანტურია ზოგჯერ ბუნდოვანებისა და მოულოდნელი უცნაური პოეტური ვადახვევებისაგანაც არაა დაზღვეული. იგი არ ერადება საკუთარი ლაბორატორიიდან ექსპერიმენტების გამოტანას, რაც ყოველთვის სასურველ შედეგს არ იძლევა. მის პოეზიაში არცთუ იშვიათად შეინიშნება წიგნური ასოციაციები და შორეული, ლიტერატურული სერმონისენციები, რაც, სამწუხაროდ, ხშირად დამახასიათებელია ბევრი მისი თაობის პოეტისათვის.

როცა ზაურ ბოლქვაძის ლექსებს ვკითხულობ, ყოველთვის მაგონდება გიორგი ლეონიძის სიტყვები, ერთხელ ახალგაზრდა პოეტებზე საუბრის დროს რომ თქვა: „ბოლქვაძეს მაჭარივითი შუშუნა ლექსები აქვს, ჯერ თვითონაც მაჭარივითაა, როცა დადლდება, კარგი პოეტი უნდა დადგესო“. ზაურ ბოლქვაძე მართლაც ცოცხალი, ფიციბ ტემპერამენტის პოეტია. მას აქვს ფრთიანი პოეტური სიტყვა. ცხოველი ფანტაზია და უშუალობა.

ზაურ ბოლქვაძის ლექსებში „წეროები“, „კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი“, „უშმა“, „იგი მოხუცდა და ბეშედად იქცა“ და „მთები“ კარგად მოჩანს მისი პოეტური შესაძლებლობა, ხოლო მისი გულწრფელობა და კდემამოსილება კარგად იკითხება ლექსში „ავტოპორტრეტი“.

უშუალობისა და კეთილშობილების დალი აზის გვიგ გეგეკორის ლირიკულ ლექსებს, მისი საყვარელი ყვეთელი შინდევით ფართოდ რომ გადატოტვილან ანთოლოგიის დიდი ფორმატის ფურცლებზე. მიუხედავად იმისა, რომ გვიგ გეგეკორი აქ სრულად დაუმსახურებლად, როგორც მისი თაობის ზოგიერთი ლირსეული პოეტი, ძალიან მცირერიცხოვანი ლექსებითაა წარმოდგენილი, ჩვენ მაინც მკაფიოდ უხედავთ მის პოეტურ პროფილს, ვგრძნობთ უარესად ფაქიზი გემოვნებისა და მგრძნობი-

**შალვა ფორჩხიძე**  
პარტული საპროტო კომიზის ანთოლოგია



რე ადამიანის თრთოლვას ამადლებულისა და უწმინდესის წინაშე: „მე ვარ მოკვდავი და ვარსკვლავს ხელი არ მიგიწვდება ჩემს წუხილამდის, შენი სინათლე სახალღელია, მეცი სინათლე მაქვს უხილაი“. შეღალადებს იგი უღაბნოში გარჩენილი მწირივით თავის სალოცავ არსებას თუ შორეულ მარისს, რომელიც მას მწყემსი გავოს სახით წარმოუდგენია: „შენ ფხვნიველი მწყემსი გავო ხარ, მცხეთის სერებზე თხებს ერავები... გივი გეგამქორს აქვს შეგარძნება რაღაც შორეულისა და დიადის. იგი უმღერის ადამიანის დაუტყბრომელს სულეერ სწრაფვასა და უბიწოებას... მას აქვს სამოქალაქო მოტივებზე შექმნილი საუეთეთოს ლექსებიც, რომელთაც ანთოლოგიაში თავისებური სუნთქვა შემოაქვთ. ესენი გახლავთ: „ლევინდებისთვის და ბავშვებისთვის“, „მოხუცი მშვიდი და უცნაური“, „ომის შემდეგ“ და სხვა. მაგრამ საოცარია, რომ ის შენიშვნები, რომლებიც ჩვენ ზემოთ ტარიელ ჰენდურაის პოეზიაზე ვთქვით, უკლებლივ შეგვიძლია გავიშეოროთ გივი გეგამქორის ლექსებზეც.

**ოთარ ქილაძე** იცის პოეტური აზრისა და სიტყვის გაუცხოება. მის მომეტებულად ტევალ, ბუკარესტოქმელ ლირიულ პოემებსა და ლექსებს მუდამ ჰუმანიტი ოსტატის ხელი აჩნევია. მას აქვს სადა, მშვიდი, სასაუბრო კილო და შინაგანი სულერი ძაბვა. მისი ღრმააზროვანი, მრავალწახნაგოვანი ბლანის პოეტური ნაწარმოებები ყოველთვის უზადოდაა შესრულებული. მას აქვს უცნაური ფანტაზია და ხშირად ანტიური ღრთის ვიტირებთან საუბრობს, მაგრამ სისხლში თანამედროვე ადამიანის მისწრაფების მერე ტკივილით განიცდის. ჩვენ ყოველთვის ვეხიბლავს მისი რთული პოეტური წარმოსახვების სიღრმე, მოულოდნელი პოეტური აზრი, ერთი შეხედვით უპრეტენზიო სტრიქონებში გამოთქმული სადად, უბრალოდ.

ოთარ ქილაძე მუდამ გარიდებულია ჩვეულებრივ, ბანალურ პოეტურ აზროვნებასა და გამოთქმებს. ამიტომ ზოგჯერ ძნელად წარმოსადგენ პოეტურ სახესა და ბუნდოვან სტრიქონებსაც გამოთრევს ხოლმე, მაგრამ მაღალი პოეზიის ბალს ძირს არასოდეს ეწევია. მან უსათოოდ პოეტური აზრის თქმისა და განცდის დიდი სიახლე მოიტანა ქართულ პოეზიაში. ამის საუკეთესო მაგალითებია მისი ლირიული ლექსები: „მონღოლების ბანაი“, „ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით“, „გამოთხოვება“, პატარა ლირიული პოემა „თაო და ზანა“ და მრავალი სხვა, რომლებიც ანთოლოგიაში დიდი თავისებურებებით გამოირჩევა. თუმცა, ჩვენი აზრით, მის პოეზიაში რამდენადმე ქარობს განსჯის ელემენტი, წიგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებები, ბიბლიური და ძველი ანტიური ბანის ლიტერატურული სიუჟეტები, რასაც

პოეტი, მართალია, მოხერხებულად იყენებს თავისი ლირიული ჩანაფერის განხორციელებისათვის, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მხრივ მეტი თავშეკავება მართებს.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ანთოლოგიაში დაბეჭდილი **ოთარ შალამერიძის** ლექსები. მაგრამ, ჩვენი დაკვირვებით, მისი პოეზია წერ კიდევ არაა გათავისუფლებული უფროსი თაობის პოეტების შორეული გავლენებისაგან. მის ლექსებში არცთუ იშვიათად ვხვდებით სხვისეულ განწყობილებებსა და პოეტურ აქსესორებს, რასაც იგი უნდა ვრიდოს. სხვა მხრივ იგი საკმაოდ კარგად წერს. მას აქვს თბილი ლირიული ხმა და ხშირი შემთხვევაში ემოციურობასაც არაა მოკლებული.

**ემზარ კვიციანი**ს პოეტური სტილისათვის უცხოა სიტყვის ფეტიშიზაცია. იგი პოეტურ აქცენტს ხშირ შემთხვევაში აზრობრივ ელემენტზე ამახვილებს და მამეტებული თავშეკავებით ამხელს ლირიულ ჩანაფიქრს. მას აქვს კოლორიტის კარგი გრძნობა და მშვენიერ ფერწერულ სურათებს ქმნის. ანთოლოგიაში ყულადლება იქცევა მისი ლექსები: „ვისიც რა მმართებს, აქვთ მოგროდით“, „გურია“, „გაზაფხული“, „ფიცი“. ამ ლექსებში უსათოოდ იგრძნობა პოეტის გულწრფელობა, დახვეწილი გემოვნება და უშუალობა.

უსათოოდ კარგი ლექსებია **რეზო ამაშუყელის** „შენ მოგვკვა ვრცელი ტრამალის სული“, „მარტობა“ და „შრომა“. მას აქვს ენერგიული სტრიქონები, კოლორიტული, კარგი ფერწერული ნახატები.

რეზო ამაშუყელის პოეზიას საკმაოდ მომადლებული აქვს საზოგადოებრივი პათოსი. ამის დასტურია ლექსი „ალექსანდრია“, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს როგორც მის შემოქმედებაში, ასევე ანთოლოგიაში.

სიამოვნებით უნდა განავცხადოთ, რომ სამოციანი წლების პოეტებს შორის მკვეთრად გამოირჩევიან **ლია სტურუა** და **ბესიკ ხარანაული**. მათ აქვთ ლექსის თავისებური სტრუქტურული ხეობა, პოეტური წარმოსახვები, თავისებური წიგნისა და განცდის უნარი. **ლია სტურუა**ს ლექსებში მოჩანს შემოქმედებითი ენის და ენება, ცხოვრებისა და სამყაროს ქალური განცდა. იგი თამამად უარყოფს პოეზიაში ყოველივე ტრადიციულს, ამ სიტყვის კარგი გაგებით და მეტად ორიგინალურ პოეტურ ხმას იმკვიდრებს. იგი არ ემორჩილება ჩვეულებრივი რითმიანი ლექსის შენების პრინციპს, თავისუფალი, თეთრი ლექსით წერს. მის სტრიქონებს უფრო გაღიზიანება და ნერვიულობა ეტყობა, ვიდრე მოვლენებისა და საგნების დამშვიდებუ-



ლი, პასიური ჭერტა. მას სიახლის დიდი გრძნობა აქვს და უნდა ყოველთვის თავისებურად თქვას, დამოუკიდებელი იყოს. ამიტომ ზოგჯერ უცნაურსა და ბუნდოვან სტრიქონებსაც ვეთავაზობს, მაგრამ ეს უფრო ასატანია, ვიდრე ის ერთფეროვანი, გაყვეთილი, ბანალური პოეტური აქსესუარებით დაწერილი ლექსები, რომელთა დანახვა მეტხეველს ჰქირს დღესათვი ეზარება.

ასევე უნდა ვთქვათ ბესიკ ხარანაულის პოეზიაზეც. „თებერვალი იერის ქალებში“ და „ფშაური მშის ნაბიჯები“ არათუ მის შემოქმედებაში, მთელ ქართულ პოეზიაში საუფეთესო ლექსებად მიგვაჩნია. მისთვის ნიშანდობლივია ინტიმური განცდის დიდი ენერჯია. იგი არაა შეპყრობილი რითმის ძებნის ეჩინით, უფრო ხშირად თავისუფალ ლექსებს წერს და საოცარ შინაგან პარმონიულობასა და პოეტურ კეთილზოფანებას აღწევს. მისი ოსტატურად დახატული ბუნების პლასტიური სურათები მარტო ლამაზი პეიზაჟი კი არა, პოეტის შინაგანი, სულიერი მოძრაობის მშვენიერი ნახატია. ამიტომ, როცა იგი ახსენებს „ხეში შემძვრალ თებერვალს“ ან დედულეთის ნახევებიდან აფრენილ ლურჯ ყვავებს, ნისლიანი სივრცეებით რომ ვაბზრებულა, გულზე რაღაც გაუტყვეველი სითბო და სიყვარული გვაწვება მშობლიური მხარისა.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების პოეტთა უმრავლესობის დიდი ნაკლი ისაა, რომ ისინი მომეტებულად გვიან ერთმანეთს, არა აქვთ თავიანთი განსხვავებული საკუთარი პოეტური მანერა, საბიერება. როცა მათ ლექსებს ეცნობი, რომლებიც ახლა ასე უხვად იბეჭდება ჩვენს ეურნალ-გაზეთებში, გოცელები რჩები: როგორ ახერხებენ ისინი, რომ თითქმის ყველა ერთ დონეზე დგას, ყველას ერთნაირი პოეტური დერიტა აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ყველამ ერთნაირი პოეტური განწყობილებებით წერონ, ერთნაირი წარმოსახვებითა და გამომსახველობითი საშუალებებით შექმნან ლექსები და ანგარიშს არ უწევენ დიდი პოეტის ნათქვამს: „ერთი პოეტრ მით დაფასდება, რითაც მეორისაგან განსხვავდება“. შეიძლება ეს პარადოქსი იყოს, მაგრამ აქ უსათუოდ დიდი სიძარბოეცაა.

პოეტურ თავისებურებებზე ჩვენ ასე ზახვას მით იმტომ ვლაპარაკობთ, რომ ახლა ქართულ პოეზიაში მომეტებული ერთფეროვნება სუფევს. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ის უნდა იყოს, რომ ჩვენი პოეტები, უმთავრესად ახალგაზრდობა, ზედმეტად გატაცებულია უცხოური ლიტერატურითა და სრულიად უსაფუძვლოდ ივიწყებენ მდიდარი ქართული ხალხური პოეზიისა და კლასიკური ლიტერატურის დიდ ტრადიციებს, ნაკლებად იცნობენ ჩვენს სინამდვილეს, ცხოვრებას. კითხულობენ უცხოურ წიგნებს, რაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია ყველა განათლებულ

ადამიანისათვის, და მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შექმნილი განწყობილებებით, ამოკრეფილი აზრობითა და გადმოღებული თუ გადამომღერებული პოეტური სახეებით ქმნიან ერთნაირი ყადის ლექსებსა და ლირიკულ პოემებს (გულუბრყვილოდ ფიქრობენ, რომ ამ წიგნებს მხოლოდ ისინი კითხულობენ). რასაკვირველია, ამგვარ ვითარებაში ეროვნული პოეზიის განვითარება დიდად ფერხდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა, ერთი შეხედვით, მცირე გამოცდისის გარდა, ტექნიკურად სუსტ ლექსს თითქმის აღარავენ წერს. დრო მოიტანა. ქართული ლექსის ფორმა საოცრად დაიხვეწა და განვითარდა, როგორც ბევრი სხვა რამ, მაგალითად, ტექნიკის სფეროში, და პოეტური ფრაზისა და სტრიქონის გამართვა ყველამ ისწავლა. მაგრამ ეს არაა ჰემმარტივი ოსტატობა. ხშირად გარგენულად გაკრიალებულ, ვერსიფიკაციის თვალსაზრისით კარგად შესრულებულ ლექსებში სრული ქაოსია და უაზრობა. საოცარია, რომ ამგვარ ლექსებს ზოგიერთები რთულ, ინტელექტუალურ ლექსებს უწოდებენ. რთული ლექსის პირველი ნიშანი მხოლოდ სისადავე და სინათლეა. სხვა არის აზრობრივი სირთულე, სიღრმე. რთულ ლექსად ჩვენ ისეთი ლექსი მიგვაჩნია, რომელიც ათასჯერ წაიკითხავს და კვლავ თავისივე გეძახის, როგორცაა აკაცის „განთიადი“, ბართამვილის „შემოღამება მოაწინადზე“ და გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“.

დაახლოებით ასე წარმოვიდგენია ქართული საბჭოთა პოეზიის, პოეტური სიტყვის განვითარების გზა 1921 წლიდან მოკიდებული დღემდე. ასე გვეხატება ანთოლოგიის ფურცლებზე მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დიდი პოეტების პოეტიკები, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი დაუცხრომელი ეჩინთა და თავგანწირული შრომით მხარი გაუსწორეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდ პოეტების მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პოეტების უპირველესი მოვალეობაა, ისე უპასურონ დროს, როგორც ამას მათი წინა თაობის დიდი პოეტები ახერხებდნენ. ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების პოეტებს ხედავთ წილად მეოცე საუკუნის პოეზიის დასრულება. ამიტომაც ყოველი თანამედროვე პოეტი უნდა ცდილობდეს ისეთი მაღალი, კეთილშობილური, ეროვნული პოეზიის ახალი ტრადიციები შექმნას, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დიდმა პოეტებმა უანდერძეს საერთოდ მეოცე საუკუნის პოეტებს, რათა ამავე საუკუნეში განვითარების სულ სხვა, ახალი პერსპექტივები ესახებოდეს ჩვენს მდიდარ ქართულ ეროვნულ პოეზიას. როგორც ზემოთ ვთქვით ასე გვეხატება ქართუ-

**შალვა ფორხჩიძე**  
ქართული საბჭოთა კომპიის ანთოლოგია



ლი საბჭოთა პოეზიის, პოეტური კულტურის, მისი იდეურ-ფორმალური განვითარების გზა 1921 წლიდან მოკიდებული დღემდე. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ამ წიგნის შედგენის პრინციპებისა და გამოცემის ტექნიკურ ნაკლოვანებებზეც...

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანთოლოგიის არა აქვს დართული დახვეწილი, გემოვნური შესრულებული შესავალი წერილი, ხოლო იმ პატარა არაფერისმთქმელ წინამძღვარში, რომელიც ამ წიგნს ახლავს, ამგვარ სტრიქონებს ვკითხულობთ: „თუმცა ზოგი ლექსი საქვეყნოდ აღიარებული იყო, ამით წიგნის შემდგენლებს და რედაქტორებს სამუშაო არ გაადვილებიათ. მათ შინაგანი ათასი ნაწარმოების ხელახლა ვალაგობვა მოუხდათ, რათა უკეთესი უკეთესის გვერითი უკლებლივ წარმოედგინათ. როგორც საწართველოს მთა-გორების ერთი მთლიანი პანორამა — ანთოლოგიაც ევდება გვიანვრის ქართული პოეზიის სიმალეებზე, მაგრამ რაც არ უნდა მკაცრი იყოს რედაქცია, მას არ ძალუძს ეს „მთა-გორები“ ვათანაბროს.“ სწორედ ეს სტრიქონები იწვევს ღიმილს. ანთოლოგიის შემდგენელთა არაიენ თხოვდა ქართული პოეზიის „მთა-გორების“ ვათანაბრებას. მათ სწორედ „უკეთესი უკეთესის გვერდით უნდა წარმოედგინათ უკლებლივ“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა...

ანთოლოგიის შემდგენელთ უსათუოდ მეტი ობიექტურობა უნდა გამოეჩინათ ამ წიგნში წარმოდგენილი მასალის შერჩევისას. ვინც თანამედროვე ქართულ პოეზიას კარგად იცნობს, ვფიქრობთ, დაგვეთანხმება, რომ მათ ნებით თუ უნებლით, ზოგი დიდი პოეტის ბევრი კარგი ლექსი გამოტრეხილი და შედარებით სუსტი ლექსებით წარმოდგენილია. შემოინება ისიც, რომ ზოგიერთი პოეტის ლექსების შერჩევისას მეტი სიმაკაცე გამოუჩენიათ, მაშინ, როცა ბევრი პოეტი, სრულიად დაუმსახურებლად, უხვად მოუთავსებიათ ანთოლოგიაში.

ასეა, რომ ამგვარ მოქმედებაში სწორედ ქართული პოეზიის „მთა-გორების“ „ვათანაბრების“ ტენდენცია გამოსკვივის და მეტი არაფერია!

ამიტომ იყო, რომ ჩვენ ზემოთ ასე დაწვრილებით ვლაპარაკობდით ყველა იმ პოეტის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, რომელთაც, როგორც ჩვენი წერილის დასაწყისში განვაცხადეთ, რომელიმე კუთხით მაინც ხელი შეუწყვეს ქართული პოეზიის განვითარების საქმეს, ისეთი პოეტური გამომსახველობით საშუალებები და იდეურ-ფორმალური სიახლეები მოიტანეს, რომელიც მხოლოდ მათ უნდა მოეტანათ და ვერავითარ შემთხვევაში სხვა ვერ შესცვლიდა.

გულწრფელად გვიკვირს, როგორ მოხდა, რომ ანთოლოგიის შემდგენელთა ყველა აქტუური

წიგნის ლექსები ერთ ფორმადღაც, წარმოედგინა, უფრო მეტიც: ზოგიერთ მათგანს იმ მიზნით რომ მეტი რაოდენობით შეეტანა თავისი მხატვრული პროლექტია წიგნში, არათუ შედარდებული ან რეპარაციული და დატვირთილი სტრიქონები, არამედ ათმარცვლიანი სტრიქონებიც კი გაუერთიანებია. ლექსები თემატურად თავის სურვილისამებრ შეუტრიაგვია, რათა მკითხველის მეტი ხიბლი დაემსახურებია, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც კი მიგვაჩნია...

ამ წიგნის მთავარი ნაკლი მაინც ის არის, რომ ეს არაა ქართული პოეზიის ნამდვილი ანთოლოგია ამ სიტყვის ქუშეარითი გაგებით. ეს უფრო დიდი კრებულია, რომელშიც, როგორც ზემოთაც მრავალჯერ ვთქვით, კარგად მოჩანს თანამედროვე საბჭოთა პოეზიის ავიცა და კარგიც. ამ თვალსაზრისით წიგნის გამოცემას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, თუ ჩვენ მართლა პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ანთოლოგიის შექმნა გვსურს, მაშინ წინამდებარე ანთოლოგიის კოლეგიას, მის გამომცემელთ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეტანათ ამ წიგნში აქ მოთავსებული მხატვრული პროლექციის უმეტესი ნაწილი, იმ პოეტების უმრავლესობა, რომელთა სრულად ჩამოთვლაც კი ვერ მოვახერხებთ ქართული საბჭოთა პოეზიის იდეურ-ფორმალური განვითარების ჩვენების სურვილით მიღებული პრინციპის გამო.

ამდენად, ჩვენი აზრით, ქართული წიგნის თაბო, ქართული მკითხველი, კვლავ ელის ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით შედგენილი ანთოლოგიის დახვეწილ, დაწურულ გამოცემას, რომლის ხელში აღემა და გადაფურცელა ისე არ გაუმწივლდება, როგორც ამ უზარმაზარი წიგნისა, სადაც, ალბათ, ამ მოთავსებული მხატვრული პროლექციის მესამედიც არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ გემოვნებიან მკითხველს გაიცლებით მეტი სიამოვნებას განაღდვინებს.

ანთოლოგიის შემდგენელთა მუშაობის შედეგი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით ყველასათვის ცხადია და ახლა კონკრეტულად იმაზე აღარ ვილაპარაკებთ, ანთოლოგიაში რომელი ლექსი უნდა შეეტანათ და რომელი არა. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ანთოლოგიამო მითავსებულ პოეტების სურათების უმრავლესობა მეტად უგემოვნოდაა შესრულებული, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე ბოლიგრაფიულიდაც, რაც არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ წიგნის გამომცემელსა და მის მხატვრულ რედაქციას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ წიგნის გამოცემას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ, გამომცემლობამ „მერანმა“ უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა.



### აპაქი გაჩარაძე

## ილიას „განდეგილი“

ილიას არც ერთ მხატვრულ თხზულებას თანამედროვენი ისე უარყოფითად არ შეხვედრებიან, როგორც „განდეგილს“. თითქმის ერთსულვნად პოემა სულტ ნაწარმოებად მიიჩნიეს. ესტატე ბოსლეველი წერდა:

„ამ პოემიდან სჩანს, რომ ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქო მიანება თავი ცხოვრებითის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწყურა და მის აგსა და კარგს გვერდი აუქცია!..“

ბატ. ჭავჭავაძის პესიმისტურს შეხედულებას „სააქიოზუნდ“ სამზღვარი არა აქვს. ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ზაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად შიანდა, რამდენადაც აღამიანი მდაბლად და ბოროტად.

ამ გვარს ფაქტს ლიტერატურაში და ცხოვრებაშიც კი აქვს, რასაკვირველია, თავის გამომართლებელი საბუთი, მაგრამ მას მაინც ვერ დავარქმევთ ჩვენის მწერლობის ფეხის წინ წადგმას. პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურ ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდეგილისთან“ პოემებში“.

დავით კეზელი ჩიოდა:  
„პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით, ყველაზე უსუსტესია, რაც კი ბ. ჭავჭავაძის კალმითან გამოსულა. უსუსტესია-მთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით ისე გარეგანი ფორმით... ჩვენ ღრთს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორც ილია ჭავჭავაძეა, თავისი ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაფიოდ და უმიზნოდ ცხოვრების დასამღერად მომართოს... ჩვენნი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოულიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“.

კიტა აბაშიძე გვიამბობს, რომ ქუთაისის სა-

ზოგადოებაც ძალიან აღაშფოთათ „განდეგილში“: „ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერათ, ამბობდა ერთი, ანა რა შეიღაოთ გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს, ბერად შედექით, საწუთრო ესე საზაზლარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაქში მოიპოვებთო, საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა „კაცია-აღამიანისა“ და „კაკო ყაჩაღისამ“ ასეთი რამ დაგვიწერათ“.

უკვე შემუშავებულ უარყოფით აზრს კ. აბაშიძე დაუბირისპირდა. იგი „განდეგილს“ მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებად თვლიდა.

„განდეგილი“, უკანასკნელი პოემა ილ. ჭავჭავაძისა, დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელია ავტორის რეალური მიმართულების განვითარებისა. როგორც ღედა აზრი პოემისა ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაუტრბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაიხვება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება გამოვა, ისე მთელი მორალური ფილოსოფია ავტორისა, რომელიც ამ პოემაში იხატება, და ბოლოს თვით ფორმაც პოემისა, არის სრული დამაკმაყოფილებელი რეალიზმის მოძღვრებისა“.

ამის მერე „განდეგილზე“ ბევრი დაიწერა, მაგრამ კიტა აბაშიძის ძირითადი დებულება თითქმის ყველამ გაიზიარა. ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „სხვა გვარად „განდეგილის“ გაგება ჩვენის აზრით შეუძლებელიც არის. აქ სრულიად მარტივად არის დაპირისპირებული საზოგადოებრიობა და ასკეტიზმი, და ასევე მარტივად არის ნაჩვენები უკანასკნელის დამარცხება“.

თუ მართლა ასეა, მაშინ ერთი რამ რჩება გაუგებარი — რატომ აქცია ილიამ ასკეტიზმის გამოა პრობლემად? უბრალო ლოგიკის თა-

### აპაქი გაჩარაძე

### ილიას „განდეგილი“



ნახმად, დასავლობი შეიძლება გახდეს ის უარყოფითი მოვლენა, რასაც, ამა თუ იმ მიზეზით, საზოგადოებაში აქვს ფეხი მოკიდებული. ამას, სხვა საბუთების მოუშველიებლად, ზემოთ ციტირებული სტრატეგიებიც კი კარგად ადასტურებს. როგორც ვნახეთ, მაშინდელი საზოგადოება გაბრაზებული კიდევ, ილიამ განდევნილობის ქადაგება რად დიფყო. მაშასადამე, განდევნილობის გმობა ფეხი ვასროლა ყოფილა და არასრული პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი შეცდომა ილიას ყოვლად შეუძლებელია მოსვლოდა. როგორც ჩანს, ეს აშკარა უხეხულობა ვ. კოტეტიშვილს აწუხებდა. მართალია, იგი კ. აბაშიძის აზრს ეთანხმებოდა, მაგრამ აფართოვება კიდევ: ილია „მოუხეხნარი სიცოცხლის აპოლოგეტად“ დარჩა დასასრულამდე. ყველაფერი, თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი, ოღონდ კი მოძრაობა იყუეს. ილია ჰეგელისათვის მისაღება, რადგან მისი სტეტიონი აქ იშლება. ეს მთავარი შიშით გასდევს მთელს მის შემოქმედებს და ყველგან დაპირისპირებულია უძრავობის და მოძრაობის სივარჯე. მაგრამ თითქოს ილია ჰეგელს ამ დაკმაყოფილა ამ დიდი პრობლემის უბრალო გადაწყვეტა და სცადა ერთგვარი ფილოსოფიური ნიადაგის მოძებნა. ეს აქაც („განდევნილი“ — ა. ბ.) კონტრასტების წესით დუბირისპირა „ეპი-ვაგალიზაციის“ ცხოვრება, მოძრაობა, დაუდევარი არსებობა „მყდრის ნეტარებას“, დაუდევლად ცხოვრებას, ცივს და მიუკარებელ ყველაფერს დაეწყებას“.

ასე დაკავშირდა, პრობლემატიკის თვალსაზრისით, „მგზავრის წერილები“ და „განდევნილი“. ერთი და მეორეც აქტიური მოქმედების აპოლოგად იქნა მიჩნეული. ოღონდ ეს „მგზავრის წერილებში“ ლოზუნგის სახით გამოითქვა, „განდევნილი“ კი პოემის აზრობრივ შინაარსად იქცა.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ასევე იქნა, მონაზნობა სრულიად არ გულისხმობს პასიურ ცხოვრებას. მართალია, ასევე იქნა ღმერთის უსაზღვრო რწმენა, გარნა, იაკობ მოციქულის სიტყვების თანახმად, „საქმეთვან განმართლებების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო“. უფრო მეტიც: „ვითარც შორენი თვნიერ სულსი მკუდარ არიან, აგრეთვე სარწმუნოებაჲ თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობი, 2, 24-26).

რწმენა და საქმე ერთიანი და განუყოფელი ყოფილა. ასევე იქნა არ ყოფილა „მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“, როგორც დავით კეხელმა გაგვიმარტა ეს.

უცნაური ის არის, რომ არც „განდევნილის“ მოწინააღმდეგეებს და არც მომხრეებს არ უცდიათ განდევნილის არსის ახსნა და მერე ილიას პოემის აზრობრივ შინაარსის ამოცნობა. ჩემი აზრით კი, უამისოდ ძნელი იქნება (თუ შეუძლებელი არა) „განდევნილის“ ანალიზი. ამიტომ

შეიძლება უარაღიარებლად დავიწყებულ დელი საზოგადოების მიერ დაეწყებულ ცხოვრებას.

ქრისტიანული რელიგიის კანონების მიხედვით, ბერობა, ყველაზე განდევნილობა, ნებაყოფლობითი აქტია. „დიდი რჯულის კანონი“ ამბობს, რომ მონასტერში შესვლა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც 10 წელი შეუსრულდა. მაგრამ ალექსანდრიის მიწების უფლება აქვს მხოლოდ მოწიფულ კაცს ან ქალს, ვინც იცის, რას აკეთებს და რატომ. მონაზნობის უფრო მაკაცო ფორმა განდევნილობა კი დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც ითხოვს. დაუძღვების მიხედვით სამი წელი მაკაცო მორჩილებაში უნდა გაატაროს ანთი იგი ადასტურებს, რომ გულწრფელად და ნებით აირჩია განდევნილობა. ამის მერე ადგილობრივი ეპისკოპოსი უფლებამოსილია კიდევ გამოსცადოს იგი. ბერმა ერთი წელი უნდა გაატაროს მონასტრის ვარჯიშით, რომ საკეთილად გადაწყვეტილებაც შეამოწმოს და კიდევ ერთხელ დავალებულია მისწრაფების უცვლელობა და ურყევობა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ბერს შეუძლია იცხოვროს მის მიერ არჩეულ განმარტებულ ადგილს, ე. ი. ვახტანგის განდევნილი.

ეს წესი საყოველთაოდ და სავალდებულოა ცხადია, ილიას განდევნილსაც ეს გზა გაიარა, თუმცა პოემაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ეს თავისთავად იგულისხმება.

კი მაგრამ, რატომ ირჩევს ადამიანი ნებაყოფლობით არსებობის ასეთ ფორმას? რატომ ებრძვის ზორს და სულს ეტრფიალება? აქ უნდა გავისხენოთ, რას გულისხმობს ცნებები ზორი და სული.

პავლე მოციქულის მკაცრი განმარტებით, ზორის სიქვეს სიძვა, მრუშობა, მტრობა, შური, წვალება შფოთი, კაცისკლა, მთვრალობა, ღირწება და ამდაგვარი. მაშასადამე, ზორი ბოროტებაა.

სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, რწმენა, მყდრობა, მოთმინება და ამდაგვარი. მაშასადამე, სული სიკეთეა (გალატელთა მიმართ ეპისტოლე, 5, 19-20-21-22).

ადამიანის მიწერი არსებობის მიზანი გათვალისწინებულია ბოროტებისაგან (ცოდვებისაგან) და განწმენილი მიემსგავსოს პირველსაგანს, რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად. პირველი ხატად თვისად შექმნილი კაცი, ადამიანს და ვიდრე იგი ცოდვით დაეცემა იყო ღმერთის სახლი, ტაძარი, ღმრთისა. მასში იყო სიტყვა (ე. ი. ღმერთი) და სიტყვა იტარებდა ადამს. ამდენად, ადამი თვისუფალი იყო ცოდვისაგან, ბოროტებისაგან. მაგრამ ადამის არსში შეიპარა ცოდვა და შეაჩერა ადამიანის ღმრთი ღმერთის მიმსგავსებულობისაგან.

ცოდვისაგან კაცობრიობის სახსენლად ამქვეყნად ღმერთმა გამოგზავნა მისი მხოლოდშობი-

ლი ძე: „რამეთუ არა მოაქვლინა ღმერთიან ძე თვის სოფლად, რაჟამა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჟამა აცხოვოს სოფელი მის მიერ“ (იოანე, 3, 17). ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვა, გოლგოთის გზა გაიარა და ჯვარს ეცემა. ჯვარცმის პროცესის შინაარსია ხორცის (-ბოროტების) დასჯა და სულის (-სიკეთის) გათავისუფლება: „ხოლო ქრისტესთა მათ ქორცნი თუნხი ჭუარს-აყუნეს ენებითურთ და გულის თქუმით“ (ეპისტოლე გალატელთა მიმართ, 5, 24)

ამიტომ უპირველესად, ქრისტიანობა არის, ადამიანის შინაგანი მუშაობა, შინაგანი ბრძოლა თავისთავის გარდასაქმნელად, ქრისტეს შინამსგავსებლად. იესოს მიხსნაგება კი უფლის წიაღში დაბრუნებას ნიშნავს, რამეთუ ქრისტე იყო უხილავი ღმრთის ხატი, მოსული ქვეყნად.

თავისუფალი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევდა განდევნილობას, რომ ტანჯვის გზით სიმბოლურად ქრისტეს გზის განმეორებით დაეგმო ხორცი (=ბოროტება) და სულით (=სიკეთით) ამოღებული მიმსგავსებოდა უზენაესს. ეს არის განდევნილობის არსი.

ეს გზა გაიარა ილიას განდევნილება. დღე-ღამე ლოცვით, ვოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უწყებდა, და ვით ჭურჭელი იგი წყმდელი — ასეგმით ურეცხავს, უსოვლებია. ასეთი ცხოვრებით განდევნილება მიაღწია კიდევ გარკვეულ შედეგს.

ლოცვით და მარხვით ხორცი-უძღურ-ქმნილი ჰკვანდა წმინდანსა იგი წამებულს, მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა ძრვეით-მოსილსა და განდევნულს.

IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე მკარაოს ეგვიპტელი განმარტავს, რომ ქრისტიანული მოძღვრებით, ადამიანის ბუნება არის ბუნება შესაძლებლობისა და მისწრაფებებისა, მაგრამ არა უკვე დასრულებული იდეალისა. ადამიანის ბუნებამ რომ იდეალური სახე მიიღოს, აუცილებელია ღმერთის დახმარება. დამოუკიდებლად ამის გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ ადამიანი პირველხატს რომ მიემსგავსოს, ორი ფაქტორია საჭირო — თავისუფალი ნება და ღვთაების დახმარება. ამ დახმარებას ღმერთი სათნოებით ავლენს. ღმერთის სათნოება არ აიძულებს ადამიანს იფიქროს ხსნაზე. სათნოება მხოლოდ ხსნის სურვილს უღვიძებს ადამიანს, სათნოება თანდათანობით იპყრობს სულს, რომ არ დათრგუნოს ადამიანის თავისუფლება და არ გააოროს მისი თვითშეგნება. ილიას განდევნილიც თავისუფალი ნებით და ღვთაების დახმარებით მისწრაფოდა უმაღლესი იდეალისაკენ.

ღვთაების დახმარება პოემაში შხის სხივის ალუგორით იხატება.

წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია,

და სასწავლი ნიშნად მადლისა მლაღადებულზედ მოუვლენია. ბნელსა სენაკსა, სად იგი მღვარა, ჰქონდა შხის მხრივ ერთი საკრებელი, და მუნით თურმე ვადმოდენილა შუქი შხისა და მთვარის ნათელი. ოდეს უღბანის გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივგაფენით ამოვიდოდა, იმ საცმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა. როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე თვის ლოცვას მწირი ზედ დააყრდენდა, ზე ხორციელსხმელი შხის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეიარჩუნდა.

თითქოსდა განდევნილება მიზანს მიაღწია. უზენაესს და ადამიანს შორის კავშირი დამყარებულია. მაგრამ ტრავმულია მინც მოხდა. რატომ? ადამიანის ღმერთისაკენ ლტოლვა ორი სახით ხორციელდება, როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. პირველ ეტაპზე, ამბობს მკარაოს ეგვიპტელი, ადამიანის მისწრაფება ჯერ კიდევ გაორებულია: ერთი მხრივ, იზიდავს ზეციერი სულის იდეალური ხატი და მეორე მხრივ, თავისკენ ეწევა მიწიერი ცხოვრების სახე. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს გონებას. გონებით უნდა შეერყვას ღვთაების არსს ადამიანი. მაშინ მყარდება უწყვეტი კავშირი უზენაესსა და ადამიანს შორის.

განდევნილისა და მწყემსი ქალის შეხვედრა მოხდა ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის პირველ საფეხურზე, როცა კავშირი მათ შორის ხორციელდებოდა გრძნობის სურვილით და არა გონების ნებით. როცა განდევნილი ჯერ კიდევ გაორებული იყო. ამიტომ **მწყემსი ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდევნილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე**, რომელიც ჯერ კიდევ ეძახდა ბერს. ამდენად არ უნდა იყოს მართალი სიმონ ჩიქოვანის აზრი, რომ მწყემსი ქალი „თერგის მონათესავეთა, თერგის განტოტება თუ თვითონ თერგია“. იმ აქტიურობის განსახიერებლად, რომლის სიმბოლოდ ილია თერგს მიიჩნევს, მწყემსი ქალი არ გამაღდება. ასეთ სამარჯვარამო აქტიურობას „განდევნილში“ მწყემსი ქალი არ იჩენს. მართალია, მან გაახსენა მეუღლანოეს მიწიერი ცხოვრების მშვენიერება, მაგრამ არაფერი უთქვამს ისეთი, რაც მწირისათვის უცნობი იყო. არც ამ ცნობილი მშვენიერების დასაცავად გამოუმუშავებია ქალს განსაკუთრებული ენერგია.

ან შენ როგორ სძლებ უწყუთისოფლოდ! მერე იცი კი რა-რიც ტკბილია! აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე, აქ ქირია და იქ კი ლხინია.

**პაპი ბაბრამი**  
ილიას „განდევნილი“



ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი ყველა გულიდამ ამოვიღია? ნუთუ ნალექი, დარდი და ჭავრი თან არავისი წამოვიღია, არ გაგონდება არც მამა, დედა, ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი? ნუთუ მის-დღეში არა გყოლია მოკეთე, გულის შემატკივარი?! როგორ მოშორდი?...  
 თუ საქმეს ზერელედ შევხედავთ, — როგორ მოშორდი? — კითხვის პასუხი განდევლის იოლად უნდა ეპოვა — ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწყემსი ქალის მიერ დახატული ტბილი წუთი-სოფელი განდევლისათვის ნაცნობი და განცდილია, მერე კი — ნებაყოფლობით უარყოფილი. მეორეც, განდევილმა უარყო არა სი-ცოცხლე, არა თვისტომი და მოყვასი, არამედ ქვეყანა.

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა; სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამე, ვითა მპარავი და მტაცებელი; სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად, მას უმართლობად ჰქვინის ცოდვის ხელი; სად რყენა, წაწყმედა და ლალატია, სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა, სად ცილი, ზავა ძულეზადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისა.

განდევლის უარუყვია ცოდვა და არა მადლი. თორემ სიკეთისა და მადლის სამსახური ქრისტიანობის უპირველესი მცნებაა. ამას დასტურად არ სჭირდება საბუთების მოშველიება. ეს პოემამო მკაფიოდ ჩანს. როცა ქარიშხალი ამქვივარდა, ცამ პირი მოიხსნა და ქვეყანას წარღვნა დაემუქრა, განდევალი ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა და ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

როცა გზადაკარგული ადამიანის შვილის ხმა მიწვდა განდევლის სმენას, მეუღაბნოე გაე-პასუხა:

მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის, ცოდვა ვარეთ დატოვო ამ დროს... და მერე:

— გამოძვეე ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ, გავიზიარებ ჩემსა სენაკსა... სახლი ღვთისაა... შენც შევიერდომეხს, შენებრ მახტეწარს მრავალსაც სხვასა.

მიუხედავად ამისა, — როგორ მოშორდი? — კითხვის პასუხის მიგება განდევლის შეტისმეტად უჭირს. ეს კითხვა ძველი ალტერნატივაა და იგი ყოველთვის აწუხებდა განდევლის: შა-შინაც, როცა ბერად შედგა, როცა განდევილსა ცხოვრობდა და შაშინაც, როცა მწყემს ქალს შეხვდა. ასე რომ მწყემსი ქალი არ ყოფილა იგი, ვინც განდევლის რწმენა შეარყია. დაუძლეველი ეჭვი მის სულში ყოველთვის არსებობდა. იღონდ ექვის გამოვლენისათვის აუცი-

ლებელი იყო რაღაც ბიძგი. ამ ბიძგის რაღაც შესარტულა მწყემსმა ქალმა.

რა ამირობებდა და ასულდგმულზედა განდევლის სულში ექვის არსებობას? ერთხელ განდევლი ბუნების მშვენიერებას დააკვირდა:

მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად მთისა გადაღმა არ დასულიყო და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი, ირგვლივ სხივამოლით ანთებელიყო. ცისა ლაქვარდი, ვით ნაკვერჩხალი, წითლად და ყვითლად მზისგან პლუვოდა, და განსკვალებული მისი ღრუბელი შორს ათასფერად სხივებში პორთოდა. ამა უბიწო დიადის ხილვით წარტყვევნილ იქნა განყენებული და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისა შესტკერდა მზესა განცვიფრებული“.

განდევლისაგან დამოუცილებლად ბუნების ასეთივე სურათი იხილა მწყემსმა ქალმაც. ლაშაში იყო ამ დღეს საღამო, რა-რაც მშვენიოდა მზე დამავალი შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცისა, გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი. ღვთის სახესავით ვარს შექმოსხმული მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეზადა და საკვირველი ის სანახავი თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.

აქ საუბრადღებოა ის, რომ სულის მსახური განდევლიც და ხორცის მხეველი მწყემსი ქალიც ალტაცებული და გაოგნებულია ბუნების დიდი სურათის ხილვით. ორივესათვის ამ სურათში ღვთაების აღე ვლინდება:

განდევლი „ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას შესტკეროდა მზესა განცვიფრებული“.

„ღვთის სახესავით ვარს შექმოსხმული მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეზადა“, ამბობს მწყემსი ქალი.

მასთანამე, მზის სახით ღვთაება თანაბრად ეცხადებოდა როგორც სულს (ამ შემთხვევაში განდევლის), ისე ხორცს (ამ შემთხვევაში მწყემს ქალს).

ეს თანაბარი დამოცილებულზედა პრობლემაა, რომელიც უნდა ამოხსნას განდევლომა. მეორე საკითხიც აქვს გადასაწყვეტი განდევლის: სულისა და ხორცის თანაბარი მშვენიერება.

მწყემსი ქალი უმშვენებრესი არსებაა. „სასაოცარი რაღაც შევინება განდევლის თვალწინ წარმოვღვინა: უმარული ქალი, საცეც სიციცხლოთ, საცეც შევინების ჭადოთი, ვრძნობით, ნახად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა, ვით მიწდარის შველი ყელმოღვრებით. ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალსებთ, თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა, მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი, ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა. თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს





ბორცხმულად ელენა ოდესმე ქვეყნად, უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა თავის სიცოცხლის გამოსახველად. მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს, მაღლი ამ სახეს, თუ სახე მაღლსა.. თვით შური, მტრობა ვერ უბოვიდა ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაელსა. მის თვალთა ელვით, ლაწვთა შემქმნით, გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათართოდღეს.. დახე მის ტუჩათა.. თითქო თვით ტრფობას თვის ნახი კოცნა ზედ დარჩენოდეს.

მწვემსი ქალის გარეგნული სილამაზის აღწერა საგანგებოდ ამოეწერე თავიდან ბოლომდე. როგორც ზნეავთ, იღია არსად არცერთ სიტყვას არ ამბობს მწვემსი ქალის სულიერ მშვენიერებაზე. მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ეს ნიშნულია. სამაგიეროდ განდევნილის გარეგნობას გულგრილად ეპყრობა მწერალი. მეუღლანოვს სულიერ სილამაზეს კი, პირიქით, დაწერაღლებით და გულმოდგინედ აღწერს.

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა, ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა. სახე გამხდარი, კურტი და მწყარალი სიწმინდის მაღლით დაშვენებოდა, და მაღალს შებღსა, ნაოკად შეკრულს, შარავანდედი გადაპფენოდა.

მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მტკეყვლებმა ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი, თითქო მათ-შვიან ჩასახებულა თვით სათნოება, კდემით მოსილი; თითქო ნელისა სიხარულითა სამოთხის ღია კარს შეჰხარია და სულთან ერთად უფლისა მიმართ სასოებითა მისწრაფიან.

ლსოვეთ და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი ჰგავდა წმინდანსა იგი წამებულს, მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა ძღვეით-მოსილსა და განდიდებულს.

ორი მშვენიერებაა. ერთი ხორცისა და მეორე სულისა. სრულიად ბუნებრივია, რომ ორივე მშვენიერება თანაბრად ძლიერია. ამის გამოა ძნელი ხორციელი ცდუნებისაგან თავის დაღწევა, ცდუნების სიტყობზე უარის თქმა. აქ ილია ტრადიციულ გზას მიყვება. ცდუნების პირველ ამბავშიაც ევა მშვენიერია. ასეა სიტყვაჯამული მწერლობის სხვა ნიმუშებშიც, სადაც ცოდვითდაცემის სიუჟეტია გამოყენებული. ჩემი ცოდნით, ერთადერთი შემთხვევა, სადაც მშვენიერება კი არ აცდუნებს ასეცტს, არამედ სიბრალული, ლ. ტოლსტოის „მაია სიკრია“.

განდევნილი წინააღმდეგობების რკალში მოექცა. იცის, რომ ხსნა ღმერთის დაუხმარებლად არ განხორციელდება.

— მე ნუ მიმაღლი, შვილო, შენს დახსნას, ღმერთია ყველას მშველელი; მხსნელი..

ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის მისი მარჯვენა შემწყნარებელი.

მაგრამ რატომ ელინდება ღმერთი ერთნაირად ხორციელიც და სულშიც? აქ გოარდა განდევნილის რწმენა და იფიქრა:

ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა..

ეს იყო საბედისწერო შეცდომა. თვინიერ ღმერთის დახმარებისა, ხსნა არ ხორციელდება. მხოლოდ ადამიანის თავისუფალი ნება და ღვთაებრივი სათნოებაა ღმერთთან მიმსგავსების ერთადერთი საშუალება.

რამ გამოიწვია განდევნილის შეცდომა? ხორცისა და სულში ღმერთის თანაბარ გამოვლენას, ხორცისა და სულის თანაბარ მშვენიერებას განდევნილი გრძნობის თვალთ უყურებდა და არა გონების. ამიტომ მათ შორის განსხვავების აღმოჩენა გაუჭირდა. განსხვავების აღმოსაჩენად გონების ნება იყო აუცილებელი. ე. ი. განდევნილი ღმერთთან ურთიერთობის მეორე საფეხურზე უნდა ასულიყო. იგი კი, როგორც უკვე ითქვა, პირველ საფეხურზე იდგა, როცა კავშირი ხორციელდება გრძნობის სურვილით და ადამიანი ჭერ კიდევ გოარებულია.

გოარების დასაძლევად კიდევ ერთი გამოცდის გადატანა იყო აუცილებელი: ხორცის მშვენიერების კვლევა ხილვა და მისი დაძლევა.

ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა განსაცდელი რამ მის მოუვლინა?

მაგრამ იქნება ბედმა გვგ ჰქმნა მისდა საცდელად თვით უფლის ნებით.. და კისრად იღო, ვით ნება ღვთისა, სასოებით და გულდამშვიდებით.

მიღებით მიიღო განდევნილმა განსაცდელი, მაგრამ ვეღარ გაუძლო, იგი დაეცა.

მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ და, ეპა, სხივმა არ დაიჭირა!.. დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა, გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული, ერთი საშინლად შეჰბღალვა ღმერთსა და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული.

ამრიგად, „განდევნილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვითდაცემის კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ ამაყრად დაცემა გამოწვეულია რწმენის დაღატით. ამდენად „განდევნილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის დაღატი კი შედეგია ადამიანის გოარებისა და ნებისყოფის სისუსტისა.

ახლა კი პასუხი უნდა მოუძებნოთ კითხვას — რატომ დაწერა ილიამ „განდევნილი“ ანუ რწმენის ტრაგედია?

„განდევნილის“ აღუგორიული ხასიათი პირველად მარჯორი უორდროსმა შეამჩნია და

აბაკი ბაძრამე  
ილიას „განდევნილი“

აღნიშნა, პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლოურ ასახვაო. ეს მართლაც ასეა.

ოცდახუთი წლის ილია ქვეყნეაქემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა მისი მოღვაწეობის პროგრამა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ („საქართველოს მოამბეზე“). ამ პროგრამის განსახორციელებლად ილიას საქართველოს ცხოვრების სურათი პირუთვნელად და ობიექტურად უნდა დაენახა. როცა დიავნოზი ზუსტი იქნებოდა, სამკურნალო საშუალებანიც იოლად გამოიძებნებოდა. ავისა და უკეთურის მიჩქმალვა არ ეგებოდა. ეგერის ლალატი იქნებოდა. ამიტომ ილიამ მოუხრიდებლად ჩვენა საქართველოს ცხოვრების შემზარავი, მაგრამ მართალი სურათი. „აჩრდილის“ მიხედვით იგი ასეთია:

სამშობლოს ბედი და უბედობა არავის აწყუბებდა.

აქ არვის, — დიდსა თუ პატარასა, — ქვეყნის ტყვილით არ სტყვია ვული, დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მართო მამული“.

ტყუილი, სიკრუე და უნდობლობა გაბატონებულა.

ავერ უფალი და მისი მონა! თრთოლით სასწორზედ ხარკს უწონს ძნელსა და, რა დასწორდა სასწორზედ წონა, უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა და მით მის ხარკსა ერთსა — ორად ჰხდის... შური და მტრობა სუფევს მათ შორისაც კი, ვისაც ერთი საერთო საქმისგაძლოლა უცაიროათ.

ავერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძნინათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვივინათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან. ერთმანეთისა მათ სიყვეტე ჰშურთ, თუმცე ერთისათვის თითოე ილწვიან; თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

უსამართლობასა და თვალთმაქცობას უხეიშია. შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ, დედას ძუძუთვან შვილსა ავკლავენ, ვინ იცის სიღამ სად გაჰყიდინან... უწმინდურისა ხელითა სთხრიან დედისა გულში უკეთეს გრძნობას...

პლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ, ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედებენ, ჰხედენ ფაცა-ფუტს და ყველაგან ჟღივილს, უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმილს, — მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ

გრძნობას, ჰმუნვას, სიხარულს და მოქმედებას, ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი და ყველა იგი თვალთმაქცი აბრ.



ფუტკია იგი მისი ცხოვრება, უფერულია და ცარიელი. ყველაფერი წამხდარა, დაცემულა და შეგუბნებულა. მცხეთაში

აწ აღარა სჩქევს წყარო ცხოველი, ხე ცხოვრებისაც იგი დამქნარა და იგი დედა-ქალაქი ვრცელი აწ სამიციტრო დაბად გამხდარა. დიდი ცხოვრება მის დაცემულა, დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაჯი პირუტყვეთ ქელვითა შევიწებულა.

არც თბილისშია უკეთესი მდგომარეობა. ავარ ტფილისიც!... ყრმისაც და ბერისაც, ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც, დიდსა, პატარას, თავდასა, გლეხსა, შე უხილავი ყურსა ვუვადებდი, მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა, მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.

რისთვისაც მამანი ილწვოდნენ უწინ — დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფულურადა.

გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდინან, მთავრის ღიმილზე — პატისონებას, და დაქანგებულ ბოკილზე სცელიან თავის მამულის თავისუფლებას.

ამ ვრცელი ციკატებით ნათლად ჩანს, როგორი საქართველო იხილა ილიამ. მაგრამ კიდეც ერთი გრძნობა ამონაწერი უნდა მოვიტანო ლექსიდან „კითხვა-პასუხი“. თუ „აჩრდილი“ 1859 წელს დაიწერა, „კითხვა-პასუხი“ შექმნილია 1894 წელს. აღმოჩნდება, რომ ამ ხნის მანძილზე არსებითად არაფერი შეცვლილა. ამ ლექსში თავად საქართველო ამბობს:

მე სამოთხე ვარ, და თქვენ კი, თქვენ კი... ვაი, ძე ჩემო, ბედურულ, უძლური!.. იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია, სად თვით შხამს ანთხვეს მტრობა და შური.

საყვარელი ვარ... ჩემ მზიან ჩრდილში სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას, — და ვაი, იმის სანაცვლოდ თქვენ კი ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!

მადლით საყვე ვარ, და ვაი, ჩემს შვილს ეგ მადლი ჩემი ვერ უშვენივია; და ან იქ რა ჰქმნას თვით წმიდათ-წმიდამ, სად ცოდვას მადლი დაუძღვია?

მე მდიდარი ვარ, და თქვენ კი, თქვენ კი... ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ, მე ტბილ ცხოვრების წყაროსა ვაწვდი, და ვაი, თქვენ კი ძმა მის სისხლსა სვამთ!

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდგოლო, უდაბნო-და ურგებ-ურწყული, სადაც არ ანევეს თავის წმინდა ნაშს სული მართალი და წრფელი გული.



ამრიგად, ტოტალურად ვაბატონებულა მტრობა, შუღლი, თვალთმაქობა, გულგრილობა, უღარდებლობა, უზრუნველობა, ორპირობა, სიცრუე, მუხტობა, ტალატა... ე. ი. ყველა ის ცოდვა, რასაც ხორცის საქმედ მიიჩნევენ პაველ მოციქული. ხორცის ვაბატონების შედეგად უმალესი ქვეშაობებიც დაკარგულა.

სად არის იგი, მღალადებელი ქვეყნის ხსნისათვის ქვეშაობები? სად არის იგი, ბიწის მღვეწელი ჭვარცმული ღმერთის მალაი მცნება? („ამარდილი“)

ზუსტად ამ სინამდვილის უარყოფის მიზნით მაშურა განდევილმა ბეთლემს. დატოვა ქვეყანა,

სადაც მართალი გზას ვერ აუძიებს განსაცდელსა მას ეშმაკისას; სადაც ცოდვა კაცს სდევნის დღე-ღა-ღამეითა მპარავი და მტაცებელი, სადა, რასაც ჰხადის მართალი მართლად, მას უმართებლოდ ჰქმნის ცოდვის ბელი; სად რყენა, წაწყებულა და ლალატა; სადაც მძა მხარბობს სისხლსა მშისასა, სად ცილი, ზავა ძელბადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვანისასა.

იქნება ეს განდგომა თავისთვის ვადარჩენს გულისხმობს და არა ქვეყნის ხსნას? ასე არ არის. აქ უნდა ვავისენოთ, რომ განდევილი მყინვარის ბეთლემში ცხოვრობს. ამას ყურადღება მიაქცია სიმონ ჩიჭოვანმა და იცითა — „რისთვის დაბინავა განდევილი ავტორმა მყინვარწვერის წილში?“ სამწუხაროდ, ს. ჩიჭოვანმა ამ კითხვას ბოლომდე არ უბასუხა. საქმე ის გახლავთ, რომ ბეთლემში არის „სახლი ცხოვრებისა, გინა სიწმინდისა“ (საბა). მყინვარწვერში იმ უზუნაესის საცხოვრისია, რომლის თვალის დარაჯობს საქართველოს.

და მომველინა მე კაცი დიდი, მყინვარზედ მღვამი მოხუცებული; ვითა ქვეყანა — ისე იყო მშვიდი. უძრავი, უხმო, დაუფრებელი.

(„ამარდილი“)

ეს დიდი კაცი მიმართავს საქართველოს — „მარად და ყველგან, საქართველოც, მე ვარ შენთანა!.. მე ვარ შენი თანამდევნი, უკვდავი სული“. მაშასადამე, განდევილმა მაშურა ხაქართველოს უკვდავ ხელს და მის წილში ეჭებს როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის ხსნას. ილიას აზრით კი, საქართველოს ეს უკვდავი სული ქრისტიანული მოძღვრებაა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხედრი ქვეყანაა („დედაც ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ზეგდრია...“) და მეორეც, საქართველო თავად ეწაშა მაცხოვრისათვის („ჭვარცმულის ღვთისთვის თვით ჭვარცმულო და წამებულო...“).

გარდა ამისა, კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებას ილია აკავშირებდა

ქრისტიანობის ზეიმთან. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი ალტაცებით შეხვდა ილია ჰინის კომუნას და როგორ განიცადა მისი დამარცხება.

ველავ ქვეყნისთვის დაიღვარა წმინდა სისხლი წაზეხულის,

ველავ დამარცხდა დიდი საქმე ყოვლად მსხნელის სიყვარულის.

ველავ ძირს დასცეს იგი მცნება, ქვეყნის ხსნად მოვლინებელი,

რომლისთვისაც თვითონ ღმერთი იყო ტანჯულ და ჭვარცმული.

(„1871 წელი 23 მაისი“).

აქ პარიზის კომუნის იდეარბი და ქრისტეს მცნება გაიგივებულა. ეს არა მგონია, სადაო იყოს.

შრომისა და მუშაკაცის განთავისუფლებაც ნაქალაგვეი და ნავარუდევია ქრისტიანულ მოძღვრებაში.

შრომისა შეილო, მძიმე უღელი ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად, თუმცა ტვირთშიმედ შემწყნარებელი შენი დახსნისთვის ჭვარს ეცვა ქვეყნად; თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება დღით მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია, მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება, რომ მყოობადი მარტო შენია.

(„ამარდილი“)

მოშაველი ქართველის აღზრდის მიზნით, ილია მიმართავდა ქართველ ქალს: აღზარდ შეილო, მიეც ძალა სულს. საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, — შთაგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას; ერთობას, თავისუფლებას.

(„ქართველის დედას“)

ხოლო მთელ ერს მოუწოდებდა: „ვემსხვერპლოთ ქრისტეს მცნებას, ვაშორით ქართული მონებას; ქართველის უბრალო მადლობა, გვერჩივნოს ყოველ დიდებას.

(„ჩემი თარიარალი“)

„ხოცი მივეციო სულიხათვის და ერთმა მუქა ერმა ქრისტიანობა შევიწახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში“ („რა ვითხრათ? რით გავახართ?“).

დამოწმებული ნიმუშების გამრავლება, შეიძლებოდა, მაგრამ ამ მცირედითაც სრულიად ნათელია, რომ ილიას შემოქმედებაში ქრისტიანობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მსხნელ მოძღვრებად. ამიტომ თვლიდა იგი პოეტს ღვთის კაცად.

ბაბაი ბაბაიძე  
ილიას „განდევილი“

მეცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა;  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარუძღვე წინა ერსა.

ქვეყნის ხსნა ვერ განხორციელდება, თვინიერ პიროვნების ხსნისა. აქაც ორი საფეხური ყოფილა: ჭერ პიროვნება, მერე ერი.

პიროვნების ხსნა კი მტკიცედ უკავშირდება ღმერთიმისგანვხედულობის პრობლემას. ამას ილია აშკარად და მკაფიოდ ამბობს „კაცია-ადამიანიში!“ თათქარიძეების დახასიათებისას, იგი შენიშნავს — „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერიოა“. რატომ უნდა გაერისებინა უწყინარ ლუარსაბსა და დარეჯანს ღმერთი? დანაშაული არ ჩაუდენიათ და ბოროტი არ უქნიათ! ეს თურმე არ კმარა. „წირვა-ლოცვას არ ვაკლდებო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენითვის ჭვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „უი-თა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წაშს შენს სიოცხლეში მაგისტვის სცდილხარ? არა, შენ მაგისტვის არა სცხოვრობ“. ე. ი. ადამიანის უპირველესი ამოცანა უზენაესის ბადალი სრულყოფისაკენ ღტოლვა ყოფილა, რადგან იცხოვრო ნიშნავს, „ეცადო, რომ ვითა მამა ზეცისა იყო შენც სრული“ (ხაზი ჩემია — ა. ბ.). ასეთია ილიას დასკვნა „კაცია-ადამიანიში!“

სხვათა შორის, ეგვემ აზრია გატარებული მოთხრობის სათაურშიც. სიტყვა „ადამიანი“ უთუოდ „ადამიდან“ არის წარმტეხული. ადამიანი-ადამის ძე. ამდენად, ადამიანიში იგულისხმება დაცემადელი პირველხატი და მისდაგვარი სრულყოფილება. ილიას აზრით, კაცი არ არის ადამიანი, თუ იგი თავის ცხოვრებით არ ეცდება იყოს პირველხატივით სრულქმნილი.

როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ზორცი უნდა მისცეს სულისათვის. მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება. ვანდგილსაც ეს გზა უნდა გაევიღო. ჭერ საკუთარი სულის ხსნისათვის უნდა ებრძოლა და შემდეგ მიეცემოდა საშუალება მიმულზეც ეზრუნა. მაგრამ პიროვნების სულის ხსნა არ არის იოლი საქმე. ამისთვის ჭვარცმულის რწმენა, ნებისყოფა და ენერჯია უნდა ჰქონდეს კაცი. მისი სულის სიმტკიცისა და ძალის პატრონი უნდა იყოს. სხვათაირად არაფერი გამოვა. რაკი ვანდგილს ეს თვისებები არ აღმოაჩნდა, დაიღუბა კიდევ. ეს სიყვდილი სულის სიმტკიცის, ძალის, ენერჯიის, ნებისყოფის აღზრდისაკენ მოუწოდებს მკითხველს.

ასე ეჭაქება „ვანდგილის“ პრობლემატიკა ილიას მთელ შემოქმედებას. ამიტომ ტოვებს ეს პოემა ილიას შემოქმედების გვირგვინის შთაბეჭდილებას.





## პირველქმნილი ცოდვის პრობლემა

დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა ისეთი იქნა, რომელმაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია ზეცასა და დედამიწაზე. ამ ცოდვაში თავისდაუნებურად დაბადებამდე უდევს ყველას წილი. ადამიანთა მოკვლეობა და დანაშაული ამ ცოდვის შედეგი გახლავთ. თავად ძე ღვთისა ეწამა ამ ცოდვის გამოსასყიდად; არც მას დაუტლია ცდა და არც მამამისს, მაგრამ პირველქმნილი ცოდვის ლაქას მაინც ვერასოდეს ვერ წარიხოცავს კაცობრიობა.

პოლ ჰოლბახი

მთელი საკაცობრიო ტრადიციის, ადამის მოდგმის წარწყმედის, დაცემისა და საყოველთაო ცოდვილიანობის მიზეზი, რასაც მოჰყვა ბოროტება, ტყვეობა, ავადმყოფობა, უსამართლობა, ჩაგვრა, სიღატაკე, შიმშილი, ომები, ათასგვარი უბედურება და ბოლოს სიკვდილი, თეოლოგთა აზრით, ადამისა და ევას მიერ პირველქმნილი ცოდვა გახდა.

ესაა, „საღმრთო წერილში“ აღწერილი მოკლე, მაგრამ ნაღვლიანი მოთხრობა ადამიანთა პირველი შეცოდების შესახებ, რომელმაც თითქოსდა მთლიანად შესცვალა ადამიანის ბუნება, დააყენა ისინი ცოდვისა და ბოროტების გზაზე. ეს ცოდვა საუკუნეების მანძილზე ვადიდოდა ერთი ადამიანიდან მეორეზე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ასე მოვიდა ჩვენამდე და მას დასასრული დღესაც არ უჩანს.

### ბიბლია, პირველქმნილი ცოდვის შესახებ

ადამისა და ევას შეცოდება „საღმრთო წერილში“ ორ თავშია გადმოცემული. ამიტომ საკითხის გარკვევისათვის სჯობია თვით ბიბლიას მივმართოთ:

სამოთხეში, ედემის ბაღში ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ სამყაროს პირველი მცხოვრებლები ადამი და მისი ნეკნისაგან შექმნილი ევა. მათ უღრუბლო ზეცას არავითარი საზრუნავი არ ჩრდილავდა. ედემის ბაღში იყო ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ ბედნიერი და უზრუნ-

ველი ცხოვრებისათვის. სანაცვლოდ მათგან მხოლოდ ერთს მოითხოვდნენ: არ ეჭამათ იმ ხის ნაყოფი, რომელიც ბაღის შუაგულში იდგა. იმ ნაყოფს გემოს თუ გაუსინჯავთ, დაიხოცებითო, ასე უთხრა მათ შემქმნელმა ღმერთმა, ადამმა და ევამ ვერ დაიცვეს ეს ერთადერთი, არცთუ ისე ძნელად დასაცავი პირობა. ისინი გველის სხეულში დაბუდებულმა ეშმაკმა აცთუნა:

„ხოლო გუეღი, — ნათქვამია ბიბლიაში, — იყო უგონიერეს ყოველთა მხეტთა ქუეყანასა ზედა. რომელიც ქმნა უფალმან ღმერთმან: და ჰრქვა გუელმან დედაკაცსა მას. რასათვის გრქუათ უფალმან ღმერთმან, არა შუამოთ ყოველისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა და ჰრქუა დედაკაცმან გუელსა: ყოველისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა ეშუამოთ. ხოლო ნაყოფისაგან ხისა რომელი არს შუა სამოთხისა, თქუა ღმერთმან არა შუამოთ მისგანი არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკუდეთ.“<sup>1</sup>

ამაზე გველი პასუხობს, ამ ნაყოფის ჭამის შემდეგ კი არ დაიხოცებით, არამედ თვალი აგებთიღებთ და ღმერთების მსგავსად იქნებით „მეცნიერი კეთილისა და ბოროტისა“-ო.

<sup>1</sup> დაბადება (ბიბლია) ნაწილი პირველი. წიგნი ა. მოსესი. თავი გ. ტფილისი. 1884 წ.

თეოლოგია და ფილოსოფია  
პირველქმნილი ცოდვის პრობლემა



ლაშაში და სასურველი ნაყოფით მოხიბლულმა ევამ პირველმა დაარღვია ღვთის მცნება, იგემა აკრძალული ხილი:

„და მოილო დედაკაცმან ნაყოფისაგან მისგან და კამა და მისცა ქმარსაცა მისსა მის თანა, და კამეს, და განუხუნეს თვალნი ორთანივე, და აგრძნეს რამეთუ შიშველ იყვნეს, და შეკერვის ფურცელი ლეღვისა, და ქმნნეს თავთა თვისსა ვარე მოსარტყმელნი“<sup>2</sup>.

მომხდარი ამბისაგან შემარტყნებულებს სამოთხეში მომავალი ღმერთის ხმა შემოესმათ. „შეშინებული ადამი და ევა სარქაროდ დაიშალნენ, ღმერთი უხმობს მათ: ადამ, ადამ, სადა ხარ? იქვე მიმალულ ადამი პასუხობს, შენი ხმა შენისი, მაგრამ ვერ გეჩვენებო, რადგან შიშველი ვარო; ღმერთისათვის ყველაფერი ნათელია, მცნება დარღვეულია: — გინ ვითხრა შენ, რომ შიშველ ხარ, თუკი აკრძალული ნაყოფი არ გიჭამია? — ეუბნება ღმერთი ადამს.

ადამი თავს იმართლებს, შენგან ბოძებულმა დედაკაცმა მიჭამაო. მაშინ ღმერთი დედაკაცი-საგან ითხოვს პასუხს. ევა თავის მხრივ გველზე უთითებს: „გველმა მაცთუნა მე და ევამე“. მცნების დარღვევით განრისხებული უფალი სამოთხიდან ამევეებს სამყაროს პირველმცხოვრებულებს და სწყევლის მათ. განსაკუთრებით მკაცრად სჯის გველს:

„რამეთუ ჰყავ ესე, წყეულნი იყავნ შენ ყოველთაგან პირტყვთა, და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანისათა. შეერდსა ზედა და მუცელსა ხეილოდი, და მიწას შუამდე ყოველთა ღღეთა ცხოვრებისა შენისათა.

და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორისა დედაკაცისა, და შორის თვისლისა შენისა და შორის თვისლისა მისისა: იგი უშვირდეს თავსა შენსა, და შენ უშვირდებ ბრძალსა მისსა“<sup>3</sup>.

შემდეგ დედაკაცს მიუბრუნდა: „განმრავლებით განვაზრავლენ მწყხარებანი შენი, და სულთქმანი შენი, მწყხარებით შენი შეილნი შენი, და ქმრისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი გეუფლებოდეს შენი“<sup>4</sup>.

და ბოლოს ღმერთმა ადამი დასწყევლა: „რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა, და შუამე ხისაგან, რომლისა გამოქენ შენ მისი, ხოლო არა კამა და მისგან კამე, წყეულ იყავნ ქუეყანა საქმეთა შინა შენთა, მწყხარებით შუამდე მას ყოველთა ღღეთა ცხოვრებისა შენისათა.

ეკალსა და კეროს თავსა აღმოგიცენებდეს შენ, და შუამდე თივასა ველისასა.

ოფლითა პირისა შენისათა შუამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცეამდე შენდა მიწად, რომ-

<sup>2</sup> დაბადება (ბიბლია) ნაწილი პირველი. წიგნი ა მოსესი თავი გ.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

ლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ, და მიწადაცა მიიქცეა“<sup>5</sup>.

მცნების დამარღვევნი რომ უკან არ დაბრუნებულყვნენ და მეორე ნაყოფი არ შეეჭამათ — „ხისაგან ცხოვრებისა“, და არ გამხდარიყვნენ ღმერთივით უკვდავნი, უფალმა სამოთხის კარებთან მცველად დააყენა ცეცხლიანი მახვილით აღჭურვილი ქერუბინი. ღმერთის უკანასკნელი წყალობა პირველი ადამიანებისადმი ტყავის ტანსაცმელი იყო, რომლითაც მან ადამი და ევა შემოსა და სამოთხიდან გამოისტუმრა.

მრავალ რელიგიურ წიგნშია აღწერილი და ილუსტრირებული პირველი ცოდვის შედეგის ტიპიური სურათი: სამოთხიდან გამოგდებული ადამი და ევა დაღონებულნი დგანან სამოთხის კართან, სადაც მათ ქერუბინი არ უშვებს, ევას სახეზე ხელები აქვს აფარებული და მწყხარად მოთქვამს, ადამს გულზე დაუკრფვია, დაღონებული დასჩერებია მიწას და ალბათ ფექრობს თავის მწარე ხვედრზე, დაკარგულ ბედნიერებაზე, ტანჯვაზე, წვალებაზე, ავადმყოფობაზე და ბოლოს ალბათ გარდუვალ სიკვდილზე.

ასეა აღწერილი საღმრთო წერილში ადამიანთა პირველი შეცოდება. რომელმაც, თეოლოგთა აზრით, ფართოდ გაუღო კარი სიბუდეებსა და ბოროტებას, ადამიანებს გულში ჩაუტენგა მანკიერება და სიძულვილი.

### სოფლა პირველი და არა უკანასკნელი

სანამ პირველი ცოდვის არსს გვაპყვევდეთ, განვიხილოთ თუ რა ითვლება საერთოდ ცოდვად. ცოდვის განმარტება „სამართო წიროლში“ მოცემული აქვს იოანე ღვთისმეტყველს: „ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაი, მან უსჯულმოებაცა ქმნეს და ცოდვი იგი არს უსჯულოებანი“ (I იოანე 3,4). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდვა ანუ კანონის დარღვევა ეს არის ღვთის ნების შეურსლებლობა.

ამ განმარტებას ადასტურებს მოციქული პავლეც, როდესაც წერს, რომ სადაც არ არის კანონი, იქ არც დანაშაულიაო (რომაელებისადმი 4,15).

ღვთისადმი დაუმორჩილებლობა, შეიძლება გამოვლინდეს ორი ფორმით: ან იმის ჩადენით, რაც კანონით არის აკრძალული, ან იმის შეუსრულებლობით, რაც კანონით უნდა შესრულდეს. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ადამიანი სცოდავს, ღვთის ნების ნაცვლად საკუთარი ნებით მოქმედებს. სცოდავს არა მარტო ის, ვინც მოყვასს არ ინდობს, არამედ ისიც, ვისაც შეუძლია მისი დაზარალება, მაგრამ არ ეხმარება, რადგან, ამბობენ თეოლოგები, მორწმუნე მხოლოდ ბოროტებას იკ არ უნდა

<sup>5</sup> დაბადება (ბიბლია) ნაწილი პირველი — წიგნი ა მოსესი, თავი გ.



ჯანეროსს, სიკეთე უნდა მოიპოქმედოს. როგორც ნებისმიერი შეგნებული მოქმედება გამომდინარეობს ადამიანის აზრის ან განზრახვისაგან, ასევე ისახება ნებისმიერი ცოდვაც ადამიანის გულში ან მის გონებაში. არის შემთხვევები, როდესაც ცოდვილი აზრი საქმედ არ იქცევა. ამ პრინციპის მიხედვით თეოლოგები არჩევენ ცოდვების სამ ეტაპს:

1. წარმოდგენითი ცოდვები.
2. სიტყვიერი ცოდვები.
3. ცოდვიანი საქმეები.

ღმერთის წინაშე ჩადენილ ცოდვებს მიეკუთვნება: ურწმუნობა, სასოწარკვეთილება, ერესი და სხვა. მოყვასის წინაშე ჩადენილ ცოდვებს: ჭურჭობა, ცილისწამება, მკვლელობა და სხვა. საკუთარი თავის მიმართ ჩადენილ ცოდვებს: ღრმბუცლობა, მრუშობა და სხვა.

ადამიანთა ცხოვრების ტეშმარტი აზრი და მიზანი მდგომარეობს ცოდვისგან თავის დაღწევასა და ღვთის ნების შესრულებაში. ამის მიღწევა კი, თეოლოგთა აზრით, შესაძლებელია სულიერი, ლოცვითი ურთიერთობით ღმერთთან. მაგრამ თუ ადამიანი სცოდავს, ღვთის ნების ნაცვლად თავისი ნებით ხელმძღვანელობს, ასეთი ადამიანი თანდათან შორდება ღმერთს, სწორი გზის ნაცვლად ირჩევს მცდარს. ეუღლება ცოდვაში და უკუღმა მიჰყავს თავისი ცხოვრება. თეოლოგთა აზრით, თვით ერთადერთ ცოდვასაც კი შეუძლია ადამიანს ლაქა მოსცეს, შეურყიოს სულიერი ცხოვრება და გააძნელოს მისი ურთიერთობა ღმერთთან.

ამ აზრი თუნდა ავსხნათ ადამისა და ევას მიერ ჩადენილი დანაშაულიც, პირველი ცოდვის დედაარსი სწორედ ღმერთის შეგონების უვლელბეზოფაში, მისი მცნების შეუსრულებლობაში მდგომარეობდა. ევა ხომ აყვეა ეშმაკის ცთუნებას და დაარღვია ის ერთადერთი პირობა, რომელიც მათთან ღმერთს ჰქონდა დადებული. ე. ი. ჩაიდინა უსჯულო საქციელი; სამწუხაროდ, თეოლოგთა აზრით, ეს არ იყო უბრალო ცოდვა, რომელიც მხოლოდ პირველ ადამიანებს — ადამსა და ევას შეეხებოდათ, მათი ჩადენილი დანაშაული მთელ კაცობრიობაზე გავრცელდა, რადგან მათმა პირველქმნილმა ცოდვამ წარწყმიდა, წააბღინა ადამიანის ბუნება. ამჟვეყნად პირველქმნილი ცოდვის გამო ისეგებთან ადამიანებაც, ცხოველებიც და თვით მიწაც კი, რაზედაც ადამიანები სახლობენ. იესო ქრისტეს მისია სწორედ ამ ცოდვისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც ამ დიდმა მსხვერპლმა უშველა ადამიანებს, რადგან, თეოლოგთა აზრით, ადამიანები იმ შორეული დროიდან დღემდე სცოდავენ.

მინც რა იგულისხმება კონკრეტულად ადამისა და ევას მიერ ჩადენილ პირველ ცოდვაში?

ბიბლიის მიხედვით, აკრძალული ნაყოფის

ტკბით ადამი და ევა ჩასწვდნენ კეთილსადაც ბოროტის საიდუმლოს. თუმცა დიდ განაღმამებამ გრამ მაინც შეიქმნენ ღმერთის თანაზიარნი ამ საქმეში, პირველი, რაც აკრძალული ნაყოფის ტკამის შემდეგ აღმოაჩინეს, ეს იყო მათი სიშოველე და აქედან დაიწყო კიდევ დაევმა. ღვთისმეტყველი ამბროსი პირდაპირ წერს: „ცოდვების მიზეზი ხორცისაგან წარმოსდგებაო“. შემდეგ კი განავრცობს, ამავე აზრს: „როგორც დაგვიბრუნებს ავხორცობა სამოთხეს, როდესაც მხოლოდ მან გამოგვაძევა სამოთხიდან?“. „საღმრთო წერილობი“ ნათლდაა ეს აზრი გადმოცემული: „...ადამ იცნა ევაი ცოლი თვისი, მიუდგა და შეა კაინ“7 მართალია, ეს უკვე პირველი ადამიანების სამოთხიდან გამოძევების შემდეგ მოხდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცოდვა ადამმა და ევამ ნაყოფის ტკამის წყალობით მიიღეს. ადამისა და ევას პირველ ცოდვას მოჰყვა კაცობრიობის გამარჯლება შესაბამისად, ამ გზით შექმნილი ყველა ადამიანი (სხვა გზა კი, ბუნებრივია, არ არსებობს) ცოდვის ნიშნით იზადება, საესებით მართალია ლუღვიც ფოიერბახი, როდესაც თეოლოგთა მსჯელობიდან ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ყველა ადამიანი ცოდვაშია ჩასახული, რადგან ისინი გრძნობადი, ე. ი. ბუნებრივი სიხარულისა და კინის დაქმყოფილების გზით ჩაისახნენ. სქესობრივი აქტი, ჩასახვის აქტი ცოდვილი აქტია, როგორც გრძნობადი, და ტკბობადი აქტი. ცოდვა ადამიდან დღემდე გრძელდება და ინერგება, რადგან ადამიანთა გამარჯლება ბუნებრივი სქესობრივი აქტით ხდება. მასასადმე, ესა ქრისტიანული პირველქმნილი ცოდვის საიდუმლო“8 (ზაზი ჩემია თ. ფ.).

მასასადმე, ცოდვისა და ბოროტების წყარო, თეოლოგთა მიხედვით, სქესობრივი მიდრეკილება, სქესობრივი ნიყვარულს დაემყოფილება ყოფილა, ამ უყანისენლზე არის დაწყობებული ქორწინებაც, ამიტომ ქორწინებაც ცოდვისა და ბოროტების წყაროდ უნდა ჩავთვალოთ.

ამ დებულებას ხშირად იმეორებენ და ადსიტურებენ სხვადასხვა დროის ქრისტიანი თეოლოგები: „მტკიცედ გახსოვდეს და ეპოც ნუ შეგვეპარება იმაში, წერს ღვთისმეტყველი გრეგორიუსი, — რომ ყოველი ადამიანი, მამაკაცისა და დედაკაცის თანაწოლი შექმნილი, პირველქმნილი ცოდვით იზადება... აქედან ცხადია, თუ რა არის პირველქმნილი მეგვიდრეო-

6 იხ. ლუღვიც ფოიერბახი „ქრისტიანობის არსება“, სახელგამი 1956 წ. გვ. 399.

7 დაბადება. წიგნი ა. მოსესი თავი დ.

8 ლუღვიც ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“, გვ. 399.

## თეიმურაზ ზანუჩიძე

პირველქმნილი ცოდვის პრობლემა



ბითი ცოდვა, იგია სწორედ ცოდვიანი წადი-  
ლი, რომელიც ადამიდან ყველა ავხარცობის  
გზით დაბადებულ ადამიანზე გადმოვიდა.<sup>9</sup>  
„ადამიანი ქალისაგან იბადება, — წერს თეო-  
ლოგი, ბერნარდუსი, — და ამიტომ ცოდვი-  
ლია“<sup>10</sup>.

„ყოველივე, — წერდა რეფორმაციის ბელადი  
მარტინ ლუთერი, — რაც კი მამაკაცისა და  
დედაცაცისაგან იბადება, ცოდვილია, ღვთის  
რისხვისა და წყევლის საგანი, ხასიკვილიოდ  
შეჩვენებულ“<sup>11</sup>, ან კიდევ იგივე ლუთერი მეო-  
რე ადგილას ამბობს: „ყველა ადამიანი, მამი-  
სა და დედისაგან დაბადებულნი, ბუნებით რი-  
სხვის შვილები არიან, როგორც ამას მოწმობს  
წმ. პავლე ეპისტოლეში ეფესელთა მიმართ“.  
ჩვენ ბუნებით ქუჭყიანი, ცოდვილი ჩასახვისა  
და შობის შვილები ვართ“<sup>11</sup>.

მამასადამე, ყველაფერი ცოდვაა: სქესობრა-  
ვი ლტოლვაიც, სურვილის დაკმაყოფილებაც,  
თვით ცოცხა კი ხორციელ აღრევად ითვლება.  
ე. ი. ის, რაც საფუძვლად უდევს ქორწინებას,  
ცოდვაა.

აქედან ცხადი ხდება, რატომ უსვამენ თეო-  
ლოგები ხაზს ღვთისშობლის ქალწულობასა  
და ქრისტეს უბიწოდ ჩასახვას: ქრისტე უცოდ-  
ველია, რადგან იგი ქვეყანას ავხარცობის გარ-  
რეშე მოივლინა. მამასადამე, მას არც შემევიდ-  
რებოთთი ცოდვა აწვეს და არც საკუთარი, ეს  
გარემოება ღვთისმეტყველების უმნიშვნელოვან-  
ესს ღრგობათად არის მიჩნეული.

მაშ უბრალო მოკვლევებმა რალა ქნან, რა  
იღონონ ცოდვისა და რისხვის შვილებმა, სა-  
დაა გამოსავალი, რას უჩრევს მათ წმინდა ეკ-  
ლესია?

იგოს ქრისტე მაგალითია ყველა ქრისტიანისა-  
თვის. იგი ისე ეწამა ხალხის გულისათვის,  
რომ არ უძებნია არც მეუღლე, არც სხვა ქა-  
ლი. მამასადამე, უქორწინობა და სხვა ხორცი-  
ელი აღრევისაგან თავის შეკავება იდეალაა  
ყოველი სამაგალითო ქრისტიანისათვის. მართა-  
ლია, ქრისტიანობას სავრო პირთათვის ქორ-  
წინება არ აუკრძალავს, (ცელობატი უფრო გვი-  
ან, XI საუკუნეში კლოუნის რეფორმის შემ-  
დეგ ვახდა სავალდებულო მხოლოდ კათოლი-  
კე სამღვდლო პირებისათვის), მაგრამ „საღმ-  
თრო წერილში“<sup>12</sup> საკმაოდ ნათლად არის გატა-  
რებული აზრი, რომ უქორწინობა უმაღლესი  
ზეციური სათნოებაა; ქორწინება კარგია, მაგ-  
რამ მისგან თავის შეკავება კიდევ უკეთესი  
გახლავთ. „ახალ აღთქმაში“<sup>13</sup> ეს აზრი პირდა-  
პირაა ნათქვამი: „ვეტყვი უქორწინებელთა მათ  
და ქურციკთა: კეთილ არს მათდა, უკეთეთ ექ-  
ნენ ესრეთ, ვითარცა მე, ხოლო უკეთეთ ვერ

დაითმენენ, იქორწინენ. რამეთუ უმჯობესესსა  
ქორწინებაი, ვიდრე განხურებაი“ (I კორინთ.  
თელთა მიმართ 7, 8-9).

„ხოლო ქალწულთათვის ბრძანებაი უფლისა  
მიერ არა მაქვს, ხოლო ვაზრახებ, ვითარცა  
შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო ყო-  
ფილ“.

მე ვგარე ვგონებ, ვითარმედ ესე კეთილ არს  
მოწყვუნლისა მისთვის ურვისა, რამეთუ უმჯო-  
ბეს არს კაცისა, ესრეთ თუ იყოს.

შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტყევებ:  
თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ  
ცოლსა.

იქორწინე თუ, არა სცოდნე. თუ იქორწინოს  
ქალწული, არა ცოდა; ქირო ხორციითა თასიღ-  
ვიან გეგვიართა მათ; ხოლო მე თქუნე გერი-  
დები“ (I კორინთელთა 25-26, 27-28).

თეოლოგების აზრით, უცოლო კაცი მეტს  
ზრუნავს ღმერთზე, ცოლიანს ღმერთზე უფრო  
თავის მეუღლე ენადვლება, ქალწული ღმერთ-  
ზე მეტს ფიქრობს, გათხოვილი ქალი კი უფ-  
რო თავის ქმარზეა გადავებული. ამიტომ „და  
რომელმან ქორწინოს თავის იგი ქალწულები,  
კეთილი ჰყოფს, ხოლო რომელმან არა ქორწი-  
ნოს, უმჯობესს ჰყოფს“ (კორინთელთა 7.38).  
ამ სიტყვებიდან გამომდინარე დაუქორწინებ-  
ლობა უფრო სასურველი და საამურია ღმერ-  
თისათვის, რადგან მორწმუნეს მეტი დრო და  
საშუალება რჩება საღმრთო, სულიერი საქმე-  
ებისათვის.

„ახალ აღთქმაში“<sup>14</sup> წამოყენებული ეს დებუ-  
ლებანი შემდგომში განმეორებული და განმარ-  
ტებული აქვთ ქრისტიან მამებს ტარტულია-  
ნეს, აფგუსტინეს და სხვ. უფრო გვიან ეს დე-  
ბულება გაიმეორა მარტინ ლუთერმა: „თუ ქო-  
რწინება და ქალწულობა ერთმანეთს დაეუ-  
პირისპირებთ, — წერდა იგი, — მაშინ უნდა  
ეთქვათ, რომ უმანკო ქალწულობა უფრო კე-  
თილშობილი ნიჭია, ვიდრე ქორწინება“<sup>12</sup>.

ქრისტიანული დაუქორწინებლობა, რომელ-  
ზედაც ამ შემთხვევაში დაიყვანება პირველი  
ცოდვა, შესანიშნავადაა აქვს დახასიათებული  
ლუდვიგ ფოიერბახს.

„უქორწინებულობა, — შენიშნავს იგი, —  
კანონი არაა არც ჩვეულებრივი და არც იუდე-  
ველთა აზრით, მაგრამ იგი კანონია ქრისტიან-  
ული აზრით ანუ ქრისტიანული გრძნობისათ-  
ვის, რომლისათვისაც ქრისტიანული სათნოება  
და სრულქმნილება სინიდისის, გულის საკით-  
ხია. ის მბრძანებლობითი, ოფიციალური კანო-  
ნი კი არ არის, არამედ ინტიმიური, ფარული  
ეზოტერული კანონია, უბრალო რჩევა, ე. ი.  
ისეთი კანონი, რომელიც ვერ ბედავს თავისი  
თავის კანონად გამოცხადებას, კანონი მხოლოდ  
ფაქიზად მგრძნობთათვის და არა დიდი მასისა-

<sup>9</sup> ლუდვიგ ფოიერბახი — „ქრისტიანობის  
არსება“, გვ. 400.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ლუდვიგ ფოიერბახი ქრისტიანობის არსება,  
გვ. 403.





თვის. შენ უნდა იქორწინო; რასაკვირველია! ისე, რომ არც უნდა გქონდეს არავითარი შიში იმისა, რომ ცოდვა არ ჩავიდნო, ე. ი. აშკარა, მძიმე, პლუმბური ცოდვა; მაგრამ უკეთესს იზამ, თუ არ იქორწინებ; თუმცა ჩემი რჩევა არაა სავალდებულო, არამედ მეგობრული რჩევა: „უკვლადფერი დასაშვებია, მაგრამ უკვლადფერი ხასარგებლო როდია“. (ხაზგასმა ჩვენია თ. ფ.).

ე. ი. გამოდის, რომ ქორწინება ფიზიოლოგიური, პროფილაქტიკური მიზნით დასაშვებია, რადგან გარყვნილების თავიდან ასაცილებელ საშუალებად გვევლინება.

გარდა ამისა, თეოლოგების აზრით, ქორწინება ქრისტიანული მრევლის გამარავლებასაც ემსახურება; მართალია, გამარავლებას საშუალება თავის თავად უწყინდურია, მაგრამ მიზანი აკურთხებს მას და ამრიგად ცოლქმრული თანაწოლა გამარავლების მიზნით ცოდვად არ ჩაითვლება.

მაშასადამე, ქრისტიანობა უარყოფს სქესობრივ კავშირს როგორც ტუბობას და აკურთხებს მას როგორც გამარავლების გზასა და ზორციელი აღრევისაგან თავის დასაცავ პროფილაქტიკურ საშუალებას. საესებით მართალია ლუღვიგ ფოიერბახი, როდესაც ამ შეხედულების ფარისევლურ და უმართებლო ხასიათზე მიუთითებს.

მაშასადამე, ქრისტიანობა უარყოფს სქესობრივ კავშირს როგორც ტუბობას და აკურთხებს მას როგორც გამარავლების გზასა და ზორციელი აღრევისაგან თავის დასაცავ პროფილაქტიკურ საშუალებას. საესებით მართალია ლუღვიგ ფოიერბახი, როდესაც ამ შეხედულების ფარისევლურ და უმართებლო ხასიათზე მიუთითებს.

ყოველი სიხარული თვითდამამტკიცებელი მოქმედებაა. ყოველი დატუბობა ძალის ანუ ენერჯის გამოყენებაა. ყოველი ორგანიზული ფუნქცია ნორმალურ მდგომარეობაში გულისსთქმასთან, სიამოვნებასთან არის დაკავშირებული. თვით სუნთქვაც გულისსთქმის სასიამოვნო აქტია, რომელიც იმითომ არ შეივარძლება, როგორც ასეთი, რომ იგი განუწყვეტელი პროცესია. ამიტომ ვინც მხოლოდ ჩასახვას, ზორციელ შერევას როგორც ასეთს, საერთოდ ზორცს როგორც ზორცს აცხადებს წმინდა რამედ, ხოლო თავისი თავის დამტკობ ზორცს. გრძნობად გულისსთქმასთან დაკავშირებულ ზორციელ შერევას კი პირველქმნილი მეგვიდრეობითი ცოდვის შედეგად, და, მაშასადამე, თვით ცოდვადაც აცხადებს, ის აღიარებს მხოლოდ მეკვად და არა ცოცხალ ზორცს, ის თვალს გვიხვევს, ის წყევლის, შეაჩვენებს და უარყოფს ჩასახვის აქტს, სქესობრივ აქტს, საერთოდ მატერიას, მაგრამ მოჩვენებით, ვითომდა იგი მას კი არ უარყოფს, არამედ აღიარებს. არა ფარისევლური, არა პირმოთმე, არამედ გრძნობადის გულთა, წრფელი აღიარება

არის გრძნობადი განცხრომისა და სიამოვნების აღიარება. მოკლედ, ვინც, ბიბლიისა და ქვეყნის მსგავსად, ზორციელ სიტუბობას არ აღიარებს, ვისაც არ ესმის ბუნებრივი, ნორმალური, სიცოცხლისაგან მოუწყვეტელი ზორციელი სიამოვნება, ის ზორცს არ აღიარებს. ის, რაც არ იქნება აღიარებული როგორც თვითმიზანი და ამის გამო, მაშასადამე, არ იქნება აღიარებული აგრეთვე საერთო მიზნადაც, ის არც იქნება აღიარებული<sup>13</sup>.

**სინამდვილე თუ ლეგენდა?**

პირველი ცოდვის დოგმატი წითელი ზოლივით გასდევს როგორც ძველ, ისე ახალ აღმქმას. თეოლოგთა აზრით ის წარმოადგენს იმ კვანძს, რომლის გარშემოც და რომლის გამოც ვითარდება მსოფლიო ისტორიის დრამა. მაგრამ ბიბლიაში აღწერილი პირველი ცოდვის დოგმატი სრულიადაც არ არის ახალი და ორიგინალური. ანალოგიური მითები, თქმულებები და ლეგენდები უხვად გვხვდება ძველ ხალხების, განსაკუთრებით ქალღურც, ბაბილონურ, ასირიულ, ეგვიპტურ თუ სხვა რელიგიურ წარმოდგენებში. საესებით მართალი იყო ვოლტერი, როდესაც თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“ აღნიშნავდა: გადაკვარებული (degeneré) კაცობრიობის დაცემა წარმოადგენს ყველა ხალხის თეოლოგიის ფუნდამენტს<sup>14</sup>.

გაკვირთ შევეხოთ რამოდენიმე მათგანს. მაგალითად, ერთ-ერთი ქალღურცი ლურსმული წარწერა წარმოადგენს ბიმნს, მიძღვნილ შემოქმედი ლმერთისადმი. ამ წარწერაში ლაბარაკია სამოთხეზე, ადამიანთა ურჩობაზე ლმერთის მიმართ, მათი საწმინდის დაკარგვაზე და ყოველივე ამისათვის მათ დასჯაზე.

ბაბილონური ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ჰიმნებსა და ლეგენდებში იხსენიება ისეთი ბიბლიური ტერმინები, როგორცაა: „ზე ცხოვრებისა“, „ლმერთების წმინდა სავანე“, „წმინდა ხარები“ ანუ ქერობინები და სხვ.

კიდევ უფრო თელსაჩინოდ ჩანს ბიბლიური მოტივები ასირიულ-ბაბილონურ ბარელიეფებში, რომლებშიც შორეულ წარსულში ამშვენებდნენ სახალღებს, ტაძრებსა და ქალაქის კედლებს. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მათგანი, რომელზედაც პირველი ცოდვის მსგავსი სცენაა დახატული: „სურათის ცენტრში ვხედავთ ტოტემგამლილ ხეს, ქვედა ტოტზე ორი დიდი ნყოფი კილია, ხის აქეთ-იქით მოთავსებულია ადამიანის ორი ფიგურა, თავმოერთობაზე ეტყობათ, რომ ერთი მამაკაცია,

<sup>13</sup> ლუღვიგ ფოიერბახი „ქრისტიანობის არსება“, 1956. გვ. 401-2.

შეორე კი — ქალი. ხელები ორივეს ნაყოფი-  
საყენ აქვს გაწვდილი. მათ უკან კერტიკალურ-  
რად აწვართული გველი მოჩანს<sup>14</sup>.

პირველი ცოდვის ასეთივე წარმოდგენა  
გვხვდება ფინიკიელებთან, ეგვიპტელებთან,  
გვხვდება იგი აფრიკულ ტომებშიც; მაგალი-  
თად, აფრიკელი წინაგების ტომ იუმალეში. ამ  
ტომის ხალხის წარმოდგენით უმაღლესმა ღმე-  
რთმა „ტილ“-მა შექმნა პირველი ორა აღამა-  
ნი ქმარი და ცოლი, მისცა მათ ენა, გონება  
და ნება დაართო ემზირათ მისთვის სახეში, ამა-  
ვე დროს დაუღო პირობა, რომ 5 დღე ემუშა-  
ვნათ და მხოლოდ მეექვსე დღე ვაჭტარებნათ  
უქმად, მაგრამ აღამინებმა დაარღვეეს ეს  
მცნება, რისთვისაც სასტიკად დაისაჯნენ. ანა-  
ლოგიურ წარმოდგენებს ვხვდებით დასავლეთ  
აფრიკის ტომებსა და ზოგიერთ სხვა ხალხშიც.

ეს ფაქტები აღნუსხულია მართლმადიდებ-  
ლურ ღვთისმეტყველურ ენციკლოპედიაშიც და  
ამგვარად ისინი კარგადაა ცნობილი თეოლოგე-  
ზისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფაქტებში  
ზოგიერთი ღვთისმეტყველი ისტორიულად მო-  
მხლარი ამბის დამატკიცებელ საბუთს ხელდას-  
სინამდვილეში კი ეს დამთხვევა იმავე მიგვი-  
თითებს, რომ ბიბლიამ ბევრი რამ ისესხა და  
გამოიყენა სხვადასხვა ადრინდელი წყაროები-  
დან. ეს ერთი მხრივ არღვევს „საღმრთო წე-  
რილის“ ღვთისმთავონებულობის დოგმატს,  
მეორე მხრივ, ცხადი ხდება ესოდენ რატომ  
ჰკვანან ბიბლიის რელიგიური და მორალური  
ნორმები ძველი აღმოსავლეთის განვითარებუ-  
ლი ხალხების რელიგიურ თუ ზნეობრივ ნორ-  
მებს. ესეც არ იყოს, რელიგიური და ზნეობრი-  
ვი ნორმების მსგავსება სხვადასხვა კონტინენ-  
ტის ხალხების რწმუნებშია შეიძინევა. ამ ფაქ-  
ტში არაფერია საოცარი: ცხოვრების მსგავსი  
პირობებსა და გარემოს, საზოგადოების განვი-  
თარების კანონზომიერებას შეეძლო ერთიდა-  
იგივე შეხედულებები წარმოეშვა სხვადასხვა  
კონტინენტებზე, ისევე როგორც ერთმანეთი-  
საგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა სხვადასხვა  
ქვეყანაში ურთიერთმსგავსი ფეტიშური, ტოტე-  
მისტური, ანიმისტური თუ მაგიური შეხედუ-  
ლებანი. ანალოგიური მომენტების არსებობა  
ძველი აღმოსავლეთის თუ სხვა ხალხების რე-  
ლიგიურ წარმოდგენებში კი არ აღსატურებს,  
არამედ აქარწყლებს თეოლოგთა შეხედულებას  
პირველი ცოდვის, როგორც რეალურად მოხ-  
დარი ფაქტის შესახებ.

ყოველივე ამას ემატება ის შინაგანი, ლოგი-  
კური წინააღმდეგობანი, რომელსაც უხვად  
ვხვდებით საღმრთო წერილის ამ პატარა მონა-  
კვეთში...

საერთოდ, ალბათ არა ღირს ბიბლიაში არ-  
სებული შეცდომების, ურთიერთდაპირისპირე-

ბების, უახრობებისა და წინააღმდეგობის ჩამო-  
თვლა, რაც აღმოჩენილი იქნა „საღმრთო წე-  
რილის“ მეცნიერული კვლევის სამი საუკუნის  
მანძილზე. ამ წინააღმდეგობებს დღეს ყველა  
აღიარებს. მაგრამ ზოგიერთ მთავანზე, რომე-  
ლიც უკავშირდება ჩვენი კვლევის ობიექტს და  
ამჟრად ეწინააღმდეგება საღმრთო, აუცილე-  
ბელა ყურადღების გამახვილებას.

მიუხედავად თეოლოგების აღუარებელი ცდი-  
სა, ფარული, ალეგორიული ან სიმბოლური აზ-  
რით იქნას გაგებული ბიბლიის ტექსტი, ოფი-  
ციალური ეკლესია ჯიუტად მოითხოვს „საღმრ-  
თო წერილის“ შინაარსის პირდაპირ გაგებას.  
(მათი მტკიცებით, ლვინს ჭეშმარიტების ალე-  
გორიული ან სხვაგვარი გაგება დაუშვებელია).  
ჩვენც მივდივით მათ და პირდაპირ განვიხი-  
ლოთ ის ურთიერთდაპირისპირებანი, შეცდომე-  
ბი და წინააღმდეგობანი, რომელიც პირველი  
ცოდვის აღწერისას ვგვხვდება.

უპირველეს ყოვლისა, ბიბლიის ამ პატარა  
ნაწყვეტში ნახსენებია ღმერთები და არა ღმე-  
რთი, კერძოდ, გველი ცთუნებისას პირდება  
ეგას, რომ ნაყოფის ჰუმის შემდეგ მათ აეხილე-  
ბათ თვალს და ღმერთებზეთ იცხოვრებდნენ.  
თეოლოგთა მიხედვით კი ღმერთი ერთია. ცხა-  
დია, ჩვენ ამ პოლითეიზმის გადმოჩნაშთან  
გვაქვს საქმე, რომლის კვალიც შემორჩენილია  
„საღმრთო წერილში“.

„საღმრთო წერილში“ პირველი შეცოდების  
აღწერა იწყება იმით, რომ კაცობრიობის და-  
ცემის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე — გველი  
დასასიათებელია როგორც „უგონიერეს“ ყვე-  
ლა მხეცია შორის“. ამ აღვლის განმარტებისას  
თეოლოგები, — მიუხედავად იმისა, რომ ბიბ-  
ლიის ორ თავში, სადაც აღწერილია პირველი  
შეცოდება, ეშმაკზე არაფერია ნათქვამი, —  
ერთსულოვნად მიუთითებენ, რომ გველი და-  
მოუკიდებლად კი არ მოქმედებდა, არამედ მის  
სხეულში შესული ეშმაკის მეოხებდა.

თუ მაინც დავუშვებთ, რომ ცოდვის ჩადე-  
ნაში ეშმაკს მიუძღვის ბრალი, მაშინ გველის  
გონიერებაზე ზედმეტია ლაპარაკი, რადგან  
გველს თურმე ეშმაკის ნებით უმოქმედია.

და ბოლოს რატომ დასაჯა ღმერთმა გველი,  
რომელიც სატანის ხელში მხოლოდ ბრმა ია-  
რალი იყო, თუმცა, როგორც ძველი საბჭოთა  
ათვისტი ემ. იაროსლავსკი აღნიშნავს, გველი  
არც თუ ისე დამაგრულია, რადგან ის მიწას კი  
არა ჰამს, როგორც ეს ღმერთმა მოსაჯა, არა-  
მედ ბაყაყებს, თევზებსა და სხვა ცხოველებს  
მიირთმევს. ტროპიკულ გველებს შეუძლიათ  
დიდი ცხოველების ჩაყლაპვაც კი. ასე რომ, —  
ასკენის ემ. იაროსლავსკი, — ღმერთის წყევლა  
გველზე. სრულიადაც არ აღსრულებულა.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ

<sup>14</sup> Православная богословская энциклопедия, т. IV, Петроград, 1903 г.

<sup>15</sup> Е. М. Ярославский, Библия для верующих и неверующих, Москва, 1958, გვ. 61.



ღმერთის წყრომა უკელოდ ჩაივლის ზოლმე-  
შავალითად, ღმერთმა აკრძალული ხილის შეჭ-  
მისთანავე დაღუპა უწინასწარმეტყველა ადამსა  
და ევას, მაგრამ ცოდვის ნაყოფის ქაშის შემ-  
დეგ მათ კიდევ დიდხანს იცოცხლეს.

გაუგებრობას იწვევს სხვა ფაქტიც, ევა თა-  
ვისი დანაშაულისათვის დაისაჯა: ერთ-ერთი სა-  
სჯელი იყო ტანჯვითა და ვაგებით ეშობა საკუ-  
თარი შვილები. ეს ამბავი ბიბლიაში როგორ-  
ღაც მაინც არის დასაბუთებული, რადგან ევამ  
თითქოს მონაწილეობა მიიღო პირველ ცოდვა-  
ში, მაგრამ როგორც ემ. იაროსლავსკი მიუთი-  
თებდა, მაშინ რაღა დააშავეს ცხოველებმა, მა-  
გალითად, ძროხებმა, რომლებიც საშინელ ტყი-  
ვლებს განიცდიან მშობიარობის დროს, ხანდა-  
ხან იღუპებიან კიდევაც. ბიბლიაში ხომ არაფერ-  
ია ნათქვამი ძროხის შეცოდებაზე.

ასევე გაუგებარია ადამისა და ევას შეცოდუ-  
ბისათვის რატომ დასწყველა ღმერთმა მთელი  
დედამიწა.

ბიბლიაში ნათლად ჩანს შრომისადმი მტრუ-  
ლი დამოკიდებულება. კლასობრივ საზოგადო-  
ებაში შრომა მამაცობის, ღირსების საქმე კი  
არ იყო, არამედ სამარცხვინო და დამამცირე-  
ბელ მოვალეობად ითვლებოდა. შრომა ჩაგრუ-  
ლი ხალხის ზვედრი იყო, მხოლოდ ისინი ირ-  
ჩენდნენ თავს მუშაობით. მდიდრები კი შრო-  
მას სასჯელად თვლიდნენ. ამ შეხედულებამ  
ასახვა ჰპოვა ბიბლიაში, სადაც შრომა ღმერ-  
თის წყევლადაა გამოცხადებული.

პირველი ცოდვის დოგმატი წარმოადგენს  
ქალის ჩაგვრის იდეოლოგიურ დასაბუთებასაც.  
თეოლოგების მიხედვით, ვინაიდან ევა იყო პი-  
რველი შეცოდებზს მოთავე და სამოთხიდან გა-

მოძევების მიზეზი, იგი უფრო მეტად  
დასჯილიყო. ამით მართლდება ქალის არასაბა-  
რბიელო, დაჩაგრული მდგომარეობა საზოგადო-  
ებაში, ხაზი ესმება მამაკაცის უპირატესობას.

საერთოდ კი ღმერთის მიერ შექმნილი სამ-  
ყარო, რომელიც შემოქმედს თვითონვე ძალზე  
მოსწონდა, არც თუ ისე გონივრულად მოწყო-  
ბილი აღმოჩნდა, სხვა შემთხვევაში არ მოხდე-  
ბოდა ის საშინელი, გამოუსწორებელი ცოდვა,  
რომელმაც ასეთი გარდატეხა შეიტანა ადამიან-  
თა ცხოვრებაში.

მოძღვრება პირველი ცოდვის შესახებ ჩვენს  
პირობებშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი  
დოგმატია ებრაულ და ქრისტიანულ თეოლო-  
გიაში. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ  
უკუღმართობას. ღვთისმეტყველები დღესაც  
ამით ხსნიან. მაგრამ თავის შედაგებლურ თუ  
თეორიულ საქმიანობაში თეოლოგები ხშირად  
როდი ახსენებენ ამ დოგმატს; ვინაიდან სულ  
უფრო ძნელი დასაჯერებელი ხდება ის შვიმე,  
შედეგები, რაც ამ ერთი ეაშლის შეჭმამ მოუ-  
ტანა მთელს კაცობრიობას. ძნელი დასაჯერე-  
ბელია, რომ მან შთანთქა ადამიანური ბედნიე-  
რება, სიკეთე და სიყვარული; ასეთი ცოდვის  
დალი დასვა ადამიანთა საზოგადოებას, მოუ-  
ტანა მას სოციალური უკუღმართობა, მკვლე-  
ლობა, მრუშობა, უგულობა, სიღატაკე და სხვა  
ცხოვრებისეული ვასაჭირი.

პირველი ცოდვის დოგმატის კრიტიკული გა-  
ნხილვა კიდევ უფრო ლახავს ეკლესიის ისე-  
დაც შერყვეულ ავტორიტეტს.





## იოსებ მებრაღია

### იოსებ გრიგაშვილის სამი ბარათი

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიგოლის ძე გრიგაშვილი (მამულაიშვილი, 1889-1965) და მისი მეუღლე — მომღერალი ქეთევან კონსტანტინეს ასული ჯაფარიძე (1891-1967) იმდენად კეთილმოსაგონარნი არიან ჩვენთვის, რომ მათ შესახებ მოვამზადეთ წერილი „იოსებ გრიგაშვილის ვახსენებ“, რომელიც დაისტამბება კიდეც.

ამჯერად აქ ვილაპარაკებთ მხოლოდ ქვემოწარმოდგენილი სამი წერილის თაობაზე, — ი. გრიგაშვილის მიერ საიათნოვას ლექსების გამოცემისა და მისივე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ერთი რეცენზიის შესახებ.

დიდი აშუღის — საიათნოვას ბიოგრაფია და სომხური ლექსები გ. ახვერდოვა გამოსცა 1852 წელს მოსკოვში.

ნიკო მარმა პეტერბურგის საახიო საზოგადოებას ხელნაწერებში გამოავლინა კრებული საიათნოვას ლექსებისა. მათგან მან ქართული ლექსები გადმოწერა 1889 წელს და გამოცემას აპირებდა, მაგრამ დაუგვიანდა. შემდეგ მეცნიერმა ვაიგო, რომ საიათნოვას ქართული ლექსებისა და აშუღის ვრცელი ბიოგრაფიის გამოქვეყნება ი. გრიგაშვილს განუზრახავს თბილისში. ეს საქმე პირველმა მეორეს დაუთმო და თავისი მასალებიც მას მიაწოდა.

ქვემოწარმოდგენილ მესამე წერილში მოხდენილად წერს ავტორი: „საიათნოვას ბიოგრაფია ძალიან მკლე იყო“. ი. გრიგაშვილმა მართლაც გაამდიდრა იგი და აშუღის ლექსებთან ერთად გამოაქვეყნა (იხ. „ი. გრიგაშვილი. საიათნოვა, თბილისი, 1918“).

წარმოდგენილ სამ ბარათში ნათლად ჩანს საკითხის ისტორია, მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, შევნიშნავთ კი, რომ იგივე ბარათები საყურადღებოა ავტორის ბიოგრაფიისა და მეცნიერებთან უარესად მოკრძალებული და თავაზიანი დამოკიდებულების ჩვენების

მხრივაც. ამის გარდაც, გამოსაცემად მზადდება ი. გრიგაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა და ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, ზოგი რამ ისეთიც გავიხსენოთ, რაც სარედაქციო შენიშვნებისათვის შეიძლება გამოდგეს.

მხატვრისა და ბელეტრისტის — გ. ზ. ბაშიჩაიანის (1857-1925) პირად არქივში მივაკვლეთ და წერილითურთ გამოვაქვეყნეთ საიათნოვას სამი ლექსი („მნათობი“, 1954 წ. № 7-8).

მასზე ი. გრიგაშვილმა რეცენზია დაბეჭდა („ლიტერატურული ვახუთი“, 1930 წ. 30 ნომერი № 27) ავტორი წერდა: ეს ლექსები მე მივაწოდე ბაშიჩაიანსო, მაგრამ დედადგინეთ, რომ ისინი მხატვარს სხვა გზით ჰქონდა მოპოებული, ჩვენ პასუხი გამოვაქვეყნეთ (ეჭურღ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935 წ. № 3, გვ. 95-96).

პირველად ლენინგრადში 1938 წელსა და მეორედ ცხინვალში გამოქვეყნდა ჩენი წიგნაკი „გადმოცემები არსთაველის შესახებ“ (1954 წ.). მასზე ადგილობრივი გაზეთის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაება ხელმოუწერლად გამოაქვეყნა აშკარად ტენდენციური რეცენზია (გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1954 წ. 28 ნომემბერი).

იმეუ ღროს კი თბილისში დაიბეჭდა პროფესიული რეცენზია, რომელიც მოაყრდებოდა სიტყვებით: „წიგნი შედგენილია სიყვარულით და საქმის ცოდნით. იგი უთუოდ სარგებლობას მოუტანს მკითხველს“ (წ. კახაბერიძე, „მნათობი“, 1954 წ. № 12, გვ. 156-157).

ჩვენ ვახილეთ პირველი რეცენზიის ავტორი და მას შეცდომის აღიარება მოსთხოვეს, მან, აღზაოთ, იფიქრა: მეგრულიც ერთ ღროს ეკამათებოდა გრიგაშვილს, პოეტი ჩემთან კარგ ურთიერთობაშია და მხარს დამიჭერსო მიმართა პოეტს, მაგრამ ამანაც დადებითი რეცენ-



ზია მიაწოდა... ეს აღარ დაიბეჭდა, ვაზეთმა შენიშვნა გამოაქვეყნა, — „რედაქციასთან“: „ი. მეგრელიძის შრომა ჩვენს რეცენზიაში შეფასებულია ცალმხრივად, რეცენზიის ტონი არა-ზომიერია“ და სხვა.

ახლა ი. გრიშაშვილის ერთ-ერთ ტომში იბეჭდება ეს თავის დროზე გამოუქვეყნებელი რეცენზიაც. აქედანაც ჩანს, რომ ავტორი პირადულზე მაღლა იდგა.

შესამე წერილში ხსენებული ალ. ჭავჭავაძის (1786-1846) წიგნი არის „ალექსანდრე ჭავჭავაძე. თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, წართქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით“, რომელიც 1940 წელს გამოიცა თბილისში.

ი. გრიშაშვილი რომ ნ. შარს „ქართულ ბიბლიოგრაფიას“ სთხოვს, ის 1916 წელს გამოიცა პეტროგრადში ი. ყიფშიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

პირველი და მეორე ბარათის დედნები დატულია საქართველოს სსრ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში 24117 წიგნით. ორივე დაწერილი აკრის ვაზეთის ბლანკზე („ცნობის ფურცელი, სასახლის ქ. № 6“, იგივე — რუსულად). შესამე ბარათი კი ქვეყნდება ნიკო შარსის პირადი არქივის მასალებიდან. დედანი ტექსტის გამოცემის შედეგად ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმს ჩაბარდება.

ბარათთა წინამდებარე პუბლიკაციაში დატულია დედნების ორთოგრაფია: — სახელობით ბრუნვაში — საიათნოვა, საათნოვა; მიცემით-სა და მათესაობით ბრუნვებში ერთნაირად წერია: შარსი, საიათნოვის (პირველი ბარათი), ოლონდ ჩვენ არ ვიზიარებთ ტექსტის მთლიანად მეჭინკური გამოცემის ხერხს, და ამიტომ მიერ თანდებულთან პირველ ორ ბარათში ნაცვალსაბელი ჩემ ავტორს ორგზის ორი მათ (ჩემზე მიერ რომ უწერია, ჩვენ მათ ერთი მანით გებუდავთ; ტექსტში გამოყვობთ რამდენიმე აბზაცს და ესვამთ ზოგ სასვენ ნიშანს.

ტფილისი, მარტი 18—1916 წ.

პატივცემული იოსებ!

ეს-ეს არის სერგო გორგაძემ გადმოცა, რომ თქვენ შეგიტყობინებიათ საიათნოვის შესახებ შარსის აზრი, რომელსაც განზრახვა ჰქონია საიათნოვის შესახებ კრებული გამოეცა ამას გარდა, რაც უველაზე უფრო საინტერესოა, თურმე შარსი ჰქონია ქართული ლექსები საიათნოვისა, რომელიც დღეს იშვიათი საშოვარია... მე შევკრიბე საიათნოვის შესახებ ყოველგვარი ცნობა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საიათნოვას საქართველოს ცხოვრებაში, და ლექსები კი სულ 14 აღმოვაჩინე ქართულად. ეხლა შეინტერესება შარსი მიერ შეკრებილი ლექსების გადათვლიერება: იქნება ამ ჩემ მიერ ნაპოვნ ლექსების ვარიანტია?..

ყოველ შემთხვევაში ძალიან დამაველებელი, თუ შარსის სთხოვთ და ლექსებს გამოეცხადებინებთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ: ჩემსევე სახელზე. სერგო გორგაძემაც ასე მირჩია!..

თუ ესურთ, მაშინ ჩემს ლექსებს და ჩემს მასალას საიათნოვე თქვენ გამოგვავაზნით: შარსის აჩვენებ და დეე, თვითონ თავის არხიტექტურით ააშენოს ერთ წიგნად ჩემი მასალები...

ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ის არის, რომ სომეხი საიათნოვა ქართველებისთვისაც საინტერესო იყოს, რის ღირსიც, ალბად, არის.

პატ. ი. გრიშაშვილი

ტფილისი, აპრილი 14—1916 წ.

პატივცემული იოსებ!

მივიღე თქვენ მიერ გამოგვავაზნი საიათნოვას ლექსთა რვეული. გმადლობთ, უღრმესი მადლობა ავრეთვე ჩვენს სახელოვან მეცნიერ შარსს, რომ ღირსად მცნო და თავის ხელით გადაწერა ორივე რვეული მათხოვა. ზოგიერთი ლექსი აქაც არის, ქ. შ. წ.-კ. მუზეუმში, მაგრამ სხვადასხვა ვარიანტია, რასაკვირველია.

რაც შეეხება იმ ლექსის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ენაზეა ნაწერი, ეს ლექსი მეცა მაქვს, მაგრამ სხვა ვარიანტია. ეს ლექსი ვბოვე ქ. შ. წ.-კ. ხელთნაწერში № 2385, რომელსაც ქვეშ აწერია: დასრულდა ყაფია ოთხი ენისა... სხვა და სხვა ვარიანტია!

ეს ლექსი მით უფრო საინტერესო იქნება, რომ სამი ენის ნაცვლად, ოთხი ენა ყოფილა შიგ. ამას გამოეკლავა უნდა და ეს კი რა ჩემი საქმეა? მე მხოლოდ ვკრფ, ვარიანტებს ვაღარებ ერთიმეორეს, წინასიტყვაობას ვწერ ბიოგრაფიის ყაიდაზე, ლექსიკონს ვურთავ ბოლოში ზოგიერთი სიტყვის ასახველად, ჩემ მიერ შეკრებილ „ყარაოლულს“ ლექსიკონის განმარტებით და დანარჩენი კი — თუ კიდეე რამეა გასაკეთებელი — ეს ჩემს უნარს აღემატება და ბოღიშს ეიხბი!

კიდეე მადლობა, დიდი მადლობა.

ი. გრიშაშვილი

დიდთ პატივცემული ნიკო იაკობის-მეე

თქვენი ჩემდამი ოდნავი ყურადღება მაკადნიერებს ამ ბარათის მოწერას — 1918 წელს განსვენებულ იოსებ ყიფშიძეს ხელით მივიღე ის რვეული, რომელიც თქვენ მიერ იყო გადმოწერილი საიათნოვას ლექსები, მგონი, ვახტანგისეულ ხელნაწერებიდან.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. ბევრი

იოსებ მებრელიძე

იოსებ გრიშაშვილის სამი ბარათი

ანკარა აზრი უშედეგოდ ჩაეხვედა ჩემში, ბევრს სიტყვას შემოუღობე მუსიკის სოლინარი, მაგრამ თქვენდამი პატივისცემა კი, მთასავით მძიმე და თვალშეუღვამი, არ მასვენებდა. არ მასვენებდა იმიტომ, რომ მსურდა ის სიყვითე, რომელიც საიათნოვას დასდეთ, პირდათ გადმომეცა.

მე, როგორც სრ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდენტის წევრს, თქვენი წერილის შინაარსი (ტურნალ) „კავკასიონის“ შესახებ ვიცი. თანაგრძობაზე თქვენს მხარეზე..

მსურდა, თქვენი ტვილისში ყოფნის დროს გადმომეცა მადლობა. მადლობა და მადლობა, მაგრამ ის აზრი, რომ მე ერთი უბრალო პოეტი ვარ და თქვენი შეწუხება არ მინდოდა — მარტოვანობა

არ ვიცი, რამდენად მიეცნობთ, როგორც მოშორეს ან როგორც ტვილისის ყარაჩოლელის მონოგრაფისტს. ყოველ შემთხვევაში, დიდი მოწიწებით გიგზავნით ჩემი ლექსების მეორე ტომს (პირველი ვერ ვიშოვე), რამდენიმე ლექსს რუსულად უხეიროდ თარგმნილს, რომელიც 1921 წელს განათლების კომისარმა გამოსცა რუსთა გასაცნობად და „საიათნოვას“. მე არა მაქვს არაერთი პრეტენზიები — ამიტომაც არის, რომ საიათნოვას წინასიტყვათ შეიძლება არ დაგაკმაყოფილოთ. ეს წინასიტყვათ პირველი ნაშრომი ან დარგში. კალმის პირველი ნაცულუტარი და ამიტომაც ბოდიშის უფლებას ვიტოვებ. ეს კი უნდა ესთქვა, რომ საიათნოვას ბიოგრაფია ძალიან მკლე იყო, და მინდოდა, რომ მისი სიხაბით ძველი ტვილისის ზოგიერთ სპეციფიურ გამოთქმებს და ადათებს თავი ამიკი აყოლოდა. ასე! სტილიც საიათნოვისებური დავიკავი: მასლათური, ნოყიერი სტრიქონებით და არახული სიტყვებით წახნაგული. ბოდიში, რომ ამ წიგნის გამოგზავნას ამდენი წელიწადი დასჭირდა!

შიილებთ?

გმადლობთ!

ერთი რჩევა მინდა: ხალისი მაქვს დაწერო აღქმანდრე ჰაქევაძის მონოგრაფია და მისი ლექსები აღვადგინო. ვერსად ვერ ვიშოვე ავტორის ავტოგრაფი. ჩვენს არხივებში და თვით დანებებულ წიგნებში ერთი ჩქამიც კი არ არის დაძრული ა. ჰაქევაძის პოეტობის გამძლეობაზე. ყველაფერი აყირავებული სტრიქონებით იწყება და ხარვეზით თავდება.

თქვენ, ძვირფასო, ნიკო იაკობის-ძევე, იცით ყოველივე, თვით საიათნოვას ლექსებიც თქვენ რომ არ ვადაცეკათ ყოფიშქსთვის. ჩემი საიათნოვა ვერ გამოშვედებოდა. იქნება ეხლაც მიმითითოთ მაინც რომელიმე წყაროზე? მე მინდა: მისი ლექსები (თუ ავტოგრაფი იქნება, რასაკვირველია, უფრო უკეთესი), მისი ყოფ-

ნის საბუთები პეტია კორპუსში და ერთი წერილი, რომელსაც ა. ხაჩანაშვილი, ისტინიკის თავის „სიტყვიერებაში“ (თითქოს ალ. ჰაქევაძის ვაქტეს დარჩა ხელთნაწერი: „საქართველოს“ 1801-1831 წ. მდგომარეობის განხილვისა), მაგრამ, სამწუხაროდ, არ ასახელებს, სად ინახება ეს ხელთნაწერი. არ მიყვარს ასეთი ქართული ლაპარაკი. მე კი ტვილელს, ყოველთვის საბუთი მიყვარს მყარი და არა ელასტიური.

მე განა იმდენი არ მესმის, პატივემყოფო პროფესორო, რომ ასეთ წერილმანებლისთვის არ უნდა გაუფხებდეთ. მაგრამ მე თქვენ მხოლოდ მითითებასა გთხოვთ, იქნებ ზეპირად გახსოვთ რამე ალ. ჰაქევაძის შესახებ და მერე კი მე ვიცი: მანდარ ქართველ სტუდენტებს ვთხოვ დახმარებას. თუ თქვენ ვერ მომწერთ ორიოდ სიტყვას, გადაეცით, რომელიმე სტუდენტს, რომ მომწეროს თქვენი აზრი:

მართლა, საიათნოვა როგორ მოგწონთ? ალ. ჰაქევაძეზე მაგ ყალიდაზე დაწერილი? არა, მე მგონი ა. ჰაქევაძეში სტილი უფრო დაწერული მექნება.

1913 წლიდან ვაგროვებ ისეთ სიტყვებს, რომელნიც მარტო ტვილისში ინახება: მაგ., მურაზი, ხოში, ნუგზარი, თამასა, თარფი, ჩაროზი და სხვ.. ათასმდე იქნება. მე მხოლოდ უბრალო შემგროვებელი ვარ და ჩემებურად ამხსნელი... ძველი მოქალაქენი ისეთ სიტყვებს ხმარობენ, რომ ხშირად სხვა სამაგიერო სიტყვა ვერ მოუღდება: თამასა — perika ჩაროზი — decept და სხვ.

მინდა ეს რვეული გადაეცე ტვილისის უნივერსიტეტს ან ენათმეცნიერების საზოგადოებას. დე. ისე გამოსცენ, როგორც ერთ დროს თქვენის წინასიტყვაობის გამოვიდა ბერძინის და ჰყონიას ლექსიკონები.

ძვირფასო ნიკოლოზ, ვერსად ვერ ვიშოვე „ქართული ბიბლიოგრაფისტის“ (ახლგაზრდები რომ მუშაობდნენ მის შედგენაში, იმ წიგნს ვამბობ). იქნებ უბრძანო ვის ხელშიაც ეს წიგნებია, რომ ფასდაღებით ერთი ცალი გამომიგზავნონ? ჩემი მუშაობისთვის პირდაპირ ხსნა იქნება ეგ წიგნი. კიდევ ბოდიში. იქნებ რომელიმე თქვენი სტუდენტი გამოემხმურება? ბოდიში! ბოდიში! ბოდიში!

მარად თქვენი პატივისცემული

ი. გრიშაშვილი

1926 წ. 28 იანვარი.

ქ. ტვილისი.

ჩემი მისამართი:

ტვილისი ხარუჯი.

ალგეთის შესახებ. № I.

ი. გრიშაშვილი.





# საზოგადოებრივი

## აზუს

### ჯონ ჰერისის ახალი რომანი

ხუთი წლის დუმილას შემდეგ გამოვიდა ცნობილი ამერიკელი მწერლის ჯონ ჰერისის რომანი „შეთქმულბა“. ნაწარმოები რომის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს, კერძოდ, იმპერატორ ნერონის მმართველობის წლებს მოიცავს. პერიოდს, რომელიც ვარდამავალ ხანას წარმოადგენს არისტოკრატიული რესპუბლიკიდან განუსაზღვრელ დიქტატურზე. მკაცრად იღვევება ყოველგვარი ოპოზიცია, აკრძალულია ტირანთა წინააღმდეგ გამოსვლა, ექვემდებარება კაპიტალიზმის მაღალი კედლებიდან ყრიან. იმპერატორი სასტიკად ავიწროებს არისტოკრატის უფლებებს, ამ უკანასკნელებს მწერლებიც განეკუთვნებიან და სწორედ ისინი ქმნიან ოპოზიციას. „რევოლუციონერი ბელეტრისტები“ რესპუბლიკური თავისუფლების ნიღბით არისტოკრატის ინტერესებისათვის იბრძვიან, თუმცა მოკლედური გახრწნილობის, ცინიზმისა და მონღოური სტოიციზმის აკმოსფერო, ტირანიის წინააღმდეგ უმოქმედობას რომ აშართლებს, ლიტერატურულ ოპოზიციასაც შეიქცა, ხენევას სიტყვებით რომ ითქვას, მწერლები „სხვაგვარად ცხოვრობენ და სულ სხვას ქადაგებენ“.

რომანის უმეტესი ნაწი-

ლი შეთქმულთა, მათ შორის, ხენევასა და ლუკანის (შეთქმულების ხელმძღვანელი) მიმოწერა. ერთმანეთს ეჩაბებიან არისტოკრატისა და დიქტატურის დამცველთა ინტერესები. ნაწარმოები შეთქმულების აღმოჩენითა და შეთქმულთა დაღუპვით მთავრდება.

„ჰერსიმ ნათელი, საოცრად მიმზიდველი წიგნი დაწერა, რომანის კითხვა სიამოვნებაა.“ — წერს გაზეთი „ინტერნენსლ ბერალდ ტრიბუნე“ და აღიარებს რომანის ღირსებებს, თუმცა ერთგვარ ექვსაც გამოთქვამს — ერთგულია თუ არა ავტორი ისტორიული სიმართლისა და ვის მხარეზეა მისი სიმპატიებიო.

უფრო პირდაპირ გამოთქვა აზრი ინგლისურმა ყოველკვირეულმა „ტაიმს ლიტერარ-საბლემენტმა“.

„მწერალი, ცხადია, პარალელს ავლებს ნერონის ეპოქასა და თანამედროვე დასავლეთს შორის, მაგრამ არც თუ ისე ნათლად ვლინდება მეტად აქტუალური პრობლემა — მწერლის პირადი პასუხისმგებლობა ეპოქის დაძაბული პოლიტიკური სიტუაციების გამო. ბრწყინვალედაა ასახული ლიტერატურულ დავათა, ეთიკურ მსჯელობათა და რომის ცხოვრების ორმართილის სურათები, მაგრამ ძნელია ვაარკვიოთ თვით ჯონ ჰერისის პოზიციას“.

## გზრ

### „მრეზინან ტრეზინის ჩირალდენები“

დიუსელდორფის გამომცემლობა „ერემიტენბერგს-მა“ გამოსცა მაქს ფონ დერ გრიუნის ახალი წიგნი — „ქრებიან ტრეზინის ჩირალდენები“.

მწერალი ახალ ნაწარმოებში შემალაროელთა ცხოვრებას, წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მთუნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს ასახავს. მოქმედება მალაროელთა ერთ-ერთ პატარა დასახლებაში ხდება, რომელიც მერე და მერე ახალი ტიპის ინდუსტრიულ ქალაქად იქცა. უსულგულობა, მიუსაფარობა, გაუტანლობა, ერთმანეთისადმი უნდობლობა აი, ყველაფერი ის, რაც კინიშნული ვახანა ამ ქალაქის მცხოვრებთათვის ახალმა დრომ.

„მაქს ფონ დერ გრიუნის — წერს გაზეთი „ურანფურტერ ალგემაინე“, — გვიჩვენებს, რომ ახალ ეპოქას ყოველთვის როდი მოაქვს სიკეთე, პირობითი, უმეტესად იგი მკაცრი, დაუნდობელი და არაპუმანური, უფრო და უფრო აბსტრაქტული, ნიველირებული და განსხვავილობილია აღმართური თუ შრომითი ურთიერთობანი“.

„ბევრმა, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — შეიძლება დაადანაშაულოს კიდევ ნაწარმოები, რადგან აქ ავტორის სიმპატიები თვალნათლივ ჩანს, მაქს



ჟონ დერ გრიუნს არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანების თანაგრძნობისა, იგი მათი ტკივილების თანამოწიარადა, თუმცა ავტორის სენტიმენტალურ ამბავს როდი მოგვიტოვრობს“.

რეცენზენტს განსაკუთრებით მოსწონს ავტორის ნეკლონი თხრობის მანერა, რომელიც საოცარი სტილისტური სიმკაცრითა და ფერითა სიმსუბუქით გამოირჩევა.

## ინგლისი

### ვალტერ სკოტის „დლიური“

ამას წინათ ინგლისში გამოვიდა ახალი გამოცემა ვალტერ სკოტის „დლიური“.

ეს წიგნი ყოველკვირეულ „ტაიმს ლიტერარი სკოტის“ აზრით ერთ-ერთ უდიდეს ავტობიოგრაფიკულ ნაშრომად.

სკოტმა „დლიურის“ წერა 54 წლის ასაკში დაიწყო და 7 წლის მანძილზე, თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ყოველდღიურად აღწერს თავის შთაბეჭდილებებსა თუ განწყობილებებს. ამ დროისათვის მწერალი დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა. უკან დარჩა გაჭირება;

ართული მოვლენებითა და სიტუაციებით აღსავსე ცხოვრების მიმე წლები, ახლა კი იყო სიმშვიდე, კომფორტი და მან გადაწყვიტა აღწერა სოფლური იდილია, გაეხსენებინა სხვადასხვა ლიტერატურული ანგდოტები; მაგრამ ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა — ვალტერ სკოტის გამომცემლები გაკოტრდნენ, ამ ამბავმა კი მწერალიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და კომფორტაბელურ მამულთა ბატონ-პატრონის წყნარი ცხოვრების სანაცვლოდ მას სიღატაკე და იძულებითი შრომა მოელოდა.

ანე რომ, ვალტერ სკოტის „დლიური“ რომელიც მიზნად ისახავდა მშვიდი ცხოვრების აღწერას, არსებობისათვის ბრძოლისა და ცხოვრებისეულ უკუღმართობათა აღწერად იქცა. რეცენზენტის აზრით წიგნი ახლაც შეუნდლებელი ინტერესით აკითხება.

## საზრანგეთი

### კაპლო ნერუდას პიესა „ზრანგულ სენანაში“

სტრასბურგის ნაციონალურმა თეატრმა დადგა პაბლო ნერუდას პიესა —

„ვარსკვლავი და ხოაკინ მურიეტის სიკვდილი“ („ინოსტრანაია ლიტერატურა“ № 2, 1968).

ხოაკინ მურიეტი — ჩილიელი რომინ პუილი და სახელმწიფოელი ყაჩაღი, ნერუდას პიესაში ლარბელატკთა ბელადად გვევლინება. სპექტაკლის მიმდინარეობისას იგი სცენაზე საერთოდ არ ჩნდება, მკურნებელს მხოლოდ მისი ხმა ესმის.

სტრასბურგის ნაციონალური თეატრის ეს წარმოდგენა ერთდროულად ოპერაციაა, მელიოდრამაც და პანტომიმიაც. თავის ინტერვიუში რეჟისორმა ალბერტო როდინ განაცხადა, რომ სპექტაკლი აგებულია როგორც მურიეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი, გლეხები ასრულებენ საზეიმო რიტუალს — ესაა მურიეტის თავისა და მისი თოფის სიმბოლური დამარხვა.

„ჩვენ ტექსტი არ შეგვიცვლია, მხოლოდ კომპოზიცია შევასხვადურეთ, ამის საშუალებას კი პიესა იძლევა, რადგან მას კლასიკური სტრუქტურა არ გააჩნია. ეს დიდი პოემაა“.

## ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტკაჩაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშუალოდ ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ. მგ. მდგნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 18/IX-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-72 წ. ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ. თაბახი 14,5 შეკვეთა 3034. უე 13559. ტირაჟი 26900.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.





ფან 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236